

გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

<https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/>

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი

ქალი ჩრდილის გარეშე

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი.....	1
ქალი ჩრდილის გარეშე.....	1
* * *	2
* * *	38
* * *	59
* * *	80
672-ე ღამის ზღაპარი	103
1	104
2	111
ეპიზოდი მარშალ ბასომპიერის ცხოვრებიდან.....	120

* * *

კაიზერი ცისფერ სასახლეში დედოფალს, თავის მეუღლეს, სტუმრობდა. დედოფალი ზაფხულის სიცხეს გარიდებოდა და ყველაზე მაღალ ტერასაზე, თავის სამყოფელში, განისვენებდა. გადიაც იქვე იყო, იქიდან ფეხს არ იცვლიდა და თვალყურს ფხიზლად ადევნებდა ყველაფერს, თან გაბრაზებული და განგებაზე გამწყრალი, დღენიადაგ იმას დარდობდა, - სულთა და მოჩვენებათა ძლევამოსილი წინამძღოლის ასული, ჩემი რუდუნებით გაზრდილი და ნასათუთევი მომხიბლავი ფერია ჩვეულებრივ მოკვდავსა და მიწიერ ადამიანს ბედმა ცოლად რატომ არგუნაო. მერე რა, რომ იგი კაიზერი და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუნძულების მფლობელიაო, - ღრმა სინანულითა და გულისტკივილით ფიქრობდა. მსგავსი აზრები მოსვენებას არ აძლევდა, განუწყვეტლივ გონებაში უტრიალებდა, მაშინაც კი, როდესაც მან და მას მინდობილმა, აწ უკვე შედერებულმა შვილობილმა ერთ პატარა კუნძულზე განმარტოებით საკმაოდ დიდი ხანი გაატარეს. იმ კუნძულს გარს ერტყა ბერგზეც ტბის კუპრივით შავი წყალი და მონდბერგის ცამდე აზიდული შვიდი თვალუწვდენელი მთა. მართალია, შვილობილი უკვე მოზრდილი იყო, მაგრამ მოხუცს თავის მოვალეობაზე ხელი მაინც არ აუღია, რადგან მიაჩნდა, რომ გოგონას კვლავაც სჭირდებოდა თვალყურის დევნება - იგი ხომ ხშირად, მეწამულ თევზად ქცეული, გადიის თვალწინ ბრჭყვიალით ერწყმოდა ჩამუქებული წყლის ნაკადს, ხან კი, ფრინველად გარდასახული, ფრთხილფრთხილად იკარგებოდა დაბურულ ტყეში.

ამჯერადაც მოხუცის ზმანებებში ძალუმად შეიჭრა დღეისის მძიმე და აუტანელი ორჭოფული გრძნობა. ხანგრძლივი კვნესა აღმოხდა და თვალეზად ქცეული უკუნეთს ჩააშტერდა. ანაზღად წყლის ზედაპირზე საოცარმა ნათებამ იელვა. თვალისმომჭრელმა სიკაშკაშემ ელვის სისწრაფით გადაინაცვლა ხეებზე და კენწეროები აუელვარა. შეშინებული გადია მიხვდა - ეს გახლდათ მოვლენილი არსება

იმ სამყაროდან, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა, თუმცა მთელი წელიწადი იყო, გამბედაობა არ ჰყოფნიდა, თავი კვლავ იმ საუფლოს ნაწილად წარმოედგინა. კიდევ კარგი, რომ ეს მოჩვენება მისი ყმაწვილი ქალბატონის მამა, სულების სამეფოს მბრძანებელი კაიკობადი არ იყო, თორემ მისი გული შიშს ვერც გაუძლებდა. როგორც კი სინათლის ელვარებამ ტერასამდეც მიაღწია და იქაურობაც ააკაშკაშა, გადიამ ძალუმად იგრძნო სულთა საუფლოდან მონაბერი ნიავი, რომელმაც დაიპყრო და დაატყვევა. ამასობაში ბანისბანზე, მის წინ, მალემსრბოლი აღიმართა. ჩასკვნილ ტანზე მჭიდროდ შემოეკრა ცისფერქერეჭიანი ჯავშანი, შავი ნაწნავი და თმა ცისფრად უბრწყინავდა, თან თვალები უელვარებდა. შეშინებულმა გადიამ ჰკითხა:

- ვინ ხარ, საიდან გაჩნდი? არასდროს მინახავხარ!

- მე მეთორმეტე ვარ! - არ დააყოვნა პასუხი მალემსრბოლმა, - შენთვის ალბათ ამის გაგებაც საკმარისია, ახლა კი ჩემი ჯერია, მე უნდა გკითხო და შენ მიპასუხო. ატარებს შენი ნადიძავეები

თავის წიაღში ადამიანის არგაჩენილ და არდაბადებულ მოდგმას? ვაი, ჩვენს თავს, თუ ამ თვეში უკვე მოხდა ეს ამაზრზენი საშინელება! დიდი უბედურება გველის შენ, მე და ყველა ჩვენგანს! გადიამ აღარ იცოდა, რა ეპასუხა და უარის ნიშნად მხოლოდ თავი გააქნია.

- მაშასადამე, მის სხეულს კვლავ არა აქვს ჩრდილოვანებისა და ჩრდილმოფენის უნარი? - არ დააყოვნა მოციქულმა კითხვა.

- არა, არა აქვს და ამას აღთქმასავით განდობ შენ, როგორც იმ ელფებს, რომლებიც შენზე ადრე, მთვარის ჩასვლისთანავე გვეწვივნენ. გოგონას ჩრდილი ისეთი მცირე და მწირია, თითქოს ტანი მთის ბროლისგან ჰქონდეს ჩამოსხმული, ხოლო თუ რაიმეს შეეხო, მიწის ბელტი, ქვა ან წყალიც რომ იყოს, ყველაფერი ისე ბრწყინავს, როგორც ზურმუხტი და ტოპაზი.

- მაშ, დაჩოქილმა მადლობა შესწირე შემოქმედსა და შენს შემქმნელს, უგუნურო და წინდაუხედავო დედაკაცო! შენ ხომ დასასჯელი ხარ, დასასჯელი!

- რაო, რაო? წინდაუხედავო და უგუნუროო?! დამნაშავე ხარ და დასასჯელიო?! რა უნდა მექნა? განა შემეძლო ლიპი და სრიალა თევზის წყალში დაჭერა? ანდა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე,

ურჩ და თავნება ქურციკ-ნიაშორს რქებში როგორ ვწვდებოდი და შევაჩერებდი? რისთვის უბოძა ზენაარმა მას გარდასახვის ნიჭი და ძალა, იმისთვის, რომ ადამიანებთან ყოფნა დაბედეოდა? მუდამყამს ჩემმა შიშმა, მზრუნველობამ და სიფხიზლემ ვითომ რა ნაყოფი გამოიღო?

- განსაცდელი ყველასთვის საჭიროა, გამოსაცდელი ყველაა! - მიუგო მოციქულმა, - ნეტავ რატომ დაკარგა მან კვლავ ის უჩვეულო უნარი, ურომლისოდაც ძალიან უჭირს და რომლის მეოხებითაც დიდი ხნის წინ განგებას ხელიდან დაუსხლტებოდა იქვე, სადაც გადაეყარა?

- ყველაფერი დროზეა დამოკიდებული და დროსთანაა დაკავშირებული, სხვაგვარად განსაცდელი და გამოცდა არ იარსებებდა. თორმეტჯერ მიიღია მთვარე და აი, უკვე ის სამი დღეც დგება.

- სამი დღე! - წამოიძახა აღფრთოვანებულმა გადიამ. მოციქულმა მკაცრად შეხედა ქალს:

- შენ ვინ გასწავლა დროისა და ჟამის, წუთისა და წამის დაპირისპირება? განა არ იცი დროის ფასი? აბა, ახლა ძალ-ღონე მოიკრიბე, ასი თვალი და ასი ყური გამოისხი, იფხიზლე და ისე

უდარაჯე შენს გაზრდილსა და შვილობილს! ოქროვანი წყალი დასდის და დაეხეტება, არ ივარგებს, შენი ნორჩი ქალბატონი მას გადაეყაროს.

- რა თქვი, რა თქვი? ოქროვანი და ჯადოსნური წყალიო? მე არასოდეს მინახავს მისი ჩქეფა და მდინარება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მრავალი იდუმალი თვისება აქვს. იქნებ მან მაინც შეძლოს და დაუბრუნოს ჩრდილოვანება ჩემს გაზრდილს!

კიდევ ბევრი რამის შეტყობა ეწადა გადიას, მაგრამ ზურგს უკან, დედოფლის სამყოფლიდან, ფეხის ხმა მოესმა; თავი მიაბრუნა და კანდელის სუსტ შუქზე კაიზერი დაინახა, უხმაუროდ დაეტოვებინა მძინარე ცოლის სანთიობო და, სანადიროდ შემოსილი, წასასვლელად ემზადებოდა. გადია თვალისწამ მიტრიალდა, მაგრამ მოციქული ველარსად დაინახა - უკვალოდ გამქრალიყო, მაგრამ მისი გარემომცველი სიკაშკაშე არემარეს აელვარებდა. მოცელილივით დაეცა ძირს; კაიზერი კი ლაღად და მსუბუქად მიდიოდა. გადიას ისე გადააბიჯა, თითქოს მის მაგივრად ძირს ხალიჩა ყოფილიყო დაფენილი. ტერასის კიდედთან მივიდა, თავი ოდნავ დახარა და მქრქალ განთიადს ჩააშტერდა. შორიახლოდან სიომ შემოუბერა და ის აუწყა, რასაც მონადირის გული აგრერიგად ესწრაფოდა - ჭადრებს შორის მისი ბედაური მოჰყავდათ. კაიზერის ბრძანებით, ცხენს ჩლიქებზე თექის ნაჭრებს ახვევდნენ, რათა ფლოქვების ხმას დედოფალი არ გაეღვიძებინა. მონადირე-კაიზერს სანადიროდ წასვლა დილაადრიან, მზის

ამოსვლამდე სჩვეოდა, როცა დედოფალს ჯერ კიდევ ღრმად ეძინა; საღამოობით კი, იმ დროს ბრუნდებოდა, როცა კიბეზე უკვე ჩირაღდნები ენთო, ხოლო სავანეგანსასვენებელში ნაზად ციალებდა ცხრა კანდელ-სანათი.

გადია საძინებელში შევიდა და მძინარე დედოფლის ფერხთით საწოლზე ჩამოჯდა. დადარდიანებული, საგონებელში ჩავარდნილი უდიდესი სინაზით დასცქეროდა და ყურადღებით ათვალიერებდა თავის გაზრდილს, შემდეგ ლამპარი აიღო და გვერდიდან მიანათა. მძინარე ქალის თავმა, ნაზმა მხრებმა და სხეულმა კედელზე ჩრდილი ვერ გამოსახა. თითქოს რაღაც იგრძნო, დედოფალი შეირხა და მხარი იცვალა, სახე მთლად დაეძაბა და სულის სიღრმიდან ამომავალმა კვნესამ მოკუმული ბაგეებიც კი გაუპო. მალე თვალებიც გაახილა და ნადირივით სწრაფად გამოფხიზლდა - ტყის ბინადარნი ხომ ელვის სისწრაფით იღვიძებენ და ართმევენ თავს ძილს.

- იგი წავიდა და სამი დღე ჩემთან აღარ იქნება! გადია შეკრთა, მალემსრბოლის ნათქვამი გაახსენდა, თუმცა თავს მალე მოერია.
- რა გესიზმრა, რა? - სულწასული ჩაეკითხა იგი დედოფალს.
- ცუდი სიზმრები მაქვს, ცუდი. ჩემი მეუღლე მთებში წავიდა თავისი წითელი შევარდნის საპოვნელად და ვერ მოისვენებს, ვიდრე არ იპოვის, თუნდაც ამისთვის ოცდაათი დღე და ოცდაათი ღამე დასჭირდეს.

-
ვაი, ჩემს თავს! ჩვენ კი უბედურება არაგვცდებია, თუ ადამიანებამდე მივაღწიეთ და მათში გავერიეთ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მძინარეს მათგან ვერავინ გამოგარჩევს.

- მაგრამ ახლა რატომ არ დამაცადე ძილი? - წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა, - ძილში ხომ მალე გადის დრო, მარტომ კი როგორ უნდა გავძლო, თან გრძნეული ავგაროზიც დავკარგე და სხვა სახიერებით ქმარს შეუმჩნევლად უკან ვეღარ ავედევნები!

- ოჰ, ჩემო საბრალო გოგონა! რატომ არ გაუფრთხილდი, ეს როგორ დაგემართა? ნუთუ კარგად ვერ დაგარიგე, როგორ მოგველო? მასზე ხომ შენი ბედ-იღბალია დამოკიდებული!

- ცაო მაღალო! მართლაც არ მიფიქრია, რომ თილისმა მაძლევდა უნარს, იერსახე მეცვალა და ქურციკ-ნიაშორად გადავქცეულიყავი. ახლა კი კარგად ვიცი, მაგრამ გვიანია, უკვე მომეზღო სამაგიერო. იქნებ ბედმა გამიღიმოს და ვიპოვო სადმე, მაშინ ხომ სასიამოვნო სიზმრებით სავსე ღამეებთან ერთად ჩემი დღეებიც ისე უფერული, მჭმუნვარე და ნაღვლიანი აღარ იქნება. როგორ

ავიტან ამ მძიმე ხვედრს, უცნაური სახიერებით როგორ მივეახლები ყოველდღე ჩემს ბატონსა და ჩემს მზრდნებელს?

- ისიც საკმარისია, რაც ერთხელ მოხდა, - პირქუშად წარმოთქვა გადიამ, დედოფალმა კი მკვირცხლად დაუმატა:

- როგორ ფიქრობ, მაშინ, ნადირობის დროს, კაიზერი ისე სწრაფად და ადვილად მომწვდებოდა და დამიმორჩილებდა, მის წითელ შევარდენს ჩემს თავს ზემოთ რომ არ გადაეფრინა? ფრინველის ღონიერი ფრთების ტყლაშუნმა თვალებიდან ნაპერწკლები მაყრევინა და კინაღამ დამაბრმავა, ბოლოს კი ეკლიან ბარდნარში გადამისროლა.

- ნუთუ შენთვის ისარი უნდა ეტყორცნა? ო, ეგ ბეცი, ეგ ბრმა, მკვლელი, ჯოჯოხეთის ნაშიერი და ბოროტი სული! - დაუფარავი ზიზღითა და სიძულვილით წამოიძახა დედაბერმა.

- ნეტავ რას ერჩი, რა გინდა? იერშეცვლილ და გარდასახულ არსებაში ქალწული როგორ უნდა ამოეცნო? მას შემდეგ მრავალჯერ უთქვამს კაიზერს, რომ ქურციკის გამოხედვას მთლად მოუნუსხავს და მკლავიც კი მოუდუნებია მისთვის. მართლაც, მისმა ნატყორცნმა ისარმა, იმის მაგივრად, რომ ჩემთვის ყელი გამოგლიჯა, კისერთან გამიზუზუნა და ხიწვივით ოდნავ გამკაწრა.

ამ სიტყვებზე გადიას გულის სიღრმიდან წყევლა-კრულვა აღმოხდა, დედოფალი კი განაგრძობდა:

- ჰოდა, აი, მაშინ ვიგრძენი, რომ დადგა წამი, როდესაც დაუოკებელი მონადირისთვის საკმარისი აღარ იყო მომხიბლავი ნადირის თვალთაგან ნასხივი ქალწულის მზერა, ელვის სისწრაფით კვლავ საკუთარი იერსახე დავიბრუნე და ხელებგაწვდილი მისკენ გავეშურე. იგი ცხენიდან ჩამომხდარიყო, უკანასკნელი ისარიც მოეზიდა და სატყორცნელად ემზადებოდა. გამძვინვარებული, გაშმაგებული სრბოლა-ჭენებისგან

-

თვალეები ჩასისხლიანებოდა, ხოლო მისი სახე, რომელმაც თავიდან ასე მიმიზიდა და სამუდამოდ დამატყვევა, ისეთი აღზნებული და აფორიაქებული მეჩვენა, რომ ძრწოლამ ამიტანა და შიშით შევყვირე. როგორც შემდეგ მითხრა, მხოლოდ ამ შეყვირებამ გამოაფხიზლა, თავდავიწყებიდან გამოიყვანა და სწორედ ამან გადაგვარჩინა თურმე ორივე. ალბათ, არსად და არასდროს არც ერთი ქალისთვის თავის მოტრფიალეს ისეთი გრძნობით არ შეუხედავს, როგორიც მე მერგო წილად, როცა მონადირის შეუპოვრობითა და მძვინვარებით შეპყრობილ ჩემს გულის სწორს აღტაცება-აღტკინებამ მყისიერად უცვალა სახე და უნაზესი ღვთიური მზერით დამაჯილდოვა. მხოლოდ მაშინ, ერთადერთხელ ვიგრძენ ჩემდამი ასეთი თავაწყვეტილი ლტოლვა და მივეკუთვნე მას. მეტად აღარასოდეს მინახავს მისი ასეთი გარდასახვა! - დედოფალმა თვალეები ცად აღაპყრო და განაგრძო: - ჩემმა გულის სწორმა რამდენჯერმე აღსარებასავით გამანდო, რომ ისეთ მოკვდავსა

და მიწიერ არსებას, როგორიც თვითონ არის, თურმე სიცოცხლეში ერთხელ შეუძლია განიცადოს გრძნობის წუთიერი მოზღვავეებით მინიჭებული ამგვარი ნეტარება და ბედნიერება. როგორც ჩანს, ეს სიმართლეა, რადგან მაშინვე, იმ წუთს და იმ წამს წააწყდა თავის შევარდენს, არაადამიანურად გაშმაგდა და სამჯერ სატევარიც კი სტყორცნა ფრინველს, რადგან მე, ქურციკ-ნიამორად ქცეულ ქალწულს, შევარდენი ფრთებს თვალეებში მცემდა. არასოდეს დამავიწყდება, გასისხლიანებულმა ფრთოსანმა ხანგრძლივი და გამჭოლი მზერით ციცაბო კლდიდან თავის პატრონს უკანასკნელად როგორ ჩამოხედა. დიდხანს დაშტერებოდა, ვიდრე გულსაკლავად ათრთოლებული და აკანკალებული, დამძიმებული ფრთების ტყლამუხნით ბინდბუნდში არ ჩაიკარგა და ბოლოს, მთლად არ გაუჩინარდა.

გადია წამოდგა და ბანისბანზე გავიდა. ნადირობისა და პირველი სიყვარულის ეს ამბავი მან კარგა ხანია იცოდა. ეს ყველაფერი მის სულსა და გულში ცეცხლოვანი ასოებით იყო ამოტვიფრული. შევარდნის ბედ-იღბალი მას არ აღელვებდა. ასევე არ აღელვებდა შეყვარებული შვილობილის განცდები, რადგან, მისი აზრით, ყმაწვილი ქალის ცეცხლივით გიზგიზა სიყვარულს იოტის ოდენადაც ვერ დაასუსტებდა სამასი ღამის განმეორება. გადია მოუთმენლად ელოდა აისის დადგომას და მზის ამოსვლას. „ყოველი არსება ჩრდილს უნდა ჰყენდეს, მაგრამ ვისაც ამის უნარი არ გააჩნია, იგი ხომ

განსაკუთრებულად დიდებული და გამორჩეული უნდა იყოსო!“ - ფიქრობდა. ახლა კი, თუ სანადიროდ წასული კაიზერი სამი დღე არ დაბრუნდებოდა, ყველაფერი უნდა აეწონ-დაეწონა და იმ ვითარებაში საფუძვლიანად გარკვეულიყო, რომელთანაც უთუოდ იქნებოდა დაკავშირებული არა უმნიშვნელო რამ, არამედ ბედისწერის არნახული და არგაგონილი ცვლა და შემობრუნება. გადიამ გულისფანცქალით ახედა ზეცას. ცა უკვე განათებულიყო და უჩვეულო, მომხიბვლელი ფირუზისფერი მისცემოდა. ფხიზელმა მზერამ ცაზე ფრინველი შეამჩნია. ფრთოსანი ცის დასალიერზე, თვალუწვდენელ სიმაღლეზე ლივლივებდა და ირხეოდა, თუმცა მის ფრთებზე მზის ათინათი არ ჩანდა. ამ დროს დედოფალი გარეთ გამოვიდა. გადია მიუახლოვდა და კვლავ ჰკითხა:

- მითხარი, რა გესიზმრა, რა?

- მგონი, ადამიანები მესიზმრა, ადამიანები! - მიუგო შვილობილმა.

- ოჰ, კმარა, კმარა ამ საშინელების გახსენება. გიყურებდი და სახეზე ისეთი ტანჯვა გეხატა, თითქოს სიზმრად საზარელ არსებებს ხედავდი!

- რა უბედურები ვართ, აქ რომ ვიმყოფებით!

ვაი, ჩვენსთავს, ეს ხომ შენი ბატონისადა პატრონის ბრალია!

- რატომ აქვთ ადამიანებს ასეთი უსიამოვნო და შიშის მომგვრელი მზერა, ხოლო ცხოველებს - მგრძნობიარე, მშვენიერი და მეტყველი? - იკითხა ახალგაზრდა დედოფალმა.

„როგორ ეშინია და ვერ იტანს ქმრისნაირებს, ქმარი კი მათი მსგავსი არა ჰგონია!“ - ფიქრობდა გადია.

- ოჰ, ნეტავ ოდესმე ასპიტად ვქცეულიყავი და მთის მოჩუხჩუხე მდინარეში შემეცურა!

- ოცნებით წარმოთქვა ყმაწვილმა ქალმა, - არაცნობიერად და თან შეუპოვრად მიზნისკენ სწრაფვა და სწორი გზის პოვნა, როგორც სჩვევია მიწაზე ქვემძრომს და ჰაერში ფრინველს - ეს ხომ დიდი ნეტარებაა, მაგრამ სიყვარული სულ სხვა რამაა...

- როგორ შეუჩნდა მიწიერ არსებებს! ეს წყლის ნაყვია და მეტი არაფერი, - ბუტბუტებდა გადია.

ანაზღად დედოფალმაც თვალი ჰკიდა შევარდენს, რომელიც ნარნარად, თამამად და გაბედულად უვლიდა წრეს და თანდათან დაბლა ეშვებოდა. გახარებულმა გადიამ ახლა კი კარგად დაინახა, როგორ ირეკლავდა ფრინველის ფრთები ამომავალი მზის სხივებს, ხოლო

დაბლა დაშვებისას სინათლე და ბზინვარება ისევ გარს ერტყა. ფეხებიც ძვირფასი ქვებით მოოჭვილივით უბრწყინავდა - როგორც ჩანდა, კლანჭებში მართლაც ეპყრა საუცხოო და ბრწყვიალა ქვა.

- ოჰ, რა ბედნიერი დღე გამითენდა! - წამოიძახა აღფრთოვანებულმა დედოფალმა, - ეს ხომ ჩემი მეუღლისა და ბატონის საყვარელი წითელი შევარდენია; ჭრილობები მოშუშებია, თან, როგორც ჩანს, შეგვინდო და გვაპატია ყველაფერი!

ის დიდებული ფრინველი კი თითქოს არ იძვროდა, ლაღად გაშლილი ფრთებით ცის თაღზე ჩამოკიდებულს ჰგავდა.

- მას ხომ ჩემი ავგაროზი მოაქვს, ავგაროზი! - კვლავ შეჰყვირა დედოფალმა.

გადია გაიქცა და მარგალიტებითა და სხვა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი მწვანე აბრეშუმის მოსასხამი მოარბენინა. ქალებმა ხელში აიტაცეს, მაღლა ასწიეს იგი და თან შევარდენს ხმამაღლა შესძახეს:

- შეხე, შეხე, ჩვენო მეუფევ და მბრძანებელო! თაყვანს გცემთ შენ და შენს მორთმეულ ნობათსაც!

-
შევარდენმა ფრთები აიქნია, კიდევ ერთხელ შემოხაზა წრე და ქვასავით დაეშვა ძირს, ქალებს მძლავრად ჩაუზუზუნა, მაგრამ თვალის დახამხამებაში ისევ ჰაერში აიჭრა, ავგაროზი კი უკვე მოსასხამზე ეგდო. ბრტყელ და გადაშლილ, მქრქალ-მოთეთრო ქვაზე ამოტვიფრული ნიშნები ნაპერწკლებივით ღვიოდნენ და ციალებდნენ, თან თითქოს ტოკავდნენ და თრთოდნენ კიდევ.

- მე შევძლებ ამ წარწერის ამოკითხვას! - წარმოთქვა დედოფალმა და გაფითრდა.

გადიას ელდა ეცა; მისთვის ეს ასო-ნიშნები მუდამ ამოუცნობი და იდუმალი იყო. ორლესული მახვილივით ბასრმა და შიშის მომგვრელმა გრძნობამ თხემით ტერფამდე დაუარა დათითქოს განგმირა იგი. ხელი დასტაცა ქვას, სურდა, რაც შეიძლება სწრაფად მოეშორებინა თავიდან, რადგან წარწერის ყურება აღარ შეეძლო, მაგრამ უკვე გვიან იყო - ასოები ელვასავით სწვდნენ მის მზერას და სამუდამოდ აღებეჭდნენ გონებაში. დედოფალს კი გაშეშებულ ხელში ავგაროზი ეკავა და ისე დაშტერებოდა, თითქოს მისი მეოხებით ქვესკნელში ჩახედვა სწადიაო. მან მართლაც სწრაფად ამოიკითხა წარწერა. ეს სიტყვები სიკვდილმისჯილის განაჩენზე საშიში იყო, ისეთივე, როგორც გულის ძილით მძინარე ადამიანის სულიდან ამოხეთქილი თავზარდამცემი, შემადრწუნებელი წყევლა-კრულვა: „რისხვა და შეჩვენება მოკვდავს, რომელიც ამ სარტყელს გახსნის! ხელი გაუქვავდეს, თუ იგი ამას იქმს მანამდე, ვიდრე თავის სვებედს დედამიწისგან ჩრდილით არ გამოისყიდის. ქვად ექცეს ტანიც, რომელსაც ეს ხელი ეკუთვნის, თვალისც გაუქვავდეს, რომლითაც ჭვრეტს და ხედავს, გონი კი საღი შერჩეს, რათა ცხოვრების სინამდვილემ ყოველ

წუთს შეახსენოს მისი სამარადისო დაბოლოება; საჭირო დროს კი დააწესებს ვარსკვლავთმოქცევა!“ დედოფალმა ხელი დაბლა დაუშვა და დასძინა:

- ასე მგონია, ეს ყველაფერი აკვნიდან ვიცი; ალბათ ამას მამაჩემი ძილის დროს ყურში ჩამწურჩულებდა. ვაი, ჩემს თავს! განა ეს უნდა დამვიწყებოდა? გადია ხმას არ იღებდა, მთლად უსულოს დამსგავსებოდა.

- ახლა კი ვიცი და მესმის ის, რისი გაგებაც წინათ არ შემიძლო, - კვლავ დაიწყო დედოფალმა და მარგალიტის ფარლულთან ერთად თილისმა მკერდზე ჩამოიკიდა, მაგრამ მისი ფართოდ გახელილი თვალები თითქოს ვერ ჭვრეტდა იმას, რასაც მისი მთვარეული ხელები იქმოდა.

- ჩემი ნაკლი ის არის, რომ ჩრდილმოფენის უნარს ვარ მოკლებული, ჩემს სხეულს ჩრდილი არ გააჩნია. სწორედ მსგავს ამბავს უყვებოდა თავის ახლობელს ჩემი ბატონი და მბრძანებელი. აი, რა შევიტყვე მაშინ: მე არ მინდა, ჩემიანების მსაჯულად ვიქცე და მათ მძიმე განაჩენი გამოვუტანო, ვიდრე ჩემი სიცოცხლის ფასად დედამიწას სამაგიეროს არ მივაგებო, ამბობდა იგი.

მე კი ვიტყოდი, - განაგრძო დედოფალმა, - რომ ჩრდილოვანება - ის არის, რისი მეოხებითაც ჩვენიანები თავიანთი არსებობისთვის სამაგიეროს მიაგებენ დედაბუნებას. განა ოდესმე ვიფიქრებდი, რომ ეს ჩამუქებული და მრუმე რაღაც მათ ასე ძვირად უღირდათ? წყევლა-კრულვის ღირსი ვარ, რადგან ისე მშვიდად და გულარხეინად ვუსმენდი ამას, თითქოს მე არ მეხებოდა. ნუთუ ჩემი მეუღლე და

მბრძანებელი ჩემ გამო უნდა დაიღუპოს, რადგან ჩემი სხეული ჩრდილს ვერ ფენს, ეს კი ყველა ჩემი ახლობლისთვის სახიფათო ყოფილა?!

შემფოთებულ დედოფალს ახლა უსაზღვრო შიში დაეუფლა. დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო, როგორმე გადაერჩინა კაიზერი, ხიფათი აეცილებინა მისთვის.

აკანკალებული და ათრთოლებული შვილობილი მოეხვია გადიას, თითქოს ხსნას ელოდა იმ ერთადერთი სულიერი მეგობრისაგან, რომელთანაც ბავშვობაში ხშირად მიუბრუნია და შეუჩივლია სატკივარი და გულისნადები:

შენ მე ბედის ანაბარა არასოდეს მიგიტოვებოვარ! - წამოიძახა და გრძნობიერად მკერდზე მიიკრა მოხუცებული, - დამეხმარე, ჩემო ერთადერთო მეგობარო! შენ ხომ ყველაფერი მაპატიე, ჩვენი კუნძულიდან გაქცეულს უკან გამომედევნე, მონდბერგზეც კი ფორთხვითა და ფოფხვით მომყვებოდი, ყველას ჩემ შესახებ ეკითხებოდი, ადამიანების გვერდით ცხოვრობდი, მათ

ლუკმას ინაწილებდი, მათთან ერთად გეძინა, მათ ახლოს ყოფნას მოთმინებით იტანდი, თუმცა კი მათი გეშინოდა, თრთოდი და ძრწოდი. ყველაფერს ხომ ჩემთვის აკეთებდი! ახლაც დამეხმარე, გემუდარები, შენთვის ხომ არაფერია დაფარული. შენ ყველაფერს იღონებ, ყოველგვარ გზას გამონახავ, შეგიძლია, სამაგიეროც მიუზღო ყველას, აკრძალულისა და დაუშვებელისთვის თავის არიდებაც მშვენივრად გეხერხება. ჩემი იმედი შენა ხარ, დამეხმარე ჩრდილის მოპოვებაში, მიმითითე, სად ვნახო, სად მოვიპოვო და სად დავეუფლო მას; იქნებ ჩემი სამოსი სადმე დავტოვო და რომელიმე ზღვაში შევცურო; თუ არა და, ის მაინც მითხარი, სად ვიყიდო, სად შევიძინო. მისთვის ხომ ყველაფერს დავთმობდი, იმასაც კი, რაც ჩემმა საყვარელმა და უძვირფასესმა ადამიანმა თავისი გულუხვობითა და ხელგაშლილობით მიძღვნა საჩუქრად. საკუთარ სისხლსაც კი გავიღებდი.

გადიას თითქოს ენა ჩავარდნოდა, ხმას ვერ იღებდა. მისმა სიჩუმემ დედოფალი ისე შეაშინა, რომ მოხუცს მიაჩერდა და თვალს აღარ აშორებდა. სწორედ ამ დროს მზის ირიბმა სხივებმა სივრცე გააპო და არემარე ჩირაღდანავით ააკაშკაშა. ენაჩავარდნილი და გაშეშებული გადიის შეძრწუნებულმა იერმა შეძრა მისი გაზრდილი. მან ისე ეულად და გარიყულად იგრძნო თავი, როგორც არასდროს. გადია-გამზრდელი, ერთგული და განუყრელი ეს სულიერი მეგობარიც კი თითქოს განუდგა და განერიდა. სულის შემძვრელმა მარტოობამ მოიცვა შვილობილი, მაგრამ იგი იმ არსებათაგანი იყო, რომლებსაც სირთულეები ძალას მატებს; აღშფოთებულმა და ბრაზმორეულმა დედოფალმა კვლავ წამოიწყა:

- ბოროტო და გრძნეულო დედაკაცო! ჩანს, დიდი ხანია იცოდი, რაც დამემართებოდა და ალბათ გიხაროდა კიდევ, ალბათ ის დრო და ჟამიც კარგად იცი, როცა უნდა მოგვკდე. იცი და როგორც დღესასწაულის მოლოდინში, ისე ითვლი საათებსა და დღეებს; მართლაც სასიხარულო იქნება შენთვის ეს ზეიმი, რადგან გასამრჯელოსაც მიიღებ და პასუხსაც არავინ მოგთხოვს! ალბათ მამაჩემს ეცოდინება, როგორ შეიძლება მხდალი და ფლიდი ადამიანის გულის მოგება. შენ გინდოდა, შენი ნაძიძავები ხიფათსა და განსაცდელში გულქვად და დაუნდობლად ჩაგეგდო, მაგრამ მწარედ შეცდი, ზეციდან ფრინველი მომეველინა და დროზე გამაფრთხილა. უკვე

-

ჯეროვნად შევიცანი და ვიგრძენი ის ძალადობა, რაც შენგან მელის და ამიტომაც უნდა ვიფხიზლო. შესაძლოა, ამ ბოროტების დრო უკვე ახლოვდება, თუმცა არც მინდა ვიცოდე, როდის დადგება ის წამი, რომ შიშმა დროზე ადრე არ მომიღოს ბოლო. არაფერს გეკითხები, მხოლოდ გიბრძანებ, მაპოვნინო და შემაძენინო სხეულის ჩრდილი, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს მე და შენ, ქვად და კლდედ ვიქცეთ ორივე. მამაჩემი აქედან შორსაა, ჩემთან კი შენ ხარ; აბა, დავიდრათ, გამიძეხი წინ, მე კი უკან მოგყვები, ერთად ვიაროთ. ყოვლისშემძლე ზენაარის სახელით გემუდარები, შემაძენინე ჩრდილის მოფენის უნარი. ახლავე და აქედანვე უნდა გავუდგეთ გზას, მხოლოდ დღეს და არა ხვალ, ამ წუთს და ამ წამს და არა მაშინ, როცა მზე ზენიტს მიაღწევს.

გადია კანკალს აეტანა, არ იცოდა, რა ეპასუხა შვილობილისთვის. აქამდე რაც ჩაეფიქრებინა,

თავისი გამჭრიახობითა და მოხერხებულობით რაც განეზრახა, იმდენად დამაჯერებლად მიაჩნდა, რომ სწამდა, მიზანს უსათუოდ მიაღწევდა. ახლა კი მის თვალში ყველაფერი გაფერმკრთალდა, ყველაფერს ბინდი გადაეკრა. ცოტა ხნის წინ ღრმა ძილში წასული დედოფალი სულისშემძვრელად თრთოდა. როგორ ჰგავდა მაშინ მიწიერ, ამქვეყნიურ არსებას! გადია ისე ცივად, ისე გულგრილად შეჰყურებდა თავის გაზრდილს, თითქოს სმაგს იგი და ეზიზღებო, მაგრამ როგორც კი მასში კვლავ შეიგრძნო ქედმაღალი მბრძანებელი, დაუოკებელმა წადილმა შეიპყრო, მარადჟამს განუყრელად ყოფილიყო თავის შვილობილთან, სამსახური გაეწია მისთვის და ყოველი მისი სურვილი უსიტყვოდ შეესრულებინა. ის-ის იყო, ნუგეშისა და თანაგრძნობის სიტყვებიც კი მოადგა პირზე, რომ ამ დროს დედოფალმა ხმამაღლა წამოიძახა:

- გაგონებაც კი არ მსურს იმისი, რაც საჭირო გზაზე არ დაგვაყენებს, არავითარი საბაზი და მიკიბ-მოკიბვა! არც დაყოვნება შეიძლება, რადგან კარგად იცი, როგორ ტანჯავს და შანთავს ჩემს გულს ყოველი წამი.
- ოჰ, ჩემო გაზრდილო და ჩემო შვილო! ნეტავ ვიპოვიდე იმ გზას და იმ საშუალებას, ჩრდილს რომ შეგძენს და და თუნდაც ამისთვის მტანჯონ და მაწამონ. არის, არის გზა და გამოსავალი, ძალიან შორს მოგვიწევს წასვლა და მიზნისაკენ უნდა ვიჩქაროთ!
- გამიძეხ და მიწინამძღვრე, მეც შენ მოგყვები! ამ წამსვე, ამწუთასვე უნდა დავიდრათ.
- ჩრდილის პოვნა-შეძენა, - ბუტბუტებდა მოხუცი გადია, - აჯობებდა გვეთქვა, ხრიკებითა და ეშმაკობით ჩრდილის პატრონს ჩრდილი უნდა გამოვძალოთ, ან რაიმე სამსახური გავუწიოთ, რომ საოცნებო და სანატრელი ჩრდილი საზღაურად დავიმსახუროთ.
- ჰოდა, მაშინ იქით გავწიოთ, სადაც ასეთი ვინმე ცხოვრობს, თუნდაც ურჩხული იყოს და გარს თავისი ნაშიერნი ეხვიონ.
- არ გიფიქრია, რომ ვინმე ან რაიმე ურჩხულზე უარესიც შეიძლება იყოს? უნდა წავიდეთ, უნდა ვიჩქაროთ!

- სამულველო, აუტანელო, ორპირო და ფლიდო, მე შენ ვერაფრით შემაჩერებ! - შესძახა დედოფალმა და გადია იატაკს ააგლიჯა.
- ურჩხულზე ბილწი სულითა და შიშის მომგვრელი სახიერებით ადამიანიც კი შეიძლება მოგვევლინოს, - წარმოთქვა გადიამ და შვილობილს თვალი თვალში გაუყარა.
- სასწრაფოდ წამიყვანე ისეთ ადამიანთან, ვისაც მოზეზრდა თავისი ჩრდილი და იქნებ გაყიდვაც კი სურდეს, მე ვიყიდდი და ფეხებსაც დავუკოცნიდი.
- ახირებულო, გადარეულო და უგუნურო ბავშვო! - წამოიძახა გადიამ, - გესმის კი, რას ამბობ? ისე ცოტა რამ იცი მათ შესახებ, ნუთუ ამაზე ფიქრიც კი არ გზარავს? ცხოვრებას აპირებ მათთან? ყიდვა-გაყიდვას, საქმიანობას? შევაჭრებაც კი განგიზრახავს, სიტყვას სიტყვით, საქმეს საქმით ხომ უნდა უპასუხო, მათ ემსახურო, თვალებში უყურო, მათ

სულმდაბლობასა და სიბილწეს შეეგუო, ეპირფერო? სახლს რომ ტოვებ და შორს გარბიხარ, ნუთუ არც ამის გეშინია?

- მე ჩრდილი მსურს, ჩრდილი მჭირდება! - კვლავ წამოიძახა დედოფალმა, - ჩქარა წავიდეთ, მომადებნინე, ვისაც უნდა მოვემსახურო ჩემი ოცნების ასასრულებლად. სად არის ის სახლი? იქ მიმიყვანე, ასე მნებავს და ასე მწადია!

- სახლი? - შეეპასუხა გადია და თავის გაზრდილს უაზროდ მიაჩერდა, - ეგ რომ ვიცოდე, აქედან უკვე შორს ვიქნებდით.

- უნდა ვიპოვოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიპოვოთ! - სუნთქვაშეკრული დედოფალი გადიას თვალს არ აშორებდა. იგრძნო გამზრდელის სიტყვების სიმართლე, გაფითრდა და გამტკნარდა, ძალა თითქოს მთლად გამოეცალა, - როგორც ჩანს, შენ არც სახლი იცი და არც მისი პატრონი, - ძლივს ამოიჩურჩულა, - მაშ, ორივემ უნდა ვეძებოთ და ერთად ვიპოვოთ, გამიძეხი წინ! - ყმაწვილი ქალი ისევ გაგულადდა და გამხნევდა, თან ისეთი შეუპოვრობით აგიზგიზდა, როგორც ცეცხლი ალებასტრის კასრში.

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ისინი სულით ხორცამდე ბილწნი და გამყიდველნი არიან, მეტს ვერაფერს გეტყვი. ახლა კი მოემზადე, რომ შენს ბატონსა და მბრძანებელს უსტარი დაუტოვო!

- მერედა რა დაწერო იმ ბარათში? - ბავშვივით მორჩილად და თვინიერად შეეკითხა დედოფალი.

ჭკვიანმა და გონიერმა მოხუცმა დაარიგა, როგორ შეედგინა კაიზერთან გასაგზავნი წერილი. მთავარი იყო, ლურჯი სასახლიდან მათი გაუჩინარება შეუმჩნეველი დარჩენილიყო, თან შვილობილს არ უნდა გაემჟღავნებინა ის, რაც ტანჯავდა და არ ასვენებდა; არც მათი განზრახვა უნდა სცოდნოდა ვინმეს; და აი, დედოფალს მარცხენა ხელისგულზე ნაზად და სათუთად უკვე ედო საწერად გამზადებული გედის ტყავის გაპრიალებული თაბახ-ფურცელი, მარჯვენით კი ასო-ნიშნებს აგვირისტებდა. უცებ ხელი დაუმძიმდა, ოხვრა აღმოხდა და თითქოს გულიც თან ამოაყოლა, თუმცა საქმე არ შეუწყვეტია. უდიდესი სინატიფით გამოჰყავდა თითოეული ასო-ნიშანი, გვერდიგვერდ ფაქიზად დაალაგა და ჩამოამძივა, მაგრამ ამასთან ერთად სულ უფრო მეტად იჩენდა თავს მისი ურვა და დარდი. ახალგაზრდა ქალს ყველაფერი ორაზროვნად და საორჭოფოდ ეჩვენებოდა. ეს მშვენიერი, ჰაეროვანი ნაწერ-ნიშნებიც კი შიშს ჰგვრიდა. მან კვნესა-კვნესით ძლივს დაამთავრა უსტარი და თვალეები აუწყლიანდა. ბროლივით ბრჭყვიალა ობოლი ცრემლი სახეზე ჩამოუგორდა და ნაწერზე დაეცა. შეჰყურებდა გადია და ვერ მიმხვდარიყო, რა

ატირებდა მის გაზრდილს, წერილი სასწრაფოდ ჩამოართვა, დაკეცა, მარგალიტებით მოოჭვილ ხელსახოცში გაახვია და ტყავის პატარა, მოოქრულ ზარდახშაში საგულდაგულოდ მიუჩინა ადგილი. დედოფალმა კი ოქროთი დაფერილი ზარდახშის ასევე მოოქრულ ყუნწებში უნაზესი ბაფთა გაუყარა, საგულდაგულოდ გადაუჭირა და ისე გამონასკვა, რომ იცოდა, მის გახსნას მხოლოდ კაიზერი შეძლებდა. ბარათი მზად

იყო გასაგზავნად. მალე იგი შიკრიკს გადასცეს, რომელიც მარჯვე მხედრად ითვლებოდა და გზებიც მშვენივრად იცოდა.

შიკრიკი იორღას იქით მიაჭენებდა, საითაც კაიზერი, თავისი ამალით, სანადიროდ მიემართებოდა. ამასობაში კი გადია და დედოფალიც გზას გასდგომოდნენ და ჰაერში ნარნარად მილივლივებდნენ. გამზრდელი დაწინაურებულიყო და გაზრდილიც მორჩილად მისდევდა უკან. ეტყობოდათ, კარგა დიდი გზა გაევლოთ და უკვე დაბლა დასაშვებადაც ემზადებოდნენ. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუნძულების ერთ-ერთ ხალხმრავალ ქალაქში ჩამოხდნენ. ტანთ ორივეს ღარიბულად ეცვა. გადიის კაბა შავ-თეთრი საკერებლებით ისე იყო აჭრელებული, რომ წინწკლებიან ქვეწარმავალს წააგავდა. დედოფალი მასზე უფრო გონჯად და უგვანად გამოიყურებოდა. საგულდაგულოდ, დიდი მონდომებით გათხუპნული სახიდან თითქმის უკვალოდ გამქრალიყო ყმაწვილი ქალის სიტურფე და მომხიბვლელობა. მათხოვრებივით ჩამომონძილებს არავინ აქცევდა ყურადღებას. მათაც ეს უნდოდათ - ჩანაფიქრს ხომ აღსრულება სჭირდებოდა! ქალები აჩქარებით მიაბიჯებდნენ იმ მდინარის გასწვრივ,

რომელიც ქალაქში ჩაედინებოდა. მდინარის წყალი უზარმაზარი მუქი ლაქებით იყო დაჭორფლილი - ხიდის ზემოთა უბანში მღებრები ცხოვრობდნენ და როცა საქმეს მორჩებოდნენ, საღებავების ნარჩენები პირთამდე ავსებდა მდინარეს. ცოტა მოშორებით, მდინარის გაღმა, დაბალთა და მეტყავეთა ქოხმახ-მიწურები იდგა, საიდანაც მოთრიმლული ტყავის მძაფრი სუნი მოდიოდა და იქაურობას ავსებდა. ცხოველთა ტყავები მდინარის გასწვრივ, ციცაბო ფერდობზე ჩარიგებულ ხის პალოებზე გადაეჭიმათ გასაშრობად. უფრო აქეთ მჭედლები ცხოვრობდნენ. მათი ჩაქუჩების კაკუნი თრიმვლის სუნზე უარესი იყო და მთელ არემარეს აყრუებდა. გადია ისე სწრაფად მიაბიჯებდა, თითქოს ვინმეს მისდევსო. დედოფალი უკან მიჰყვებოდა და ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა. მალე ხიდს მიადგნენ. ხიდზე უამრავი ხალხი - მეკურტნეები, ჯარისკაცები, ორთვალა ფურგონები, ქვეითები, მხედრები - ყველა და ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. გადიაც იმ არეულ-დარეულობაში ჩაინთქა. დედოფალი ადამიანის სახეების მისთვის ესოდენ ამაზრზენ და შემზარავ გამომეტყველებას ასე ახლოს არასდროს შეჩეხებია. ძალიან უნდოდა, ზიზღი დაეძლია და მათთან ერთად თამამად და გაბედულად ევლო. გული თითქოს მიუხვდა საწადელს, მაგრამ ფეხებს მაინც ვერ იმორჩილებდა. ეჩვენებოდა, თითქოს ყველას სურდა, მისთვის ეტაცა ხელი. ამდენი ხარბი და ულმოხელი არსების დანახვამ დაუოკებელი შიშით აუვსო სული. ამ განცდებში იყო, როცა თავის წინ გადიას მოჰყრა თვალი; სურდა დასწეოდა, მაგრამ ხალხის ტალღამ გაიტაცა და ანაზდად ერთი ზონზოროხა ჯორის ფეხებთან აღმოჩნდა. კიდევ კარგი, რომ პირუტყვი

ფლოქვებით ზედ არ შესდგა; პირიქით, დედოფალმა ოთხფეხის თვინიერი და უწყინარი მზერა იგრძნო, ცოტა გულს მოეფონა და შვებით ამოისუნთქა. პატრონმა კი, როგორ თუ შეფერხდით, ჯოხით ცემა დაუწყო პირუტყვს, რომელიც ცდილობდა, შიშით აკანკალებულ ქალს არ მიჰკარებოდა და მისთვის არაფერი ევნო. „ნუთუ დადგადრო, პირუტყვად ვიქცე და შეუბრალებელ და უმოწყალო ადამიანებს ხელში ჩავუვარდე?“ - გაუელვა შეძრწუნებულ დედოფალს და გონება დაეხინდა. როცა ცოტა სული მოითქვა, ვერც კი მიხვდა, როგორ შთანთქა ხალხის ნაკადმა ისე, რომ ხიდის

ბოლოში აღმოჩნდა; კვლავ გადია დაინახა, სამიკიტნოს მოზრდილ ფარდულთან იდგა და ელოდებოდა. იქვე, დახლზე, მშვენიერი ოქროსფერი თევზები მოჩანდა, რომლებშიც ზანგი ხელებს ურევდა. შორიახლოს კი, ხის ძელზე, გვერდზე თავგადაგდებული ბატკანი ეკიდა. თვალები ღია დარჩენოდა და უწყინარი მზერით თითქოს ქალს მისჩერებოდა. ანაზად ვიღაცის ხელმა დედოფალი თავისკენ მიიზიდა, ეს თურმე გადია იყო. მან დაინახა, როგორ გაფითრდა და ლამის გონება დაკარგა მისმა გაზრდილმა, სასწრაფოდ მოაცილა იქაურობას და შუკისკენ წაიყვანა. კიდევ კარგი, იქ ისეთი ჯგლეთა და ზედახორა აღარ იყო; ახლომახლო მიდიმოდიოდნენ მაუდის დიდი ფუთებით დატვირთული ადამიანები, ყველა სახლზე ეკიდა საშრობი ლატნიდან ჩამოხსნილი შეღებილი ქსოვილების დიდი ნაჭრები. მოზრდილი ბავშვები ვარცლებსა და მუქად შეღებილ ნაჭრებს წყალში გასავლებად მდინარისაკენ მიათრევდნენ. გადია პაწია მიწურთან შეჩერდა და ყური მიუგდო ჩხუბის ხმას, რომელიც ქოხიდან გამოდიოდა. რამდენიმე მამაკაცი აღშფოთებული მოითხოვდა,

მომისმინეთო, პასუხად კი ყმაწვილი ქალის მბრძანებლური და გაჯავრებული ხმა ისმოდა. მალე ამ ხმაურს დაემატა კიდევ ერთი მამაკაცის დაბალი და მშვიდი ხმა, რომელიც ყველას შერიგებისაკენ მოუწოდებდა, თუმცა ქალის ხმა ამის შემდეგ უფრო გაკაპასდა და მბრძანებლურად გაისმა.

- აი, ეს ხმა ძალიან მომწონს! - წარმოთქვა გადიამ და დედოფალს თვალით ანიშნა, კედელთან მისულიყო. სახლში ჩხუბი სულ უფრო მწვავდებოდა. ბოლოს, იმ ადამიანმა, რომელიც ყველაზე ნაკლებს ლაპარაკობდა, მშვიდად და აუღელვებლად, თუმცა კი დაჟინებითა და დაბეჯითებით რაღაც მნიშვნელოვანი მითითება გასცა. ალბათ დანარჩენები ამას არ დაეთანხმნენ და სახლიდან წასვლა გადაწყვიტეს, რადგან ყაყანი თანდათან კარს მიუახლოვდა. მართლაც, მალე სახლიდან სამი მამაკაცი გამოვიდა. ერთს ცალი თვალი აკლდა, მეორეს - ხელი, მესამეს კი ზურგზე კუზი აჯდა, ფეხიც გაშეშებოდა და კოჭლობდა კიდევ.

- ძმანო ჩემნო! - დაიწყო ცალთვალამ, - ეტყობოდა, ყველაზე უფროსი ის იყო, - უნდა გითხრათ, რომ ჯალათს, რომელმაც ოცდაორი წლის წინ თვალი ამომთხარა, იმდენი სიავე არ უქნია ჩემთვის, რამდენსაც ეს ქალი ჩვენს ძმას უკეთებს!

- მართალი ხარ, მართალი! - დაუდასტურეს დანარჩენებმა და მასთან ერთად შუკისკენ გაემართნენ.

- როცა თხუთმეტი წლის წინ ზეთსახდელში ხელი დავკარგე და სიკვდილს თვალებში შევყურებდი, ისეთი სიმწარე და ტანჯვა არ მიგემია, როგორც ჩვენი რძალი თავის ქმარს ტანჯავს! - წარმოთქვა ცალხელამ. ახლა მესამე ძმის ჯერი დადგა:

- გახსოვთ, ცხრა წლის წინ იმ წყეულმა აქლემმა ფეხქვეშ რომ გამიგდო, ზურგზე გადამიარა და უმოწყალოდ დამასახიჩრა? მაშინაც კი არ მიგრძნია ისეთი სიმწარე, როგორიც ახლა, - თქვა კუზიანმა. ჩანდა, ყველაზე უმცროსი ის იყო.

- ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, ეს ჩვენი რძალი, ეს ბოროტი და ამპარტავანი დედაკაცი, შავი ჭირივით მხოლოდ უბედურების მომტანია და მეტი არაფერი, ამიტომაც ბერწსა

და უნაყოფოს ღმერთმა შვილი არ აღირსა, თუმცა ახალგაზრდა კი არის, თან თვალტანადი და მომხიბვლელიც, მაგრამ ჩვენი ძმაც ხომ ვაჟკაცი და გამორჩეული ადამიანია.

- მგონი, ეს სახლი გვჭირდება! - ჩაილაპარაკა გადიამ და როგორც კი კაცები იქაურობას მოშორდნენ, მღებრის სახლისკენ გაემართა, თან შვილობილსაც თავისკენ ეწეოდა. იგი სწრაფად შევიდა შიგნით, წინკარი ლივლივით გაიარა და სიძველისგან დანგრევის პირას მისულ ერთ დაბალ ფარდულს მიადგა.

- ცოტა უნდა შევიცადოთ, ვიდრე ის კაციც არ წავა! - წასჩურჩულა მოხუცმა დედოფალს, თან აყალო მიწის კედელში ჭუჭრუტანაზე მიუთითა, მერე სახე კედელთან მიიტანა და შიგნით შეიხედა. გაზრდილს მეორე ჭუჭრუტანაც დაანახვა და ახლა უკვე ორივე ხედავდა, რაც იმ სახლის ერთადერთ ოთახში ხდებოდა.

დედოფალმა დაინახა ღარიბულად ჩაცმული მშვენიერი ყმაწვილი ქალი, რომელიც, კუმტად შუბლშეკრული, ტუჩებმოკუმული, გაჯავრებული და უკმაყოფილო სახით სოხანზე იჯდა და სიცარიელეს ჩაშტერებოდა. იქვე ტრიალებდა ორმოციოდე წლის ჯმუხი, ჩასკვნილი მამაკაცი. საღებავისგან მთლად გაღურჯებული ხელებით კაშკაშა წითელი მაუდის ჩულებს დასტა-დასტა აწყობდა და თოკით უზარმაზარ ფუთებად კრავდა, რათა ზურგზე მოხერხებულად მოეგდო. ზურგი კი, ეტყობოდა, აქლემივით ღონიერი და გამძლე ჰქონდა. ეს მღებარი ბარაკი იყო. როგორც კი მან თავი კედლისაკენ მიაბრუნა, კარგად გამოჩნდა მისი უზარმაზარი, გადაბრტყელებული სახე, დაბალი შუბლი, დიდი და გაფარჩხული ყურები და ნაპრალებით ღია პირი. დედოფალმა მღებარი ამაზრზენად გონჯ, ხოლო ქალი ბოროტ და სულმდაბალ არსებად შეიცნო. აშკარა იყო, კაცს ძალიან უნდოდა ცოლთან დალაპარაკება, რომ მისთვის რაიმე სასიამოვნო ეთქვა, მაგრამ ისევ საქმეს მიჰყო ხელი. როგორც კი ფუთას თოკი გადაუჭირა და კარგად გამოკვანდა, ტლანქი და მოუქნელი უშველებელი ფეხებით ბოლთის ცემა დაიწყო, ჩანდა, ისეთი რაღაცის აწევა უნდოდა, რაც ქალის ახლოს იდო იატაკზე; შემდეგ საღებავიან გუბეში ხელები ამოიბანა, რაღაც ჩაიბუტბუტა და ცოლს ირიბად გახედა. ქალი ჯიუტად თვალს არიდებდა კაცს და სადღაც სიცარიელეში

იმზირებოდა, ისე, თითქოს ქმარი იქ არც კი ყოფილიყო. ბოლოს, კაცმა ღრმად ამოიოხრა, ერთი ხელის დაკვრით მძიმე ტვირთი ზურგზე მოიგდო და საპალნიანი პირუტყვივით წელში მოხრილმა, თუმცა კი მტკიცე და თანაბარი ნაბიჯით კარს მიაშურა. როგორც კი ქალმა თავი მარტო დაიგულა, მაშინვე ფეხზე წამოდგა, ზანტად და უსიცოცხლოდ გაიარ-გამოიარა ოთახში, თან დამძიმებულ ფეხებს ძლივს დაათრევდა; ანაზდად იატაკზე მდგარ ძველ როდინს წამოედო და გადააყირავა. დანაყილი საღებავი ჭუჭყიან იატაკზე მიმოიფანტა. რა თქმა უნდა, საჭირო იყო მისი მოგროვება და აკრეფა. ქალი იატაკისკენ დაიხარა, მაგრამ ტუჩები დაუოკებელი ზიზღით შეუტოკდა და საქმეს თავი მიანება, შემდეგ გაემართა თავისი და ბარაკის სარეცლისკენ, რომელიც მოშორებით, კუთხეში იდგა და ზედ ორიოდ ბალიში და გადასაფარებელი ეწყო და მილაგება დაიწყო. რაც ძირს უწესრიგოდ ეყარა, იმას ფეხის კვრით იშორებდა. მალე იქაურობას გაეცალა და ოთახის შუაგულიდან საწოლისკენ პირქუშად დაიწყო ყურება. ამასობაში მთქნარება მოერია, ზმორება-მთქნარებით კედელთან მივიდა და ნაპრალიდან მოყვითალო-მომწვანო ზეთისხილის ტოტების

მომცრო შეკვრა გამოიღო. შეშის ეს მცირე გროვა იატაკზე, იმ ადგილის წინ დაყარა, სადაც ცეცხლი უნდა დაენთო. ის ადგილი კი სხვა არაფერი იყო, თუ არა მოზრდილი ხერელი გაშავებულ-გარუჯულ და დანგრევის პირას მისულ კედელში. ქალი იმ ადამიანით იზმორებოდა და ამთქნარებდა, რომელმაც უამრავი საქმე გააკეთა და დაიღალა, შემდეგვერდებსა და თემოებზე ხელები ჩამოისვა, საკუთარი სხეულის უზადობა და სინატიფე იგრძნო და უნებურად გაეღიმა.

როცა საგულდაგულოდ მოთვალთვალე გადიამ ეს ყოველივე დაინახა, აწრიალდა და აჩურჩულდა:

- უკვე იქ მოვსულვართ, სადაც საჭიროა, ახლა სასწრაფოდ უნდა შევიდეთ მასთან!

გადიაც და დედოფალიც ფარდულიდან გამოლივლივდნენ და ოთახში თითქოს შეცურდნენო.

აქამდე ხომ დედოფალს, გარდა საკუთარი სასახლისა, ადამიანის საცხოვრებელში ფეხიც არ დაედგა. ენით აუწერელმა შიშმა მოიცვა ყმაწვილი ქალი, თავბრუ დაესხა და თვალებს ვეღარ ახელდა. ძირს დაგდებული ციციხვის უზარმაზარ სახელურს ისე წამოედო, კინაღამ იატაკზე დაენარცხა და თავი რომ შეეკავებინა, ჯაჭვზე ჩამოკიდებულ ქვაბს მისწვდა, მაგრამ იგი ხელიდან გამოეცალა, ქვაბიდან კაშკაშა წითელი სითხე გადმოიღვარა და დედოფალი მთლად გაიწუწა. იმ სახლში სტუმარი დიდი იშვიათობა იყო და როცა მასპინძელმა დაუპატიჟებელი სტუმრები დაინახა, გაკვირვებულს თვალები გაუფართოვდა. კარგად დააკვირდა ქალებს. ახალგაზრდა ბორძიკობდა და ფორხილობდა, მოხუცი კი ჭრელაჭრულა კაჭკაჭს მიაღმსგავსა და ამან ისე შეუცვალა განწყობა, რომ პატარა ბავშვივით გულწრფელი სიცილი აუტყდა და კარგა ხანს იცინოდა. გადიამ კი თვალის დახამხამებაში უხვსიტყვაობის კორიანტელი დააყენა და შეეცადა, თითოეული სიტყვა საქმის სასარგებლოდ მარჯვედ გამოეყენებინა, - ეს ხომ მას

მშვენივრად ეხერხებოდა. გასაკვირი სულაც არ არის, რომ მისი ქალიშვილი მოუქნელად ბორძიკობს და ფორხილობს, რისთვისაც ორივენი დიდ ბოდიშს იხდიან, - დაიწყო მოხუცმა ახსნა-განმარტება:

- ეს იმიტომ, რომ გოგონას ქალაქში არასოდეს უცხოვრია და მიუჩვეველია, თან ქუჩების ძეხვით ქანცი გამოელია, დაიღალა კითხვა-პასუხით, თუმცა ძეხვისთვის თავი არ მიუწეხვია, ვიდრე საჭირო სახლი არ იპოვეს და აი, ახლა, როცა საკუთარი თვალთა იხილეს თავიანთი მზრდამელო ქალბატონის შეუდარებელი და გამორჩეული სილამაზე, ექვის ნატამალიც კი არ რჩება იმისა, რომ ეს სწორედ ის სახლია, რომელსაც ეძებდნენ, - ამ სიტყვებით გადია წელში მოიხარა და მღებრის ცოლს თავი ისე მდებლად დაუკრა, რომ შუბლი იატაკს დაახალა და შვილობილიც აიძულა, ასევე მოქცეულიყო. როგორ თუ საჭირო სახლი, რას ნიშნავს საჭირო სახლი? ნეტავ ვინ გამოგზავნათ ან ვინ მოგასწავლათ? ანდა რას ნიშნავს ეს ყოველივე? - კითხვას კითხვაზე აყრიდა მღებრის ცოლი, თან მოულოდნელობისა და მღელვარებისგან მთლად კანკალებდა. გადია კი ყმაწვილ დიასახლისს გაუთავებლად თავს უკრავდა და თან იმეორებდა, რომ ძალიან კარგად იცის, ამ მშვენიერ ქალბატონს როგორ სჭირდება პირისფარეშნი და მათი მსახურება, ამიტომ

დაბეჯითებით სთხოვს, გამოსცადოს მისი ქალიშვილი და მიუხედავად სინორჩისა, ჯეროვნად შეაფასოს გოგონას საქმიანობა, მოხერხებულობა, დაუზარლობა და თავაზიანობა! ამ ყოველივეს სხაპასხუპით წარმოთქვამდა და თან მღებარ ქალს კაბის კალთას მონდომებით უკოცნიდა.

ამ სიტყვების გაგონებამ და ქალების იერმა მასპინძელს ამჯერადაც სიცილი მოჰგვარა. საქმე ის იყო, რომ მოხუცსაც და დედოფალსაც არა მარტო შუბლი, არამედ მთელი სახე ჭუჭყიან იატაკთანშეხებისგან საღებავის ლაქებით ჰქონდათ მოთხუპნული. გადია კვლავ მოჰყვა ლაპარაკს, მაგრამ მკაფიოდ და გარკვევით არაფერი თქვა იმის თაობაზე, ვინ იყო ის ადამიანი, ვინც საქმის ღრმა ცოდნითა და დამაჯერებლობით ორივე ქალი სამუშაოს საშოვნელად აქეთ გამოგზავნა. ბოლოს, ენად გაკრეფილი გადია, როგორც იქნა, ვითომ გამოტყდა, რომ ეს იყო მომხიბლავი, ჯერ კიდევ უწვერულვამო ყმაწვილი კაცი, რომელიც ძველ ხიდზე შეხვედროდათ. გადიის აზრით, ეტყობოდა, ის ყმაწვილი სხვისი დავალებით მოქმედებდა, ის სხვა კი შორიახლოს მდგარა და მხოლოდ მოგვიანებით დალაპარაკებია ქალებს. იგი, ყმაწვილზე გაცილებით უფროსი, მედიდური, აღნაგი და წარმოსადეგი, თურმე დიდგვაროვანს ჩამოჰგავდა.

- დიახ, დიახ! თუ არ ვცდები და ალღო არ მღალატობს, ამ ჩვენს მშვენიერ ქალბატონს იმ კაცის სახით ერთგული თაყვანისმცემელი და საუკუნო მეგობარი ჰყავს! - დაასრულა მოხუცმა თხრობა და ჩაწითლებული თვალებით ისე უცნაურად და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა დიასახლისს, რომ ამ უკანასკნელმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. სასიამოვნო მოულოდნელობისგან მისი არსება თრთოლამ და დაუოკებელმა მღელვარებამ მოიცვა იმის გამო, რომ თურმე სადღაც ყოფილა ადამიანი, რომელიც მასთან სიახლოვესა და მეგობრობაზე ოცნებობს, თუმცა კი ქალს იგი არც უნახავს, რადგან იდუმალ მეგობარს მისთვის ჯერ არაფერი

უცნობებია. გადია უფრო მეტად მიუახლოვდა მღებრის ცოლს, რადგან მშვენივრად იგრძნო, რომ ამ სიტყვების შემდეგ იგი კი არ განერიდა, პირიქით, სულიერად და ხორციელად დაუკავშირდა უცნობ დედაბერს, რომელმაც თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ვერაფერს მიხვდა და კვლავ განაგრძო იმაზე ლაპარაკი, რომ შეუძლებელი იყო, მას და მის გოგონას სახლი შეშლოდათ და სხვაგან მოხვედრილიყვნენ, თუმცა კი ღმერთია მოწამე, როგორ წუხდნენ და როგორ ეშინოდათ შესაძლო გაუგებრობისა. ძალიან კი ერიდება, მაგრამ მაინც უნდა ჰკითხოს: სწორია განა და მართლაც მას ეხება ის, რაც შეიტყვეს, თითქოს ეს მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალბატონი ცოლად ჰყავს ტლანქ, მოუხეშავ, დიდყურა, ფეხებგაფარჩხულ და პირმორღვეულ მღებარ ბარაკს, რომელიც იმდენად ხანდაზმულია, რომ ლამის მამადაც კი შეჰფერის მას? ნეტავ ისიც მართალია, რომ უკვე ორი წელია, ისინი ცოლ-ქმარი არიან და შვილი არა ჰყავთ? რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ დროა იმისთვის, რომ ეს მშვენიერი და გამორჩეულად ლამაზი ქალბატონი აქამდე დედა გამხდარიყო. აჰ, რას ვიზამთ, როგორც ჩანს, ამ ქორწინებაში ვიღაცის მრუდე ხელი ურევია, და მღებარი ბარაკი შემთხვევით გამხდარა ნორჩი ქალწულის ქმარი. ნუთუ ისიც სიმართლეს შეეფერება, რომ ამ მშვენიერ ქალბატონს შინ უზის მომაბეზრებელი და გულის გამაწყალებელი, ბრაზიანი და ავი სამი ბერბიჭა მაზლი? ეს ცალთვალა, ცალხელა და კუზიანი ბოროტი, უქნარა და მუქთახორა უფროს ძმას ასხედან კისერზე. მათ შესახებაც კარგად უწყის ქალის შორეულმა და იდუმალმა

თაყვანისმცემელმა და ჭირივით ეზიზღება სამივე, რადგან მის საოცნებო და სატრფიალო არსებას სიცოცხლეს უმწარებენ!

როცა მღებარმა ქალმა ეს ყოველივე მოისმინა, ამ წუთიდან აღარაფერს ჰქონდა მისთვის ისეთი მნიშვნელობა და ძალა, როგორც იმას, რომ სადღაც არსებობდა და მას ეკუთვნოდა მისდამი სათუთი გრძნობებითა და სატრფიალო სურვილებით აღსავსე ერთგული მეგობარი.

ყველაფერზე ძვირფასი კი ახალგაზრდა ქალისათვის იყო ის, რომ იმ ადამიანმა მისი ცხოვრების ყოველი წვრილმანი იცოდა, თვალყურს ადევნებდა მას და გაითავისა და გაიზიარა ის ურვადასევდა, ტანჯვა და წუხილი, ასე ჭარბად რომ იყო ქალის ცხოვრებაში. ყოველივე ამის გააზრებამ ქალის სულს ისეთი ნათელი მოჰფინა, რომ გარეგნულადაც კი გაასხივოსნა.

- რა ბედნიერები ვართ! - წამოიძახა გადიამ, - მოვსულვართ იქ, სადაც საჭიროა. ჩვენო რჩეულო, შენ ხომ ათასში ერთი ხარ, ის, ვისაც შეუძლია საკუთარი ჩრდილიც კი დათრგუნოს. შენ ხარ, ვის შესახებაც ვიცი ის, რაც ჩემს მოხუც გულს ათბობს და ახარებს. შენ ხომ უარი თქვი და განერიდე საკუთარი ქმრის გაუთავებელ, ფუჭ და ამაო ალერსსა და ხვევნა-კოცნას, თან ასე ეუბნებოდი საკუთარ თავს: მე დავიღალე დედობაზე ლაპარაკით, თუმცა კი არც გამომიცდია და არც ვიცი, ეს რას ნიშნავსო! შენ ხარ ის, ვინც თავისი გონიერებისა და საზრიანობის წყალობით ნაადრევად დამჰკნარ გულმკერდსა და გატიალებულ და გავერანებულ საშო-წიაღს შეურყვნელი და უბიწო სხეულის მარადიული სინატიფე და მოხდენილობა ამჯობინა! - მოხუცი გადია ამ სიტყვებს წარმოთქვამდა გაბმულად და შეუსვენებლივ, საზეიმოდ, ხმამაღლა, განსაკუთრებული

ზეაწეული განწყობით, ხოლო წაგრძელებული კისრითა და იმ უცნაურად დაღმეჭილი იერით, რომელსაც ადამიანებთან ყოფნისას იშველიებდა ხოლმე, წამოყელყელავებულ წინწკლებიან ქვეწარმავალს წააგავდა.

მღებარი ქალი შეჰყურებდა მოხუცის უკბილო პირს, რომელშიც სიფრიფანა ტუჩებს შორის მარჯვედ და სწრაფად მოძრაობდა გრძნეულად და მაცდურად მოლაპარაკე ენა. დაძაბული მისჩერებოდა გადიას და ვერ გაეგო, რა დაატყდა თავს; მალე მიხვდა, ეს იყო ძნელად ასახსნელი უცნაური გრძნობა, რომლის მსგავსიც უნაყოფო ცოლქმრული ცხოვრების ორი წლის განმავლობაში, ბუნდოვნად და ქვეცნობიერად, ძილშიც და ღვიძილშიც თან სდევდა, თუმცა ხმამაღლა არაფერი უთქვამს და თითქოს საკუთარი თავისთვისაც კი არ გაუმხელია, მაგრამ როცა ნახევრად მძინარე, ჯიუტი და უკარება ბავშვივით, უხალისოდ და უკმაყოფილოდ თავიდან იცილებდა ქმრის მოსაბეზრებელ და გაუთავებელ ხვევნა-ალერსს, სწორედ მაშინ თავისდა უნებურად აუცილებლად წამოსცდებოდა ის, რაც მის სულში ბუდობდა და, რა თქმა უნდა, ბარაკის მეტს ვის ეცოდინებოდა ცოლის იდუმალი გრძნობებისა და ვნებების შესახებ, და თუკი კაცის სულში კიდევ ჩააღწია მწარე სინამდვილემ, მისი ტლანქი და მოუხეშავი ენა ხომ ვერასდოს შეძლებდა ამის წარმოთქმას. ახლა კი ყმაწვილ ქალს მოევლინა ეს უცხო დედაბერი და ყურში რაღაცას ჩასჩიჩინებს, რაც ხოტბა-დიდებასავით ჩაესმის და რაც

ჯადოსნურ წინასწარმეტყველებასაც კი მოასწავებს, თანაც შორეული და იდუმალი თაყვანისმცემლის

თავბრუდამხვევ და მიმზიდველ სატრფიალო გზავნილთან მჭიდროდ და განუყრელადაა დაკავშირებული. საოცარი მოულოდნელობისა და მღელვარებისგან ქალი ჟრჟოლამ აიტანა და თითქოს ციებ-ცხელებამ დარია ხელი, - მისთვის ხომ ასეთი რამ ჯერ არავის ეთქვა. ეტყობოდა, სირცხვილი და მორიდება აღარც კი ახსოვდა; იგი კვლავ მოხუცს მიეახლა, მღელვარებისგან ყელში მობჯენილი ცრემლები რომ შეეკავებინა და არ აქვითინებულყო, თავს ძალა ისე დაატანა, რომ სახეც კი მოეღრიცა, სწრაფად მიტრიალდა და სტუმარს ზურგი აქცია. მის ზურგს უკან კი მოხუცმა გადიამ თავისი გამოხუნებული და წამწამებგაქუცული თვალების ავბედითი გამომეტყველებით დედოფალს საიდუმლოდ და მრავალმნიშვნელოვნად რაღაც ანიშნა, თან ნახევრად ჩაბნელებული ოთახის იატაკზე მიუთითებდა, სადაც ახალგაზრდა დიასახლისის ნაზი სხეული ასევე ნაზ და ჰაეროვან ჩრდილს ჰფენდა, შემდეგ ჩრდილისკენ დაიხარა, ხელებს უცაცუნებდა, ეფერებოდა, თან გაფარჩხული თითებით თითქოს იატაკიდან მისი მოგლეჯა და მოცილება უნდოდა, რათა შვილობილისთვის მიერთმია და ეჩუქებინა! ვინაიდან სანატრელი და სანუკვარი ჩრდილის პატრონს თავბრუ უკვე დაახვია, გონებაც გვარიანად აურია და მის სულში სურვილებისა და გრძნობების ნაპერწკალი გაადვივა, მარჯვე და მოხერხებულმა გადიამ გადაწყვიტა, ეს ნაპერწკალი ცეცხლის ალივით აეგიზგიზებინა, ამისათვის კი თავაზიანი, გულმოდგინე და დაუზარელი მსახურების დასტურად მის ირგვლივ ცოცვა დაიწყო, თან ხმამაღლა ამბობდა:

- ო, ჩვენო ქალბატონო, შეგვინდე და შეგვიწყნარე, ჩვენ ხომ შენი მსახურება გვწადია! როგორ დავიმსახუროთ შენი კეთილი ნება და კეთილი განწყობა? გთხოვთ, გამოგვცადო კიდეც და შენს ბედნიერ საუფლოში თან წაგვიყვანო!

- უგუნურო და გადარეულო დედაკაცო! - სწრაფად უპასუხა ქალმა, - მხოლოდ აქ შეიძლება ვიყო ბედნიერი და სხვაგან არსად; ხომ ხედავ, რამდენი საქმეა, ციცხვები გასასუფთავებელია, იატაკი - მოსარეცხი, ვარცლი - ასავსები; სახარში ქვაბი ცეცხლზე უნდა შემოვდგა, რომ საღებავი ცხელში კარგად ავურიო, პირუტყვის ტყავს ბეწვი უნდა გავაცალო, გავწმინდო და გადავჭიმო, მოსარევი ჯოხები და ჭოკები გავფხიკო, როდინი გავხეხო, გოვზი დავცალო, მთელი ტომარა მარცვალი ხელის წისქვილით დავფქვა, ზეთი გადმოვასხა და ტაფაზე თევზი შევწვა, ბლინები მზად უნდა მქონდეს - ჩემი ქმარი ბარაკი ხომ მშვიერი მოვა, ცალხელას, ცალთვალას და კუზიანსაც ჭამა ენდომებათ!

- ჩემო შვილო, აბა, აქეთ! ჩქარა, ხელი გაანძრიე, იქნებ როგორმე ეს მშვენიერი ქალბატონი ჩვენს ერთგულ სამსახურში დავარწმუნოთ, რომ სულგრძელად და დიდსულოვნად შეგვიფაროს და შეგვიწყალოს!

- ეს რა უგუნურება მესმის! - წარმოთქვა მასპინძელმა და თან გაეცინა.

- ცეცხლი უნდა ავანთოთ, აბა, ბლინები ჩემკენ! - მქუხარე ხმით წამოიძახა გადიამ, ისე, რომ მღებარი ქალისთვის პასუხი არც კი გაუცია. ტაფები კი ამასობაში ჰაერს

კვეთდნენ და პირდაპირ მოხუცისკენ მიფრინავდნენ. ზეთისხილის მწვანე ტოტები თავდაუზოგავად ტკაცუნობდნენ.

- მითხარით, ვინ ხართ, ვინ? - ათრთოლებული და მისუსტებული ხმით კითხულობდა მღებარი ქალი, - ან ის ქალიშვილი ვინ არის, მოშორებით მუნჯივით უტყვად რომ დამდგარა? ნუთუ შენი შვილია? სულაც არა გგავს. რას იმალება იმ სიბნელეში და ასე რატომ მომჩერებია?

ამასობაში კი ცეცხლი მთელი ძალით აგიზგიზებულიყო. მღებარი ქალის ჩრდილი მაშინვე იატაკს მოეფინა და მოპირდაპირე კედლამდე გაიჭიმა.

- აბა, ლიფსიტებო, მეზადურის გეჯიდან სასწრაფოდ ჩემკენ! - არ ცხრებოდა მოხუცი, თან ცეცხლთან ციბრუტივით ტრიალებდა. შვიდმა თევზმა ჰაერი სრიალით გააპო და ოქროსფერი ქერეჭის ბრჭყვიალით ერთმანეთის გვერდით ცეცხლთან ჩამომწვრივდა.

- მითხარით, ვინ ხართ, ვინ? - მერამდენედ ეკითხებოდა დიასახლისი დაუპატიჟებელ სტუმრებს, თან სული ეხუთებოდა და სუნთქვა ეკვროდა.

- აბა, ჩქარა, მწვანილიდა სანელებლები ჩემი ქალბატონის ბოსტნიდან! - ბრძანების კილოთი წარმოთქვა გადიამ და კლანჭების მსგავსი თითები ჰაერში გაფარჩხა. მალე მართლაც აევსო ხელები სანელებლებით, რომელთა სურნელი მთელ ოთახს მოედო.

- რომელ ქალბატონზე ლაპარაკობ? - წამოიყვირა შიშითა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა დიასახლისმა ისე, თითქოს ეს-ესაა, გონს მოვიდაო.

მოხუცმა თევზები ტაფაზე დაყარა, ზეთი დაასხა და ცეცხლზე შემოდგა.

- შენს სარკეს ჰკითხე, ის გიპასუხებს! - მხარს უკან გადასძახა გადიამ.

- მე რომ სარკე არ მაქვს? - გაეპასუხა მღებარი გაცხარებით, - წყლიან ვარცლში ვიხედები და თმას ისე ვივარცხნი.

ამ საუბარში იყვნენ ქალები, ცეცხლის ალი კი იმატებდა და რაც ძლიერდებოდა, ქალის ჩრდილიც დიდდებოდა და მშვენიდებოდა, თან ტორტმანებდა და ირხეოდა.

„ნეტავი სადამდე გაგრძელდება ეს ყველაფერი?“ - გაიფიქრა დედოფალმა, თან მოუთმენლობისა

და უჩვეულო შეგრძნებისგან მთლად ცახცახებდა, ეჩვენებოდა, რომ ტაფაში მოქცეული ყველა ლიფსიტა შესაბრაღისად და საცოდავად მოთქვამდა. მართლაც, მათ ჭყიპინსა და ჭყლოპინში მკაფიოდ შეიძლებოდა შემდეგი სიტყვების გარჩევა: „დედილო, გთხოვ და გვითხარი, კარი ჩაკეტე ურდულით, კარიდან გვინდა შემოსვლა და არა ჩუმად, ქურდულად!“

- ნეტავ სად ვარ, სად? ნუთუ მარტო მე მესმის ეს ხმები? - იკითხა შეშფოთებულმა დედოფალმა. მის სამალავამდე ვერავითარი ხმა ვერ აღწევდა, ეს გულში ჩამწვდომი და იდუმალი სიტყვები კი მისწვდა მის ყურს და დაატყვევა. გადია კი კვლავ გამმაგებული ტრიალებდა, ტაფები ხტუნავდნენ და როკავდნენ, ზეთი

თუხთუხებდა, თევზს ტკაცატკუცი გაუდიოდა, ნამცხვარი შუშდებოდა. მოხუცმა რაღაც წამოიძახა და მისმა ხმამ ძლიერად გააჰმო ჰაერი, გაწვდილ ხელში კი მარგალიტებითა და სხვა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ბაფთა აუბრწყვიალდა. ეს იმ ბაფთას ჰგავდა, რომლითაც დედოფალმა კაიზერისადმი მიწერილი უსტარი საგულდაგულოდ შეკრა. მეორე ხელში კი მრგვალი სარკე უკაშკაშებდა. მღებარის ცოლი იატაკზე ჩაცუცქულიყო. გადიამ მის წინ მოირთხა ფეხი, თან თავსაკრავ ბაფთას ხელს უსვამდა, თითქოს ეფერებო, შემდეგ დიასახლისის თმაში ჩაუწნა და სარკეც მიაწოდა. მასპინძელს ნორჩ და ნაზ სახეზე ისეთი ალმური ასდიოდა, ცეცხლიდან ნაშობს ჰგავდა. კვლავ შესაბრალისად ვიშვიშებდნენ ლიფსიტები: „სიბნელეში შიში გვტანჯავს, დედილო, გთხოვ, შემოგვიშვა, საყვარელ მამილოს უთხარი, რომ იმანაც შემოგვიშვას!“

„მხოლოდ მე მესმის და იმათ - არა?“ - გაიფიქრა დედოფალმა და თვალთ დაუბნელდა, თუმცა გონება არ დაუკარგავს, ორივე ქალს გარკვევით ხედავდა. მღებარი ისევ იატაკზე იყო ჩაცუცქული და სარკეში იმზირებოდა, მოხუცი კი ისევ დახტუნავდა და დაფრიალებდა მასპინძელსა და მოთუხთუხე ტაფებს შორის.

- რაღაც ამის მსგავსი, მგონი, სიზმარიც მინახავს, - უნებურად წამოილაპარაკა მღებარმა ქალმა, თუმცა სიტყვებს გაუგებრად წარმოთქვამდა და სახეც მთლად შესცვლოდა. მოხუცი წამოხტა, მასთან მიიჭრა, ჩაიმუხლა და მოტრფიალე კაცივით ყურში ჩასჩურჩულა:

- ისიც ხომ არ გესიზმრა, რომ ეს ყველაფერი მარადიული იქნება?

მეტის თქმა საჭირო აღარ იყო, ორივე მშვენივრად მიუხვდა ერთმანეთს. თავს დატეხილმა ბედნიერებამ ქალი მოთენთა და მოღვენთა, თვალები ისე აატრიალა, მათში მხოლოდ თეთრი გარსი ალაპლაპდა.

- თავიდან სამი დღე, მხოლოდ სამი დღე დაგჭირდება უქმროდ ყოფნა. უნდა შეძლო და აიტანო ყოველივე! - სისინებდა გადია. ქალმა თავი სამჯერ დაუკრა:

- ამას კი არა უშავს, მაგრამ რა იქნება შემდეგ? რა მევალება, რა უნდა გავაკეთო? ნეტავ სიავე და სიმრუდე ხომ არაფერი უნდა ჩავიდინო? - ეკითხებოდა სტუმარს ჩურჩულით.

- ოჰ, ჩემო უმანკოვ და უბიწოვ! - წამოიძახა მოხუცმა გადიამ, თან ახალგაზრდა ქალს მონდომებით, თავდაუზოგავად ეფერებოდა და ეალერსებოდა სახესა და ხელ-ფეხზე.

- ხომ დამიცავ, შემწეობას ხომ გამიწევ, მოხუცო? - ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა ქალი.

- განა პირველივე წუთებიდან შენი მონა-მორჩილნი არა ვართ? - მიუგო ხმამაღლა გადიამ.

- მითხარი, მითხარი, როგორ აღსრულდება ყოველივე, - არ ეშვებოდა ახალგაზრდა.

- შენ ეს მძიმე და ძნელი საქმე გგონია და მართლაც განცვიფრდები, ისე ცოტა რამ იქნება საჭირო, - არ დააყოვნა პასუხი გადიამ, - ყველაზე ძნელი კი მტკიცე გადაწყვეტილების მიღება და სამი ღამეა! - დაუმატა მან.
 - გადაწყვეტილება მიღებულია და სამი ღამეც არ გამიჭირდება. გთხოვ, მხოლოდ ის მითხარი, რა მევალება, რა?
 - დღისა და ღამის გასაყარზე შინიდან გაიპარები და მდინარი წყლისკენ გაემურები. - მდინარე ხომ ახლოსაა! - ამოიჩურჩულა მღებარმა ქალმა.
 - მოძრავი წყლისკენ ზურგით შებრუნდები, ტანსაცმელს გაიხდი და მხოლოდ ქოში გეცმევა მარცხენა ფეხზე.
 - მარტო ქოში და მეტი არაფერი? - შეეკითხა ქალი და სახეზე შიშნარევი ღიმილი გამოესახა.
 - აი, კიდევ რა! მაშინვე აიღებ შვიდ ლიფსიტას, მარცხენა ხელით მარჯვენა მხარს ზემოდან წყალში გადაისვრი და სამჯერ იტყვი: „განვედით ჩემგან, წყეულებო, შეჩვენებულებო, იცხოვრეთ ჩემი ჩრდილით და ჩემს ჩრდილთან ერთად-თქო!“ ამის შემდეგ სამუდამოდ გათავისუფლდები საძულველისა და აუტანელისგან, თან ისეთ ფუფუნებასა და განცხრომაში მოხვდები, რომ ეს თავსაკრავი და ჩემი ნამზადი უბადრუკად და შესაბრალისად მოგეჩვენება.
 - ღმერთო დიდებულო! ვერ გამიგია, რა ხდება, ანდა რას ნიშნავს ეს ყოველივე! დაუპატიჟებელ სტუმრებად მიმაჩნდით და ხმის გაცემის ღირსადაც არ გთვლიდით, ახლა კი თურმე უნდაგითხრათ: გითმობთ ჩემს ჩრდილს, თქვენი იყოს, მე კი უჩრდილოდ ვიცხოვრებ-მეთქი!
 - ეს იმ დიდი ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილია, რომელშიც შენ მონაწილეობ და ნიშნავს იმას, რომ ამ წუთიდან და ამ წამიდან შენი პირქუში და მრუმე ჩრდილი ჩამოგცილდება და სანაცვლოდ ისეთ სიკაშკაშეს შეიძენ, რომ წინიდანაც და ზურგიდანაც ზღაპრულად გაბრწყინდები!
- მღებარმა ქალმა სარკის ზემოდან უნიათოდ და უსასოოდ გამოიხედა და წარმოთქვა:
- კარგი, კარგი, ამას ყველაფერს შევასრულებ.
 - ოჰ, დედილო, ვაი, ჩვენს თავს! - წამოიმახეს ლიფსიტებმა ისეთი მომაკვდავი და მიმტკნარებული ხმით, რომ ეტყობოდა, უკვე შემწვარიყვნენ კიდევ. კვლავ მხოლოდ დედოფალს მოესმა ეს საწყალობელი მოთქმა, რომელიც ისეთი ძალით შეიჭრა მის სულში, რომ უმძიმესი განცდისგან თვალებს ვეღარ ახელდა. მალე თავს ძალა დაატანა და როგორც კი გამოერკვა, მიმქრალი და მინავლული ცეცხლის შუქზე დაინახა: მღებარი ქალი წელში მოხრილიყო და სურდა, გადიისთვის ხელები დაეკოცნა, ხოლო ოთახის წინა ნაწილში, შუაცეცხლის ახლოს, ცოლ-ქმრის სარეცელზე, ბარაკის კუთვნილი ნაწილი საძილედ მოეწყობოდა და ისე გაემზადებინათ, რომ ცოლისთვის გამიზნულ ადგილზე ფარდა იყო ჩამოფარებული. გადიამ

დიასახლისს ლამის მიწამდე დაუკრა თავი, შვილობილი კი მიიზიდა და გარეთ გაიყვანა.

- მითხარი, რა მოხდა, რა? - მოუთმენლად ეკითხებოდა დედოფალი, როცა ორივე ლამის წყდიადს შეერწყა.

- ბევრი რამ მოხდა, ბევრი რამ! - პასუხობდა გადია.

- აღსრულდა განა აღსასრულებელი? - კვლავ ჩაეკითხა შვილობილი და თან გამზრდელს გულთბილად მიუალერსა. ამჯერად გადია დედოფალს შიშს აღარ ჰგვრიდა, რადგან იგი ადამიანების ახლოს არ იმყოფებოდა. მოხუცმა ეშმაკური ღიმლით უპასუხა:

- მოთმინებაა საჭირო, მოთმინება! ყველაფერს თავისი დრო აქვს.

მღებარი ბარაკი შინ გვიან დაბრუნდა. ოთახში ბნელოდა და ისეთი საუცხოო კერძების სუნი ტრიალებდა, როგორიც მხოლოდ მდიდართა სახლებშია ხოლმე. კაცმა შუქი აანთო თუ არა, გაკვირვებისაგან აღარ იცოდა, რა ექნა; დაინახა, რომ ცოლ-ქმრის სარეცელი ორად იყო გაყოფილი; ერთი ნახევარი, რომელიც, სავარაუდოდ, მისთვის იყო განკუთვნილი, უჩვეულო ადგილას - ღუმელთან დაედგათ, მეორე ნახევარზე კი ფარდა იყო ჩამოფარებული და იგი სწორედ იქით გაეშურა; ცალი ხელით მოაჩრდილა, მეორით კი ფარდა გადასწია და დაინახა საწოლში მწოლიარე ცოლი, რომელსაც პატარა ბავშვივით მუშტებმომუჭულს ეძინა. ქალი

უდრტვინველად, მშვიდად სუნთქავდა. კაცს ცოლი უჩვეულოდ მიმზიდველი მოეჩვენა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და გრძნობას მოერია. შემდეგ წყნარი ნაბიჯით ცეცხლთან მივიდა და საამო სუნს იქამდე მისდია, ვიდრე მდიდრული და გემრიელი სადილის ნარჩენებს არ წააწყდა. რა არ იყო იქ: შემწვარი და სანელებლებით შეკაზმული თევზი, უზარმაზარი ცხიმიანი ღვეზელი და უამრავი სხვა რამ, რაც მას თავის დღეში არათუ ეჭამა, არც კი ენახა; პირში ერთი ლუკმაც არ ჩაუდვია, თავისი თავისთვის ვერაფერიგაიმეტა; მაშინვე ფარდულისკენ გაეშურა, რომ დარჩენილი საჭმელი უმცროსი, თუმცა უკვე დავაჟკაცებული ხეივანი ძმისთვის გადაენახა, რათა იგი დანაყრებულიყო, როცა მოისურვებდა. შემდეგ სარეცელს მიაშურა და პატარა ლოცვაც კი აღავლინა. კარგა ხანს უძრავად იდგა, მხოლოდ საწოლზე ჩამოფარებულ ფარდას მიშტერებოდა - მისი გამოსივით ხომ ცოლის ყურებით ვერ ტკბებოდა. განძრევის თავი აღარც კი ჰქონდა. მალე ძილიც მოერია, გაიზმორა, ჩუმი ოხვრა აღმოხდა და დაღლილ-დაქანცულს მალე ჩაეძინა კიდეც. მეორე დილით, ჯერ გათენებული არ იყო, შინიდან რომ გავიდა და მდინარეს მიაშურა, თან როდინი წაიღო, რომ საღებავი სახლიდან მოშორებით დაენაყა და ცოლისთვის ძილი არ დაეფრთხო. როცა უკან მობრუნდა, ორი უცხო ქალი დაინახა, რომლებიც ფრთხილად კი მიდიოდნენ, მაგრამ ქოხის ზღურბლზე ისე გადააბიჯეს, თითქოს საკუთარ სახლში შევიდნენ.

- ესენი ჩემი ნათესავები არიან და სურთ, უსასყიდლოდ მემსახურონ, - მიმართა ბარაკს ცოლმა,

რომელიც, მისდა გასაკვირად, უკვე ამდგარიყო. როცა ორივე სტუმარი ქალი დაიხარა, რომ დიასახლისთვის კაბის კალთა დაეკოცნათ, ქალმა ეს არც კი იუარა, თან ისე ღირსეულად და თავდაჭერილად შეხვდა ამ ამბავს, რომ ქმარი ენით გამოუთქმელმა აღფრთოვანებამ მოიცვა. ასეთი მშვენიერი და მომხიბლავი ცოლი არასოდეს ენახა, თუმცა სად ჰქონდა დრო, მისი ყურებით გამძღარიყო! კაცმა სასწრაფოდ ზურგზე მოიგდო უზარმაზარი ტვირთი - პირუტყვის ახალგაფხეკილ-მოთრიმლული ტყავები, იმდენი, რამდენიც იმ დღეს იყო საჭირო. გადია მიეჭრა, შეეცადა, მიხმარებოდა, კარს მიაშურა, ფართოდ გამოაღო და როცა კაცმა გვერდით ჩაუარა, თავი მოწიწებით დაუკრა:

- ჩვენო მეუფევ და მბრძანებელო, გემუდარებით, მალე დაბრუნდი, თორემ როცა შინ არა ხარ, ჩვენს ქალბატონს მარტოობით გული უწუხს და შენზე ფიქრით იტანჯება! - მიაძახა გადიამ ბარაკს, მერე კი ერთი ნახტომით მღებარ ქალთან გაჩნდა, შეუბრალებელი, დამცინავი და აგდებული გამომეტყველებით ქმარზე უსიტყვოდ რაღაც ანიშნა.
- აბა, დროს ნუ დავკარგავთ! წუთი და წამი ოქროს მარცვლებივითაა და ოქროსავით მოსაფრთხილებელია! - სისინებდა დედაბერი, - აბა, ჩემთან მოდი, ჩქარა, ჩქარა; უნდა მოგროთო და მოგკაზმო, მერე კი ერთად წავალთ იქ, სადაც საჭიროა!
- სხვაგან მე არაფერი მესაქმება, არსად წამოვალ! - უპასუხა დიასახლისმა.
- მაშინ ნება მომეცი, იმ ადამიანს ვუხმო და აქ მოვიყვანო, ვინც შენ გამო იტანჯება და ვისაც უშენობით გული გადაელთა.
- ნეტავი ვისზე ლაპარაკობ, ვისზე? - მკვახედ შეეკითხა ქალი და მოხუცს მკაცრად შეხედა. გადია განცვიფრდა, მაგრამ, როგორც სჩვეოდა, არაფერი შეიმჩნია და საუბარი განაგრძო:
- ვისზე და, აი, იმ ადამიანზე, ვინც ხიდზე შეგვხვდა, - წარბმეუხრელად უპასუხა მოხუცმა, - სწორედ იმას ვგულისხმობ, ვისაც უიმედოდ უყვარხარ და ამ სიყვარულის გამო ყველაზე უიღბლო და დაჩაგრულია. ნება მომეცი, აქ მოვიყვანო, იქნებ ოცნება აუსრულდეს, იქნებ სევდა-კაემანი, დარდი და ნაღველი სამუდამოდ გაეფანტოს.
- დღეს უამრავი საქმემაქვს, სახლი უნდა დავალაგო, ქვაბები დავაკრიალო, როდინი გავხეხო, საღებავის მოსარევი ძველი ჩამჩები ახალივით გავაპრიალო, იატაკი უნდა დავგავო, მოვწმინდო და ათასი რამაა გასაკეთებელი! - უპასუხა მღებარმა ქალმა.
- ო, ჩემო ქალბატონო! - შესაბრალისად წამოიძახა მოხუცმა, - ნუთუ არ იცი, რომ არსებობს იდუმალი მოტრფიალე, რომელსაც შენი გაშლილი თმის დანახვაზეც კი მუხლები უკანკალებს და ლამის გონება დაკარგოს?
- რას ამბობ, რას? უსირცხვილო და უნამუსო დედაბერო! სათრიმლავი როფი და გეჯა მდინარეზე უნდა წავიღო და გავრეცხო, კასრები და ვარცლები უნდა გავასუფთაო, ფარდულიდან ხუთი თაკარი შეშა გამოვზიდო, სახარში ქვაბი ცეცხლზე შემოვდგა, ხელის წისქვილი ისე უნდა ვატრიალო, სულ ნაპერწკლები სცვიოდეს, საწოლები

გავასწორო, - ხომ იცი, რამდენი საწოლია! აბა, ორივე დატრიალდით! ჩემი ქმარი ბარაკი სიხარულით ცას ეწევა, ორი მსახური რომ ვიშოვე.

- ვაი ჩვენს თავს! - წამოიძახა გადიამ და მღებარ ქალს ფეხებში ჩაუვარდა, - ჩემო შვილო! აქედან წავიდეთ, ამ ქალბატონს ვეზიზღებით და არც ჩვენი ერთგული სამსახური სურს.

- განა მსახურება და ერთგულება არ აღმითქვით? - დაიყვირა გაავებულმა დიასახლისმა და გადიას ფეხი ისე ჰკრა, რომ მოხუცი წაბორძიკდა და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ წაქცეულიყო, - ხომ შემპირდით და შემომფიცეთ! - ყვიროდა გახელებული ქალი, თან ფეხებს აბაკუნებდა.

გადია და დედოფალი დატრიალდნენ, სასწრაფოდ გაასწორეს საწოლები, გეჯები და ვარცლები გასარეცხად მდინარეზე წაათრიეს, ფარდულიდან შეშაც გამოზიდეს და ერთმანეთზე დააწყვეს, ჩამჩები გაფხიკეს, სანაყები ისე გაასუფთავეს, ყველაფერს კრიალი გაუდიოდა. ამასობაში კი მღებარმა ქალმა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი თავსაკრავი და სარკე გამოიღო, რომელიც

ბალიშის ქვეშ ჰქონდა დამალული, იატაკზე ფარდაგივით დაგებულ გამხმარ ბალახზე ჩამოჯდა და სარკეში კეკლუცობას მოჰყვა, თუმცა უსიხარულო და უხალისო იერი მაინც ვერ მოიშორა.

- თქვენ გგონიათ, დამიმორჩილეთ, არა? იმის მაგივრად, რომ დილით ადრე ამდგარიყავით, ახლა სირბილს უნდებით, პორწიალობთ, ჩქარობთ და ოფლად იღვრებით!

- ო, ჩვენო ქალბატონო, ალბათ უკვე მოგშივდა კიდეც, - მოწიწებითა და მოკრძალებით მიმართა გადიამ, - არაფერი ისე არ აშივებს, როგორც მუშაობა, - ამ სიტყვებით მან მასპინძელს თეფშით მიაწოდა სანელებლებით შეზავებული და გემრიელად შემწვარი რამდენიმე ხორციანი ღვეზელი. ამის მსგავსი ყმაწვილ ქალს სიცოცხლეში არაფერი ეჭამა; უსაზღვროდ შემცბარმა და გაკვირვებულმა თვალიერება დაუწყო კერძს, შემდეგ თეფში გამოართვა და მოასუფთავა. შუადღისას კი, ქმრის სახლში დაბრუნებისას, ქალს ჭამაზე აღარც უფიქრია - როგორც ჩანს, არ შიოდა და გადიის მომზადებული სადილისთვის პირი არ დაუკარებია. ბარაკს, ეტყობოდა, საჭმელი ეგემრიელა, თუმცა ძლივს ჭამდა, თითქოს ლუკმა ყელში არ გადასდისო. ცოლი ცოტას ლაპარაკობდა და ქმრის კითხვებს თითქმის არ პასუხობდა. ქმარს ცოლისკენ ერთხელაც არ გაუხედავს თავისი მრგვალი თვალებით, რომლებშიც მხოლოდ სითეთრე მოუჩანდა და ეს მაშინ ხდებოდა, როცა დადარდიანებული იყო, რაღაც აწუხებდა, ანდა როცა ყურადღებას ძაბავდა.

- ილოცეთ, ილოცეთ, რადგან ჩვენს ლუკმას იყოფთ, - მიმართა ბარაკმა სტუმრებს. ქალები მოშორებით იატაკზე მოკალათებულიყვნენ და საჭმლის ნარჩენები გულმოდგინედ აენამცეცებინათ, - ჩემი ცოლისთვის ილოცეთ, რომ მან კვლავ შეძლოს ჭამა-სმა, სასმელ-საჭმელმა არგოს. მიწა იცოდეთ, რომ ერთი კვირის წინ შინ მოვიწვით ჩვენი ნათესავი დეიდები და ბიცოლები. მათ უნდა შეელოცათ ჩემი ცოლისთვის და თილისმით შეეკრათ. მე კი ძილის წინ შვიდჯერ უნდა მეჭამა ის

საჭმელი, რომელიც მათ მიერ განაყოფიერების ლოცვით იყო გამოლოცვილი. ჰოდა, ახლა, როცა ჩემი ცოლი უცნაურად და ახირებულად იქცევა, მშვენივრად ვხვდები მისი უჩვეულო განწყობის მიზეზს და მინდა, მუხლი მოვიყარო ამ დიდი გარდაქმნისა და ცვლილების წინაშე, რადგან ჩემს გულში იმედი და მოლოდინი ისადგურებს, სიხარული და ბედნიერება მეუფლება.

ამის გაგონებაზე მღებარის ცოლმა ბრაზისა და რისხვისაგან ფერი სულმთლად დაკარგა, მიმტკნარდა და ჩაიტეტკა.

- აბა, წირპლიანო ფეთხუმებო! - წარმოთქვა ბრაზით სახემოდრეცილმა, - კარგად დაიმახსოვრეთ! ვიღაც დედაკაცების შელოცვებსა და ბუტბუტს არაფერი ესაქმება ჩემთან, და ისიც კარგად შეიგნეთ, რომ თუ ეს კაცი ძილის წინ საგანგებოდ რაღაცას ჩახეთქავს, ეს ჩემს შვილიერებას არაფერს არგებს.

ამ სიტყვებით მღებარის ცოლი წამოდგა, თავის სარეცელს შემოუარა და ფარდა მჭიდროდ ჩამოაფარა. ბარაკიც წამოიმართა, პირი ისე გააღო, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, თან ბირთვისებური და მორკალური თვალები სარეცელზე ჩამოფარებულ ფარდას მიაპყრო, რომელიც სანატრელი ცოლის დანახვის იმედს უსპობდა, მერე კი უხმოდ შეუდგა შეღებილი ქსოვილის ნაჭერ-ნაჭერ შეგროვებას. უზარმაზარი ფუთა მაშინვე ზურგზე მოიგდო და კარისკენ გაემართა. კართან ერთხელ კიდევ საიმედოდ გაიმაგრა ტვირთი და ქალებს მიმართა, თან მეგობრულად შესცქეროდა მათ:

- სულაც არ ვბრაზობ ჩემი ცოლის სიტყვებზე, ვინაიდან კეთილი გული მაქვს; მინდა იცოდეთ, რომ ყოვლისშემძლე ზენაარს მადლობას ვწირავ თქვენი აქ მოსვლისთვის.

- რა საჭირო იყო ამათი მოსვლა და აქ ყოფნა; ნება იბოძონ და როგორც მობრძანდნენ, ისე წაბრძანდნენ, - ისე ჩუმად ბუტბუტებდა დიასახლისი ფარდის იქით, რომ ერთ სიტყვასაც ვერავინ გაიგებდა, თუმცა ყურმახვილმა მოხუცმა გადიამ მშვენივრად გაარჩია მისი ნათქვამი და გამოხუნებული და უწამწამო თვალები დამაბუღლად აუხამხამდა.

მღებარი ქალი თავის საწოლზე მთელი საათი გაუნძრევლად იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ საწოლს გადია მიუახლოვდა და აჩურჩულდა, თუმცა დიასახლისი არ შეხმიანებია. მოშორებით კი დედოფალი იდგა და თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო:

- ასეთი არსებების ნახვას სიზმარში რამდენჯერ შევუძრწუნებივარ, მაგრამ ამათთან ახლოს ყოფნა უფრო საშიში და ამაზრზენი ყოფილა!.. გემუდარები, მითხარი, რა ხდება და რაზე ლაპარაკობენ ეს ბოროტი და ანჩხლი დედაკაცი და მისი გონჯი და ტლანქი ქმარი, - ახლა კი გადიის გასაგონად იკითხა მან.

- საქმე ეხება შენს ჩრდილს, შენს ჩრდილს! - დამაჯერებლად უპასუხა და რამდენიმეჯერ გაუმეორა გადიამ.

ამასობაში მღებარი ქალი საწოლიდან წამომდგარიყო და თავის სტუმრებს მოულოდნელად თავს წაადგა:

- ცბიერო და მატყუარა დედაბერო, აბა, რატომ არ მოდის ის, ვისზეც ამდენი მეჩიჩინე? - სხაპასხუპით მიაყარა ბრაზით აჭარხლებულმა ქალმა, - ხმა არ ამოგელება! კრინტი

არ დაძრა! კარგად ვხვდები, რაშიც არის საქმე - შენ იმიტომ გამოგზავნა, რომ, ეტყობა, თვითონ ბებერი და გონჯია! - გადიამ ხმა ვერ ამოიღო, ქალი კი განაგრძობდა: - გამოტყდი, გამოტყდი, რომ მოსყიდული შუამავალი და მატყუარა ხარ, რომ ეს ყველაფერ სიცრუე და თაღლითობაა, რითაც ცდილობ, თავბრუ დამახვიო და გონება ამირო! - გადია კვლავ დუმდა, - ეს ქოშიანი ფეხი უნდა ჩაგცხო მაგ ურცხვ ცხვირპირში! აი, მიიღე, ამისი ღირსი ხარ, გრძნეულო და ჯადოქარო! გინდა,

ვანის გავეყარო და უის შევეყარო? რატომ მაგრძნობინე ჩემი უიღბლობა და სიბედშავე? - წამოიყვირა მღებარმა ქალმა და მოხუც გადიას ფეხი კვლავ ღონივრად უთავაზა სახეში, - ვინ არის ნეტავ ის, ვინც შენისთანებს მიგზავნის? ეტყობა, სადმე ქუჩაში დამინახა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ხელში ჩავეგდე. ვიდრე გაგაგდებდე და კუდით ქვას გასროლინებდე, მითხარი და იმასაც ჰკითხე, რა უფლებით დამადგა თვალი! ისიც არ დაგავიწყდეს მოახსენო, რომ მღებრებს შორის ბარაკის ბადალი არავინაა და მეკურტნეებშიც ყველაზე ღონიერია.

გადია გაშეშებული იჯდა იატაკზე და, მართალია, თავი წამოეწია, მაგრამ, ჩანდა, განრისხებული დიასახლისისთვის სახეში შეხედვა მაინც ვერ გაეხდებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყმაწვილი ქალი მოხუცს დაეხსნა და მოწყვეტილივით ფეხათრეული იქაურობას გაეცალა, გადიამ თვალი გააყოლა მას და ძილ-ბურანში მყოფივით გონებადაფანტულმა სიცარიელეს შესწურჩულა:

- ო, მოწყალეო მზრძანებელო, ერთი შეხედე, როგორ მილასლასებს წყურვილით მისავათებული ქურციკივით!

- ჩემი ხელით დაგახრჩობ! - კვლავ წამოიძახა მღებარმა ქალმა, რომელსაც, ეტყობოდა, გადიის

ყველა სიტყვა გაეგონა. მაშინვე მკვეთრად შემოტრიალდა და ხმამაღლა დაუმატა: - ვის ელაპარაკები, ვის, გრძნეულო და ჯადოქარო? - ახლა მთლად გაფითრებულიყო და შეშინებულ ბავშვს ჰგავდა.

- ვის და იმას, ვინც გარეთ დგას, გულმხურვალე ღადადისით შენი სახლისკენ ხელები გამოუწვდია, ეხოს გალავანს თავს ურტყამს, თან დაუოკებელი წადილისგან, უიმედო მარტოობისა და სევდა-კაემნისგან ლამის ტანსაცმელი შემოიხიოს.

- მოდი ჩემთან, მოხუცო, მოდი! - სულ სხვა ხმით წარმოთქვა ქალმა, - მოდი, ოღონდ არ მომეკარო! - ამ სიტყვებით იგი საწოლზე ჩამოჯდა და გადიას ნება მისცა, მიახლოებოდა, - ვაი, ჩემს თავს! შენ ხომ ერთი ჩვეულებრივი მაშვალი ხარ, ჰოდა, ალაღბედზე, დაუფიქრებლად, მე ამირჩიე, რადგან ღარიბი და უმწეო ვარ, თან მთელი შენი ოსტატობა და უნარი გამოიყენე, მაგრამ ყველაფერს გაპატიებ, ყველაფერს, ოღონდ თავი დამანებე, წადი აქედან და შენი გოგოც თან წაიყვანე. აი, ეს არის, რაც მოვიფიქრე, როცა საწოლზე ვიჯექი და დიდხანსდუმდი. მე კი არ წამოგყვები და არც იმ კაცის ნახვა მინდა, ვინც შენ გამოგზავნა, იმიტომ, რომ ჯერ არც მინახავს და მასზე ფიქრი უკვე მომბეზრდა. დედამიწის ზურგზე ყველა ავხორცი ერთნაირია, მათი სურვილ-წადილი და თვითონ ისინიც მეზიზღებიან! - წარმოთქვა

ქალმა, თან ისე ჩაფიქრდა, თითქოს ყოყმანობსო და ოთახს თვალი მოავლო: - რა არეულ-დარეულობა და

უსუფთაობა იყო ამ სახლში; ყველაფერი მიგილაგებიათ და დაგიკრიალებიათ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, არც ჯამ-ჭურჭლის სისუფთავე და არც სხვა რამ ისევე არ ახარებს ჩემს გულს, როგორც წინათ. საპყრობილეზე უარეს მწუხარებასა და სევდაკაემანს მგვრის აქაურობა. შენ ხომ ჩემი ცხოვრების შავბნელ დროს მომეველინე, მომეველინე და ყურში რაღაც ჩამჭურჩულე, თან ბედნიერებასა და სიხარულით სავსე ცხოვრებას აღმითქვამდი, ეს კი ბინძური და ბილწი ტყუილია, რადგან მე არავითარი სიკეთე არ მელირსება, გარდა იმისა, რაც გამოვცადე და რაც გამაჩნია. პალოზე მიბმულ თხასავითა ვარ - დღედაღამ რომ ვიბღავლო, ყურსაც არავინ მათხოვებს. როცა მშვიდება, შიმშილს, ასე თუ ისე, ვიკლავ, ეს არის და ეს. დღე დღეს მისდევს, ღამე - ღამეს და ასე გადის ჩემი ცხოვრება, ვიდრე მე ბედკრულს შენსავით არ დამინაოჭდება სახე და თვალები არ დამეშრიტება, - ქალს ტირილი ყელში მოეხჩინა და სიტყვა ვეღარ გააგრძელა, მოწყვეტით ჩაიკეცა და იატაკზე დაეშვა. გადიამ ხელი შეაშველა. ქალმა თავი ვეღარ შეიკავა, ქვითინი წასკდა, ცრემლები ღაპალუპით წამოუვიდა. ამის შემყურე გადიას ისეთი სიხარული დაეუფლა, აღარ იცოდა, რა ექნა, მივიდა მტირალთან, საწოლზე წამოაწვინა, თან სახეზე ხელებს უსვამდა, ლოყებს უმშრალებდა, მერე კი ხელის თითები და მუხლებიც კი დაუკოცნა:

- ო, უზადლოვ და შეუდარებელო, შენ ხომ წმინდა ღვთიური საკმეველი ხარ, რომელიც ირგვლივ სურნელსა და ჯადოსნურ სინაზეს აფრქვევს, თან რა მკაცრი და მომთხოვნი ხარ საკუთარი თავის მიმართ!

- გუნდრუკს ნუ მიკმევ, არ მჭირდება ეს ყოველივე! - მისუსტებული ხმით შეესიტყვა ქალი, თუმცა მალე მოხუცის მკლავებში ცოტა მოღონიერდა და თითქოს გამხნევდა კიდევ.

- ეს არც ამბრია და არც სურნელოვანი ნარდა, - ბუტბუტებდა გადია, - ეს სურვილწადილის, მონატრებისა და იმედის სურნელით თავბრუდამხვევა!

- ნუ მეუბნები გრძნულ სიტყვებს და ნუ მაჯადოებ! - წამოიძახა შიშით შეპყრობილმა ქალმა, თან შეკრთა, აცახცახდა და თითქოს მოხუცისგან თავის დაღწევაც კი სურდა, მაგრამ მთელი ძალით მის ტანს შემოჭდობილ გადიას მკლავებს იგი საიმედოდ ეჭირათ.

- მშვიდად, მშვიდად, უზადლო და უზადლოო! რა თავბრუდამხვევი და დამატრობელი ხარ, შენი სურნელი ნარდზე ტკბილია, ვერავითარი ამბრი და ნარდი შენ ვერ შეგედრება. შენი შეხედვაც კი საკმარისია, რომ აღტკინებისა და სურვილის ცეცხლი ააგიზგიზო!

მღებარ ქალს კვლავ სურდა, მოხუცის ალერსისთვის თავი დაეღწია, მაგრამ, პირიქით, ებლაუჭებოდა გადიას ხელებს, არ ეთმობოდა. მრწოლისა და ხორციელი წადილის ამ მორევიდან მან ზემოთ, ცეცხლოვანი ჰაერისკენ აღაპყრო მზერა, საიდანაც თითქოს გამანადგურებელი და არაადამიანური ძალა ილტვოდა მისკენ. ქალს ღამის თავბრუ დაესხა და თვალებს ვეღარც კი ახელდა.

- ო, ჩემო მფარველო და მბრძანებელო! ახლა ხომ მაინც უძლებ მის გამოხედვას, როცა თვალები ეხუჭება და მზერა დაბინდული აქვს, - ჩურჩულებდა გადია და ქალის თავს ზემოთ სადღაც შორს იმზირებოდა.
 - ვის ელაპარაკები, ვის? იქ არავინ არის! - სიოს სუნთქვასავით აჩურჩულდა დიასახლისის ქალი და უნებურად მოხუცის მკლავებში ჩაიღვენთა, - ვის ელაპარაკები, ვის?
 - იმას, ვინც უკვე სულ ახლოსაა შენთან და ისე ესურვილები, რომ ჩამომძახის, წუთით მაინც დაგიხუჭო თვალები, რათა, როგორც კი გაახელ, შენთან გაჩნდეს და ფეხებზე გემთხვიოს.
 - რაო, რაო? თვალები დაგიხუჭოო? არამც და არამც! - წამოიძახა ქალმა, მოხუცის მკლავებიდან თავი დაიხსნა და ზეწამოიჭრა.
 - შენ აღასრულებ იმას, რაც საჭიროა! - მიმართა მას გადიამ ალერსიანად და შემპარავად, - კვლავ შენს სარეცელზე დაწვები... აი, ხომ ხედავ, უკვე წევხარ... ნება მომეცი, მოსასხამი გადაგაფარო, ჩემი გოგონა კი თვალებზე ნაზად შეგახებს ხელებს და დაგიხუჭავს. ასე, ჩემო ქალბატონო! შენ ხომ უკვე გადაწყვიტე შენი ბედი და არჩევანიც გაკეთებულია!
 - არა, არა, ეს არ მოხდება, მას ეს არ სურს, არა! - ჩურჩულებდა დედოფალი, თუმცა კი ხელები მღებარი ქალის სახესთან მიჰქონდა და გრძნეულებით თვალებს უხუჭავდა მას. ვიდრე იგი ამ განცდებში იყო, მოსახდენი მოხდა, ოთახის შუაგულში შორეთიდან მოვლენილი უცნობი არსება წამოიმართა. მოჰკრა თუ არა თვალი, დედოფალი მაშინვე მიხვდა, რომ მისი სახით იქაურობას კიდევ ერთი ძლიერი და ღონიერი მამრი მოვლენოდა, რომელიც ჩასაფრებული ნადირივით გაყურსულიყო და ხელსაყრელ წამს ელოდა მსხვერპლის მოსახელთებლად. დედოფალმა ეს უკვე ვეღარ აიტანა, უკან დაიხია და მღებარ ქალსაც ხელი შეუშვა. ქალი მაშინვე წამოჯდა. ელდანაცემი და შეშინებული ერთიანად კანკალს აეტანა. გადია მაშინვე მიეახლა გადამთიელს, ახალმოვლენილს, და თავი მიწამდე დაუკრა. მამრი დინჯად და აუჩქარებლად მშვენიერი მღებარი ქალისაკენ მიიწევდა. დედოფალმა უფრო მეტად დაიხია უკან, თუმცა კარგად დაინახა, რომ უცხოს ცალი თვალი მეორეზე დიდი ჰქონდა, ირგვლივ ნადირივით ბასრსა და მახვილ მზერას აფრქვევდა. დედოფალი იმასაც მიხვდა, რომ იგი ერთ-ერთი ეფრიტთაგანი იყო - კარგად იცოდა, ადამიანების მისაზიდად და მისატყუებლად ყველა ეფრიტს ნებისმიერი გამომეტყველების მიღება შეეძლო. ქალი მშვენივრად ხედავდა, ეფრიტი სულაც არ ჰგავდა გონჯს, პირიქით, მიმზიდველი და წარმოსადეგიც კი იყო, თუმცა კი ის დაუოკებელი სწრაფვა და შეუპოვრობა, რომელიც მამრის მოძრაობაში გამოსჭვიოდა, მას უფრო აუტანელსა და საზარელს ხდიდა, ვიდრე დედოფლისთვის აგრერიგად სამულველი ადამიანთა მოდგმის რომელიმე არსება. წარმოუდგენელმა ზიზღმა სულის სიღრმემდე შეძრა ქალი. კარგად იცოდა,
- რომ ეფრიტნი ცოცხალ არსებათა ირგვლივ ტრიალებდნენ, მათ სამყოფელს თვალს არ აშორებდნენ, თუმცა არც ერთ მათგანს დედოფალთან მიახლოება არასოდეს განუზრახავს. დედოფალი ფეხზე წამოდგა, მოძალებული ზიზღი და მძულვარება

დასძლია და ღირსებითა და კდემით გასხივოსნებული წელში ამაყად გასწორდა. გადიამ იგრძნო შვილობილის განრისხება, მისკენმარჯვედ გალივლივდა, ფრთხილად შეეხო და განზე გაიყვანა. ეფრიტი კი მღებარი ქალის წინ იდგა და თვალს არ აშორებდა მას; ეტყობოდა, ქალი მის მზერას ვეღარ უძლებდა, თვალები დაბლა დაეხარა და გამეშვებულს ჰგავდა.

- აი, თურმე სად ყოფილხარ! - წარმოთქვა მამრმა ისეთი უცნაური და დაბალი ხმით, როგორსაც დედოფალი ვერც წარმოიდგენდა და რომელშიც პირმოთნეობა და ფარისევლობა ლამის უდრტვინველ მორჩილებაში გადაზრდილიყო, - უბადლოვ და შეუდარებელო! შენ ხომ ის ხარ, ვინც მოუთმენლად მელის მე!

- როგორ თუ გელის? - გაისმა ქალის ხმა.

- შენ მდედრი ხარ, მაგრამ დღემდე შენს სიახლოვეს არ ყოფილა ისეთი მამრი, ვინც შენს სულსა და გულს ჩასწვდებოდა და ნამდვილ სიყვარულს მოგანიჭებდა.

ქალმა პირი გააღო, რომ პასუხად რამე ეთქვა, მაგრამ კრინტიც ვერ დაძრა. ამ დროს მამრი თითქოს გასრიალდა მისკენ, მიუახლოვდა, მუხლებზე ხელები დაადო. მისი მიხრა-მოხრა ერთსა და იმავე დროს ავაზისა და ქვეწარმავლის მოძრაობას ჰგავდა. დედოფალი შეძრა ამის დანახვამ.

- უშველე რამე, დაიხსენი ყმაწვილი ქალი ამ საზარელი ურჩხულისაგან! - წასჩურჩულა გადიას, - ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეზიზღება იგი?

- მიზანში მოახვედრო და სამიზნე არ დააზიანო, ეს ხომ წარმოუდგენელი სიმარჯვე და ოსტატობაა! - უპასუხა მოხუცმა ცივად. ამასობაში ეფრიტმა ქალს მაჯებზე ღონივრად ჩასჭიდა ხელები და აიძულა, მისთვის სახეში შეეხედა. ეტყობოდა, ეფრიტს მართლა ჩავარდნოდა გულში მშვენიერი მღებარი, რომელიც კვლავ ვერ უძლებდა მის ჯიუტ და დაჟინებულ მზერას.

- უთხარი, უთხარი, ასე ნუ მიყურებს! - წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა და თითქოს გაქცევაც კი დააპირა, მაგრამ მამრი მჭიდროდ ეკვროდა მას, რაღაცას ეუბნებოდა, თან მის სიტყვებში სიმკაცრე და მრისხანება ოსტატურად იყო გადახლართული პირმოთნეობასა და მამებლობასთან.

დედოფალს იქით გახედვა არ სურდა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა. თვალს ადევნებდა იმას, რაც ხდებოდა, თუმცა ნანახის აზრი მის გონებამდე ვერ აღწევდა. ამ დამთრგუნველმა სანახაობამ სული მთლად შეუხუთა.

- უნდა მოსცილდე აქაურობას, უნდა მოსცილდე! - ძლივს გასაგონად აჩურჩულდა იგი და არაქათგამოცლილმა გამხმარი საღებავი მცენარეებით სავსე ტომარაში ჩარგო სახე, - ისინი ხომ ერთმანეთისთვის არაფერს წარმოადგენენ, როგორ შეიძლება მათი ერთად ყოფნა?! რატომ გამმაგებით არ იცავს ქალი თავს?! ნეტავი გამაგებინა, რაზე ლაპარაკობენ, რაზე!

- რაზე და შენს ჩრდილზე! - არ დააყოვნა პასუხი მოხუცმა და სახე გაეხადრა.

- არა, არა, ეს ამ გზით არ უნდა მოხდეს, არ უნდა მოხდეს! - მიიჭრა დედოფალი გადიასთან და ლამის ყურში ჩასძახა მას.
 - დაწყნარდი, დაწყნარდი, ამ ქალმა ყველა და ყველაფერი აბუჩად აიგდო და ფეხქვეშ გათელა, ამიტომაც სურვილ-წადილის ცეცხლში უნდა დაიწვას და დაიბუგოს!
 - გემუდარები, აცდუნე რამით, ძვირფასეულობას, განძს შეჰპირდი, მდიდრული საჭმელიც ხომ
- უნდა, დიდ და მშვენიერ სახლზეც ხომ ოცნებობს, მონები და მოსამსახურეებიც სჭირდება; გაამდიდრე, აჩუქე, რაც სურს, ოღონდ ამისგან დაიხსენი, გემუდარები!
- მოღუნული ლურსმანი ჯერ კიდევ არ არის ანჯამა, მას კავიც უნდა მიემაგროს! - ენამოსწრებულად უპასუხა გადიამ. ამასობაში მღებარმა ქალმა თავი დაიხსნა და ფეხზე წამოდგა:
 - დამეხმარე, მოხუცო! მინდა, სადმე გადავიკარგო, რომ ამ არსებას დავემალო! რად მჭირდება ეს ვიღაც უცხო, რა მომხიბვლელი და მიმზიდველიც უნდა იყოს იგი?! გადია მყისვე მასთან გაჩნდა.
 - უბადლოვ და შეუდარებელო! დაგიახლოვდეს და დაგიახლოოს - აი ის, რაც მას სურს, რაც მას სწადია!
 - მის თვალებს, მის მზერას უნდა დავემალო! - წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა და მოულოდნელად ისე უცნაურად გასწია გადია განზე, რომ, რასაც ერიდებოდა, ის დაემართა - ეფრიტთან იმაზე უფრო ახლოს აღმოჩნდა, ვიდრე ცოტა ხნის წინ.
 - ჰკითხე ერთი, ჰკითხე, როგორ გამიბედა იმის თქმა, რასაც მთხოვს და რასაც ესწრაფვის! მას ხომ არც კი ვიცნობ! გამოჰკითხე, კარგად გამოჰკითხე! ის ხომ სათხოვარს მთხოვს ნდობის საწინდრად და იმის დასტურად, რომ დიდბუნებოვანი ვარ და არა სულმდაბალი!
 - ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება! იგი სავსებით მართალია! - წამოიძახა აღფრთოვანებულმა გადიამ და ეფრიტს თვალი თვალში გაუყარა, - და ის, რომ რამდენიმე წუთის წინ მას არც კი იცნობდი, უფრო მეტად შეგაძლებინებს, დიდსულოვნება წარმოაჩინო! სწორედ ამიტომ მოხდა, რომ გულმა გული იცნო, თქვენ შორის იდუმალი ძაფი გაიბა და თუ ვინმემ შენ სხვა რამ ჩაგინერგა, სხვანაირად გასწავლა - მისი მიზანი მხოლოდ შენი მოტყუება და ცდუნება ყოფილა, ჩემო უზადოვ და უბიწოვ!
 - სწორედ ასეა, სრული სიმართლეა! - ჩაერია ეფრიტიც, მაგრამ გადიამ ანიშნა, ჩუმად ყოფილიყო, რადგან რაღაც ხმა შემოესმა და სმენად იქცა:
 - აბა, მიჯნურნო, ახლა განშორდით ერთმანეთს! მღებარის ფეხის ხმა მესმის, იგი სახლს უახლოვდება, მოდის მხიარული და ხალისიანი, ხელში სავსე თიხის ლანგარი უკავია!

დედოფალმა გაიგონა გადიის ნათქვამი და სიხარულით გული შეუტოკდა, თან ერთი სული

ჰქონდა, როდის შემოიშრებოდა ღონიერი და მძლავრი არა უცხო, არამედ შინაური მამრი, მღებარი ბარაკი.

„რატომ აქამდე არ შემოგლიჯა კარი და არ შემოიჭრა?“ - გაიფიქრა მოუთმენლად დედოფალმა და თავი წამოსწია.

უცებ გარედან არაკეთილხმოვანი და არეულ-დარეული სიმღერა შემოესმა. გადია მიუახლოვდა შვილობილს, მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და მიმართა:

- მარდად, მარდად მიდი და უთხარი, რომ დროა, დასცილდნენ ერთმანეთს, დღეისათვის საკმარისია

ამასობაში ეფრიტს მშვენიერი მღებარი ქალისთვის წელზე ხელი შემოეხვია და ეტყობოდა, მისი შორს წაყვანა გადაეწყვიტა, თან საშიშროების მოახლოებასთან ერთად მასში დაუოკებელ-დაუდგრომელ კადნიერ სითამამეს ერთიორად ეჩინა თავი; მზად იყო, თავისი ძვირფასი ნადავლი მომხდურთათვის ხელიდან გამოეგლიჯა და მათ ზემოთ, ჰაერში აეტაცა. ეს ბოზოქარი და გაბედული შემართება უფრო მომხიზლავსა და მიმზიდველს ხდიდა მას.

დედოფალი წინ გადაუდგა ეფრიტს. ამწუთას იგი გამბედაობითა და ღონით მამრს თითქმის აღარც კი ჩამოუვარდებოდა. ისეთი აღტკინება და ძალთა მოზღვაება იგრძნო, რომ მღებარ ქალს ხელები ღონივრად შემოაჭდო გამოსახსნელად. მამრმა თავი მისკენ მიაბრუნა და დედოფალმა ეფრიტის ცეცხლივით მოგიზგიზე სახე დაინახა, რომელზეც ორი სხვადასხვა ზომის თვალი დაუკმაყოფილებლობისა და ვერდაუფლების გრძნობით სავსე წყვილ მორევს მიუგავდა. თავზარდამცემმა, საზარელმა შიშმა მოიცვა მისი სული. ეს იყო შიში არა საკუთარი თავის, არამედ ახალგაზრდა მღებარი ქალის გამო, რომელიც ბოროტი დემონის ხელში იტანჯებოდა - ეფრიტს ხომ მშვენიერი მღებარი მთელი ძალით ჰყავდა ჩაბლუჯული და მათი სუნთქვა მალე ერთმანეთს უნდა შერწყმოდა. დედოფალმა გადაწყვიტა, ქალისთვის ხელები მოეხვია, თავისკენ მიეზიდა და მამრისთვის მოეცილებინა, მაგრამ იმაზე არც უფიქრია, რომ ეს იყო ადამიანთა მოდგმის ის პირველი არსება, ვისაც ასე ახლოს უნდა მიჰკარებოდა.

დედოფალმა მოახერხა მღებარი ქალის გამოხსნა, რომელიც მის მკლავებს მიესვენა და ჩაიღვენთა; მისი თვალები, გარდა ეფრიტისა, ვეღარაფერს ხედავდა, - ჩანდა, მამრს საბოლოოდ დაეპყრო ქალის გული. მრწოლამ აიტანა დედოფალი. თითქოს ისიც კი დაავიწყდა, თვითონ ვინ იყო ან აქ როგორ მოხვდა. ჩვეულმა, კარგად ნაცნობმა სისუსტემ და უძალობამაც თავი შეახსენა, ახალგაზრდული ცხოველმყოფელობა და მხნეობა სადღაც გაუქრა, პირველად თავის სიცოცხლეში თითქოს გონებაც კი ღალატობდა, აზროვნება აღარ ემორჩილებოდა, მშველელს

ეძებდა და სულის სიღრმეში აღტკინებით და თავგამოდებით უხმობდა ბარაკს. მალე შემოესმა კიდეც, მღებარი ნაბიჯ-ნაბიჯ როგორ უახლოვდებოდა სახლს. იგი ოთახში შემოიშრათა - ხმაურიანი, ხალისიანი, მღელვარებისგან სახეაწითლებული, დიდი

ამალითურთ, ხორაგით სავსე. ხელში უზარმაზარი თიხის ლანგარი ეკავა, რომელიც გემრიელი და სურნელოვანი სანოვაგით იყო სავსე. რა არ ეწყო იმ საუცხოო ლანგარზე! ვაზის ნორჩ ფოთოლში გახვეული ბრინჯიანი ქათამი, ფსტიანი გოგრა, მწნილეული, მუჟუჟეული და ათასგვარი საუზმე. ბარაკთან ერთად ოთახში შემოჭრას ცდილობდა ყვავილების გვირგვინით თავშემკული და პირში პატარა საყვირგაჩრილი უმცროსი ძმა. ცალხელა ძმა დოქს მოათრევდა, ცალთვალას კი ზურგზე ის გატყავებული ბატკანი მოეგდო, რომელიც წინადღეს მღებარის სახლისკენ მიმავალმა გადიამ და დედოფალმა დაინახეს. პირუტყვის ღიად დარჩენილმა უწყინარმა თვალებმა სულის სიღრმემდე შეძრა დედოფალი. ამასობაში კი საყვირის ხმასა და გემრიელი საჭმლის სუნზე უამრავ ბავშვს მოეყარა თავი. მათ მშიერი და მსუნაგი ძაღლებიც ასდევნებოდნენ და ყველანი, მოლოდინით შეპყრობილნი, კარს უთვალთვალებდნენ. მალე საწადელიც აუსრულდათ და ოთხფეხნიც და ორფეხნიც შიგნით შეიჭრნენ. ეფრიტი აღარსად ჩანდა - იგი თვალის დახამხამებაში გამქრალიყო. მხოლოდ ფარდები ირხეოდა, ხოლო ერთ ადგილას თითქოს კედელი გარღვეულიყო და რამდენიმე აგური ადგილიდან დაძრულსა და მორყეულს ჰგავდა. გადიამ კმაყოფილებისა და სიამოვნებისგან ხელი ხელს შემოჰკრა, თან მორჩილების ნიშნად დიასახლისს პირმოთნედ და ფარისევლურად ლამის მიწამდე დაუკრა თავი.

არაქათგამოლეული და გონმიხდილი მღებარი ქალი კი ვერც ქმარს ხედავდა, ვერც მაზლებს - თავის გარშემო ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა; მის ძარღვებში სისხლი დგაფუნობდა, გული უკვნესოდა და თითქოს სუნთქვაც ახრჩობდა. ბოლოს, წელში გასწორდა და, როგორც იქნა, საკუთარ სულსაც მოუხმო, რომელიც თითქოს მის სხეულს განრიდებოდა და ქალი ბედის ანაბარა მიეტოვებინა.

მისი სახლისთვის ასეთი უცხო და უჩვეულო სანოვაგით, ნაირ-ნაირი ნუგბარით ხელდამშვენებული მიამიტი ბარაკი ისე იყო შეპყრობილი გულწრფელი ბედნიერებისა და სიხარულის განცდით, რომ ცოლის შემფოთება და ძრწოლა არც კი შეუმჩნევია.

- აბა, ამაზე რას იტყვი, ჩემო დედოფალო? როგორ მოგწონს ეს ნამზადი? - შესძახა ძაღლში, ომახიანი ხმით, თუმცა მაშინვე შეამჩნია, რომ დამუნჯებული ქალი ქვასავით დუმდა და ფართოდ გახელილი თვალებით ქმარს მოჩვენებასავით მისჩერებოდა. კაცმა იფიქრა, გაკვირვებისა და მოულოდნელი სიხარულისგან ენა წაერთვაო და ცოლის გამხიარულება სცადა.

- აბა, ძმებო, მოჰყევით, როგორ გვეხერხება ყველაფრის ყიდვა; იმასაც მოჰყევით, ყასაბსა და ბაყალს როგორ ვევაჭრებოდით!

- აბა, ყასაბო! ეგ ხბოს ხორცი ჩამოგვიჭერი! - ამოიღიღინა კუზიანმა.

- ბატკნის ხორციც გვჭირდება და მთელი მამალიც მოგვაწოდე! - დაუმატეს ცალთვალამ და ცალხელამ.

- მემწვადევ, აბა, მწვადებიანი შამფური ჩვენკენ! - წამოიძახა ყველამ ერთად, ხოლო ცალხელამ წინსაფრის ქვემოდან დაბრაწულმწვადებიანი შამფური გამოადგრინა.

- აბა, მემწვადევ, მწვადი ჩვენკენაც! - მხიარულად აყიჟინდნენ სახლში შემოჭრილი ბავშვები.
- ისიც მოჰყევით, ღვინო და მისაყოლებელი საუზმეული როგორ ვიყიდეთ! - ყველაზე ხმამაღლა და მხიარულად გაჰყვიროდა ბარაკი.
- აი, რას ვიძახდით: „ხაბაზო, აბა, ჩქარა მოგვაწოდე ცხელი პური!“ - მაშინვე აჰყვნენ ბარაკს ძმები, - „აბა, ღვინოც მოგვაწოდეთ, წვეთი წყალი არ გაურიოთ, სანდო ღვინის ყიდვა გვინდა!“
- აი, ასე ვიყიდეთ ყველაფერი! - როხროხებდა ბარაკი და სიხარულისგან აჭარხლებული ირგვლივ ყველას შესცინოდა, მერე ცოლთან მივიდა, თავისკენ მიიზიდა და სახე და კისერი

დაუკოცნა. გადია მაშინვე მათთან გაჩნდა, სიცილისგან მუცელი ხელით ეჭირა, მაგრამ მაინც ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა, უნდოდა, ყველაფერი დაენახა და გაეგონა. ბავშვებს დაუცაცხანა და აქეთ-იქით მიყარ-მოყარა, რადგან ყველას ფეხებში ედებოდნენ, ყველგან დაძვრებოდნენ, დიდ ლანგარშიც კი ხელებს ყოფდნენ და შიგ გაუთავებლად იქექებოდნენ, ანთებულ კვარს იტაცებდნენ, გატყავებულ ბატკანთან მიჰქონდათ და კანს უწვავდნენ. კუზიანი ცალი ხელით პატარა საყვირზე უკრავდა, მეორით კი სხვებთან ერთად ბატკნის შამფურზე წამოგებას ცდილობდა. ცალთვალა პირმომტვრეულ თიხის ჯამებს ღვინით ავსებდა და თან ქვემოდან პირს უშვერდა, რომ ძირს წვეთიც არ დაღვრილიყო. ამასობაში ბარაკი უზარმაზარი ლანგრის წინ იატაკზე ჩამომჯდარიყო, ცოლი მუხლებზე დაესვა და გაუთავებლად ეაღერებოდა, საუკეთესო საჭმელს ურჩევდა, პირში ატენიდა და თავისკენ იზიდავდა, ეხვეოდა და დროდადრო კოცნიდა კიდეც. კაცი ვერც კი ამჩნევდა, რომ ცოლს ლუკმა ყელში არ გადასდიოდა, ქმრის ხვევნა-კოცნასა და ალერსს ვერ გრძნობდა, ნუგბარს უხალისოდ ჭამდა და თან მკვდრისფერი ედო. ბარაკი დროს არ კარგავდა - ირგვლივ შემოჯარული ბავშვების გამასპინძლებაც დაიწყო, საკუთარ თავზე აღარც კი ფიქრობდა, მხოლოდ იკიკნებოდა.

- აბა, ხაბაზო, პური გვჭირდება, ჩქარა გამოგვიცხვე, ჩქარა! - ახლა ბავშვები აყვირდნენ და თან ცალთვალასა და ცალხელას გამომწვევად მიაცქერდნენ.
- იგ, რა საჭმელები ვიყიდეთ, აი, ეს მესმის! თურმე რა კარგად გვეხერხება ვაჭრობა! - ჩაიმღერა კუზიანმა, თან ყველას აჯობა და თავისი გრძელი ხელებით ლანგრის შუაგულში საუკეთესო, ხელუხლებელ ულუფას მისწვდა, - ო, რა წყალობის თვალთადად მოგვხვდა ზენაარმა, რა ბედნიერი დღე გაგვითენდა! - თითქოს ამოიმღერა ბარაკმა თავისი გუგუნა ხმით, თავისუფალი ხელით ყველაზე პატარა ბავშვი აიყვანა, ამასაც არ დასჯერდა, მეორესაც მოჰკიდა ხელი, ტანსაცმელზე ჩაეჭიდა და ისე, რომ მათთვის არაფერი ევნო, მოხერხებულად და ფრთხილად ორივე კალთაში ჩაუსვა ცოლს, თან, სიამოვნებისგან გაბადრული, სიცილს მოჰყვა. ქალმა კი მოულოდნელად მუხლები აზიდა და პატარები კალთიდან ისე უხეშად გადმოყარა, რომ ისინი ცეცხლისკენ გადაცვივდნენ. მერე ბარაკს ჰკრა ხელი. კაცი წაბარბაცდა, ლანგარს ფეხი წამოჰკრა და ნამტვრევებად აქცია. მოზრდილმა ბავშვებმა ტირილი მორთეს, ეცნენ ცეცხლში ჩაცვნილ პატარებს და სასწრაფოდ ამოათრიეს, ცალთვალამ კი ლამის

ყველას აჯობა - თუკი რამ საჭმლის გადარჩენა შეიძლებოდა, წამოკრიფა, მოაგროვა და შეინახა. გადიამ ბატკანს და შამფურს თავი მიანება და ბარაკის ცოლთან მიიჭრა, რომელიც მუხლებზე დაჩოქილი, პირდაღმა დაცემულიყო და ხელებს ჰაერში ასავსავებდა, თან მკერდიდან გულის გამგმირავი ყვირილი ამოსდიოდა. გადიამ და მისმა შვილობილმა სასწრაფოდ საწოლთან მიიყვანეს აცახცახებული და აკანკალებული ქალი. ბარაკი მათ არ შორდებოდა, მაგრამ ცოლთან მიკარებას ვერ ბედავდა. იგი კვლავ ცეცხლისკენ მიბრუნდა და, შეცბუნებულმა და დაბნეულმა, მიმოფანტულ სანოვაგეს გაუბედავად დაუწყო თვალიერება, მერე საწოლთან მიიჭრა, აკანკალებულ ქალს მიუახლოვდა და ფრთხილად შეეხო.

ქალი ცახცახებდა და რიყეზე გამორიყული თევზივით აქეთ-იქით აწყდებოდა. ქმარმა გაიფიქრა, ალბათ მოიწამლაო, თუმცა ახლა ფიქრის დრო არ იყო. მან გადიას საბანი მიაწოდა, მისი ცოლისთვის რომ დაეფარებინა, ბავშვებიც და ძმებიც სახლიდან გაყარა, შამფურს მიუბრუნდა და ბატკანი წაამრო თუ არა, ირგვლივ შემწვარი ცხიმის მძაფრი სუნი დატრიალდა. ამასობაში ქალი ცოტა დაწყნარდა და მართალია, მთელი ძალით აღარ ყვიროდა, მაგრამ ისევ შფოთავდა და ბორგავდა. როგორც კი ქმარს თვალი მოჰკრა, მზერა მოხუცზე გადაიტანა და შესძახა:

- წამიყვანე შორს, რაც შეიძლება შორს, რომ ამ კაცის სახე აღარასოდეს დავინახო!

მოხუცმა გადიამ სამი თითი გაფარჩხა, ერთი ისევ ჩამალა და დანარჩენი ორი ქალს მალულად დაანახვა. ახალგაზრდა ქალმა თვალეები დახუჭა, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო. ბარაკს არ ესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ ქალები, მაგრამ იმას კი ხედავდა, როგორ ეჩურჩულებოდა გადია მის ცოლს და რა გაჭირვებით ამოდრავებდა ეს უკანასკნელი გაშეშებულ ტუჩებს, თან ილაჯგაწყვეტილი და ქანცმილეული რაღაცას პასუხობდა. ჩანდა, ძლიერი განცდების შემდეგ თანდათან წყნარდებოდა, თვალეები ელულებოდა და სიმშვიდეც ეუფლებოდა.

ამასობაში კი, მესამე დღის მიმწუხრზე, ერთი ღრმა ტაფობის ფერდობებზე კაიზერი თავის ამაღასთან ერთად ნადირობდა. ტაფობი თანდათან ვიწროვდებოდა და ისეთ ღრმა და ციცაბო

უფსკრულს ემსგავსებოდა, კაცი თვალს ვერ ჩააწვდენდა. ქვემოთ, სიღრმეში, აქაფებული მდინარე გუგუნებდა და დგაფუნებდა, ზავითა და ზათქით ფრიალოებს ეხეთქებოდა და გზას ისე მიიკვლევდა. თვალუწვდენელ ხევზე მაღალი ქვის ხიდი გადაჭიმულიყო, ხოლო ხიდს გადაღმა ერთი ეული სოფელი მოჩანდა. კაიზერმა ხიდი ჭენებით გადაიარა, სოფელს მიუახლოვდა და ერთ შუკაში შეჩერდა. მხლებლები ჩამოქვეითდნენ და ელოდნენ, როდის ინებებდა კაიზერი ცხენიდან ჩამოხდომას. ამაღას ორი დიდებული გამოეყო, მასთან მიიჭრა, აღვირ-ლაგამი დაუჭირა, მაგრამ მან გრძელი და ნატიფი ხელის დინჯი მოძრაობით შეაჩერა ორივე და აგრძნობინა, რომ ჩამოქვეითებას არ აპირებდა. უჩვეულო სანახაობის მოსაწყობად მომზადებული ტაკიმასხარა კი შორიახლოს იდგა და ხელსაყრელ დროს ეძებდა, რათა სოფლის შესაფერისი მდაბიური ოინზახობა და თვალთმაქცური თამაში წამოეწყო, კაიზერისთვის ეამებინა და მისი სევდა-კაემანი გაექარვებინა. უცებ ხუმარა განზე გაიჭრა, თითქოს გაუჩინარდა, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა, თან ერთი მოხუცი

კაცისთვის გაყვითლებულ ჭაღარა წვერში ხელი ჩაეწყო და კაიზერისკენ მიათრევდა. მოხუცი ვერ ეურჩებოდა და უსიტყვოდ მიჰყვებოდა.

- აბა, აბა, აქეთ მოდი, წყეული სოფლის მიხრწნილო ბებრუხანავ, პირქვე დაემხე და აღიარე, რომ ამ მთიანი სოფლის მცხოვრებნი შევარდნის საქვეყნოდ ცნობილი, ყბადაღებული ქურდები ხართ, ყველას უზადოდ გეხერხებათ საკუთარი ხელით უწყალოდ და შეუბრალებდად

დაბრმავებული და მზერაწართმეული ჩიტით შევარდნის მიზიდვა და მიტყუება. ხარბებო და გაუმაძღრებო! დედის მუცლიდან დაგყოლიათ ქურდულად ცხოველების ხოცვის ნიჭი და შევარდნით ნადირობაშიც ხომ გვარიანად ხართ გაჩაფულნი! ღმერთო, ნუ მიწყენ და კაიზერის წითელი შევარდნის ხელში ჩასაგდებად მშობელ დედასაც კი გაწირავთ, ცოლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თქვენი ქალები თქვენზე ნაკლებნი როდი არიან - ბელურაზე გაწვრთნილი ქორისთვის სულს გაყიდნან!

შეშინებული და ელდანაცემი მოხუცი თვალების ხამხამს მოჰყვა, ეს აურზაური სიმართლე ეგონა და ყველაფერი დაიჯერა, სიკვდილის შიშმა აიტანა, მავედრებელი მზერა ზეცისაკენ ისე აღაპყრო, თითქოს ღმერთს შველას სთხოვს და მას თავის სიმართლეს უმტკიცებსო; ამავე დროს თვალწინ წარმოუდგა მოკვეთილი და დასახიჩრებული საკუთარი ხელები, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ტაკიმასხარას მკახე ხმამ და შეუბრალებელმა მოპყრობამ სულ მთლად მოცელა და ძირს დასცა. მოხუცი მუდართა და ვედრებით შეჰყურებდა მის წინ ცხენზე ამაყად ამხედრებულ დიდგვაროვან მონადირეს, რომელიც ქანდაკებას ჰგავდა, არ იძვროდა და ზედაც არ უყურებდა იმას, ვინც, სასოწარკვეთილი და ხელებაპყრობილი, უნუგეშოდ მოთქვამდა:

- ვაი ჩემს თავს, აქვე დავბრმავდე და მზის სინათლე აღარ ვიხილო, თუ რაიმე ვიცოდე! ჩვენ ხომ ბეჩავი მწყემსები ვართ, ნადირობისა არაფერი გაგვეგება და შევარდნის ყვავისგან ვერც კი გავარჩევთ!

ამ დავიდარაბაში მოხუცმა თავი ვეღარ შეიკავა, ჰაერში ხელები გაასავსავა, თან ცხენისაკენ ისე გადაქანდა, რომ ოთხფეხი ყალყზე შედგა და მხედარი კინაღამ ძირს დაანარცხა, მხედარმა კი, იმის მაგივრად, რომ ცხენი დაემოშმინებინა, სასწრაფოდ მკერდზე იტაცა ხელი - უბეში საგულდაგულოდ ჰქონდა შენახული დედოფლის გზავნილი უსტარითურთ; როცა დარწმუნდა, ძვირფას გზავნილს საფრთხე არ ემუქრებოდა, მხოლოდ მერე ამოსდო ცხენს ლაგამი და დააშოშმინა.

ტაკიმასხარა სახეში მიშტერებოდა კაიზერს, ცდილობდა გაემხიარულებინა და ქება დაემსახურებინა, მაგრამ ამაყი დიდგვაროვანი მას ზედაც არ უყურებდა და ძილბურანში მყოფი არწივივით სადღაც შორეთში თვალგაშტერებული იმზირებოდა.

* * *

შუადღე კარგა ხნის გადასული იქნებოდა და მონდბერგის შვიდივე მთის წიაღში ჰაერი ისე უზადოდ გამჭვირვალე და კამკამა იყო, რომ კაიზერმა შორითი შორს მდინარის მოწანწკარე სათავეც კი გაარჩია, რომელიც ციცაბო კლდეზე სულ ზემოთ მცირე და წვრილ ჩანჩქერად მაფივით გადმოკიდებულიყო, მერე კი, თითქმის მაშინვე, პატარა წარაფში უგზო-უკვლოდ იკარგებოდა, რათა საკმაო მანძილის გავლის შემდეგ არემარეს წყალუხვ მდინარედ მოვლენოდა. ეს ის მდინარე იყო, კაიზერის ფეხქვეშ, ხეობის სიღრმეში, ზათქითა და ზავითით თავაშვებული რომ მოთარეშობდა. მონადირე-კაიზერის მახვილმა და ფხიზელმა მზერამ ციცაბოს შეფენილ ტყეში, ერთერთი ყველაზე მაღალი ხის კენწეროზე, შევარდენიც შეამჩნია. ღონიერ ფრინველს ბასრი კლანჭებით რომელიღაც ჩიტო ჩაებლუჯა და შეუბრალებლად კორტნიდა. კაიზერმა ბაზიერთუხუცესი იხმო და თვალთ იმ სანუკვარ ხეზე ანიშნა, რომელზეც შევარდენი მოკალათებულიყო. ბაზიერს თავისი დაშორიშორებული თვალებით, მაგრამ კაიზერზე არანაკლებ ფხიზელი და თვალმარდი მზერით შევარდენი კარგა ხანია შეემჩნია და ფიქრობდა, რა ექნა, თუ ამ სიშორეში ჩადირულ ხეზე შემომჯდარი უზარმაზარი ფრინველი სულაც არ იყო ის, რომელსაც ისინი ეძებდნენ და რომლის პოვნა და მიტყუება მისი მთავარი ამოცანა და უმაღლესი დანიშნულება იყო. ამასობაში ბაზიერს ცხვირზე საიმედოდ მოკალათებული გარდიგარდმო ნაჭრილობევით გადაბასრული ღაჟღაჟა სახე მთლად ჩაუმუქდა და ჩაუშავდა,

დარცხვენილმა დამნაშავესავით თავი გვერდზე მიაბრუნა, რათა თავისი ბატონისთვის თვალი აერიდებინა. დანაღვლიანებული და სევდა-კაემნით შეპყრობილი კაიზერი ბაზიერისკენ დაიხარა და მიმართა:

- საკუთარი სიცოცხლით აგებ პასუხს! უნდა იპოვო და დააბრუნო ჩვენი წითელი შევარდენი!

ბაზიერი ვერ ბედავდა, მბრძანებლისთვის სახეში შეეხედა. მას კაიზერის მკერდისთვის მიეპყრო მზერა, სულმთლად გაფითრებულიყო და დაშორიშორებულ თვალებში შიში და ძრწოლა ჩაბუდებოდა. უცებ ადგილს მოსწყდა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა. მალე მხლებელს ორი ჯორცხენა მოაყვანიან, თავისთვის ერთი ტყავისა და ერთი ბეწვის მოსასხამი გაიმზადა, ქამარზე ორი ტყავის ჩანთა ჩამოიკიდა, რომელთაგან ერთ-ერთს საჰაერო ხვრელი ჰქონდა გაკეთებული და გალიას ჰგავდა. კაიზერი ცხენიდან ჩამოხდა, ჯორს შემოახტა ისე, რომ უზანგს არ შეხებია. ბაზიერმა მეორე ჯორცხენას მიაშურა, მაგრამ უნაგირამდე ძლივს მიაღწია, დამბლადაცემულს ჰგავდა და ხელ-ფეხს ვეღარ იმორჩილებდა. თავისი ბატონისა და პატრონის მრისხანებასა და ძნელად ასახსნელ, გაუგებარ მუქარას დაეფრთხო და მასთან მარტო დარჩენისა ეშინოდა. იგი უნაგირზე უილაჯოდ შეტრიალდა და შენიშნა, რომ მეჯინიზე უხმობდა ერთ-ერთ ყმაწვილს იმ ხელქვეით მხლებელთაგან, რომლებიც მას ემსახურებოდნენ. ბაზიერმა, თითქოს ამას ელოდაო, თავისი მოსასხამები ბიჭისკენ მოისროლა.

ყმაწვილი გაფაციცებული იყურებოდა, მაშინვე მესამე ჯორს მოახტა და ორივე მხედარს ჩორთით მიჰყვა უკან. მან ხომ თავისი ეშმაკობითა და მოხერხებულობით

შემლო, ხელის ბიჭებს შორის მოხვედრილიყო და მათ შერეოდა, რათა ამ დიდგვაროვანთა ნადირობის მონაწილე გამხდარიყო. ჰოდა, აი, მის ოცნებას თითქოს ფრთა შეესხა; ბიჭის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და ბედნიერებისაგან თვალები უბრწყინავდა.

ყველანი ერთიმეორის მიყოლებით უბრად და უსიტყვოდ მიჯირითობდნენ ციცაბო ფერდობზე. გზა მაღლა და მაღლა მიიწევდა. პირუტყვი დაუბრკოლებლად და თავისუფლად მიაბიჯებდნენ შიშველ და კრიალა ლოდებსა და მიწიდან ამოშვერილ ხის ფესვებზე. მხედრები კი ცალი მუხლით ლამის უფსკრულის ციცაბოზე ეკიდნენ, ხოლო მეორით სუროს ეხებოდნენ, რომელიც შავ პიტალო კლდეს საფარველივით შემოჰკვროდა. პატარა ფრთოსნები თავიანთი ბუდეებიდან დამფრთხალნი და შემინებულნი იმზირებოდნენ, თვალის დახამხამებაში იცვლიდნენ ადგილს, მხედრების სიახლოვეს დაფრინავდნენ, ლამის პირისახესა და მკერდზე ეხეთქებოდნენ, თუმცა თავგამოდებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდნენ მათ სამყოფელში შემოჭრილებს. კაიზერს ბაზიერი მიჰყვებოდა უკან, ფეხდაფეხ მისდევდა, თან მის ზურგსა და კისერს დაჟინებით მისჩერებოდა და თვალს არ აშორებდა. ეჩვენებოდა, რომ კაიზერის თითოეული მოძრაობა, მიხრა-მოხრა და მთელი გარეგნობა სიმტკიცესა და უმოწყალობას, შეუდრეკელობასა და შეუვალობას გამოხატავდა. მალე სამივე ციცაბო კლდეს

თავზე მოექცა. კაიზერი ჩამოქვეითდა. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ბიჭუნას, რომელიც ველურ კატასავით მკვირცხლად ჩამოხტა ცხენიდან და ნეტარებისა და სიხარულისგან აღარ იცოდა, რა ექნა, თან უდიდესი სიამაყე დაუფლებოდა, რადგან ამ დიდებულ და გამორჩეულ ადამიანთან მარტო დარჩენა ელოდა. ბაზიერი სადღაც უჩუმრად გამძვრალიყო, ბალახებში ჩამალულიყო და ცას თვალს არ აშორებდა. კაიზერი კი ქვემოთ, ხეობისაკენ იცქირებოდა და საოცარი სანახაობისთვის თვალი ვერ მოეწყვიტა. ხეობიდან ამოშლილი მოლურჯო ნისლი არემარეს ეფინებოდა. ბევრგან ჩანჩქერსაც გადმოეხეთქა. ფერდობები ჩამუქებულ ტყეს დაეფარა. სულ ზემოთ კი ისეთი სიშიშველე და სიცარიელე იყო, თითქოს ყველაფერი ძირფესვიანად ამოეძირკვათ. სადღაც, სიშორეში, თვალსაწიერის მიღმა, ერთმანეთს გადაჭდობოდნენ ფრიალო და ციცაბო კლდეები, რომელთა შორის ორი ერთნაირი კი არ მოიძებნებოდა, მაგრამ ყველა ერთნაირად ელვარე და კისკასი, ისეთი უზადო და მშვენიერი იყო, როგორიც ასო-ნიშნები დედოფლის უსტარში. აქაც არ ჰგავდა არც ერთი მეორეს, მეტიც - საწყისიც კი არსად ჩანდა. მთლად ხორციელ ურთიერთშერწყმას დაესადგურებინა, რადგან ბოლო ისე შერწყმოდა პირველს, თითქოს უნდა, რიდისა და კრძალვის გამო შესიტყვებასა და შეხმიანებას თავი აარიდოსო. დედოფლის უსტარი ერთ ადამიანს ეკუთვნოდა და მხოლოდ მას უნდა წაეკითხა. წერილიდან ისეთი თავბრუდამხვევი და მომნუსხველი სურნელი იფრქვეოდა, რომლის მსგავსიც არასოდეს ეგრძნო, და ცხოველმყოფელი და მაცოცხლებელი ძალით უშურველად მოსდებოდა ამ მთებსა და ველებს, ხევებსა და ღარტაფს.

მოგონებებმა მოიცვა კაიზერის სული და უნებლიეთ თვალებიც კი მიელულა. ყმაწვილმა ამ დროს მის სახეზე ისეთი ღმობიერება და კეთილმოსურნეობა

ამოიკითხა, რომ მოზღვავებულმა სიამოვნებამ თავიდან ფეხებამდე დაუარა. მალე ოლეს მიუახლოვდნენ, ხშირ ტყეს შეერივნენ და ერთ გუბურას მიადგნენ.

ბაზიერი ჩამორჩა. იგი მოუსვენრობას შეეპყრო, თავი მაღლა აეწია და უკვე მერამდენედაკვირდებოდა ცას, სადაც დღის სინათლე ჯერ არ ჩამქრალიყო, თუმცა კარგად ჩანდა მთვარის სხივი, რომელსაც უკვე გაეკვეთა კიდეც ცის კაზადონი. ბაზიერი გაშეშებულივით იმზირებოდა და ხედავდა, ყველაზე მაღალი მონდბერგის ორ კბოდესა და ციცაბოს შორის ნელ-ნელა როგორ ჩადიოდა დღეგამოვლილი და ქანცგაწყვეტილი მზე, როგორ გააპო ჩასასვლელად გამზადებული მზის ჩამუქებულმა უკანასკნელმა სხივმა ზემოთ ცა და ქვემოთ უფსკრული, ნაპრალებიდან კი ჩამუქებული ღრუბლები გველივით ამოიკლანა. ბაზიერი ოხრავდა და წუხდა, თუმცა სასო არ წარუკვეთია, რადგან ძალას მატებდა და ასულდგმულებდა ხვალინდელი დღის იმედი; ამიტომაც მოუთმენლად ელოდა მეორე დღის დადგომას, თან ცდილობდა, ყველაფერი ისე მოეგვარებინა, რომ არაფერი გამორჩენოდა. მან სასწრაფოდ გახსნა ქამარზე მიმაგრებული ტყავის ჩანთა და იქიდან წითელი ჩიტი ამოიყვანა. ჩიტი თავგამოდებით უმალიანდებოდა, ხელს არ აკარებინებდა. კოპებშეკრულმა და დადარდიანებულმა ბაზიერმა ჩიტი ტყავის ღვედით ერთ ეკლიან ბუჩქზე მიაბა და მიმართა:

- აბა, შენ იცი, შეუდექი საქმეს, ყველა მახვილ თვალზე ბასრი და გამჭრიახი შენი შიშია, მოუხმე და მაპოვნინე ის, რასაც ვეძებ და რასაც მოუთმენლად ველი, თორემ ჩემმა ბატონმა და მბრძანებელმა შეიძლება სიცოცხლეც კი მომისწრაფოს. მე მისი მსახური და მონა-მორჩილი ვარ, ჩემი მონა-მორჩილი კი შენა ხარ და ისე უნდა მემსახურო, როგორც საჭიროა!

ცოტა ხნის შემდეგ ჩიტმა თავგანწირვით დაიწყო თავისი შემბორკავი ღვედის გლეჯა, თან დამფრთხალი გამყინავი ხმით ჭყიოდა. ბაზიერი მოუთმენლობისა და მღელვარებისაგან თავს ძლივს იოკებდა, ბუჩქის უკან მიწაზე გართხმული ქოჩორა მტრედივით ხმიანობას მოჰყვა და ღულუნიც კი დაიწყო. მალე გუბურის სიახლოვეს ტყიდან მამალი მტრედები გამოლაგდნენ, - როგორც ჩანდა, მომახილზე მოგროვილიყვნენ და მომხმობს ეძებდნენ. მოულოდნელად დასალიერზე ფრინველი გამოჩნდა. ფრთოსანი თანდათან იზრდებოდა.

- ნუთუ ეს შენ ხარ? - შესძახა ნეტარებითა და სიხარულით აღსავსე ბაზიერმა, - გაგახსენდა განა შენი მცველი და გუშაგი? ნუთუ იმას დაუბრუნდი, ვინც პირველად დაგაპურა და დაგარწყულა? - წარმოთქვა მგრძნობიარედ, სარტყლიდან პატარა დაფდაფი ამოიღო და ხელის სწრაფი მოძრაობით უცნაური რაკარუკი აუტეხა, - იცანი განა ეს ხმა? ეს ჩვენა ვართ, შენიანები და შენი ახლობლები, გვინდა, პატიება გთხოვოთ! არ ვიცით, როგორ მოხდა, მაგრამ ჩვენ შენი დიდებული ადათ-წესები დავარღვიეთ, თუმცა გვწამს შენი დიდსულოვნების და ვიცით, რომ მოგვითქვებ!

შიშით გადარეული ჩიორა ამ დროს ბუჩქებში ჩამალულიყო და ეკლებში საწყალობლად ფართხალებდა, მტრედები კი აქეთ-იქით მიმოფანტულიყვნენ. შევარდენი ცის თავანიდან დაეშვა, ფრთაგამლილი ბაზიერის თავზე შებოინდა, მერე კი ისე, რომ ფრთები არც კი შეურხევია, ცალ მხარეს აღმაცერად დახრილმა

სასწრაფოდ ტყეს მიაშურა. ბაზიერს თითქოს ძარღვებში სისხლი გაეყინა; მოეჩვენა, რომ ფართოდ გახელილი, წითლად მოელვარე თვალებით შევარდენმა მას მრისხანედ და მბრძანებლურად გადმოხედა. დიახ, სწორედ ასეთი გახლდათ იგი; ცხადი, უტყუარი და გააზრებული იყო ამ დიდებული ფრთოსნის ბუნების ყოველგვარი გამოვლინება.

ბაზიერი გამოედევნა შევარდენს, ფართო ნაბიჯებით უკან მიჰყვა და ლამის სირბილით გაიჭრა ტყისკენ. ხვდებოდა, რა საფრთხეც ელოდა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, თან შიშმა შეიპყრო, როცა კაიზერი ვეღარსად დაინახა. ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა, ჩანჩქერის ხმაც კი აღარ ისმოდა - იგი უჩუმრად, უხმაუროდ ეშვებოდა ციცაბო კლდიდან; ტბორში კი შევარდენთან ერთად ცის ნაწილიც ირეკლებოდა. ფრინველი მთის მწვერვალს მშვიდად და უდრტვინველად დასტრიალებდა თავს, უზადოდ, უნაკლოდ დალივლივებდა და თან დროდადრო გამყივან და გულის გამგმირავ ხმას გამოსცემდა. აშკარა იყო, არ სურდა, საკუთარი პატრონის გარდა ვინმე სხვას ჩავარდნოდა ხელში.

ამასობაში ყმაწვილი ჩანჩქერის ახლოს ჩაცუცქულიყო და ბუსავით გაყურსულს სადღაც შორეთისთვის მიეპყრო მზერა. მისგან კაცი ვერაფერს გაიგებდა. შორს გაიშვირა ხელი, რაც იმას ნიშნავდა, რომ კაიზერი იქით წავიდა, თან ერთ პირდაფჩენილ გამოქვაბულზე მიუთითა, რომლის შესასვლელიც ადამიანის სიმაღლისა არც იქნებოდა, ხოლო დანგრეული და ჩამოქცეული ზღურბლი ერთიანად ავსებულიყო მოხეტიალე ნისლისგან ჩაგროვილი სისველით. კიბის რამდენიმე საფეხურს წყლიდან თავი ამოეყო და, მართალია, უხსოვარი დროიდან შემორჩენილს ჰგავდა, მაგრამ ყველა მათგანი ადამიანის ხელით გაპრიალებულივით კი გამოიყურებდა. ბიჭუნა იმასაც გეტყოდათ, როგორ ჩაილაპარაკა კაიზერმა თავისთვის რაღაც, წყალს ხელით როგორ შეეხო და მოსასხამი როგორ მოიხსნა. ლამის ბინდს მოეცვა დედამიწა, ცაზე დაკიდებული მთვარე სანათურივით დაჰნათოდა არემარეს და მარტო დარჩენილ ყმაწვილს ეჩვენებოდა, რომ იგი, კაიზერის განსასვენებლის სადარაჯოდ დატოვებული, ყველას დავიწყებოდა. განუწყვეტელმა შრიალმა და შარიშურმა ძილი მოჰგვარა, თვალებს ვეღარ ახელდა, თითქოს ჩასთვლიმა კიდევ. უცებ მის წინ კაიზერი წამოიმართა. მან ბიჭი ოდნავ შეარხია და მშვიდად ჰკითხა, მასაც მოესმა თუ არა სიმღერა, რომელიც ჯერ შორიდან, ხოლო შემდეგ ახლოდანაც მისწვდა კაიზერის ყურს. მოულოდნელად კაცმა ყმაწვილს ზურგი აქცია და გამოქვაბულისკენ გაისწრაფა. ყმაწვილმა თავდაპირველად ვერ გახედა, ბრძანების გარეშე უკან გაჰყოლოდა თავის კერპს, მაგრამ მალე უჩუმრად და შეუმჩნეველად მაინც აედევნა, თუმცა გამოქვაბულისაკენ წასულისთვის თვალი აღარ მოუკრავს.

თლილი ქვის კედლებიანი გამოქვაბული ძველისძველი აკლდამა უნდა ყოფილიყო, რომელსაც, ჩანდა, სიღრმეში მეორე გასასვლელიც უნდა ჰქონოდა. ვიდრე კაიზერი დაბრუნდებოდა, ბიჭი კარგა ხანი ელოდა.

ბაზიერს კი აღარაფერი ესმოდა, დროის შეგრძნებაც კი დაეკარგა, რადგან მთელი ეს ხანი ძრწოლითა და დაუოკებელი განცდებით შევარდნის მოლოდინში გაეტარებინა. მისი ხმა განუწყვეტლივ ჩაესმოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ფრინველის მოძახილი აღშფოთებასა და გულისწყრომას გამოხატავდა. ამავე დროს იგივე ხმა თითქოს

აბუჩად იგდებდა და დასცინოდა კიდეც ბაზიერს. ყალყზე შემდგარი ფრინველი მეხდაცემული მუხის ზემოთ შიშველ და ქვემოთ ხასხასა მწვანით შემოსილ ყველაზე მაღალ ძირკვზე შემომჯდარიყო და იქიდან ფრთხილად იყურებოდა ქვემოთ. ბაზიერი გაშეშებულივით იდგა და არ იცოდა, რა ექნა; უცხად ძალა მოიკრიბა, ადგილს მოსწყდა და წელში მოხრილი მოპირდაპირე მხარეზე გადაბობდა. ხეს მიუახლოვდა, მასზე აცოცება დაიწყო და ის იყო, შევარდნისთვის ხელი უნდა ეტაცა, რომ მოეჩვენა, ხელი ისე გასწითლებოდა, თითქოს მოჰკვეთესო. იმავე წამს კლდის წიაღიდან კაიზერი გამოემართა, გამწყრალი და გაჯავრებული ფრინველი კი ისეთი ძალით ეკვეთა ცას, თითქოს სამუდამოდ მოსცილდა იქაურობას. მოდარაჯე ბიჭიც შეეცადა, უჩუმრად დაუხმაუროდ შორიახლოს მაინც მიჰყოლოდა ფრთოსანს; ამასობაში შევარდენმა ფრთები ლაღად გაშალა და უზადოდ და ნატიფად მოჰყვა ფრენას, შემდეგ ფრთა ფრთას ერთადერთხელ

შემოჰკრა, თვალმიუწვდომელ სიშორეში აიჭრა, მაგრამ ძალე მხარი იცვალა, წუილით ისევ ქვემოთ ჩამოიქროლა, თან ხალისიანი და აღტყინებული ხმიანობით მჩქეფარე და მოელვარე ჩანჩქერი გაკვეთა და ციცაბო კლდეს მიაშურა. ფრინველისთვის უჩვეულო, უზადლო გონიერებით და ღონით აღსავსე ფრთოსანმა, როგორც ჩანს, მშვენივრად იცოდა, რომ იმ ადგილას, რომელსაც წყალვარდნილი ფარავდა, გამოქვაბულის შესასვლელი უნდა ყოფილიყო. ბაზიერი თვალებს ატრიალებდა და კბილებს აღრჭიალებდა; ბრაზმორეული, სადაცაა, გონებას დაკარგავდა. უცებ მან ყმაწვილის სახეზე დამცინავი გამომეტყველება ამოიკითხა. ბაზიერმა თავი ვეღარ შეიკავა და აღშფოთებულმა ყმაწვილს სახეში ცემა დაუწყო. ბიჭი ბუჩქებში გადაეშვა და მოკუნტული შიგ ჩაიმალა. ამ დაუმსახურებელმა წყრომამ გულის სიღრმეში რატომღაც ისეთი სიამოვნება მოჰგვარა, რომ სახე გაუნათდა და საოცარი კეთილგანწყობაც კი დაეუფლა. ბუჩქებში საიმედოდ ჩამალული, გულდინჯად ელოდა თავისი ბატონისა და მზრდანებლის გამოჩენას.

კაიზერი კი არსად ჩანდა. ამასობაში მას ჩაერბინა პრიალა ციცაბო საფეხურები და შთაბეჭდილებებით სავსეს ზურგზე მოგდებული კაკანათისთვის ყურადღება აღარც მიუქცევია.

მღერალ ხმებს და იქაურობის ამოუხსნელ იდუმალებას მთლად დაეპყრო მისი არსება. ეს ხომ ის ადგილი იყო, სადაც ძლიერმა და ღრმა გრძნობამ განგმირა იგი, სწორედ ამ არემარეში განიცადა

პირველად სასიყვარულო ნეტარება მისთვის ძვირფას არსებასთან ერთად. იმ დაუვიწყარი წუთების მოგონება მოეძალა, სისხლი მოაწვა და გული ისე აუჩქროლდა, რომ ვეღარც კი გრძნობდა აკლდამაში გამეფებულ უჩვეულო სუსხსა და სიცივეს, რომელიც არა მარტო მთის ნაპრალებიდან, არამედ თითქოს ქვესკნელიდანაც კი მიიწევდა მისკენ. ალბათ, სასიყვარულო განცდებისთვის მის გულში ძნელად თუ მოიძებნებოდა ადგილი, მაგრამ განა ვინმეს შეეძლო ამის დაბეჯითებით თქმა და მტკიცება? იგი განსაკუთრებით თითქოს არაფერზე ფიქრობდა, მაგრამ რაღაც უჩვეულო წინათგრძნობა კი დაუფლებოდა, რომელიც მის საყვარელ არსებასთან სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული. სიმღერა კვლავ ჩაესმოდა, მართალია, შინაარსს ჯერ ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ თითოეული საფეხურის ჩავლისას სიტყვები

თანდათან უფრო მკაფიოდ ესმოდა და ზოგიერთი ხშირად მეორდებოდა კიდეც. ბოლო საფეხურები სწრაფად ჩაირბინა და მქრქალად განათებულ წინკარში აღმოჩნდა. შუქი ციალით გამოკრთოდა ხისგან გამოთლილი და სპილენძის ზოლებით გაწყობილი კარის ქვემოდან, რომელიც მის წინ აღმართულიყო. საკეტი და სახელური ვერსად დაინახა, მაგრამ როცა კარს მიუახლოვდა, ანჯამებიანი დარაბები ამოდრავდა და იმავე წამს გარკვევით ჩაესმა სიმღერის სიტყვები, რომლებიც ყველაზე ხშირად მეორდებოდა:

„უნაყოფოა, უნაყოფო ეს ყველაფერი, ჩვენ არ

გავჩნდებით, ამქვეყნად არ დავიბადებით“.

კაიზერს საიმისოდ არ ეცალა, ამ სიტყვების აზრს

ჩასწვდომოდა. ზღურბლს გადააბიჯა თუ არა,

ზურგს უკან საგდულებმა უხმაუროდ კვლავ

შეკრეს პირი და კარი მჭიდროდ ჩაიკეტა.

კაიზერი დიდ და ვრცელ დარბაზში აღმოჩნდა. დარბაზის კედლები პრიალა და კრიალა მთის ქანები და ლოდები იყო. დარბაზის შუაგულში მაგიდა იდგა, რომელიც ყოველ მხარეზე თითო-თითო მოსადილისთვის საგულდაგულოდ გაეწყობო. ამავე დროს სტუმრებისთვის განკუთვნილ ადგილებზე ექვს-ექვსი სადღესასწაულო კანდელი ნაზად და ნარნარად ციალებდა. ირგვლივ სიხალვათე იყო. მართალია, ავეჯი არ ჩანდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი გარდასულ დროთა ისეთ ბრწყინვალეებასა და დიდებულებას აფრქვევდა, რომ ამის დანახვაზე კაიზერს სუნთქვა შეეკრა. დარბაზის ბნელ კუთხეში, მაგიდასა და კარს შორის, ერთი ყმაწვილი მიმოდოდა. ეტყობოდა, მისი სიმღერა ისმოდა. მან მაგიდაზე ოქროსგან ჩამოსხმული თასები, ლანგრები და ხონჩები ჩამოარიგა, მალე ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ყელყარყარა დოქებიც მოაყოლა და ყველაფერს სუფრაზე მიუჩინა ადგილი; მათაც ენით აუწერელი სიმშვენიერე შესძინეს იქაურობას. სახურავიანი თასებისა და ლანგრების უმრავლესობა ისეთი მძიმე იყო, რომ მათი აწევა ყმაწვილს უჭირდა, ამიტომაც თავზე შემოდგმული შემოჰქონდა. ამ მძიმე ტვირთის ქვეშ ნორჩ და ნაზ ქურციკს წააგავდა.

მალე ბიჭუნა დარბაზის ბნელი კუთხიდან სინათლისკენ გაემართა. კართან მდგარი კაიზერის

დანახვა რატომღაც არ გაჰკვირვებია, თითქოს ელოდა კიდეც ამას. მან ხელები მკერდზე ჯვარედინად გადაიჭდო და თავის დაკვრით მიესალმა უცხოს.

- აბა, დაიწყეთ, უკვე დროა! - მოესმა კაიზერს დარბაზის ნახევრად ჩაბნელებული მხრიდან და ახლად შენიშნა, რომ მოპირდაპირე კედელზე ისეთივე კარი მოჩანდა, საიდანაც თვითონ შემოვიდა. ხმამაღალი ძახილი ირგვლივ ისეთი ძალით გაიფანტა, რომ ეტყობოდა, დარბაზი იმაზე დიდი და ვრცელი იყო, ვიდრე თავიდან მოეჩვენა.

კაიზერს ყმაწვილმა ისე მდაბლად დაუკრა თავი, ლამის იატაკს შეეხო, მერე კი უსიტყვოდ, მაგრამ უდიდესი მოწიწებისა და მოკრძალების გამომხატველი მოძრაობით სტუმარს მაგიდის თავში ყველაზე საპატიო ადგილზე მიუთითა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოზრდილი მაგიდის ორივე მხარეს ჩარიგებული თორმეტივე კანდელ-სანათი თითქოს ერთნაირი ძალით ანათებდა, მათი გამონასხივი ყველაზე მეტი ცხოველმყოფელობით მაინც საპატიო სტუმრისთვის განკუთვნილ მდიდრულ და საუცხოო ჭურჭელსა და მაგიდის მოწყობილობას დაჰკაშვებდა. მაგიდის შუა ადგილიც ნარნარად და ფაქიზად იყო განათებული, ხოლო ბოლო ბინდბუნდივით მრუმე სიმუქეს მოეცვა. ბიჭუნა სტუმარს ყურადღებით მიაჩერდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, თითქოს დამუნჯდაო. ასე გაგრძელდა ერთხანს, ვიდრე კაიზერმა არ იგრძნო, რომ პირველი სიტყვა სწორედ მას უნდა წარმოეთქვა.

- ყმაწვილო, რას ნიშნავს ყოველივე ეს - ვახშამს უმზადებ და სუფრას უშლი შემთხვევით მგზავრებს?

აქამდე პირმოკუმულმა და დამუნჯებულმა ბიჭმა, ეტყობოდა, გადაწყვიტა, პასუხად რაღაც ეთქვა, მაგრამ დაბნეულმა და შემკრთალმა უკან დაიხია და მიმოიხედა. კაიზერი მასუკვე აღარ უყურებდა, რადგან თვალი მოჰკრა სამ არსებას, თუმცა ვერ შეამჩნია, გვერდითა კედლიდან როდის შემოლაგდნენ. შუაში იდგა მშვენიერი გოგონა, რომელიც კაიზერისკენ კი არ მოდიოდა, მოლივლივებდა და მონარნარებდა. ორი ყმაწვილი ძლივს ეწეოდა გოგონას. მიმზიდველი გარეგნობით სამივე ძალიან ჰგავდა პირველ ყმაწვილს, რომელიც სუფრას შლიდა, თუმცა კი მასზე პატარები იყვნენ და უფრო ბავშვურადაც გამოიყურებოდნენ. გოგონას ხელში დაგრავნილი ხალიჩა ეჭირა. მან გრავნილი კაიზერს წინ დაუდო და ისეთივე მოწიწებითა და მოკრძალებით დაუკრა თავი, როგორც პირველმა ბიჭმა.

- მომიტევე, ჩემო მზრანებელო, რომ შენი მოსვლა დროზე ვერ შევიტყვე! - წარმოთქვა გოგონამ და წელში გაიმართა.

კაცმა ახლად შეამჩნია, რომ, მიუხედავად სინორჩისა და სინაზისა, იგი მასზე ბევრად უმცროსი არ იქნებოდა.

- მომიტევე, ჩემო ბატონო! - განაგრძო გოგონამ, - ადრე ვერ გეახელი, ისე ვიყავი გართული ამ ხალიჩაზე მუშაობით. გვინდოდა, თქვენდამი პატივისცემა გამოგვეხატა, თქვენი საკადრისი სუფრა გაგვეშალა და იატაკზე დაფენილი ხალიჩითაც სიამოვნება მოგვენიჭებინა თქვენთვის. ძაფი არ უნდა გაწყვეტილიყო და საწყისი და ქლო მთლიანად უნდა შერწყმოდა ერთმანეთს! - ისეთი მოკრძალებით წარმოთქვა ეს თვალეზიარებელი გოგონამ, რომ მისმა ხმამ სულის სიღრმემდე შეძრა და თან ისე დაატყვევა კაიზერი, რომ გოგონას სიტყვების მნიშვნელობას უცებ ვერც კი ჩასწვდა.

მართალია, ხალიჩა უკუღმდინ იყო დახვეული, მაგრამ ამ სილამაზეს კაცმა თვალი მაინც ვერ მოსწყვიტა, რადგან მსგავსი მოხატულობა თავის სიცოცხლეში არ ენახა. რა არ იყო იქ ამოქარგული: ნამგალა მთვარე და თანავარსკვლავედი, ათასნაირი ყვავილი, ადამიანები და ცხოველები ერთმანეთში იყო გადახლართულ-გადაჭდობილი.

აღფრთოვანებულ და გაოცებულ სტუმარს ზრდილობისა და მოვალეობის გრძნობაც კი დაავიწყდა და კარგა ხანი გავიდა, ვიდრე მშვენიერ უცნობ გოგონას გამოელაპარაკებოდა.

- როგორც ჩანს, მოგზაურობა განგიზრახავთ! - წარმოთქვა კაიზერმა ისე ლმობიერად და შემწყნარებლურად, რომ მის კილოში ქედმაღლობისა და მედიდურობის ნატამალიც კი არ

იგრძნობოდა, - თქვენ და თქვენს თანმხლებ ყმაწვილებს ალბათ კარგები სადღაც ახლოს გაგიშლიათ და სიგრილეში მოსასვენებლად ეს უძველესი აკლდამა მოგიძებნიათ. რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენი მუდმივი საცხოვრებელი ამ მთის წიაღში იყოს.

სუნთქვაშეკრული ახალგაზრდები უდიდესი ყურადღებით მისჩერებოდნენ სტუმარს, რომელმაც თავის ბოლო სიტყვებს უნებლიეთ მეტი სიმკაცრე შესძინა. ამან ღიმილი მოჰგვარა ყმაწვილებს. ძნელი შესამჩნევი არ იყო, როგორ ცდილობდნენ მასპინძლები სიცილის შეკავებას.

გოგონაც მშვენივრად მოერია თავს და ახლა მას დამაბულ ყურადღებასთან ერთად საოცარი თავშეკავებაც დაუფლებოდა, ეს კი თითქმის მკაცრ და შეუვალ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს.

- იქნებ აქედან ახლოსაა მამათქვენის სახლი? - კვლავ გაიმეორა შეკითხვა კაიზერმა, რომელსაც ვერ შეატყობდით, გრძნობდა თუ არა ყმაწვილების შეუფერებელ საქციელს. სამი ყმაწვილი კი იმის ცდაში იყო, თავი ისე ღირსეულად დაეჭირათ, როგორც მათ დიდგვაროვან სტუმარს ეკადრებოდა. ის ბიჭუნა კი, რომელიც თავიდან მასპინძლობდა, ჯერ კიდევ განაგრძობდა სუფრის გაწყობას, თანაც საგულდაგულოდ მოხრილიყო და რატომღაც სახის დამალვას ცდილობდა.

- მშვენივრებო და უბადლოებო! ვინ არის მამათქვენი, ვინ? - გულგრილად და ნირშეუცვლელი სიმშვიდით გაუთავებლად ეკითხებოდა მასპინძლებს კაიზერი. ვინც მას კარგად იცნობდა, მხოლოდ ის თუ მიხვდებოდა, როგორი მოუთმენლობა და მღელვარება იმალებოდა მის თრთოლაშეპარულ ხმაში. როგორც იქნა, მშვენიერმა გოგონამ თავს სძლია და წამოიწყო:

- მოგვიტევე, დიდებულო მბრძანებელო, და ნუ შერისხავ ჩემს უმცროს ძმებს; ისინი სულ მთლად გამოუცდელნი არიან და ჯეროვნად არ ფლობენ თავაზიანი და ზრდილობიანი ქცევის წესებს. გთხოვთ, ჯერჯერობით იმას დასჯერდეთ, რაც მოვახერხეთ. ცოტა ხანს გული გადააყოლეთ, რადგან ჩემმა უფროსმა ძმამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მოასწრო თქვენი საკადრისი ყველა იმ კერძის მომზადება, რითაც თქვენი გამასპინძლება სურს, - ამბობდა გოგონა და მთელი მონდომებით ცდილობდა, კაიზერი მაგიდასთან მიეპატიჟებინა.

მართალია, სტუმარს შიმშილით ძალა გამოლევდა, მაგრამ ყმაწვილების თავდაჭერილობამ და, ასე განსაჯეთ, ბუნებრიობით გამორჩეული დახვეწილი ქცევის ამოუცნობმა მომხილაობამ ისე აღაფრთოვანა, რომ სხვა რამეზე ფიქრი აღარ შეეძლო. გოგონამ კი ამასობაში ხალიჩა მაგიდის საპატიო ადგილას გაშალა და კაიზერს

შესთავაზა, დაბრძანდითო. და აი, ეს სრულყოფილი მშვენიერება უკვე მის ფეხით იყო გაშლილი.

ყვავილები და ცხოველები ერთმანეთს გადაჭდობოდნენ, მონადირეები და მოალერსე წყვილები გარშემორტყმულნი იყვნენ თვალწარმტაცი ხვარებით, მათ თავზე კი ფრთოსანი ყვავილების მსგავსი უამრავი შევარდენი ლივლივებდა.

ყველაფერი ერთად იშვიათ და ენით აუწერელ, დიდებულ სანახაობას ქმნიდა, თუმცა იქიდან მონაბერმა სიცივემ კაიზერს მთელ ტანში ჟრუანტელად დაუარა.

- ნუთუ შენი ნახელავია ეს საოცრება? როგორ იღვწი და როგორ მიგყავს ჩანაფიქრი ასეთ სრულყოფილებამდე? - ჰკითხა მან გოგონას და მისკენ მიბრუნდა.

გოგონა ისე შეცბა, უხერხულობისგან აღარ იცოდა, რა ექნა და თვალელები დახარა, თუმცა სტუმარს მაინც უყოყმანოდ და თამამად უპასუხა:

- ქსოვის დროს განსაკუთრებით გამოვყოფ იმას, რაც მშვენიერია, ხოლო არაფრად მიმაჩნია და არც ვიყენებ იმას, რაც ჭკუა-გონებისთვის ფუჭი და უსარგებლოა, რაც მაცდურად იზიდავს და უგუნურებისა და დაღუპვისაკენ უბიძგებს ყველას!

- რა ხერხსა და წესს იყენებ ასეთი სრულყოფილების მისაღწევად? - კვლავ ეკითხებოდა კაიზერი

და თან გრძნობდა, როგორ უჭირდა თავშეკავება და სიმშვიდის შენარჩუნება; მას ხომ აქ ყველაფერი აღელვებდა და რასაც თვალს შეავლებდა, ყველა საგანი შთამაგონებლად და უდიდესი დამაჯერებლობით იჭრებოდა მის სულში.

მრავალი საუცხოო რამ ნახა ამ დარბაზში და ყოველ წუთს, ყოველ წამს სუნთქვაშეკრული კვლავ სიახლეს ელოდა.

- როგორ შექმენი ეს საოცრება, როგორ? - მერამდენედ ეკითხებოდა გოგონას. ყმაწვილქალი აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს კაცის მზერას და კარგა ხანს შეყოვნდა, ვიდრე უპასუხებდა:

- ქსოვის დროს საკუთარი თვალისჩინი ისე მჭირდება, როგორც შენ ნადირობის დროს კურთხეული და დალოცვილი მზერა. ვხედავ არა იმას, რაც არის, ანდა რაც არ არის, არამედ იმას, რაც მუდმივი და მარადიულია, ჰოდა, მხოლოდ ამ მიზნით ვქსოვ და ვქარგავ...

თუმცა კაიზერს ბოლო სიტყვები აღარ გაუგონია, ისე გაეტაცა ზღაპრული კედლების თვალიერებას, რომლებზეც სანათ-კანდელთა შუქი სარკესავით ირეკლებოდა.

ყმაწვილები ისეთი დამაბული ყურადღებით მისჩერებოდნენ სტუმარს, აშკარა იყო, მისგან რაღაცის თქმას ელოდნენ. სტუმარი კი მთლად მოაჯადოვდა და დაატყვევა მათმა მზერამ. თავის სიცოცხლეში არ უხილავს ბავშვები ამგვარად მოელვარე, სხივდაფენილსახიანი და ისეთ მრავლისმთქმელ, მეტყველთვალეებიანი, როგორნიც ახლა მისკენ იყო მიჰყრობილი.

- კიდევ გყავთ და-ძმა? - იკითხა კაიზერმა ისე, თითქოს იმ ბიჭს არც მიმართავდა, მასთან ყველაზე ახლოს რომ იდგა, თან ვერაფრით აეხსნა, რამ მოაფიქრა ეს შეკითხვა. მათი აღნაგობითა და გარეგნობით მონუსხული, ყმაწვილებს გაშტერებული შესცქეროდა. მათი დასაკუთრებისა და დაპატრონების ჟინმა თავიდან ფეხამდე შემრა მთელი მისი არსება. თავი ძლივს შეიკავა, რომ არ მიახლოებოდა და ხელით არ შეხებოდა თითოეულ მათგანს.

- ეს შენზეა დამოკიდებული! - უპასუხა არა იმან, რომელსაც შეეკითხა კაიზერი, არამედ ერთ-ერთმა იმ ორიდან, განზე რომ იდგნენ. ახლა კი იმ მოპასუხისკენ მიბრუნდა კაიზერი და დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ დამაბულობა გაეფანტა და შემდეგი შეკითხვა ხუმრობაგარეული კილოთი წარმოეთქვა:

- შორსაა თუ ახლოს თქვენი სახლი? როგორ ფიქრობთ, სიკეთე გელით თუ სიავე?

ბიჭმა კითხვა უპასუხოდ დატოვა და მაგიდის ზემოდან იმ ძმას გადახედა, რომელიც თავიდან მასპინძლობდა. ეტყობოდა, ორივე თავს იკავებდა, რომ სიცილი არ წასკდომოდა.

მარგალიტებით მოოჭვილ ბალიშზე დაყრდნობილი კაიზერი წელში გაიმართა, თუმცა კი განძრევა ისე უჭირდა, დიდი წვლებით შეიცვალა ადგილი, რადგან ხელფეხს დაუფლებული სუსხი და სიცივე გულზეც მისძალებოდა. გამჭოლი მზერით შეხედა ყმაწვილებს.

- განა იცოდით, რომ ერთმანეთს შეეხვდებოდით? - კვლავ იკითხა მან, მაგრამ ისე, თითქოს ეს კითხვა იქ მყოფთაგან არავის ეხებოდა, - ეს თქვენი გზის დასაწყისია თუ დასასრული? უფრო მეტი გაიარეთ, თუ გასავლელი მეტი გაქვთ?

მისი ხმა დიდ და ვრცელ აკლდამაში იმაზე მძაფრად და მკაცრად გაისმა, ვიდრე ეს მას სურდა, თან მისი ყველა კითხვა ელვისებური სისწრაფით მისდევდა ერთმანეთს.

- წინაც შენ მიგვიძღვები და უკანაც შენ მოგვყვები! - წამოიძახა სუფრის გამშლელმა ბიჭმა ხმამაღლა, კაიზერს მიეჭრა და მიუხედავად იმისა, რომ ხელში ოქროს ჩამჩა ეჭირა, ხელები ლამის იატაკამდე დაუშვა და მოწიწების ნიშნად მდაბლად დაუკრა თავი. უმცროსებიდან ყველაზე პატარამაც კაიზერთან მიირბინა, მის ახლოს გაჩერდა, მოჩვენებითი სიდიდით სახეში შეხედა და წყნარად და დამაჯერებლად მიმართა:

- დიდო მეუფე! პატარა ბავშვივით უთავბოლო და შეუსაბამო კითხვები გაქვს; აბა, გვითხარი, როცა საჭმელად ემზადები, სუფრასთან დასანაყრებლად ჯდები თუ პირიქით, მას თავი გინდა აარიდო? ანდა როცა სადმე მიემგზავრები, რა უფრო მეტად გიზიდავს - სხვაგან დარჩენა თუ უკან დაბრუნება?

- ეს რა სიტყვები მესმის! - წამოიძახა გოგონამ და თვალები გაუფართოვდა, - აბა, სასწრაფოდ ჩემთან მოდიოთ და ჩემ უკან გაჩერდით!

უმცროსი ბიჭუნა გოგონასკენ სხარტად გასხლტა და არა მარტო ხელები, არამედ ჩამოშვებული სახელოებიც კი მოწიწებითა და მოკრძალებით დაუკოცნა. მას მიჰყვა მეორე ძმაც, თუმცა დაიკო მასზე სულაც არ იყო გაჯავრებული. გოგონამ მათ

ყურადღება არ მიაქცია, შემცბარმა და დამფრთხალმა კაიზერისაკენ მუდარით აღაპყრო ხელები და შიშით აღსავსე ხმით წარმოთქვა:

- მართალია, თავი ღირსად არ მიმაჩნია და არც ვიმსახურებთ, მაგრამ ძალიან გვსურს შენი კეთილგანწყობის მოპოვება.

კაიზერი მის უმშვენიერეს, მარმარილოსავით სრიალა ხელს მისჩერებოდა და მხოლოდ მას ხედავდა, სხვას ვერაფერს.

- თქვენ ხართ ისინი, ვისთანაც მწადია ყოფნა, როგორ და რანაირად, არ ვიცი, მაგრამ რაღაც უნდა დამიჯდეს, სამუდამოდ ჩემი უნდა გახდეთ.

გოგონამ იგრძნო კაიზერის დაჟინებული მზერა, ხელი სასწრაფოდ ძირს დაუშვა და უსაზღვრო რიდიტა და მოწიწებით მიაჩერდა სტუმარს. ეს უკანასკნელი კი, აშკარა იყო, ნანობდა თავის ქედმაღლურ და მედიდურ სიტყვებს, უფრო მეტად კი თავშეუკავებელ სიფიცხეს, ამიტომაც დაჟინებული, მაგრამ შერბილებული და წყნარი კილოთი ღმობიერად დაუმატა:

- ნეტავ რა გზით და რა საშუალებით შეიძლება, შევერთდეთ სამარადჟამოდ? მსურს და მწადია ამის აღსრულება და ამისთვის სიცოცხლესაც კი არ დავიშურებდი!

გოგონა ამჯერადაც შიშმა აიტანა; მოეჩვენა, რომ ამ კითხვაზე საპასუხოდ ყველა სიტყვა სუსტი და უსუსური იქნებოდა, ამიტომაც ხმა ვეღარ ამოიღო, მხოლოდ სახის გამომეტყველებით მიახვედრა სტუმარი, რისი თქმაც სურდა.

- ჩემთვის წესი და რიგია, ყველაფერი შემისრულდეს, რასაც ვისურვებ და ვინატრებ! - კვლავ წამოიძახა კაიზერმა.

გოგონას სახეზე უმძაფრესი განცდა აღბეჭდვოდა. მან ხანგრძლივი და გამჭოლი მზერით თითქოს განგმირა კაიზერი. ამ მზერაში შიშთან ერთად ღრმა პატივისცემას, მოწიწებასა და მოკრძალებასაც დაესადგურებინა, თან ყოველივე ამას ისეთი ძალა მისცემოდა, რომ კაიზერმა ამ გამოხედვას ვეღარ გაუძლო და თვალები დახარა. მას სურდა, გონება მოეკრიბა და რაიმე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კითხვა მოეფიქრებინა. ანაზღად მოეჩვენა, თითქოს ეს კითხვა ენის წვერზეც კი მოადგა, მაგრამ მაშინვე გადაავიწყდა, რადგან თვალი გაახილა თუ არა, დაინახა, რომ მთელი მაგიდა ყვავილებით იყო მოფენილი და ეს ყვავილები სანათების შუქზე უხვად მიმოხეული თვალმარგალიტით ბრწყინავდა. ისიც შეამჩნია, გოგონას მომხიბლავი ხელებიდან უკანასკნელი ყვავილები ლივლივით როგორ ეშვებოდნენ მაგიდაზე და იქ ჩამწკრივებულ ყვავილებთან ერთად მწყობრად როგორ ლაგდებოდნენ, რათა საბოლოოდ მთელი მაგიდა ზღაპრულად თვალწარმტაც ნაქარგს დამსგავსებოდა.

კაიზერმა მშვენივრად დაინახა, როგორ უბრწყინავდა გოგონას სახე, ალერსიანი თვალებით რაღაცას ანიშნებდა და თავისკენ უხმობდა ყმაწვილს, რომელიც, როგორც ჩანს, ახლახან გამოჩენილიყო, რადგან კაიზერმა იგი ვერ იცნო, თუმცა ტანადობითა და მომხიბვლელობით იგი ძალიან ჰგავდა მქსოველ გოგონას. ამავე დროს მოპირდაპირე მხარეს, დარბაზის ბოლოში, მან თვალი მოჰკრა კარს. კარიც ღია იყო და

იქიდან ერთმანეთის მიყოლებით შემოჯარდნენ მოზარდი ბიჭები. მათ თავდახურული ლანგრები შემოჰქონდათ.

- ეს ვინდაა? - ჰკითხა კაიზერმა გოგონას და იმ ყმაწვილზე ანიშნა, რომლის ამოცნობაც ძალიან გაუჭირდა, - მზარეული ხომ არ არის? - არ ეშვებოდა სტუმარი ახალგაზრდა მასპინძელს.

- ჰო, ჰო, ახლა ჩემი მზარეულობის ჯერია! - წამოიძახა იმ ყმაწვილმა ისეთი თავდაჯერებით, ეტყობოდა, სურდა, თავი უფროს მზარეულად წარმოეჩინა და იმათთან ერთად ყოფილიყო, ლანგრებსა და სინებს რომ ეზიდებოდნენ - სუფრაზე ალაგებდნენ, თან უხმოდ და ფეხაკრევით, სწრაფად და მკვირცხლად წყვილ-წყვილად გროვდებოდნენ და ერთმანეთის გვერდით დგებოდნენ. ერთი მათგანი კაიზერისკენ გაეშურა, ხოლო მეორე - მაგიდის ბოლოსკენ.

- ნეტავ რას ნიშნავს ის სიტყვა, რომელიც უკვე მეორედ გავიგონე? ეს ყმაწვილი კი ისე სწრაფად რატომ აკეთებს ყველაფერს, რომ გონს მოსვლასაც ვერ ვასწრებ. უთხარი, ნუ ჩქარობს და საჭირო დროს დაელოდოს!

- დრო? - წარმოთქვა გოგონამ და შემცბარმა და შემკრთალმა კაიზერს შეხედა, - ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს „დრო“, თუმცა კი ძალიან გვინდა, ვიცოდეთ, რას წარმოადგენს იგი და დიდი სურვილიც გვაქვს, მისი ქვეშევრდომნი გავხდეთ და მას ვემსახუროთ!

მორიდება და მოკრძალება უფრო მიმზიდველს ხდიდა გოგონას და კაიზერი სულითა და

გულით ტკბებოდა მისი მომხიბვლელობით, აღფრთოვანებით შეჰყურებდა, თუმცა კაცის გრძნობებში ავხორცობის ნატამალიც კი არ შეინიშნებოდა.

უფროსმა მზარეულმა ბიჭმა ხელი ხელს შემოჰკრა, მიმტანი და მორბედი ბიჭუნები კი გვერდზე გასხლტნენ და ორ რიგად ჩამომწკრივდნენ. მათ შორის კაშკაშა სინათლესავით შემოიჭრა ერთი მხედარი. მას მეორეც მოჰყვა. პირველი ლეგა ცხენზე იჯდა, ხოლო მეორე - ქურანზე. თითოეულ მათგანს თავის წინ, უნაგირზე, თავდახურული და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს ლანგარი ედო. ცხენოსნებმა სადავე მოსწიეს და ერთმანეთის მიყოლებით შეაჩერეს რაშები. ორივესთან ელვის სისწრაფით მიიჭრა მორბედი ბიჭი, ორივეს დინჯად და დარბაისლურად ჩამოართვა ლანგარი, მოწიწებითა და მოკრძალებით კაიზერს მიაშურა და ორივე ლანგარი მუხლმოყრით მიართვა, ახალმოსულები კი ცხენდაცხენ მიიჭრნენ კაიზერთან, ხმლები იმიშვლეს და ისე მიესალმნენ მას, თან თვალის დახამხამებაში უნაგირიდან გადმოეშვნენ და ხმლების წკრიალითა და წკარუნით მაგიდის აქეთ-იქით იატაკზე დაეშვნენ.

კაიზერი ისე მონუსხა ამ სანახაობამ, რომ სულ მთლად თვალეზად გადაიქცა. უსაზღვროდ მოხიბლა და აღფრთოვანა ჰაბუკების გარეგნულმა მსგავსებამ იმ ყმაწვილებთან, რომლებიც უკვე კარგა ხანია, მის ახლოს ტრიალებდნენ. ახლა კი ყველაზე მეტად ახალმოსულებთან გასაუბრება ეწადა. უდიდესი სითბოთი და კეთილგანწყობით ანიშნა ჰაბუკებს, მასთან

მისულიყვნენ, მაგრამ მათ საპატიო მანძილზე დაიხიეს უკან, გრაციოზულად და მომხიზვლელად გაუყარეს ფეხები უზანგში და თვალის დახამხამებაში უნაგირზე აღმოჩნდნენ. ცხენები ქვის პრიალა იატაკზე ისე გასრიალდნენ, რომ უკანა ფლოქვებით კედლის ზღუდეს შეეხნენ. შემდეგ მხედრებმა ფრთხილად დაჭიმეს უზანგები, ცხენები ყალყზე შეაყენეს და მათი რაშების წინა ფლოქვებმა მცირე გააპო ჰაერი. კისრის მოძრაობით ყმაწვილები ფრინველებს წააგავდნენ და თავიანთი ტვირთის სიმძიმით ისე თრთოდნენ და ციალებდნენ, როგორც ქერეჭიანი ბრჭყვიალა თევზები. დარბაზის მარცხენა მხარეს ერთი ირხეოდა, მარჯვენა მხარეს კი მეორე. ძალიან დაძაბულნი იყვნენ, თუმცა სახეზე ხალასი და კისკასი ღიმილი დაჰფენოდათ, თან თვალი კაიზერისკენ ეჭირათ. აშკარა იყო, მათი ღიმილიც ამ საპატიო სტუმარს ეკუთვნოდა. როგორც ჩანდა, დავალება შესრულებული იყო და მათ დარბაზი უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ სტუმრისადმი ღრმა პატივისცემის გამო წასვლას არ ჩქარობდნენ. ბოლოს, თვალწარმტაცად მაინც შესრიალდნენ კედლის წიაღში და ისე შეერწყნენ იდუმალებას, ვერავინ შეამჩნევდა, ზღუდემ როგორ შეიხსნა და შეიკრა ისევ პირი. მათი ღიმილი იყო ის, რამაც სინათლის ათინათივით გაიბრწყინა და რასაც საბოლოოდ თვალი ჰკიდა კაიზერმა.

- საით წავიდნენ? - წამოიძახა კაიზერმა და განშორების მძაფრმა გრძნობამ თითქოს განგმირა. ძნელად წარმოიდგენდა, რომ ეს მისთვის ძვირფასი სახეები ისევე ელვის სისწრაფით გაქრებოდნენ, როგორც მათი სიყვარულის ტყვეობაში მოექცა.

გოგონა კვლავ და კვლავ აღფრთოვანებით უმზერდა კაცს, ეტყობა, სურდა, მისი გაოცება გაეფანტა და ხმამაღლა წარმოეთქვა:

- ო, დიდო მეუფე, რა თქმა უნდა, ეს არა ჰგავს ერთმანეთში გადახლართული ნაირნაირი გამოსახულებებით ნაქარგ და ნაქსოვ ჩემს ხალიჩას, რომელმაც მოგხიზლა და გაგაოცა, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ იმ სანახაობითაც კმაყოფილი ხარ, რომელიც ჩემმა ძმებმა მოაწყვეს!

- სრული სიძარტლეა! - სუნთქვაშეკრული პასუხობდა კაიზერი, - ეს ხომ ერთნაირად მშვენიერი და ზღაპრული რამაა. მაგრამ ასე რატომ აჩქარდნენ? - თქვა და თავისდა უნებურად ხმამაღლა ამოიოხრა, - სულაც არ მჭირდება უწლოვანი ბავშვების

თანამეინახეობა, მაგრამ უნდა ვაღიარო ძალიან მინდა მათი ხელმეორედ ხილვა, მინდა, ერთი ერთ მხარს მიმშვენიებდეს, მეორე კი მეორეს. ასე მგონია, ორივე ჩემი არსების ნაწილი გახდა და ჩემი სული და გულიც თან გაიყოლეს.

მას არავინ პასუხობდა. მშვენიერი ყმაწვილები მიდი-მოდიოდნენ, ჩქარობდნენ, თავს ევლებოდნენ საპატიო სტუმარს, თან დიდი რიდითა და მოკრძალებით გულითადად უმასპინძლებოდნენ. ერთ-ერთი ყმაწვილი კვლავ სუფრას შლიდა, დარბაზში შემოდიოდნენ სხვები, სავსე თასებსა და ლანგრებს აწვდიდნენ იქ მყოფებს, გზაც კი გადაუჭრეს მათ, თუმცა

გვერდს ისე მოხერხებულად უქცევდნენ, რომ ერთხელაც არ შესჯახებიან და შესჩეხებიან ერთმანეთს.

უფროსი მზარეული გამჭრიახი და დაკვირვებული მზერით ყველაფერს თვალყურს ადევნებდა და ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა. სხვებიც შორიახლოს იდგნენ, რათა დანარჩენებისთვის თასები და ლანგრები მიეწოდებინათ. ძნელი სათქმელი გახლდათ, ვინ იყო იქ მთავარი და ვინ - არა. ყველანი რიგრიგობით მიდიოდნენ კაიზერთან, იჩოქებდნენ ხან მის მარცხნივ, ხან მარჯვნივ. მოულოდნელად ერთი პატარა გოგონა გამოჩნდა. მას ისეთი მძიმე ოქროს ლანგარი ეკავა ხელში, რომ ძლივს ერეოდა. მოზრდილი ადამიანის სიდიდითა და დარბაისლობით თავს ძალას ატანდა, რომ არ აცახცახებულიყო.

- როგორ ერევი ასეთ სიმძიმეს, პატარა და ნაზო არსებავ? - მიმართა მას კაიზერმა.

- შრომა და გარჯა ერთადერთი გზაა უმაღლესი ძალის სრულყოფისა და მეუფებისკენ, დიდო ბატონო! - წარმოთქვა პატარამ და ისეთი მზერა სტყორცნა თანამოსაუბრეს, ჩანდა, პასუხს მისგანაც ელოდა. მოზიდულ წარბთა ქვეშიდან მის თვალთა გამოხედვა ზრდასრული ადამიანისას უფრო ჰგავდა.

ანაზღად კაიზერის ყურადღება კიდევ ერთმა ყმაწვილმა მიიპყრო, რომელიც მის ახლოს ჩაცუცქულიყო და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ღრმა თასიდან სანელებლებით შეკაზმულ სურნელოვან, უცხო კერძებს სთავაზობდა მას. კაიზერს ძალიან უჭირდა, თავი შეეკავებინა და ის გრძნობა არ გამოემჟღავნებინა, რომელიც ამ მშვენიერ არსებათა მიმართ დაუფლებოდა და რომელსაც ერთიანად დაეპყრო მისი სული. სურდა, ყველა მათგანი თავისთან ახლოს ჰყოლოდა, მაგრამ ამით ხომ სუფრის წესები დაირღვეოდა და ირგვლივ უხერხულობა და არეულობა დაისადგურებდა. მან ორივე ხელით თავისკენ მიიზიდა ხილითა და საკაზმით შეზავებული, სურნელოვანი და მიმზიდველი კერძებით სავსე უზარმაზარი ლანგარი და ყმაწვილები მბრძანებლურად იხმო.

- აბა, თქვენივე ჯამებით მოდით და თან პირი მოიმარჯვეთ! - ეუბნებოდა იგი, თან ცდილობდა, გემრიელი და ნუგბარი კერძებით მათთვის პირი აეცო, მაგრამ ბავშვები უარზე იყვნენ, არ ემორჩილებოდნენ, მუდარის გამომხატველი სახეებით მის ხელებს პირიდან იცილებდნენ და ზურგსაც კი აქცევდნენ. ის-ის იყო, კაიზერს ერთ-ერთი მათგანისთვის ხელი უნდა ჩაეელო, რომ, ნაცვლად ამისა, სიცარიელეს წააწყდა, თან მის სახეს და ჰაერში გაწვდილ ხელებს ისეთი მკვეთრი და სუსხიანი ჰაერის ტალღა

მოხვდა, თითქოს ქვესკნელის კარი გაიღო. ბავშვები შემოეცალნენ და მიმოიფანტნენ, მოშორებით დადგნენ და პირქუშად და მკაცრად მიაჩერდნენ მას. იქიდან მათი სახეები მოზრდილი ადამიანებისას მოგაგონებდათ. გოგონას კი

გამომეტყველება უფრო ყურადღებიანი მახვილი და გამჭოლი გახდომოდა, თითქოს მის ასაკს ყოველ წამს თითო წელი ემატებო. ეს ცალკე მდგომი პატარები ერთად თავმოყრილი მიმტანი მორბედი ყმაწვილებისკენ გასრიალდნენ, მათ შეუერთდნენ და როგორც კი მათ შეერივნენ, ისეთივე ჩვეულებრივ ბავშვებს დაემსგავსნენ, როგორებიც იყვნენ დანარჩენები.

კაიზერი ისე იყო განცვიფრებული, როგორც არასდროს. „ნეტავ ვინ ვარ, ვინ? ანდა სად მოვხვდი?“ - ფიქრობდა იგი. მოზღვაებული გრძნობებისგან პირი გაუშრა და წყურვილიც მოეძალა, უნებლიეთ ხელი სტაცა ოქროს მძიმე სასმისს, რომელიც წინ ედგა. მოსვა თუ არა, მაშინვე იგრძნო სასმლის ნაზი და გრილი სურნელი. ამის მსგავსი თავის სიცოცხლეში არაფერი ენახა. სვამდა ხარბად, თუმცა მაშინვე მოიკრიბა გონება, სასმისი ზევით ასწია და წამოიძახა:

- თქვენი სადღეგრძელო იყოს! რა მშვენიერი ნადიმის მოწყობა შეგძლებიათ! თქვენი მასპინძლობა ქება-დიდებას იმსახურებს, ბარაქალა თქვენს გამზრდელს, რა შესანიშნავად აღუზრდინხართ!

- სასიამოვნო და საპატიოა შენს სიახლოვეს ყოფნა და გასაკვირია, რომ დღეს ჩვენი სტუმარი ხარ, ამიტომაც ეს წუთები უბედნიერესია ჩვენს ცხოვრებაში! - ამბობდა გოგონა და სიხარულისა და აღტაცებისგან თვალები ისე გაფართოებოდა, როგორც თავს დატეხილი უზარმაზარი

შიშისგან უფართოვდებათ ხოლმე. კაიზერმა ანიშნა, მასთან მისულიყო. უდიდესმა ნეტარებამ ისე მოიცვა, რომ ის აუტანელი სუსხი და სიცივეც კი დაავიწყდა, თავისი მარწუხებით დაუნდობლად რომ შეებოჭა. მერე კი, ვიდრე სათქმელს დაიწყებდა, თვალები რამდენიმეჯერ დაახამხამა და თავდაჯერებულად, დაბეჯითებით წარმოთქვა:

- ვგრძნობ, რაღაც საიდუმლო იცით, მიგულეთ მის მონაწილედ და თუკი გამანდობთ, ამით უდიდეს ნეტარებას მომანიჭებთ!

- ჩვენ ერთადერთი საიდუმლო გვაქვს - შენდამი მოწიწება, უზენაესი და სრულყოფილი მოკრძალება და პატივისცემა! - უპასუხა გოგონამ.

კაიზერი ისე იყო მოხიბლული, რომ თვალს ვეღარ აშორებდა მას, თან შემცბარი და დაბნეული, თავიდან ვერც კი ჩასწვდა გოგონას სიტყვების არსს, უაზროდ შეჰყურებდა მას და ირგვლივ თითქოს ვეღარაფერს ამჩნევდა, თუმცა იმის დანახვა არ გასჭირვებია, როგორ ჩაიმუხლა ხორაგით სავსე ლანგრით მის სიახლოვეს ერთ-ერთმა ყმაწვილმა, ხოლო მეორემ იმავე ლანგარს თავსახური ახადა. კაიზერი კვლავ გოგონას პასუხზე ფიქრობდა, რომელიც აშკარად უფრო დიდსა და მნიშვნელოვან რაღაცას გამოხატავდა, ვიდრე უბრალო თავაზიანობა და მოკრძალება იყო. ფიქრებში წასული, ანაზღად ლანგარს მისწვდა, თუმცა მისი მზერა კვლავ სხვა მხარეს იყო მიპყრობილი.

- შენ გველაპარაკები იმის შესახებ, რანი ვართ ჩვენ შენთვის, მაგრამ იმას არ გვეკითხები, შენ ვინ ხარ ჩვენთვის! - წარმოთქვა გოგონამ და მისი ხმა ისე წყნარად და ნარნარად გაისმა, როგორც ნაზი ნიავის ქროლა. კაიზერს სახე მთლად შეეცვალა და ვიდრე რამის თქმას დააპირებდა, ისეთი მოუთმენლობა დაეუფლა, თავი ძლივს შეიკავა:

- მე კი მსურს, დაუყოვნებლივ შევიტყო როდის გახდებით ჩემი და როდის წამოხვალთ ჩემთან სამარადისოდ! - წამოიძახა ისე ხმამაღლა და მბრძანებლურად, რომ ძლივს იცნო საკუთარი ხმა.

გოგონა აჩქარდა, ჩიტივით მკვირცხლად და სწრაფად მიიჭრა მასთან და თავი დახარა. ამ ელვისებურ მოძრაობაში ისეთი მშვენიერება გამოკრთა, რომ კაცი უდიდესმა ნეტარებამ მოიცვა.

- ახლა კი ისეთი რამ უნდა გითხრა, რის გაგონებაზეც სასწრაფოდ მოგვიშორებ და მოგვიცილებ თავიდან! - წარმოთქვა გოგონამ. უფროსმა მზარეულმა მაგიდის ზემოდან გადახედა მას, დამ კი მორჩილად მიაშურა ძმას და მაგიდის შუაში მის უკან დადგა. კაიზერმა მზერა გააყოლა გოგონას. მისმა ამოუცნობმა და ძნელად ასახსნელმა პასუხმა განწყობა გაუფუჭა და დაადარდიანა კაცი. ისიც კი არ ესიამოვნა, რომ მისი თანდასწრებით გოგონა სხვას ემორჩილებოდა და სხვას უჯერებდა, ამის გამო მოიღუშა და მოიქუფრა, კინაღამ მაგიდას ხელი ჰკრა და ფეხზე წამოდგომა დააპირა. გოგონა მაშინვე მიუახლოვდა, გაუღიმა და ნაზად მიმართა:

- ჭემმარიტი დიდბუნებოვნება და დიდსულოვნება შემწყნარებლობა და მიმტევებლობაა, ჩვენო მეუფე!

ამ სიტყვებმა კაიზერი ისე დაამშვიდა, რომ ჩვეულებრივ და უბრალო მეინახესავით განაგრძო მაგიდასთან ჯდომა და წინ, სადღაც შორს იმზირებოდა. მთელი ვახშმის განმავლობაში ყურადღება არ მიუქცევია და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ მოპირდაპირე მზარეს, მაგიდის ჩაბნელებულ ადგილას, უცნაური რამ ხდებოდა, რომლის არსი და მნიშვნელობა უფრო ძნელად ასახსნელი მოეჩვენა, ვიდრე იქაური ბევრი სხვა რამ. იმაში კი დარწმუნდა, რომ ერთი ადგილი მაგიდასთან თავისუფალი იყო, მაგრამ ამ ცარიელი ადგილის მარცხნივ და მარჯვნივ წელში მოხრილი პატარა ბიჭები მუხლებზე ეშვებოდნენ, იქ არმყოფ სტუმარს რიგრიგობით ყოველგვარ კერძს სთავაზობდნენ და გულითადად უმასპინძლებოდნენ. ისინი ზუსტად იმ ყმაწვილებს ჰგავდნენ, რომლებიც ღიმილითა და გასხივოსნებული სახეებით ემსახურებოდნენ თავად კაიზერს. ფეხზე მდგომები თავსახურებს ხდიდნენ ლანგრებს, ცოტა ხანს მოიცდიდნენ, მერე კი ისევ ახურავდნენ; ყოველივე ამას ისეთივე გულმოდგინებით, მოწიწებითა და მოკრძალებით აკეთებდნენ, როგორც კაიზერისთვის. როცა ჩამუხლულნი წელში სწორდებოდნენ და იქაურობას ტოვებდნენ, სახეები ცრემლებით ჰქონდათ სველი. მდულარე ცრემლი სდიოდათ იმათაც, რომლებიც ფეხზე მდგომნი მასპინძლობდნენ, თან გულის სიღრმიდან ამომავალი ხმით განუწყვეტლივ ოხრავდნენ. მალე სხვებიც შემოვიდნენ და როცა ისინიც გაუმასპინძლდნენ და

მოემსახურნენ იქ არმყოფ და უჩინარ საპატიო სტუმარს, მათაც ისევე დაიწყეს ქვითინი და მოთქმა, როგორც სხვებმა. მათი ოხვრა და თავშეკავებული ტირილი გლოვის ზარივით გაისმოდა. ამავე დროს კაიზერმა შენიშნა, რომ ყველა კანდელსანათი ისე მქრქალად ანათებდა, თითქოს ჩასაქრობად ემზადებო. იგი უფროს მზარეულს მიაჩერდა, სურდა, ეგრძნობინებინა, რომ ჩანავლული სანათებისთვის მიეხედა, რათა მათი შუქი მთლად არ გამქრალიყო; ამავე დროს, მოულოდნელად, ყმაწვილი მზარეულის თვალთაგან ისეთი უცნაური გამოხედვა იგრძნო, რომლის მსგავსს ცხოვრებაში ერთხელ უკვე შეეჩეხა და რომლის განმეორებით აღქმა მის ძალებს აღემატებოდა. ნუთუ შეიძლებოდა, ასეთი რამ კვლავ დასტყდომოდა თავს? ეს

იყო ხანგრძლივი, გულგამგმირავი და დაჟინებული მზერა, როგორც თავის ბატონსა და პატრონს გასისხლიანებულმა შევარდენმა უკანასკნელად სტყორცნა მაღალი და პიტალო კლდიდან, ვიდრე ათრთოლებული და დამძიმებული ფრთების ტყლაშუნით ბინდბუნდში არ ჩაიკარგებოდა.

დიდი ძალა და მხნეობა სჭირდებოდა კაიზერს, რომ მისკენ მიმართული ეს ჯიუტი და გამჭოლი მზერა კიდევ ერთხელ აეტანა, მისთვის კიდევ ერთხელ გაეძლო.

- ვინა ხარ, ვინ? აბა, აქეთ მოდი და ჩემ წინ დაიჩოქე! - შესძახა მან.

მზარეულმა პირი იბრუნა, თითქოს საპატიო სტუმარს არაფრად აგდებოდა. დანარჩენებმაც შეწყვიტეს საქმიანობა, აღარც ლანგრები მიჰქონდათ, აღარც საჭმელს ეზიდებოდნენ. ყველანი გაშეშებულებივით მდუმარედ იდგნენ. მათ შორის უტყვად გაიარა უფროსმა მზარეულმა და კარისკენ გაემართა. მშვენიერმა პრინცესა-გოგონამ კი ნაბიჯი ისე გადადგა, თითქოს მათ შორის უნდა გალივლივდესო, მაგრამ მაშინვე შებოჭილივით გაჩერდა.

- ვინ არის ეს, ვინ? რა ქედმაღლობა და თავხედობა იგრძნობა ყოველ მის მოძრაობაში! ვინ დააყენა იგი ჩემს მსაჯულად? - ყვიროდა კაიზერი გოგონას ზურგს უკან და გრძნობდა, როგორ გაუდიოდა მის გულს ბაგაბუგი. წამოდგომა სცადა, მაგრამ განძრევა ისე გაუჭირდა, წელი ძლივს აითრია, თითქოს მთელი ქვეყნის ტვირთი მას ეკიდა. შემობრუნდა თუ არა, იგრძნო, რომ პრინცესას უკან კვლავ გაიხსნა კედელი და იქიდან ორი ყმაწვილი გამოვიდა. ორივე კაიზერისკენ გამოემართა. ერთ მათგანს ხელთ ეპყრა ოქროს პირსაბანი, მეორეს კი ჭინჭილა. ორივე სტუმარს მიუახლოვდა, წინ დაუდგა და ის-ის იყო, ხელების დასაბანად მისთვის წყალი უნდა დაესხათ, რომ კაიზერმა მათში ის ორი ახალგაზრდა ამოიღწო, რომლებიც ცოტა ხნის წინ ცხენზე ამხედრებულნი შემოჯირითდნენ და ასევე ამხედრებულნი გალავანში გაუჩინარდნენ. კაიზერმა თავი დაუქნია, თან მოღიმარი სახით გულდიად და გულითადად ხელი გაუწოდა მათ, თუმცა ყმაწვილებმა იგი ვერ იცნეს. საპატიო სტუმარი განცვიფრდა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, სიტყვები ყელში გაეჩხირა და თითქოს ენა წაერთვაო. ახალგაზრდები

უდიდესი სევდითა და ნაღველით სავსე თვალებით უცნაურად შეჰყურებდნენ მას, ერთს კვლავ პირსაბანი ეჭირა, მეორეს - პატარა დოქი, რომელიც წყლის დასასხმელად მოემზადებინა. უცებ დოქიდან დგაფუნით გადმოიღვრა წყალი, მაგრამ კაიზერს ისე დაესხა ხელებზე, როგორც უსულო ქვებს. კაიზერმა იქით გაიხედა, სადაც გოგონა იდგა, თითქოს ხსნასა და შველას მისგან მოელოდა. გოგონას ორივე ხელი ზემოთ აღემართა, ნაზი და ნატიფი სახე გაბრწყინებოდა, სტუმარს სადღაც შორს მიუთითებდა, სადაც თითქოს იმედი და ნუგეში გამეფებულყო. კაიზერი შეეცადა, მისი ამოუცნობი გამომეტყველების აზრს ჩასწვდომოდა, მაგრამ მის სულშიც იდუმალი, გაურკვეველი, მჭმუნვარე და ნაღვლიანი გრძნობები ერთმანეთს შერკინებოდნენ. ანაზღად უსაზღვრო გაოცებამ მოიცვა იგი: ის ყმაწვილი, რომელიც ყველაზე ბოლოს გამოჩნდა დარბაზში, მხნედ და თამამად, დინჯი და მოზომილი ნაბიჯებით მისკენ მოემართებოდა. კაიზერს თითქოს გული შეეკუმშა, თან მღელვარებისგან უსასრულოდ მოეჩვენა ის ორიოდ ნაბიჯი, ყმაწვილს მისგან რომ აშორებდა. და აი, ის წამიც დადგა... მისთვის ზედ არ შეუხედავს, მაგრამ მიხვდა - იგი

მაღზე ახლოს მისულიყო და მასთან ახლოს იდგა, თუმცა უეცრად ისეთი სუსხი იგრძნო, სიცივემ კინაღამ გააშეშა. დაბინდული თვალებით, როგორც იქნა, გაარჩია, რომ ის არსება თითქოს სიცარიელეს შერწყმოდა, ხელში თეთრი ხელსახოცი ეკავა და ხელებს უმშრალეზდა; ამავე დროს მისი მიხრა-მოხრა და ყოველი მოძრაობა უდიდეს მოწიწებასა და მოკრძალებას გამოხატავდა. ჰაეროვანი ხელსახოცის იდუმალმა ქროლამ თავბრუ დაახვია და ჟრუანტელი მოჰგვარა კაცს, თან ფიქრებიც აუშალა შინ დარჩენილ მეუღლეზე.

- ო, დიდო მეუფევე! - სულ ახლოდან ჩაესმა ყურში და უპატივცემულო და აგდებულმა მიმართვამ ისეთი სიცივე და სუსხი აგრძნობინა, მთელი ტანით აკანკალდა. ასეთი რამ არასოდეს განეცადა, - როგორც ჩანს, ცუდი მასპინძლობა გაგვიწევია! რა ფუჭი და ამოუგამოდგა ჩვენი ცდა და მონდომება!

ოჰ, რა ძალა ჰქონდა ამ უბრალო და შეუფარავი სიტყვებით გამოთქმულ სინანულსა და საყვედურს.

ანაზღად იგრძნო, გული როგორ შეეკუმშა და ყელშიც რაღაც მოაწვა. თვალთაგან მაშინვე ღაჟალუპით წასკდა ცრემლები და სახეზე უმოწყალოდ შეეყინა. ენით გამოუთქმელი ავი წინათგრძნობა დაეუფლა. ნუთუ შეიძლებოდა, მის ცოლზე ვინმეს რამე ცუდი ეთქვა? ამის უფლებას არავის მისცემდა და არც იმას დაუშვებდა, რაიმე დაეთმო და ხელი აეღო იმაზე, რაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა და მისი ცხოვრების ნაწილი იყო. რაღაც მნიშვნელოვნის მოლოდინში მთლად გაირინდა და, როგორც სჩვეოდა ხოლმე, სიშორეს ჩააშტერდა. დარბაზში გამეფებულმა სუსხმა კი თითქოს შვება მოჰგვარა, რომელიც ჯავშანივით შემოჰკვროდა და მის გულს ალბათ ყოველგვარი ბოროტებისგან საიმედოდ დაიცავდა.

ამასობაში დარბაზის ყველა კუნჭულში მდგომი ყმაწვილები ერთად ალაპარაკდნენ:

- ქალბატონიც სიამოვნებით გვესტუმრებოდა, მაგრამ ვაი, რომ ვერ შეძლო! - შესძახეს მათ კაიზერს, - ნეტავ მისი სახე მაინც გვეხილა! - გაისმა ყოველი მხრიდან და ამ სიტყვებს მათი ტირილი, ოხვრა და კვნესა მოჰყვა.

„ეს რა წუწუნი და ვიშვიში მესმის!“ - სურდა ეთქვა კაიზერს, მაგრამ ხმა ვეღარ ამოიღო, პირში ენა ვერც კი მოატრიალა. მოულოდნელად დარბაზის შუაგულში თითქოს ჰაერი ამოძრავდა, სასტიკმა ქარმა დაუბერა და ამავე დროს მის სმენას იმის ხმა მისწვდა, ვინც გამუდმებით ხმადაბლა ლაპარაკობდა:

- ვინც სურვილ-წადილის შესრულებაში გეხმარება, მას მწარე ხვედრი ელის, ეს კი შენმა წითელმა შევარდენმაც კარგად იცის.

ამ შეუნიღბავი და მოურიდებელი სიტყვებით თავისი პირველი სიყვარულის შეხსენებამ კაიზერი ისე განარისხა, სულ კბილების ღრჭიალი დააწყებინა. მაშინ ხომ მოწმე და მოწამე არავინ ჰყოლია, გარდა უტყვი და უენო ფრინველისა... კაიზერმა ძლივს შეამჩნია, რომ ქარი უკვე ჩამდგარიყო და ირგვლივ სიწყნარეს დაესადგურებინა, მაგრამ რა საშიში და შემზარავი იყო ახლა მისთვის ეს სიჩუმე და სიწყნარე.

- ვერ იცანი განა ჩემი უფროსი ძმა? - წასჩურჩულა გოგონამ კაიზერს, - ეს ის არის, ვინც ფრინველად გარდასახული, ფრთებს თვალეზში უტყლაშუნებდა გოგონა-ქურციკს და ამით დიდი სამსახური გაგიწია მისი სიყვარულის მოპოვებაში. კაიზერი არ პასუხობდა.

- ქალი გზას ეძებს და ჩვენკენ მოილტვის! - კვლავ ერთხმად ამოიძახეს ყმაწვილებმა, ლოცვა-კურთხევა შეაწიეს და გზა დაულოცეს, მხოლოდ ამას მოვითხოვთ შენგან!

- რა გზაზე ლაპარაკობთ? - ასევე ხმამაღლა შეეპასუხა კაიზერი მათ. მართალია, გარკვევით ვერ გეტყოდათ, რატომ, მაგრამ თავისივე სიტყვებმა რაღაც ყრუ და ძნელად ასახსნელი სინანული მოჰგვარა.

- განა რა შედეგს გამოიღებს, გითხრათ ის, რასაც შენ თვითონ ვერ მიმხვდარხარ! - კვლავ ერთხმად მიუგეს ყმაწვილებმა, - ცოლის წერილს გულისჯიბით ატარებ და აზრადაც არ მოგსვლია მისი წაკითხვა!

- ამის ატანა როგორ შეიძლება! - კვლავ წამოიძახა კაიზერმა და იგრძნო, ყინვას და სუსხს მის გულამდეც მიეღწია.

- არ წაგიკითხავს, თორემ ხომ მიხვდებოდი მის დარდსა და ურვას! - არ დააყოვნეს პასუხი პატარა მასპინძლებმა.

კაიზერმა თავისდა უნებურად მკერდზე იტაცა ხელი, მაგრამ მიხვდა, ველარაფერი გადაარჩენდა და ბედს შეურიგდა.

- იმას ვდარდობთ და იმაზე ვწუხვართ, რომ შენ ვერ ჩასწვდი მის სულს, ვერ მიუხვდი გულისნადებს, ამიტომაც უნდა მიეტოვებინე და იმასთან ყოფილიყო, ვინც გაუგებდა და მის სულსა და გულში შეაღწევდა. მოულოდნელად კვლავ ამოვარდა ქარი და დაუოკებელი ქროლით კაიზერს მიეჭრა.

- ვინ გაუწყათ თქვენ ეს ყოველივე, ვინ? - გახევებული ტუჩებით ძლივს წარმოთქვა კაცმა.

- თორმეტჯერ შეიცვალა მთვარე, ქალბატონმა კი კვლავ ვერ შეიძინა უნარი ჩრდილფენისა და ჩრდილოვანების! - წამოიძახეს ყმაწვილებმა.

- როგორც ჩანს, თქვენთვის ყველაფერი ცნობილია, - თქვა კაიზერმა.

- ჩვენ ყველაფერი ვიცით, რაც საჭიროა! - უპასუხეს მათ.

- შენ ხომ მას გალავანი შემოავლე ირგვლივ! - რიგრიგობით წამოიძახეს ახალგაზრდებმა, - ამიტომაც დასჭირდა თავის დაღწევა და ქურდივით გაპარვა. წყურვილით დამხრჩვალ შველივით და ქურციკივით მილასლასებდა, ჩუმად მიიპარებოდა ადამიანებისკენ და მათ საცხოვრებელს ძლივს მიაღწია.

„რა უფლებით მელაპარაკებიან ასე, როგორ მიზედავენ ყოველივე ამას?“ - ფიქრობდა კაიზერი და ახლავდა მიხვდა, რომ ბავშვები შეცვლილი ხმით მღეროდნენ. „სწორედ ეს სიმღერა მესმოდა, გარეთ რომ ვიყავი!“ - კვლავ გაიფიქრა კაცმა.

- ქალბატონი მოახლის საქმეს აკეთებს! - სასიამოვნო ხმით განაგრძობდნენ სიმღერას ბავშვები, - მაგრამ ეს მაინც არ ამხნევებს და შვებას არ ჰგვრის მას, ამას იგი ჩვენთვის აკეთებს და ჯერ მზეც არ არის ამოწვერილი, რომ თავის საწოლზე ზის და ხვეწნამუდართით გაიძახის: „სადა ხარ, ბარაკ, სად? მოდი, ჩქარა, მოდი! მე ხომ დამნაშავე ვარ შენ წინაშე!“

- დამნაშავე ვარ შენ წინაშე, ბარაკ, დამნაშავე! - ყველამ ერთხმად გაიმეორა ისეთი წვრილა და მაღალი ხმით, რომ მათი ხმა უზარმაზარი აკლდამის თაღსაც კი მისწვდა.

- ეს რა სიტყვები მესმის! - წამოიძახა თვალეზგაფართოებულმა კაიზერმა, მაგრამ გული ისე ქვასავით დამძიმებოდა, ვეღარ ამოისუნთქა.

- საჭირო და მნიშვნელოვანი სიტყვებია! - უპასუხა ყველამ ერთხმად.

კაიზერს არაფერი ეთქმოდა, თავი ღრმად ჩაჰკიდა და თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა:

- ვაი ჩემს თავს! ვიდრე ამ ამბავს გავიგებდი, მანამდე ხომ ტაკიმასხარა გაკადნიერდა, ჩემი სევდა-ნაღველი შენიღბულად გამახსენა და ამიწერა ყველაფერი.

- იხარე და იდღეგრძელე, ბარაკ! - მღეროდნენ ბავშვები გულში ჩამწვდომი, წვრილა ხმით, - მართალია, შენ ერთი ღარიბი მღებარი ხარ, მაგრამ დიდსულოვნებითა და სულგრძელობით ვერავინ შეგედრება. შენ ხომ ყველას მეგობარი და კეთილმოსურნე ხარ! ქედს ვიხრით შენ წინაშე!

კაიზერი იდგა დარბაზის შუაგულში, თუმცა მას ყურადღებას აღარავინ აქცევდა. ყმაწვილები მიწამდე ხრიდნენ თავს იმის წინ, ვინც იქ არ იყო და არც ჩანდა. დაბლა დახრილი მათი მშვენიერი და შუქმფენი სახეები ისეთ ნათელს ასხივებდა, რომ იატაკი წყლის ზედაპირით ელვარებდა.

გოგონა განზე იდგა, დაჟინებით მისჩერებოდა კაიზერს და თვალს არ ამორებდა. მის მზერაში შიშსა და რიდთან ერთად საოცრად იყო შერწყმული სიამე და ნეტარება. კაიზერი კიდეც ერთხელ მიუბრუნდა გოგონას და აღელვებული შეეკითხა:

- მიპასუხე, ვინ არის ეს ბარაკი და რა ესაქმება ჩემს ცოლთან?

- ო, დიდო ბატონო! მას მხოლოდ დიდბუნებოვნება და დიდსულოვნება ამოძრავებს! - გულში ჩამწვდომად წამოიძახეს ყმაწვილებმა.

- რა საქმე აქვს მას ჩემს ცოლთან, რა საქმე აქვს-მეთქი? - მერამდენედ იმეორებდა კაიზერი ჯიუტად და მკაცრად, თან ნახევრად ღია თვალებით უმზერდა გოგონას; მაგრამ ქუთუთოები ტყვიასავით დამძიმებოდა, თვალებს ძლივს ახელდა, თითქოს პასუხს ელოდა, მაგრამ კიდეც სურდა და კიდეც არა მისი შეტყობა.

მაღე გოგონა სხვებს გამოეყო და ისე მიაშურა კაიზერს, თითქოს მჭიდრო და მწყობრი ნაბიჯებით მიემართებოდა. მას ისეთი მწუხარე და სევდიანი სახე ჰქონდა, კაცს მოეჩვენა, რომ ეს არსება მისთვის უდიდესი საიდუმლოს განდობას აპირებდა. - მხოლოდ მცირედი სულგრძელობა და დიდსულოვნება! - კვლავ გაისმა ხმები.

ანაზღად კაიზერს თითქოს თავზარი დაეცა, მოეჩვენა, რომ გოგონა საოცრად ჰგავდა მის ცოლს, ხოლო მის შიშნარევ და შემკრთალ მზერაში ენით აუწერელი ერთგულება და თვითაღკვეთა გამოსჭვიოდა, თანაც მისი სახით ქანცაწყვეტილი, ელდანაცემი და სულთმობრძავი ქურციკ-ნიამორის ორეული დაუდგა თვალწინ. ყველაზე ძლიერად კი გოგონას თვალები იმ ზეციურ აღთქმასა და აღსარებას გამოხატავდნენ, რომლის გაგონებასაც კაიზერი არასოდეს ისურვებდა, ხოლო შენდობისა და პატიების გამოხატველ თხოვნა-მუდარასაც ვერასოდეს შეისმენდა და პატიება-შენდობასაც ვერ გაიღებდა. ზიზღითა და სიძულვილით აივსოიგი როგორც იმ განდობილი საიდუმლოს, ასევე საიდუმლოს გამნდობის მიმართაც. იგრძნო, როგორ გაქვავებოდა მკერდში გული. ხმამაღლედ და მტკიცედ სარტყელში გარჭობილ სატევარზე იტაცა ხელი, რომ ამ მდედრისთვის მაინც ეტყორცნა, რადგან იმ წუთში ცოლს ხომ ვერ მოიხელთებდა, ვერ მისწვდებოდა. მარჯვენა ხელის თითებს ვეღარ გრძნობდა და გადაწყვიტა, მარცხენა ხელი ეხმარა, მაგრამ ჩანდა, არც ერთი აღარ ემორჩილებოდა. გაშეშებული მკლავები უილაჯოდ ეკიდა უღვთოდ გაშეშებულ ტანზე, გაქვავებულ ტუჩებს კი სიტყვის წარმოთქმაც აღარ შეეძლოთ.

- აბა, უკვე დროა! - ხმამაღლა წამოიძახა უფროსმა ძმამ. უამრავი სანათითა და კანდელით, ხორაგითა და ძვირფასი კერძებით დაზვიანული მაგიდა თვალის დახამხამებაში სადღაც გაქრა.

- მხოლოდ და მხოლოდ დიდსულოვნება და დიდბუნებოვნება, სულგრძელობა და მიმტევებლობა, ჩვენო ძვირფასო მშობელო მამავ! - მგზნებარედ წამოიძახეს მშვენიერმა, წკრიალა ხმებმა, მაგრამ უზარმაზარი და შეუვალი კაცი-ქანდაკი მათ შუა გოროზად აღმართულიყო და აღარ იძვროდა.

და-ძმანი ცეცხლის ალებივით თვალისმომჭრელად და ნარნარად აქეთ-იქით ირხეოდნენ და ირწეოდნენ, ხოლო მათი სახეები ნაზად ციალებდა და ელვარებდა. ყველაზე უფროსი რომ გოგონა იყო, ეს ძნელად ამოსაცნობი სულაც არ ჩანდა. მას ქანდაკი-კაიზერისთვის მზერა მიეპყრო და თვალს არ აშორებდა.

მოულოდნელად, თითქოს პირი შეკრესო, კედლებმა თავი ერთად მოიყარეს და იქაურობას განერიდნენ. ყველა კარი გაქრა და დარბაზი წრიული გახდა; ზემოდან კი ცის თაღი გახსნილიყო და ვარსკვლავებსაც ეჩინათ თავი. ამასობაში იქ მყოფი არსებანი დაიქსაქსნენ, მიმოიფანტნენ და გაუჩინარდნენ, ხოლო შუაგულ სივრცეში მარტო აღმოჩნდა კაცი-ქანდაკი.

* * *

მეორე დილით, ჯერ მზე არ ამოწვერილიყო, როცა გადია დედოფალს ეახლა. ძალზე გაუკვირდა, როცა მღვიმარე და თავის დაბალ საწოლზე წამომჯდარი დაინახა.

მოხუცმა შვილობილის წინ ჩაიმუხლა და საწოლის ქვემოდან შავმაღამოიანი ალებასტრის ჭურჭელი გამოიღო.

- ბედნიერი ვარ, ვგრძნობ, დღეს უთუოდ მოვიპოვებთ სანუკვარ და სანატრელ ჩრდილს! - წარმოთქვა დედოფალმა და სახე გაუბრწყინდა.

გადიამ მრუმე ფერის ჩამუქებულ წამალს დაავლო ხელი და იმაზე ორჯერ მეტი წასცხო, ვიდრე საჭირო იყო.

მალე ორივე გარეთ გავიდა, ქვემოთ დაეშვა და მღებრის სახლის წინ გაჩერდა, ოღონდ არა შესახვევის, არამედ მდინარის მხრიდან, სადაც ბარაკის ფარღალაღა, ნახევრად ღია ფარდული იდგა. მღებარი თავის სამღებრო საქმეს იმ ფარდულში აკეთებდა ხოლმე. ერდო-ბანზე, სადაც საშრობი იყო მოწყობილი, კიბე ედგა.

- მოიცა! - წარმოთქვა გადიამ, - კარგად უნდა გავიგოთ, რას აპირებს მღებრის ცოლი. იმას რა სჯობია, ყველას და ყველაფერს რომ ხედავ, შენ კი ვერავინ გამჩნევს! - თქვა ეს მოხუცმა და ორივე უმაღლეს ფარდულის უკან მიიმალა.

თითქოს ვინმემ დაუძახაო, მღებარი ქალიც მაშინვე გამოვიდა სახლიდან და ეზოს მიაშურა.

- ერთი შეხედე, რას ჰგავს, დილიდანვე რა ფერწასული და თვალეზამოღამებულია! - წაიჩურჩულა გადიამ და დასძინა, - აი, ნახე, დღევანდელი დღე სწორედ ისეთი იქნება, ჩვენ რომ გვჭირდება.

ამასობაში მღებარმა ქალმა ეზო გადასერა, მაგრამ ისე იყო შეპყრობილი მჭმუნვარე ფიქრებით, რომ ყურადღება არაფრისთვის მიუქცევია. როცა სამალავიდან გამოსული გადია და დედოფალი დაინახა, არც კი გაჰკვირვებია, ეტყობოდა, ვერც კი გააცნობიერა, რომ სტუმარი ქალები გუშინდელი საღამოს შემდეგ არ ენახა. კარზე ჩამოფარებული დაგლეჯილი ჭილოფის ფარდა გადასწია და გადია გაატარა, მაგრამ შეამჩნია თუ არა დედოფალი, რომელიც მას უკან მიჰყვებოდა, მაშინვე წინ გადაუდგა და დაუცაცხანა:

- ახლავე აქედან დაიკარგე, ჩემმა თვალეზამა აღარ დაგინახოს!

გადიას სურდა, შვილობილს გამოსარჩლებოდა, მაგრამ მასპინძელი არ ცხრებოდა:

- აბა, აბა, წადი აქედან, ბარაკს მიეშველე, კუზიანსაც მოემსახურე და ცალთვალასაც. თვალის დასანახავად მეზიზღება ეს ყმაწვილი ქალი, მასზე სიტყვაც აღარ დასძრა, მისი სახელიც კი აღარ მიხსენო! - დაუმატა გაცხარებით და შინ მხოლოდ გადია შეუშვა. შესვლისთანავე ორი პატარა სკამი აიღო, გადაწმინდა, ერთზე თვითონ ჩამოჯდა, მეორე კი გადიას მიუმარჯვა და მიმართა:

- მოდი, ახლოს დამიჯექი, მოხუცო! მე ხომ თავიდან თვალთმაქცი და მატყუარა მეგონე, წაგეჩხუბე და გაგლანძლე კიდევ. ამისთვის პატიება მინდა გთხოვო. შენ ხომ იმისთვის მომევლინე, რომ დაგერწმუნებინე, თითქოს ამქვეყნად არსებობს კაცი, რომელიც ჩემზე ოცნებობს და ფიქრობს, მერეკი მომგვარე სრულიად უცხო მამრი, რომელიც თვალთ არასოდეს მენახა, - მღებარი ქალი ისე დინჯად, დამაჯერებლად და შთამბეჭდავად ლაპარაკობდა, თითქოს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და აწონ-დაწონილი, - ჰოდა, ძალიან კარგი, როგორც იქნა, ვიხილე იგი. ამისთვის მადლობას გწირავ, ჩემო მოძღვარო და მასწავლებლო. ის მამრი მართლაც მიმზიდველია, - ამ სიტყვებით ქალმა აგიზგიზებული სახე ხელებში ჩარგო, - კარგად მივხვდი, რომ მას ჩემი დაუფლება და დაპატრონება სურს, -

დაუმატა მჭმუნვარედ და პირქუშად, - ჰოდა, აი, მომისმინე, რა გადავწყვიტე, - წარმოთქვა მან და ლაპარაკი შეწყვიტა, კარზე ჩამოფარებული ფარდა გადასწია და შიგნით შეიხედა, სადაც მღებარი ბარაკი

საქმიანობდა. მას შარვლის ტოტები რაც შეიძლება მაღლა აეკაპიწებინა, პერანგის კალთები სარტყელში ჩაეკრიფა და დაბალ ვარცლში ჩამდგარიყო. ვარცლიდან ისეთი ორთქლი ამოდიოდა, რომ იქაურობა ბუდით იყო სავსე. ბარაკი ფეხების მწყობრი და თანაბარი მოძრაობით პირუტყვის დაკვლისა და გატყავების დროს გასისხლიანებულ ტანსაცმელს სრესდა და თელავდა, ჭუჭყსა და სისხლს საგულდაგულოდ აცლიდა და შემდეგ რეცხავდა. დედოფალი იქვე ახლოს ჩაცუცუქულიყო და მორჩილად შეჰყურებდა კაცს. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ცალთვალა გართხმულიყო მიწაზე და ისე ღრმად ეძინა, რომ ვერც კი გრძნობდა, მზის სხივი ნესტოებში როგორ უძვრებოდა. კუზიანიც, ეტყობოდა, ის-ის იყო, ამდგარიყო, იქექებოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორივე ხელით ზურგს იფხანდა. იდაყვებზე დაყრდნობილი ცალთვალა კი ისეთი სიამოვნებითა და ნეტარებით ამთქნარებდა, რომ სახეზე აღარაფერი უჩანდა, გარდა უფსკრულივით დაფჩენილი ხახისა და შავი თმისა, თავზე ბუჩქად რომ ადგა.

- ერთი უყურე, მუნჯივით უტყვად როგორ ჩაცუცქულა, გომბეშოსავით შხამად იცლება და ირგვლივ ყველაფერს შხამავს! - წამოიძახა მღებარმა ქალმა და გადიას მკაცრი მზერა მიაპყრო, - მითხარი, ეს გოგო უბიწო და უმანკოა? ვინ არის და რას წარმოადგენს? ჰყავს მამრი და ვინმეს ეკუთვნის თუ არა? მინდა ყველაფერი ვიცოდე. მიპასუხე, ჩქარა მიპასუხე! - კითხვას კითხვაზე აყრიდა მოხუცს, თუმცა აღელვებული პასუხს არ უცდიდა. უცებ სახე მთლად შეეცვალა, გაღიმებაც კი სცადა, ხმაში თრთოლა გამოერია და ბავშვივით მჟღერი გაუხდა, - შენ გამო რაღაც

სენი შემეყარა, მოხუცო, - ძლივს ამოღერდა მან, - დამაავადე და დამასნეულე. გამიგონია, არიან არსებები, სწყურიათ, უწყლოდ იხრჩობიან, მაგრამ წყარომდე ვერ მიუღწევიათ. მეც ასეთ დღეში ვარ! - განაგრძო მან და თივით სავსე ტომარაზე ჩამოჯდა, - არა, შენ არაფერ შუაში ხარ. შენ გამო კი არა, იმ მამრის გამო დავსნეულდი! - ისე წარმოთქვა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, - მან ამაფორიაქა, სული და გული ამომიტრიალა, შემცვალა და გარდამსახა, ქალად მაქცია ისე, რომ არც შემხეზია. გესმის, ეს რას ნიშნავს? ვინ იყო შენი პირველი სიყვარული, მოხუცო, და ვინ გაქცია სწავლულად და მეცნიერად? რამეთუ ისინი არიან ჩვენი მოძღვარნი და დამრიგებელნი... ვისი მეოხებით გახდი ასე გონიერი, ჭკვიანი და თავდაჯერებული, რომ ასეთი კაცი გენდო და დაგემორჩილა? - განაგრძობდა ქალი და გადიას ზედაც არ უყურებდა, თითქოს მისი პასუხი არც აინტერესებოდა, - დიახ! დიახ! ყველაფერთან ერთად სირცხვილ-ნამუსიც მან მასწავლა. რამდენ ხანსაც უნდა ვიცოცხოლო, ყოველ წუთს მზად ვიქნები, მისი კუთვნილება გავხდე, მისი წილხვედრი, - მოდიმარს ანაზღად ცრემლები წასკდა, თუმცა მალე გადაიკარა და მაშინვე განაგრძო, - იგი ღამით მომევლინა, თუმცა კარგად ვიცი, ეს არ ყოფილა სინამდვილე, ბრიყვო მოხუცო! განა არ შეიძლება, თვალგახელილი იწვე და სიზმარს ხედავდე ისე, თითქოს ეს მართლა ხდებოდეს? განა არ შეიძლება, ამ ღარიბულ და უბადრუკ საწოლზე იწვე და გეჩვენებოდეს, რომ ანტილოპის ბეწვზე წევხარ და ზემოდანაც ბუმბულივით ჰაეროვანი და ნაზი კვერნის ბეწვი გაფარია? მაგრამ უაზრობაა ყველაფერი. მშვენიერი

ზღაპარი დიდხანს არ გრძელდება და ბოლოს, ცხვირში ისეთი აუტანელი და მყრალი სუნი მოგხვდება, თითქოს

საწოლის უკან, კუთხეში, ბავშვის გვამი ეგდოს. ეს უნდა დამთავრდეს, ამას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს!

ქალი წამოდა და იქაურობას გაეცალა. სახეზე ისეთი ზიზღი და სიძულვილი ეხატა, თითქოს სადღაც ახლოს მართლაც თოთო ბავშვის გვამი ეგდო. მოულოდნელად სმენა დამაბა და ყური მიუგდო. გარედან რაღაც ხმაური ისმოდა. უცებ ქარი ამოვარდა, კარზე ჩამოფარებული ჭილოფი ააფრიალა და სახლში ხმამაღალი საუბრის ხმამ შეაღწია. ეს აშკარად ბარაკის ხმა იყო, თუმცა მდინარის გაღმიდან მას ვიღაც უცხოს ხმაც დაემატა. ქალმა ჭილოფი უფრო გადასწია და კარში გაჩერდა. მღებარ კაცს ფეხებით ნარეცხი და მოთელილი ტანსაცმელი სუფთა ფიცრებზე გადაეკიდა და კვლავ თეთრად ღებავდა. დედოფალი მას გულმოდგინედ ეხმარებოდა. ნავლები სისხლისფერი წყალი გადაბრუნებული ვარცლიდან ღარში იღვრებოდა. კაციც და ქალიც დიდი მონდომებით აკეთებდნენ საქმეს, სტუმარ-მასპინძლისკენ არც გამოუხედავთ. ორივე ისე იყო გართული, რომ მღებარი ქალის ხმამაღალი დამახეზაც კი ვერ გაიგონეს. გადია ახალგაზრდა ქალთან მიფრატუნდა, სახელოზე მოკრძალებით შეეხო და აჩურჩულდა:

- დამშვიდდი, დამშვიდდი, დღევანდელ საღამოზე იფიქრე და იმაზეც, რომ კანი ნაზი და ფაქიზი უნდა გქონდეს, თან ოქროსავით უნდა გიბრწყინავდეს.

- ბარაკ! - წამოიძახა ცოლმა, - განა დღეს გასაყიდი საქონელი არ უნდა წაგეღო?

ამ უბრალო და ვითომდა უწყინარ შეკითხვაში გესლიანი დაცინვა და აბუჩად აგდება იგრძნობოდა. კაცმა არაფერი უპასუხა. ეტყობოდა, ვერც ეს კითხვა გაიგონა.

- დღეს საღამოს ჩემთან ერთად წამოხვალ მდინარისაკენ, - კვლავ აჩურჩულდა გადია, - ჰოდა, ვისზეც ჩვენ ვლაპარაკობდით, იგი ღამის დადგომას მხურვალედ ელოდება. ის ბინდბუნდსა და სიბნელეშია გმირი და ქველი. ყმაწვილი ქალი მკვეთრად მიუბრუნდა მოხუცს:

- ეს გოგო შენნაირად დაწინწკლული სულაც არ არის, იმიტომ, რომ არ არის შენი შვილი, არა! - უცაბედად წარმოთქვა მან და გადიას გამომცდელად შეხედა, - ეტყობა, დიდი მიზნები არ აქვს დასახული, მაგრამ რა მიზანიც აქვს, შუბლზე აწერია და თან ვარსკვლავით უკაშკაშებს! - წამით შეჩერდა და განაგრძო, - მაგას ცოცხალს არ დავტოვებ, უთუოდ მივახრჩობ! - წამოიძახა ბრაზით და უცანურად გაიცინა, - ამ კაცს კი რა ვუყო, არ ვიცი, როგორ დავსაჯო, როგორ გადავუხადო სამაგიერო იმისთვის, რომ ჩემს ბედისწერად იქცა? ასე თამამად და უშიშრად როგორ გაბედა ჩემთან მოსვლა და თავისი ღორული დინგით ჩემი მოკარება? ამაზეც უნდა ვიფიქრო. ეს შენ არ გეხება, თუმცა გეტყვი იმას, რაც მთავარი და გადამწყვეტია; ყველაფერს შეგისრულებ, რასაც მთხოვ. ახლა კი მიდი და ბარაკი აქ მომიყვანე, რაღაცა უნდა ვუთხრა, როგორც ჩანს, დაყრუებულია, ჩემი ხმა არ ესმის.

გადიაუკვე ზღურბლზე იდგა და დავალების შესასრულებლად წასვლას აპირებდა, მაგრამ ცნობის მოყვარეობამ აიტანა და სმენად გადაიქცა, სურდა გაეგონა, კიდევ რას იტყოდა ახალგაზრდა ქალის ენა-პირი:

- რა კუშტი სახე ჰქონდა იმ ახალმოვლენილ მამრს, თანაც დემონივით ცბიერი და გამსჭვალავი; ქედმაღლობა და ანგარება, სითამამე და შეუპოვრობა, - ეს ყველაფერი მასში ერთად ვიგრძენი და დავინახე, ამიტომაც არის იგი ჩემი ტოლი და სწორი. თუმცა ლაპარაკი არ ეხერხება, სამაგიეროდ, ძალდატანება და დაპყრობა კარგად იცის! - წარმოთქვა ქალმა კვლავ ჩვეული უცნაური, ორაზროვანი სიცილით, თუმცა სახე კი არ უდიმოდა - ქვასავით გაშეშებოდა. მოულოდნელად სულის სიღრმიდან ამომავალი ღიმილი მთელ სახეზე გადაეფინა და მკმუნვარე, კუშტი ნაკვთები გაუნათა, აუელვარა. რა უბადლო და მშვენიერი იყო იგი ამ წუთს; ჩანდა, გულიც აუჩქროლდა, სისხლი მოაწვა და მისი ნორჩი სული ერთიანად ააგიზგიზა. ეს უცაბედი გარდაქმნა და გარდასახვა რომ შეატყო, უდიდესმა სიხარულმა და ნეტარებამ მოიცვა მოხუცი გადია.

- არა, არა, უგუნურო და ბრიყვო მოხუცო! ჩემს სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ის მამრი ისეთი მომხიზვლელია, როგორც აისის მნათობი. მისი მიმზიდველობა და სიქველე ის ნემსკავია, რომელზეც დიდი ხანია წამოვეგე და გულგანგმირული მთელი ძალით აქეთ-იქით ვაწყდები და

ვებეთქები, ანკესი კი შენ ჩაგიბლუჯავს, ეს ხომ კარგად იცი! - მგზნებარედ და აღტაცებით წარმოთქვა უცაბედად, თან ნაზად და სათუთად გადიას ყელზე მოეხვია და მის მოალერსე ხელებს მთლად მიხდობილი, პატარა ბავშვივით გაინაზა.

- მხოლოდ დასაწყისია ძნელი, მხოლოდ ურთიერთთან შეყრა იქნება უჩვეულო და მძიმე! აჰ, ღმერთო ჩემო, როგორ აღსრულდება ეს ყოველივე? - ოხრავდა მღებარი ქალი. გადიამ აღარ იცოდა, რა ეთქვა. ნუ წუხხარ და ნუ დარდობ, უთუოდ ვიპოვით გამოსავალსო! - დამაჯერებლად პასუხობდა ქალს. ყმაწვილმა ქალმა თავი ჯიუტად გააქნია:

- მე შენნაირად სულაც არ ვფიქრობ, სხვა აზრის ვარ, შე ბებრუხანა, მაგრამ შენ ამას მაინც ვერ გაიგებ! - გადია შეჰყურებდა მას, თან, როგორც სჩვეოდა, თვალებს აპარპალებდა, - უშენოდ მოვიდეს ჩემთან, უშენოდ! - ყვიროდა ახალგაზრდა ქალი, - იმიტომ რომ ვერ გიტან, ვერა, დაიმახსოვრე, მძულხარ! ის სიბილწე და სისაძაგლე მეზიზღება, რასაც საკუთარ თავში ვხედავ და რაც შენთან მაკავშირებს. შენ ხომ მშვენივრად იცი ჩემი და იმ მამრის სულმდაბლობა, შეგიძლია დაგვჯაბნო, ერთსაც გვაჯობო და მეორესაც, მაგრამ არაფერი გამოგივა, ტყუილად დამწერები! - ამ სიტყვების გაგონებაზე მოხუცი კვლავ მოჰყვა წამწამებგაქუცული და გამოხუნებული თვალების პარპალს, ნახევრად ღია პირში კი სიფრიფანა და გალეულ წვეკრტა ენას გაუთავებლად ამოძრავებდა, თუმცა კი სიტყვაც არ დაუძრავს; ეზო სწრაფად გადაიარა და

ბარაკს მიაშურა. მიუახლოვდა თუ არა, დაინახა, რომ მღებარმა თხის ნაზი ბეწვის ქსოვილის სამი ადლი განისა და ცამეტი ადლი სიგრძის უზარმაზარი შეკვრა საღებავის გასაძლიერებელი შაბიანი ხსნარიდან ამოიღო, მთლად გაჯირჯვებული

გორგალი დიდ ნაჭერში შეახვია და სველი ტვირთი, წუწები რომ სცვიოდა, ღონიერ ზურგზე თვალის დახამხამებაში მოიგდო. გადიამ იქვე შენიშნა დედოფალიც, რომელიც მოახლესავით იქცეოდა და ანაზღად ბარაკის უზარმაზარ ტვირთს შეებიჯგა კიდეც ქვემოდან, რომ კაცს ცოტათი მაინც შეშველებოდა. გადიამ ცოტა შეიცადა, მერე დედოფალს თვალით რაღაც ანიშნა, მანაც აღარ დააყოვნა, მოხუცთან მიიჭრა და მაშინვე კითხვა კითხვაზე მიაყარა:

- რას ფიქრობს, მითხარი! თანახმაა, საკუთარ ჩრდილს შეელოს?

- განა მისთვის ეს ასე ადვილია? - კითხვა შეუბრუნა გადიამ, თუმცა შვილობილი მას აღარ უსმენდა, თავი მიებრუნებინა და მხარს იქით გაფაციცებული უყურებდა ბარაკს.

კაცი ტანჯვა-წვალებითა და გაჭირვებით, ირიბად და გვერდმოქცეულად ციცაბო კიბეზე აბობლებას ცდილობდა, თან ტლანქი და მძიმე სხეულით საფეხურებს მჭიდროდ ეკვროდა, რომ ტვირთს არ გადმოეძალა.

- აბა, ჩქარა, ჩქარა, ქალს ჩრდილი გამოვართვათ, ამ კაცს კი თავისი გასამრჯელო ეკუთვნის.

- რა გასამრჯელო? - წამოიძახა გადიამ, - ტლანქ და მოუქნელ სპილოს ნეტავ რით უნდა დაემსახურებინა გასამრჯელო? აბა, ახლავე მიდი და ეგ კაცი შინ შეიყვანე, ცოლს ორიოდ სიტყვა უნდა უთხრას.

- რას აპირებ და რა გინდა ამ ცოლ-ქმრისაგან, რა? - შეეკითხა გადიას თავისი გაზრდილი. გადიას სახე მოელრიცა:

- თავი დამანებე, მაგის ცოლზე ყველაფერი მშვენივრად ვიცი, კარგი მზარეულივითა ვარ, რომელსაც არ შეეშლება, ქათამი მოხარშულია თუ არა, - ამ სიტყვებით გადიამ ზურგი შეაქცია დედოფალს და სახლისკენ წაფრატუნდა, დედოფალმა კი კიბეს მიაშურა და საფეხურები უჩუმრად აიარა; ერდო-ბანზე მღებარი დაინახა, რომელიც ჯერაც ისე ქოშინებდა, სულს ძლივს ითქვამდა, თან შუბლიდან ლურჯი ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. დედოფალმა მას თავისი ცხვირსახოცით სახეზე ოფლის წმენდა დაუწყო, კაცი კი საქმიანობას განაგრძობდა და თავისი უშველებელი ხელებით გასაშრობად გამზადებული ლურჯი ძაფის გორგალს ფრთხილად და ნაზად შლიდა და ახალვათებდა, რათა ჰაერს გორგლის სიღრმეში შეედწია, გაეშრო და ჭუჭყიანი მონაცრისფრო სიყვითლე კაშკაშა ფერად ექცია. პირუტყვის გატყავებისას და ჭუჭყიანი საქმის დროს სახმარი ტანსაცმელი გასაშრობად უკვე ლატანზე იყო გადაკიდებული.

როცა მღებარი სახლში შევიდა, დედოფალი ფეხდაფეხ მიჰყვა მას და კარში შეჩერდა. მღებარი ქალი ელვის სისწრაფით დაიხარა, იატაკიდან ჭუჭყიანი და გაჭვარტლული ცეცხლის საჩხრეკი აიღო და მთელი ძალით ესროლა დედოფალს. გრძნეული ჯადოქრის შვილობილმა მისკენ ნასროლი საჩხრეკი სიოსავით მსუბუქად და მოხერხებულად აიცდინა და გვერდზე გახტა. ბარაკმა გადმობრუნებული სქელი ტუჩები გასწი-გამოსწია და პირი დააღო. ჩანდა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ცოლმა ისე გადახედა, კაცი ენაჩავარდნილივით გაჩერდა და უმაღვე დაიხარა, კედელთან მიყრილ ხარახურაში თავი ჩარგო, თითქოს რაღაცას ეძებსო. ცოლიც

დამუნჯებულიყო და ხმას არ იღებდა. მის მშვენიერ და მიმზიდველ სახეს მკაცრი და შეუპოვარი გამომეტყველება მისცემოდა. კაცი მუხლებზე წამოიწია, ხელში რქის ძველ კოვზს ატრიალებდა.

- დღესდილიდან უამრავი საქმე გავაკეთე, - თქვა და ცოლსალერსით გადახედა, - ძალიან მწყურია, თუ შეიძლება, რამე დამალევინე.

ქალს ნიკაპი დაეჭიმა, თითქოს დაუგრძელდა კიდეც. გადია ყური მოჰკრა თუ არა კაცის ნათქვამს, მაშინვე გაიქცა, თიხის პირმოტეხილი სასმისი წყლით აავსო და მღებარს მიაწოდა. კაცმა უცნაურად გადახედა ცოლს, თითქოს რაღაცას ელოდებო, ცოლმა კი მის თავს ზემოთ, სადღაც შორეთში, ისე გაიხედა, თითქოს ქმარი იქ არც ყოფილიყოს; მაშინ კაცმა სასმისს ხელი სტაცა და სულმოუთქმელად გამოცალა.

- ეს რა არის, რა დავლიე? - წამოიძახა გაკვირვებულმა, თან უცნაური გრძნობა დაეუფლა. პასუხს არ დაელოდა, ზურგზე გადაწვა და მაშინვე მიღს მისცა თავი. გადია მღებრის ცოლისკენ წალივლივდა.

- უკვე თავისუფალი ხარ, თავს აღარავინ მოგაბეზრებს! - აჩურჩულდა მოხუცი, - ისეთი რამ ჩავურიე სასმელ წყალში, იმის მეოთხედი რომ უზარმაზარ სპილოს დააღვეინოს ადამიანმა, საწყალი ცხოველი გამოუფხიზლებლად ათ საათს იძინებს.

- ჯანდაბას მაგის თავი! - წამოიძახა ქალმა, - სულ ასე უნდა მისხლტებოდეს ხელიდან? ნუთუ ისევ ვერ უნდა მოვითხოვო პასუხი?! - ამ სიტყვებით ქალი მიწაზე მწოლიარისკენ გაემართა, თან შუბლშეჭმუხნილი და მოქუფრული მძინარეს დაშტერებოდა. გადია ველარაფერს მიმხვდარიყო. - რა გინდა, კიდეც რას უპირებ, რას? - ჰკითხა ყმაწვილ ქალს. ქალმა მოხუცს ყურადღება არ მიაქცია, უფრო მიუახლოვდა მძინარეს. სახიდან პირქუში და მკაცრი გამომეტყველება არ სცილდებოდა.

- ვაი, დედაჩემო, დედაჩემო! - წარმოთქვა მღებრის ცოლმა და ისეთი ოხვრა აღმოხდა, თითქოს გული თან ამოაყოლაო. დიდხანს იდგა იგი კაცის სიახლოვეს და თვალმოუშორებლად

დასცქეროდა მას, - ვაი ჩემს თავს, ვაი ჩემს თავს! - ოხრავდა იგი, - მარცვლად რომ ვიქცე, იგი მაშინვე მამლად იქცევა და აუცილებლად გადამყლაპავს, ცეცხლად რომ ვიქცე, წყლად იქცევა და უმოწყალოდ ჩამაქრობს. ჩვენ ხომ ჯაჭვით ვართ ერთმანეთზე გადაბმული და გადახლართული.

ამ სიტყვებით ქალი იქაურობას მოსცილდა, თუმცა მაშინვე შემობრუნდა და გაწვდილი ფეხის წვერით შეეხო მწოლიარეს.

- როგორც ჩანს, უკვე დროა, ეს საძულველნი თავიდან მოვიშორო, თავი დავიხსნა მათგან, რადგან ყველა ამნაირს მუდამ ბილწი და ავხორცი სურვილები ამოდრავებს, გამუდმებით იმას ფიქრობენ, სულიან-ხორციანად როგორ დამიპყრონ და დამიმორჩილონ, წადილმა ლამის მკვლელებადაც კი აქციოთ, ხოლო თავიდათავი, მგონი, ეს ვაჟბატონია და ყველაფრის მიზეზიც ის ბრძანდება.

მართალია, ქალი ჩურჩულით ამბობდა ამას, მაგრამ მის ჩურჩულშიც იგრძნობოდა შეუპოვრობა და სიმტკიცე. მოულოდნელად არაადამიანურმა სიშმაგემ მოიცვა, მწოლიარეს ეცა და ღონივრად შეაჯანჯღარა, თან ყურში ხმამაღლა ჩასძახოდა:

- ბარაკ, ბარაკ! მომისმინე და გაიგე ჩემი ნათქვამი, რადგან გადამწყვეტი ჟამი დგება!

გადია მაშინვე შემობრუნდა და იგრძნო, მის ზურგს უკან დედოფალი როგორ მოლივლივებდა. გაოცებული და განცვიფრებული მოხუცი უსიტყვოდ მისჩერებოდა შვილობილს, რომელსაც, მოკვდავივით, ცრემლები ღვარადსდიოდა, ხოლო სახეზე უსაზღვრო სულიერი ტკივილი და მწუხარება აღბეჭდვოდა. გადიამ ხელი შეავლო და კედლისკენ ფრთხილად წაიყვანა. შვილობილი არ გაჯიუტებია. მოხუცმა ფეხით შეალო ჟანგიან ანჯამებზე ჩამოკიდებული, ფიცრებით შეკოწიწებული ძველი კარი.

- აბა, ჩუმი იყავი და იცოდე, რომ მხოლოდ დღეს და მხოლოდ ამ წუთს დაგვირგვინდება ჩვენი დაწყებული საქმე კეთილად, - ჩასჩურჩულებდა იგი დედოფალს.

დედოფალი უსიტყვოდ, ხმაამოუღებლად, გაშეშებულივით იდგა და ვერც კი გრძნობდა, ჭერში ჩამოკიდებული გამხმარი ბალახეულის კონები თავსა და ტანზე როგორ ელაცეებოდა. ვიწრო საკუჭნაო სავსე იყო დოქებითა და ქოთნებით, რომლებიც დროდადრო ისე ჩხარუნობდნენ და წკარუნობდნენ, თითქოს ერთმანეთს ეხმიანებიანო, ხოლო ერთმანეთზე მჭიდროდ დაწყობილ სავსე ტომრებში ხმელი ბალახი გამუდმებით შარიშურობდა და შრიალებდა. დედოფალი ვერ ინძრეოდა, შებოჭილივით იდგა, საოცარ შიშს შეეპყრო და გულამოვარდნილივით სუნთქავდა.

- ახლა რაღა გინდა ამისგან, რა? - შესძახა გადიამ დიასახლისის და იგი მძინარე კაცს ძლივს ააგლიჯა.

- მე რა მინდა? - გაჰყვიროდა ქალი, - თვითონ ამ კაცს რა უნდა ჩემგან, რა? უჰ! სად მე და სად ეს! - წამოიძახა მძულვარებით და მძინარეს მთელი ძალით დააცხრა, - ეს რა ჩემი ტოლი და სწორია? განა ეს ჩემი შესაფერია? - პირდაპირ სახეში ჩაჰყვიროდა მძინარე კაცს. კაცი კი მშვიდად, ლაღად სუნთქავდა და არც კი ინძრეოდა. ამრეზილი ქალი ნახევრად შემობრუნდა, თითქოს რაღაც საშინელ სიბინძურეს არიდებს თავსო, მერე ცალი ხელი ქვემოთ ისე გაიშვირა, თითქოს სურს, ვიღაცას მკერდსა და მხრებზე მოეხვიოსო, თუმცა კი ის ვიღაცა იქ არ იყო. ტანჯული, გაწამებული გამომეტყველებით მღებარს სახეზე დაშტერებოდა, უცებ კბილები გააკრაჭუნა და მძინარეს მთელი ძალით ამოჰკრა ფეხი.

- არა, არა! აღარ შემიძლია ამ კაცის ატანა! - კვლავ წამოიყვირა მან, - ახლავე გააღვიძე, ახლავე! - არ ცხრებოდა.

გადიამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მასპინძლის დაუოკებელ მძვინვარებას ვეღარ უძლებდა. ჩაიმუხლა და წყნარად შეარხია მძინარე, რამდენიმეჯერ ღრმად ამოისუნთქა და ყელზე სულიც კი შეუბერა. ბარაკს ძილში გაეღიმა, ტუჩები აამოდრავა და რაღაც ამოილულლულა. სახეზე ისეთი გამომეტყველება გამოხატვოდა, როგორიც შინ - ცოლის დანახვისას, ხოლო ქუჩაში ბავშვებთან ლაპარაკის დროს დაეუფლებოდა ხოლმე.

- აბა, მომისმინე! - ხმამაღლა ჩასძახა ცოლმა კაცს და თავი ახლოს მიუტანა. ბარაკმა ნელ-ნელა გაახილა თვალები და ცოლს უაზროდ მიაცქერდა, - მომისმინე! მომბეზრდა შენთან ცხოვრება და ამ სიღუბნისა და უბადრუკობის ატანა! ისეთი ადამიანი ვიპოვე, რომელიც მზადაა, თანამიგრძნოს. მას შეუძლია მომანიჭოს ბედნიერება და სამარადისო ნეტარება, მაგრამ ამისთვის მსხვერპლის გაღება იქნება საჭირო!

საკუჭნაოში შეყუჟულმა დედოფალმა სმენა დაძაბა. ცალკეული სიტყვები მის ყურს ვერ სწვდებოდა, მაგრამ საძულველი ხმა კი მაშინვე იცნო.

- ოჰ, რასაშინელებაა! ამ ქალის დანახვაზე თევზები წყლისსიღრმისაკენილტვიან, ფრინველები ჰაერში იკარგებიან, ჯეირანნი და ქურციკნი უღრან ტყეს აფარებენ თავს, ჰოდა, ალბათ, მეც მათ შორის უნდა ვყოფილიყავი! - ჩურჩულებდა დედოფალი და აღელვებული თავს ძლივს იოკებდა. მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა და არაფრის გაგონება აღარ სურდა, მაგრამ აი, მოულოდნელად სულის სიღრმემდე ჩასწვდა უმანკო ბავშვის ხმაზე ნაზი და მიმზიდველი ხმა, რომელიც, სავარაუდოდ, ბარაკისა იყო. დედოფალი მიხვდა, ბარაკი ძილში ლაპარაკობდა, ენა ებორკებოდა, სიტყვებს ვერ წარმოთქვამდა, მაგრამ რა ნეტარებისა და სიამოვნების მომგვრელი იყო ეს ყველაფერი! როგორც ჩანდა, კაცი სიზმარში ბავშვებს ესაუბრებოდა. ტუჩებთან ერთად მისი ღონიერი, მძლავრი ხელები ისე ნაზად და სათუთად მოძრაობდნენ, თითქოს ვიღაცას

ეალერსებო. ცოლი კი ჯიუტად და მკაცრად ჩაჰყურებდა კაცს ნახევრად ღია და უსიცოცხლო თვალებში:

- შენ ისე ლაპარაკობ, ალბათ გესმის ჩემი, ჰოდა, მისმინე! დაემშვიდობე მაგათ, ვისთანაც მასლაათობ და დაამთავრე ეგ საუბარი. ხომ გაიგონე, რაც გითხარი?

- თავი დაანებე! - შესძახა ქალს გადიამ, - რას შვრები, რა გინდა, რა? - დედოფალს აღარ შეეძლო იმის ყურება, ეს უშველებელი და ღონიერი კაცი უმწეოდ როგორ ეგდო ქალების ფეხთით; აფორიაქებულს აღზნებული თვალები გაფართოებოდა და გადმოცვენაზე ჰქონდა. მოულოდნელად კარი გამოაღო; მღებარი ბარაკისკენ გაიჩქარა და ისწრაფა, რომლის მიმართ გიზგიზა ცეცხლივით მხურვალე თანაგრძნობასა და უდიდეს სიბრალულს ერთიანად მოეცვა დედოფლის სული და რომლის დაოკებაც აღარ შეეძლო. გადიამ კი აღარ იცოდა, რა ექნა. ასე აღელვებული შვილობილი რომ დაინახა, სასწრაფოდ ჩამოეცალა და გზა მისცა. ანაზდად ბარაკი შეკრთა და მთელი ტანით შეირხა. მალე თავის ღონიერ და მძლავრ ფეხებზე წამოიმართა კიდეც, აქეთიქით აწყდებოდა, ბარბაცებდა, თითქოს თვალები ახვეული აქვს და ვერაფერს ხედავსო. ჩანდა, მასში ერთმანეთს ებრძოდა გრძნეული სასმლის ძალა და გრძნეული ფერიის უძლიერესი, გადამდები გრძნობა. ასეთი ბარაკი არავის ენახა. მის სახეს ისეთი მძვინვარე და არაადამიანური გამომეტყველება მისცემოდა, აშკარა იყო, მის არსებაში ყველაფერი

არეულ-დარეულიყო და თავდაყირა დამდგარიყო. რაღაც გაურკვეველმა და ამოუცნობმა, გააფთრებულმა ძალამ მასში საიდანღაც იჩინა თავი, ნადირივით აღრიალებული, ძმებს უხმობდა, როგორც შვილებს, რომლებიც თითქოს სადღაც

დაჰკარგოდა. მოულოდნელად ცოცხალ-მკვდარი კაცი უშველებელ ჩაქურს სწვდა, რომელიც მის ახლოს ეგდო, მოიმარჯვა და თავს ზემოთ მთელი ძალით მოიქნია. ძმები დაფრთხნენ და კარს ეცნენ. ბარაკი კი, ეტყობოდა, ველარავის ცნობდა და ველარაფერს არჩევდა, მას ყველა თავისი გაუჩენელი და დაუბადებელი შვილების მკვლელი და გამტაცებელი ეგონა. ცოლი მუხლებზე სანახევროდ ძლივს წამოიწია, მთელი ტანით ცახცახებდა და კანკალებდა, თან შიშისა და მღელვარებისგან თითებს იკვნეტდა. კუზიანი კბილებს საზარლად აკრაჭუნებდა და კედელს ეკვროდა, ცალთვალა და ცალხელა კი კასრებისა და ვარცლების უკან იმალებოდნენ.

ბარაკმა კი კიდევ ერთხელ საოცარი ძალით ამოიყვია. იგი შვილობილ ძმებს უხმობდა. ძმებმაც მას მიჰბადეს და ყვირილი მორთეს. ეს ყვირილი და უსიამოვნო ხმები, როგორც მშობლიური და ახლობელი, ისე ჩასწვდა ბარაკის სულსა და გულს, ჩაქურჩი დაუშვა, თითქოს ცოტათი დაწყენარდა, სახეც გადაეწმინდა, ისე საზარლად აღარ გამოიყურებოდა. გადია თვალის დახამხამებაში მასთან გაჩნდა, ჩაქურჩი ხელიდან გამოსტაცა, კასრების უკან, კედლისკენ ისროლა, თან დაიწყო და რა დაიწყო, ენა წაიგდო, სიტყვების კორიანტელი დააყენა და საყვედურით აავსო კაცი: მუცელგანიერი ბოთლიდან რაღაც საშინელი სითხე დაგილევია, მერე

მთელი საათი თურმე მიწაზე გორავდი, უგუნურად იქცეოდი და სისულელეებს ჩმახავდიო, - სულმოუთქმელად მიაყარა და სამივე ძმა დაიმოწმა, რომლებსაც თავადაც არ სჯეროდათ, რაც მოხდა და რისი მხილველნიც გამხდარიყვნენ. მღებარი ქალი სუნთქვაშეკრული მისჩერებოდა გადიას, მასაც ისე არეოდა გონება, აღარ იცოდა, ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდა თუ არა. აღარაფერი უნდოდა ამქვეყნად, გრძნობდა, სისხლი როგორ მოაწვა, გული ყელში ებჯინებოდა და თითქოს ახრჩობდა; გაშეშებულივით მიშტერებოდა ქმარს, თვალებიდან შიში ჯერ არც კი გაჰქრობოდა, სიძულვილისა და ზიზღის გამომეტყველებისგან მშვენიერი და მომხიბვლელი სახე მთლად დაღრეჯოდა. ბარაკი დარცხვენილი იქვე იდგა, ძმები კვლავ ეყაყანებოდნენ, მათ კიცხვასა და ქირდვას ბოლო არ უჩანდა. მალე მღებარი წელში მოიხარა, ძირს დაყრილი ხორბლის მოგროვებას შეუდგა, თუმცა ყველაფერს სონამბულივით აკეთებდა. უცებ სახე გაუნათდა და გარეგნულად მთლად შეიცვალა, ეტყობოდა, რაღაც გადაეწყვიტა; მათდა გასაკვირად, ძმებმა დაინახეს, როგორ ჩაიმუხლა მან ცოლის წინ პატიების სათხოვნელად; საზეიმო მორჩილად მიტევებას სთხოვდა, რომ უგერგილოდ და უნიათოდ იქცეოდა, გვიან დაქორწინდა, სურდა, ჯერ ქონება დაეგროვებინა და შვილები მერე გაეჩინა. კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხმა ვეღარ ამოიღო, სიტყვა ვერ დასძრა. გადიამ და მღებრის ცოლმა ერთმანეთს გადახედეს. ახალგაზრდა ქალს მუხლები უკანკალებდა, მან კადნიერი და ამპარტავანი სახით კაბის კალთა გამოსტაცა ქმარს და პასუხის ღირსადაც არ ჩააგდო, გადიას კი ჯორებსა და ჯორცხენებზე დაუწყო ლაპარაკი, რომლებიც თურმე ავად პირდაფჩენილი და

თავბრუდამხვევი უფსკრულის გასწვრივ მიიკვლევდნენ გზას - მათ ხომ არც სიხარული და მწუხარება იციან, არც შიში და გაოცება, არც სხვა რამ გრძნობა გააჩნიათ, ბერწნი და უნაყოფონი არიან, მათი ცხოვრებაც ფუჭი და უსარგებლოა და ნეტავ იცოდეთ, როგორ ჰგვანან ყველაფრით ჩემს ქმარსო! - დაასრულა ქალმა სათქმელი.

ბარაკმა კი მზერით ყველას სათითაოდ ჩამოუარა, თითქოს თავისი საქციელის გამო თითოეულ მათგანს პატიებას სთხოვსო, შემდეგ ცოლზე მიუთითა და წარმოთქვა:

- მსგავსი სიტყვების მიტევება აუცილებელია, ასეთი აზრების გარეშე ხომ ადამიანს ძალიან გაუჭირდებოდა ცხოვრების სიმძიმის ატანა და სულის სიმშვიდის მოპოვება!

კაცებმა მხრები აიჩეჩეს, ერთხელ კიდევ გადახედეს მმას, რომელიც თითქოს გაშეშებულიყო და ბუზღუნით გავიდნენ გარეთ, რათა ახლა იქ ექაქანათ და ეყაყანათ. მათ მმას კი თანდათან ჩვეული თავაზიანობა და მოკრძალება დაბრუნებოდა და მზად იყო, კვლავ ახალგაზრდა ცოლის მამებელი, მორჩილი, თვინიერი გამხდარიყო, დარცხვენილსა და ნირწამხდარს თავი ჩაელუნა და ადგილიდან არ იძვროდა.

დედოფალი ვერ ხედავდა მღებარ კაცს, მაგრამ როცა ცოლმა მას ჩაბღუჯული კაბის კალთა ხელიდან გამოჰგლიჯა, დედოფალს რწმენა შეერყა, სულში ბზარი გაუჩნდა და ერთიანად

კანკალმა აიტანა. ბარაკი მიბრუნდა და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ მაშინვე შემოტრიალდა, თავისი ბურთივით მრგვალი, გადმოკარკლული თვალები გადიასა და დედოფალს მიაპყრო, ცოტა კიდევ შეყოვნდა, რათა სიტყვებისთვის თავი მოეყარა, ორივე ქალს ცოლზე მიუთითა და მიმართა:

- ენა კი უსწრებს, ხანდახან ჯინიანი და თავქეიფაც არის, მაგრამ კარგი ბუნებისაა; მისი სიტყვები და აზრები, მისივე სინორჩისა და უმწიკვლო ბუნების წყალობით, თვითდათმენისა და თვითდათრგუნვის მადლითა და ლოცვა-კურთხევით მირონცხებულია და როგორ მიხარია, რომ იგი გამოკეთდა და დღეს უკვე ჯანმრთელადაა, თუმცა გუშინ საღამოს ძლიერ ავად იყო, - წამოთქვა კაცმა განსაკუთრებული სიძინჯითა და სიდარბაისლით, თან ორივე ქალს დაჟინებით მიაჩერდა, - ჰო, ჰო, გუშინ საღამოს ხომ ძალიან ავად იყო! - დაუმატა კიდევ ერთხელ და თავჩაქინდრული ნელი ნაბიჯით იქაურობას გაეცალა, რათა საქმისთვის მიეხედა.

მღებარმა ქალმა თავის საწოლს მიაშურა, ზედ მოწყვეტით დაეცა და სახე ლოგინში ჩარგო. ამაოდ ეფერებოდა გადია ფეხებზე; ახალგაზრდა არ ეწინააღმდეგებოდა, თითქოს ვერაფერს გრძნობსო.

- ოჰ, დედაჩემო! - მოულოდნელად წამოიძახა მან, თან ხმამაღალი ოხვრა აღმოხდა, - ოჰ,

მშობელო დედავ! - კვლავ ჩაილაპარაკა მღებარმა ქალმა, - გეგონა, შევძლებდი იმ ტვირთის ზიდვას, რომელიც დამაკისრე? შენ ხომ იმას მიმაკუთვნე, ვინც მარადჟამს უნდა მყვარებოდა. მაგრამ მიბოძე განა საჭირო ძალა, უნარი და ამტანობა, გამძლეობა და ცხოველმყოფელობა? - ნიავის ნაზ სუნთქვასავით ჩურჩულებდა ქალი. ტუჩებს კი ამოძრავებდა, მაგრამ მის სიტყვებს მნელად თუ გაარჩევდით. ანაზდად ფეხზე წამოიჭრა: - აბა, გავწიოთ! - წამოიძახა მან, - უკვე დროა! მე ხომ ბავშვი აღარ ვარ! - მისი ხმა ისე გაისმა, თითქოს მხოლოდ საკუთარ თავს მიმართავსო, მერე სასწრაფოდ თავშალი მოიხვია და კარს მიაშურა.

- საით, ჩემო ქალბატონო? - ჰკითხა გადიამ. ეტყობა, დიასახლისი ამ ხმამ გამოარკვია და გაახსენა, რომ მარტო არ იყო; დამაბული ყურადღებით მკაცრად გადახედა მოხუცს.

- დადგა დრო, დედაჩემს გავესაუბრო, რათა მოვიცილო ტვირთი, რომელიც მან დამაკისრა და რომლის ტარებაც მეტად აღარ მწადია! - ამ სიტყვებით ქალი გარეთ გავარდა.

- აბა, წავიდეთ, სასწრაფოდ უკან გავყვეთ, ჩვენ მას აუცილებლად დავჭირდებით!

დედოფალი განზე გადგა, სულაც არ სურდა გადიასთან ერთად წასვლა, ერჩივნა, შეუმჩნევლად გაჰყოლოდა ბარაკს და მისთვის ეთვალთვალა, მაგრამ გადია არ მოეშვა, ხელი მაგრად ჩასჭიდა და თან წაიყვანა.

მღებრის ცოლი თამამად და გაბედულად, იმ ჯანიანი ცხენივით მიაბიჯებდა, რომელიც ჩქარობს და ღონივრად ისუნთქავს დილის ჰაერს. ოდნავ მოშორებით კი ორივე სტუმარი ქალი გამალებით მიჰყვებოდა უკან. კარგა ხნის შემდეგ ისინი მდინარეზე გადავიდნენ, მაგრამ იმ ადგილას კი არა, სადაც სამჭედლო იყო, არამედ მარჯვნივ და ზემოთ, სადაც მიწაყრილი მაღლდებოდა. იქ მათ თვალწინ წარმოუდგათ ვიწრო, ხალხით სავსე, უბადრუკი პატარა ქუჩა, იმ ქუჩაზე უსახლკარო, უღარიბესი ადამიანები, ქვებ-ჭურჭლის მრჩილავები, მეძველმანეები, მესათაგურეები ვირთაგვებივით ხროვებდნენ, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. მღებარი ქალი წამით შეჩერდა ერთ კუთხეში, სადაც ორი ასეთი პატარა ქუჩა ერთმანეთს კვეთდა. მან თვალები მოწკურა და ერთ ეზოში შეიხედა, სადაც კაცები, ქალები, ბავშვები ერთმანეთში ირეოდნენ და ფუთფუთებდნენ. ქალმა ჩაილაპარაკა:

- ოჰ, რა ჭუჭყიანია ის პატარა ბავშვი, ეზოს ძაღლისთვის მაინც მიეგდოთ, გალოკავდა და გაასუფთავებდა; თუმცა რას ვამბობ, იგი ხომ ისედაც მშვენიერი და მომხიბვლელია, როგორც ამომავალი მზე, ჩვენ კი რამდენი ასეთი არსების დაღუპვა განგვიზრახავს! - წარმოთქვა და მისი ხმა ციურ გალობად, კეთილხმოვანი ჰანგივით გაისმა.

მაღე ქალებმა მოუხვიეს და გაღმა, ერთი ვიწრო ხრამის ქვემოთ, ძველი და ნახევრად დანგრეული გალავნის გასწვრივ განაგრძეს გზა. ეს ერთ-ერთი იმ ხრამთაგანი იყო, რომლებიც

იმ პატარა ქალაქს რამდენიმე ადგილას კვეთდა. ფერდობები დამუშავებულიც არ იყო, მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა ჟამგადასული და იავარქმნილი ადამიანთა საცხოვრებლის კვალი. ფერდობის ძირას, ქვით ამოშენებული აუზის მახლობლად, ძველი სასაფლაო შენიშნეს, სადაც რამდენიმე ხე იდგა. მღებარმა ქალმა დედის განსასვენებელს მიაშურა. მან ისე სწრაფად აირბინა საფლავის ქვებზე, რომ ფეხი არც კი დაუკარებია იქ დაყრილი მიწისთვის, რომელიც, ეტყობოდა, საგანგებოდ იყო მტვერივით მსუბუქი და ჰაეროვანი, რათა მომსვლელთა ფეხის ხმას მარადიულ მილს მიცემულთა მყუდროება არ დაერღვია. ერთ-ერთი პატარა საფლავის ქვის წინ ქალმა თავი დახარა და ფართოდ ხელებგაშლილი მუხლებზე დაეშვა. ტანზე სიბერით მოხრილი მტირალა ტირიფის ტოტები ეფინებოდა. ჩანდა, ჯერ სულიც არ მოეთქვა, თუმცა მაშინვე ლოცვას მისცემოდა და მის მაღლს დაეპყრო ყმაწვილი ქალის მთელი არსება.

ამასობაში კი ზურგს უკან, მხუთრსა და ბულში, მზე ისე ჩაესვენა და ჩაიძირა, როგორც ვულკანის გავარვარებულ ხახაში. ირგვლივ, საფლავებს შორის, მტვრის აყაყული სვეტები წამოიშრათ, დატიკული ტომრებივით ისევ დაეშვა, შემდეგ დაიცალა და მთლად გაცამტვერდა. უეცრად ქარმა წამოუბერა და ქვაზე დამხოზილი ქალის ბაგეთაგან ლოცვა-ღაღადისი შორს წარიტაცა. ქალი ნადირივით ცოცხლად და მსუბუქად ზეწამოიჭრა. მის მოძრაობაში ცოტა ხნის წინ განცდილ-გადატანილი მღელვარების კვალიც აღარ ჩანდა. გამომეტყველება მთლად შესცვლოდა, ისეთი მშვენიერი და მიმზიდველი იყო, როგორც არასდროს; თმა ჩამოშლოდა და კოხტა თავის ირგვლივ ნარნარად უფრიალებდა.

- ასე რატომ მიყურებ, რატომ? - შესძახა მან გადიას, რომელიც, მისი მომხიზვლელობით მონუსხული, თვალს ვეღარ აშორებდა, - ამ წუთს და ამ წამს უდიდესი ტვირთი ჩამოვიცილე, ძველ და დამყაყებულ ადათ-წესებს, როგორც იქნა, თავი დავაღწიე!

ამ სიტყვებით მან ფერდობზე აირბინა. გადიაც უკან მიჰყვა და მშვენივრად ესმოდა, რასაც ამბობდა მღებარი ქალი:

- აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც წყალთან აღსრულდეს ყოველივე, - ცეცხლთანაც შეიძლებაო, ასე არ მითხარი, ჩემო მოძღვარო და დამრიგებელო? მე ხომ გულთან მივიტანე შენი სიტყვები! - მხარს უკან გასძახა ქალმა გადიას.

ქარი კვლავ ამოიჭრა, სამივეს ძალუმად ეკვეთა, უკან აედევნა. ფეხდაფეხმისდევდა მათ, სამოსს აგლეჯდა და თან მტვრის კორიანტელს აყენებდა. შუადღისას ისე ჩამოხნელდა, თითქოს წუთი წუთზე ღამე უნდა ჩამოწვესო. ჩიტები გამალბებით დაფრინავდნენ სახლებს შორის. მეწამულ-ყავისფერ ბულში არეული ადამიანები სამივე ქალს აჩქარებით უვლიდნენ გვერდს. ზეციდან კი წყვდიადი ეშვებოდა, რათა მალე ირგვლივ ყველაფერს ბატონკაცურად დაუფლებოდა.

ხიდს რომ მიადგნენ, მღებარმა ქალმა ნაბიჯს უკლო და ნელ-ნელა გაუყვა გზას, ერთხანს

შეჩერდა კიდეც, მერე რამდენიმე ნაბიჯი ისევ გადადგა. ძლივძლივობით მიაბიჯებდა, ისე ტორტმანებდა, თითქოს რეტი დასხმიაო, თან ყურთან ახლოს, თავზე, გამუდმებით ისვამდა ხელს. ამასობაში ერთ ოთხთვალას ისე მიუახლოვდა, რომ კინალამ ბორბლებში ჩაუვარდა. კიდეც კარგი, მეეტლემ ლაგამამოდებული პირუტყვი დროზე დასწია უკან და ქალი უვნებლად გადარჩა. გამვლელ-გამომვლელნი, სადღაც რომ მიიჩქაროდნენ, ჩერდებოდნენ და ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ქალს. მოულოდნელად გადია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიეჭრა და შესძახა:

- მითხარი, რა დაგატყდა თავს, რა დაგემართა?

ყინულისგან გაცივებული და ლამის გულშეღონებული ქალი უილაჯოდ ჩაესვენა მოხუცის მკლავებში და საწყალობლად ძლივს ამოღერდა:

- ოჰ, ეს ხმა, ეს ხმა მოსვენებას არ მაძლევს! ეს დედაჩემია, თავზე მადგას და ჩამძახის!

- მერედა, რას ჩაგძახის, რას? - ჰკითხა შეცბუნებულმა გადიამ.

- ბარაკ, ბარაკ! - ამოიკვნესა მღებარმა ქალმა, - ბარაკს უხმობს და მეუბნება, ღირსი იქნები, შენმა ქმარმა ხელ-ფეხი შეგიკრას და გაგასავათოს, მე კი მხოლოდ მივებმარები, რათა მალე მოგიღოს ბოლოო! - ძლივს წარმოთქვა და მისუსტებული ხმით განაგრძო, - დედაჩემს არ სურს ვიცოცხლო, რათა არ ჩავიდინო ის, რაც განვიზრახე! - დაასრულა ქალმა, თან მთელი სახე ჩაულურჯდა და ჩაუმუქდა, თვალები ჩაუსისხლიანდა. გადია სწვდა და შემფოთებულმა იგრძნო, აღმოდებულივით როგორ უვარვარებდა ქალს ხელები. უცებ მღებარი დაუსხლტა მოხუცს, თავი გაითავისუფლა და გამვლელებს შეერია. გადია მაშინვე უკან მიჰყვა, ხოლო როცა მდინარის პირას, ერთ-ერთ პატარა შესახვევში, დედოფალი ორივეს წამოეწია, დაინახა, რომ მათი მასპინძელი მიწაზე იწვა და გალავანს ზურგით მიყრდნობილი, აქოშინებული და გულამოვარდნილი, ძლივს სუნთქავდა. გადია მის ახლოს ჩაცუცქელიყო. გამვლელ-გამომვლელნი ჩერდებოდნენ და თვალს არ ამორებდნენ მიწაზე მწოლიარეს. ვინ არ იყო იქ - ნათლიდედები, მოხუცი კაცები, მეხრეები. დედოფალიც მათ შორის აღმოჩნდა. ერთმა მეხრემ მას ისე უბიძგა, კინაღამ წააქცია, მაგრამ დედოფალი ისე გაშეშებულიყო, არაფერი უგრძნია.

- გასწით, აქედან დაიკარგეთ! - ასისინდა გადია და თავისი რუხი მოსასხამი მწოლიარეს გადააფარა. ხალხი ისე მიმოიფანტა, მალე ახლომახლო კაციშვილის ჭაჭანება აღარ ჩანდა, მხოლოდ ერთი ბავშვი დარჩენილიყო. უცებ მღებარმა ქალმა ამოიჩურჩულა:

- მწყურია, მწყურია!

გადიამ თვალით ანიშნა და, თითქოს მაღალმა ღმერთმა ზეციდან მოუვლინაო, ბავშვმა თვალის დახამხამებაში სასმლით სავსე ხის ფიალა მოარბენინა, საიდანაც ისეთი ნაზი და თავბრუდამხვევი სურნელი გადმოიფრქვა, როგორითაც ეფრიტის მოსვლამ აავსო მღებრის სახლი. მწყურვალმა თავი დახარა ფიალისკენ, რომელიც მისთვის გადიას მიემარჯვებინა. ირგვლივ აღარავინ იყო, ბავშვიც სადღაც გამქრალიყო.

- დალიე! - მიმართა გადიამ ქალს, - დალიე და მომისმინე! იცოდე, დედაშენი არ არის სანდო, იგი ორპირი, ბოროტი და მატყუარაა და საფლავიდანაც კი ცდილობს, ხელი შეგიშალოს. გულთან ნუ მიიტან მის სიტყვებს, ცალ ყურში შეუშვი, მეორიდან კი გამოუშვი, იმიტომ, რომ ისინი არაფერს გარგებს!

როგორც კი სასმისი გამოცალა, ქალს სახე მთლად შეეცვალა. ანაზდად ლოყები აუვარვარდა, თვალები კი მთვრალივით მიებნიდა და დაებინდა. ფეხზე ძლივს წამოდგა, მოხუც გადიას უცნაურად შემოაჭდო კისერზე მკლავი და ორივე კვლავ ხიდისკენ გაემართა. დედოფალი შორიახლოს მისდევდა და ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა მათ, მაგრამ ვინაიდან ისინი გზის მეორე მხარეს მიუყვებოდნენ, მათი გაცხარებული საუბრიდან ვერაფერი გაიგო.

როდესაც მღებრის სახლს მიუახლოვდნენ, სიბნელიდან მათ შესახვედრად ბარაკის ძმები

გამოცვივდნენ, ქალებს ეცნენ, ელვის სისწრაფით გამოჰგლიჯეს რძალი და შემოიღებინათ აყვირდნენ:

- შენი ქმარი ითხოვს, მოვუყვანოთ და დავუბრუნოთ გატაცებული და დაკარგული შვილები! სად წაიყვანე და რა უქენი მათ? შე წყეულო, შენა, შენი გულისთვის გვტანჯავს და გვაწამებს, ლამის დაგვახრჩოს! შენი ბოროტი და უგვანო საქციელისა ჩვენ არაფერი ვიცით და შენი საზიზღარი, ბილწი ზრახვებიც ჩვენთვის ბნელითაა მოცული! - ველურებივით შეუსვენებლად ყაყანებდნენ კაცები.

ქალი მოიღუშა და მოიქუფრა, შუბლი შეიჭმუხნა და, როგორც სჩვეოდა, მაზლები პასუხის ღირსადაც არ ჩააგდო.

- რა ჩაურიე სასმელში, რა დააღვინე ჩვენს ძმას, შე გრძნეულო და ჯადოქარო?! - წამოიძახა შუათანამ და თავისი გრძელი და უშველებელი ხელით მოხუც გადიას მკერდში მუჯლუგუნი ჰკრა, თან ყვირილი განაგრძო, - ჩვენი უფროსი ძმა თვალებში გვიყურებს და ვერ გვხედავს, უჩინარ და უხილავ შვიდ ბავშვს მიმართავს, ესალმება და ისე ელაციცება, თითქოს მასთან სტუმრად მოსულან და სუფრას უსხედანო. ყმაწვილმა ქალმა თავი გაითავისუფლა და წამოიძახა:

- აი, ახლა უნდა შევიტყო, ჩემი სიტყვები და შეგონებები შეიგნეს და შეისმინეს, თუ კვლავ არაფრად აგდებენ მათ! - ამ სიტყვებით ზღურბლს გადააბიჯა და დაინახა, რომ ბარაკი ნაცარში ჩაცუცქულიყო, ხოლო უამრავი ხელსაწყო-იარაღი მის წინ უწესრიგოდ ეყარა. რა არ იყო იქ: ქაფჩები, საგოზავი ფითხები, ხის, რქისა და სპილენძის დიდი და პატარა კოვზები. ეს ყველაფერი ისე იყო ერთმანეთში არეულდარეული, თითქოს პატარა ბავშვებს უთამაშიათ და აქეთ-იქით მიმოუფანტავთო.

იქვე ახლოს იატაკზე საღებავიანი ვარცლი იდგა, რომელშიც ბარაკი თავისი უზარმაზარი ღონიერი ხელებით დიდი მონდომებითა და გულმოდგინებით ჭყლეტდა და წურავდა ბალბის ფოთლებს, თან ცალი ფეხი სისხლივით წითელ გუბებში ედგა. ცოლი წინ დაუდგა. კაცი მას თითქოს ვერც ამჩნევდა - პატარა ბავშვებს ესაუბრებოდა, რომლებიც, რა თქმა უნდა, იქ არ იყვნენ.

- ოჰ, რა ბეჯითი და მუყაითი ბავშვები ხართ, რა სუფთა პაწაწუნა ხელები გაქვთ! - ამბობდა ბარაკი, თან თავს ალერსიანად და გულკეთილად აკანტურებდა, უჩინარ მოწაფეებს არიგებდა და ასწავლიდა, როგორ უნდა ეკეთებინათ სამღებრო საქმე, როგორ უნდა ემუშავათ: - საღებავს ვიღებთ ყვავილებისგან და ნაჭერზე ვათავსებთ. გარდა ამისა, საღებავს ჭიებისგანაც მოვიპოვებთ და ფრინველთა მკერდიდანაც, სადაც მათი ბუმბული შეუმოსავია და ლაპლაპი გაუდის.

კაცი ლაპარაკობდა დინჯად, ნელა, დამრიგებლურად, უსაზღვრო ბედნიერებითა და კმაყოფილებით სავსე. ცოლმა უყურა, უყურა და ბოლოს ხმამაღლა დაუძახა:

- ბარაკ, ბარაკ!

ჩანდა, კაცმა ხმა გაიგონა, მაგრამ ქალისკენ კი არ გაიხედა, არამედ სადღაც ზემოთ, სულ სხვა მხარეს. ეტყობოდა, ველარაფერს არჩევდა და აზრი და გონი მეგზურობას ვეღარ უწევდა. თუმცა კი მაშინვე წამოდგა და შეუცდომლად პირდაპირ ქალისაკენ გაემართა. მისი უზარმაზარი, ზონზროხი ტანი იმ ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ისე საზარლად და შიშის მომგვრელად მიტორტმანებდა, რომ ქალმა შიშისგან რამდენიმე

ნაბიჯით უკან დაიხია, თუმცა მაშინვე მოერია თავს და ფერმიხდილ და გაცრეცილ სახეზე კვლავ სიმტკიცე გამოეხატა.

- ბარაკ! გესმის თუ არა ჩემი? - მკაცრად შეუყვარა მან კაცს.

- გვითხარი რამე, ხმა გაგვეცი, ჩვენო მწყალობელო და მარჩენალო! - წამოიძახა ცალთვალად.

- ჩვენო ძმაო და ჩვენო იმედო, მოგწამლა განა ცოლმა? - ჯავრითა და მწუხარებით წამოიძახა კუზიანმა, - ნუთუ შენთანებს ველარა ცნობ?

- ბარაკ! დააწყნარე და გააჩუმე ეგ შენი ძმები, რომ ძაღლებივით აღარ იყეფონ! - მიმართა ბარაკს ცოლმა, - შენთან საქმე მაქვს, რაღაცა უნდა გითხრა. მესმოდა, ვიღაცებს როგორ ელაპარაკებოდი და ძალიან ცდები, თუ გგონია, რომ ჩემი ნათლიდედები ისევ მოვლენ. ჰოდა, გაიგე და იცოდე, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები გავყარე და თავიდან მოვიშორე - მათ ხომ ავი და ბოროტი ზრახვები ჰქონდათ და ჩემი გამასხარავება უნდოდათ, ამიტომაც იმას მოიმკიან, რაც დაიმსახურეს და რისი ღირსებიც არიან!

ბარაკი ქალს მიუახლოვდა, ამჯერად ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი კარკლა თვალები მთლად ჩასისხლიანებოდა და მის სახეს საზარელი გამომეტყველება მისცემოდა.

ქალი განაგრძობდა:

- ხმას რატომ აღარ იღებ? როგორც ვხედავ, ყველაფერი გესმის. აბა, მომისმინე! მე და შენ უკანასკნელად ვართ ერთად და შენს სიახლოვეს ველარასოდეს იგრძნობ ჩემს სუნთქვას.

- აბა, ცეცხლი აანთეთ! - წარმოთქვა ბარაკმა მტკიცედ. ხმა ისე შესცვლოდა, თითქოს მის სხეულში უცხო არსება ჩაბუდებულიყო. ძმები თვალს არ აშორებდნენ და გრძნობდნენ, რომკაცი, რომელიც პირს ამოდრავებდა, ნამდვილად მათი ძმა იყო. კუზიანი სასწრაფოდ დაეშვა

დაბლა და ნაკვერჩხალს გაღვივება დაუწყო. მალე ცეცხლი მთელი ძალით აგიზგიზდა. მისი ანარეკლი ბარაკის ცოლს ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ მთელ ტანზე ელაციებოდა და ელამუნებოდა და გაავებულსა და გაანჩხლებულს უფრო მშვენიერსა და მომხიბვლელს ხდიდა. ქალმა ტუჩები აამოდრავა, ეტყობოდა, რაღაცის თქმას აპირებდა. მისი სახე ზიზღით აღსავსე, ჯიუტი, დაჟინებული გამომეტყველებითა და ქედმაღლურად დახრილი თვალებით შეუვალ ციხესიმაგრეს მოგაგონებდათ.

- რახან ცეცხლი აანთებინე, მაშ სინათლეზე მიყურე, კიდევ ერთხელ შემომხედე, რადგან მალე ვეღარ მიხილავ, მაგრამ ისიც უნდა შეიგნო, რომ არ მინდა დაგცინონ, მასხარად აგიგდონ, ანდა გიმუხთლონ და როგორც რეგენი და ბენტერა, მშრალზე დაგტოვონ.

ამასობაში მღებარი ბარაკი სიბნელეში იდგა და არ იძვროდა. ტანის ზედა ნაწილი ოდნავ წინ წამოეწია და კარგად მოჩანდა მისი დაკრეჭილი კბილები და

გავარვარებული თვალები. ქალმა უფრო დახარა თვალები და ლაპარაკი განაგრძო, მისი ხმა გასაწყვეტად განწირული დაჭიმული სიმღერით ჟღერდა:

- მიყურე, მიყურე, ხომ ხედავ, რა მშვენიერი ვარ, მაგრამ შენნაირს არ შეიძლება ეკუთვნოდეს ეს სილამაზე, ამიტომაც ვერ გახდი ჩემი სიყვარულის ღირსი და ვერ ჩასწვდი ჩემს სულსა და

გულს, - ქალის ენას თითქოს დადუმება ეწადა, მაგრამ დაუოკებელი სულიერი სიმტკიცე და შეუპოვრობა სულ სხვას კარნახობდა და ისიც ურყევად განაგრძობდა, - ჩემი მიმზიდველობა და მომზიზველობა უდიდესი გრძნეული და ჯადოქარია, ამიტომაც მან შენ მაგივრად სხვას მოუხმო, რის სანაცვლოდაც იმ უცხო ქალებს გავურიგდი, რომ ჩემს ჩრდილსა და ჩრდილმოფენის უნარს დავთმობდი და ჩემთვის ყოველივე უსიამოვნოს, საძულვილსა და სატანჯველს თან გავატანდი. ჯილდოსა და საბოძვარზე შეთანხმებული ვართ - ეს იქნება ჩემი თვალწარმტაცი სახის სამარადქამო სინატიფე და მიმზიდველობა, მარად ტურფა და უჭკნობი კოკობი მკერდი, რომლის გამოც კანკალებს და ცახცახებს ის, ვისაც ველი და ვინც ჩემთან უთუოდ მოვა; ის იქნება პირველი და უკანასკნელი, მხოლოდ მას ვერგები და მისი გავხდები სამუდამოდ.

ქალმა თავი მედიდურად გადააგდო უკან და დადუმდა. უცაბედად ბარაკს გულის სიღრმიდან მოგუდული ღმუილი აღმოხდა, რომელიც ადამიანის ხმას არ ჰგავდა, მაგრამ ამით ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ქალის ნათქვამს მის გონებამდე მიეღწია.

- ჩქარა, ჩქარა! - წამოიძახა გადიამ და მთელი ძალით ჰაერში რაღაცას წაეტანა; წამიც და მას თავისი ჩაშავებული ბრჭყალებით შვიდი ლიფსიტა ეჭირა, რომლებიც ლაყურებით წნელზე ისე ეკიდა, როგორც რგოლზე აცმული გასაღებები, - აბა, თავს ზემოთ ყველა ერთად ცეცხლში ისროლე და დაუყოვნებლივ გავეცალოთ აქაურობას. უკვე დროა! დროა! მღებარმა ქალმა ტუჩები მაგრად მოკუმა და ხელი სტაცა თევზებს:

- განვედით ჩემგანდა ჩემი ჩრდილიც თან გაიყოლეთ! - იმეორებდა ჩურჩულით მოხუცი გადია ყმაწვილ ქალთან ერთად. მაგრამ ამ დროს ბარაკმა ცოლისკენ ისე ავბედიტად გადადგა ნაბიჯი, რომ შემინებული ქალი იქაურობას გაეცალა, თან ტუჩებს ამოდრავებდა, თუმცა კი ეტყობოდა, თვითონაც არ იცოდა, რას ბუტბუტებდა, უცებ ხელი ასწია და ძილ-ბურანში მყოფივით მხარს ზემოდან და თავს უკან თევზები მთელი ძალით ცეცხლში მოისროლა. იგი ასრულებდა იმას, რისი პირობაც ჰქონდა მიცემული, მაგრამ თითქოს ასრულებდა და არც ასრულებდა. გაოგნებულმა ქალმა ქმარს მიაპყრო მზერა, თან სახე ისე დამანჭოდა, როგორც სატირლად გამზადებულ პატარა ბავშვს.

- ო, მშობელო დედავ! - წამოიძახა მან მღელვარებისგან გაწვრილებული ხმით, რომელიც ხუთიოდე წლის ბავშვის ხმას დამსგავსებოდა, გაუბედავად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და რაკი თანაგრძნობა და ხსნა ვერსად დაინახა, პირი მოკუმა და თითქოს გაქვავდა. ბარაკი უკვე უკან ედგა. ძრწოლაატანილი ქალი, როგორც იქნა, გონს მოეგო, თავს ძლივს მოერია და კარში შურდულივით გავარდა. კაცს სურდა,

ცოლს გაჰკიდებოდა, მაგრამ ძმები დაედევნენ და ნაბიჯიც აღარ გადაადგმევინეს, თან ხმამაღლა უყვიროდნენ, რომ ცოლზე ხელი არ აღეშრათ, მკვლეელი არ გამხდარიყო. ბარაკი დაუსხლტა ძმებს და ისე მიმოფანტა, რომ სამივე

შეტორტმანდა და გადიისკენ წაბარბაცდა, რომელიც ცეცხლთან ჩაცუცქულიყო და თევზებისთვის ხელის წატანებას ცდილობდა.

- აბა, მომწყდით თავიდან, აქედან დამეკარგეთ, ურჩებო და ჭირვეულებო! - წამოიყვირა ქალმა და თევზებს ცეცხლში გადაუძახა. ცალთვალა და ცალხელა ცეცხლთან დაყურსულ ჯადოქართან მიიჭრნენ, თითო მოგიზგიზე მუგუზალი აიტაცეს და მძას ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

როგორც კი ცეცხლში მოფართხალე ლიფსიტები დაინახა, გადია იქაურობას მოსცილდა და კაცებს აედევნა. გარეთ კი ისეთი გრიგალი და ქარიშხალი მძვინვარებდა, თითქოს ბუნების ყველა ბოროტ ძალას თავი აეშვა და ქვეყნიერებას დაუოკებელ სტიქიად მოვლენოდა. მთელ არემარეზე მრუმე უკუნეთი ბრუნავდა და ტრიალებდა, ბრდღვინავდა და ღრიალებდა, ჯოჯოხეთურ სიბნელეში კი მტვრის ღრუბლები ქარტეხილობდა. ძველი ფარდულის განახევრებული სახურავიდან კრამიტი ცვიოდა. აქაფებული მდინარეც არ დარჩა ვალში ამ ორომტრიალს, ზათქითა და ზავით გაარღვია ნაპირები და ისეთი ძალით ეკვეთა ბოგირს, რომ ამ უკანასკნელს სულიერივით კვნესა, ქშენა და ოხვრა აღმოხდა, ხოლო ის რკინის ჯაჭვი, რომლითაც იგი წყალზე ეკიდა, ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს სადაცაა გაწყდება და ბოგირი ადგილს მოსწყდებოდა.

ქარბორბალა ძმებს მთელი ძალით აყრიდა ნაპერწკლებს სახეში. მუგუზოლები ჩაუქრო და ახლა ორივეს მბჟუტავი შეშის ნაჭრებიღა ეჭირათ ხელში. ისინი სახლის ზღურბლთან ბორძიკობდნენ, ფორხილებდნენ და წყვდიადსა და უკუნეთში მღებარს უხმობდნენ. გადიამ ფარდულის კედელთან მღებარის ცოლი შენიშნა. მის წინ, ოდნავ მოშორებით, ქანდაკებასავით აზიდულიყო დედოფალი. ბარაკი ცოლისგან ათიოდე ნაბიჯის მოშორებით იდგა, თავი მისკენ ისე მიებრუნებინა, ეტყობოდა, მიუხედავად უკუნი სიბნელისა, კარგად ხედავდა, ანდა უფრო მთელი არსებით გრძნობდა, სად იდგა ქალი. კუზიანი უფროს ძმას ეკვროდა.

- აბა, მოიმარჯვეთმუგუზოლები! - წამოიყვირა ბარაკმა ისეთი არაბუნებრივი და არაადამიანური ხმით, რომელმაც არა მარტო ქარიშხლის გუგუნი, არამედ ხიდისა და ფარდულის რყევისა და ნჯღრევის ხმაც კი დაფარა. მღებარი თავდაუზოგავად ყვიროდა და ხელი პირდაპირ ცოლისკენ გაეშვირა, რადგან ღიად დარჩენილი კარიდან ცეცხლის ათინათი გამოდიოდა და სწორედ იმ ადგილს ანათებდა, სადაც მისი ცოლი შიშისაგან საცოდავად მოკრუნჩხულიყო.

გადია ახლოს მილივლივდა, ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა! მას ხომ არაფერი ჰგვრიდა ისეთ სიამოვნებას, როგორსაც ადამიანთა შორის ძალადობა და ძალმომრეობა.

- ჩვენი საქმით და მონდომებით მოვიპოვეთ ის, რაც გვეწადა, რასაც ვესწრაფოდით. ახლა კი გარიგება ძალაში შედის, სიტყვა სიტყვა! - ბუტბუტებდა მოხუცი.

- აბა, ჩქარა, დიდი გოდორი ჩემკენ! - წამოიძახა უცებ ბარაკმა. კუზიანმა მაშინვე ბოგირს მიაშურა, გოდორთან მივარდა და მისაბმელი თოკი გახსნა. ამასობაში აბოზოქრებული წყალი მღებრის ძმას სამიოდეჯერ გადაევლო თავს, ბოლოს კი შორს მოისროლა. კარის ღრიჭოდან გამომავალ ათინათს კვლავ ციალი და ციმციმი გაუდიოდა, მის შუქზე კარგად ჩანდა, როგორი თავგამოდებით ეძებდა რაღაცას წელში მოხრილი ბარაკი. ის რაღაცა კი ხელის წისქვილის ქვა იყო, რომელიც მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მიწაზე ეგდო. კაცმა მას ხელი დაავლო და გოდორში ჩაუძახა. გოდორი ისეთი პირმორღვეული და დიდი იყო, რომ შიგ ერთ ადამიანს ადვილად ჩაატევდა კაცი. როგორც კი წისქვილის ქვამ მასში ტყაპანი მოადინა, წყალი მაღლა ამოდგაფუნდა და ირგვლივ შხაპუნა წვიმასავით წამოვიდა. ამ დროს სახლიდან კუზიანი გამოვიდა. მას მოგიზგიზე შეშა ერთ დიდ ქოთანში მოეგროვებინა, საიდანაც კაშკაშა სინათლე მთელ არემარეს აშუქებდა.

- აბა, ახლა ბაწარი მომეცით! - კვლავ არაადამიანური ხმით დაიძახა ბარაკმა. ძმები მიხვდნენ, რასაც აპირებდა მათი უფროსი ძმა, მის წინ მუხლებზე დაეცნენ და ყვირილითა და გნიასით ხვეწნა-მუდარას მოჰყვნენ:

- ჩვენო ძმაო და ჩვენო იმედო! არ გაბედო და ხელები სისხლში არ გაისვარო!

გააფთრებული მღებარი ცოლისკენ მიიწევდა. ძმებიც ქალს მიუბრუნდნენ:

- გაიქეცი, გაიქეცი! - უყვიროდნენ და თავიანთ უზარმაზარ და გრძელ ხელებს ისეთი მუქარითა და მრისხანებით უქნევდნენ, როგორც ტყის ნადირს, - მოწყდი აქედან, ძაღლებმა შეჭამონ შენი თავი და ტანი! ჩვენმა თვალებმა აღარ დაგინახონ, შე ეშმაკის კერძო, შენა! - გაიძახოდნენ და მიწაზე ქვებს ეძებდნენ, რომ რძლისთვის დაეშინათ. კუზიანმა აგიზგიზებული მუგუზალიც კი მოიმარჯვა, მაგრამ ამ დროს წაიბორძიკა, მოგიზგიზე ქოთანი ხელიდან გაუვარდა და წყლით სავსე გეჯაში ჩაუვარდა. არემარე ისეთმა უკუნეთმა მოიცვა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. თუმცა გადიას მზერას არაფერი გამოჰპარვია - იგი ხომ ჯოჯოხეთურ სიბნელეშიც კი ღამის ფრინველზე უკეთ ხედავდა ყველაფერს. ჰოდა, დაინახა, მღებრის ცოლი თვალის დახამხამებაში მუხლებზე როგორ წამოიწია, კაბის კალთები აიკრიფა, ელვის სისწრაფით გასხლტა კაცებს შორის და ქმარს მიაშურა. გადია ერთი ნახტომით მასთან გაჩნდა და კარგად დაინახა, რომ მღებარი ქალის ჩრდილი იატაკზე ისე ტოკავდა და ტორტმანებდა, თითქოს სურს, თავის პატრონს ჩამოსცილდეს და სხვის ჩრდილებს შეუერთდესო. აქაიქ შეღებილი ქსოვილის ნაჭრებიც მოჩანდა, რომლებიც ქარს საშრობებიდან ჩამოეგლიჯა; ზოგი მათგანი სადღაც შეკუჭულიყო, ზოგიკი თავდაუზოგავად ფრიალებდა. გეჯა-ვარცლების, კასრებისა და გოვზების ტლანქი და მოუხეშავი ჩრდილები აქარიშხლებული და აბოზოქრებული წყვდიადის შუაგულში დროდადრო აიშლებოდნენ, ხან მაღლდებოდნენ და იზრდებოდნენ, ხან კი იხრებოდნენ და დაბლა ეშვებოდნენ.

ანაზღად მოხუცი გადია შიშმა აიტანა, რადგან დედოფალს თვალი ვედარსად მოჰკრა. სად შეიძლებოდა ყოფილიყო მისი შვილობილი, დედოფალი? მიიხედ-მოიხედა და დედოფალი იქ ვედარ დაინახა, სადაც ეგულებოდა. ბარაკის ფეხებთან კი მიწაში სახეჩარგული ქალი გაშხლართულიყო. თუმცა კი კაცი, ეტყობოდა, ქალს ვერც ამჩნევდა - იგი დაუოკებელ თრთოლას აეტანა და უზარმაზარი, ზონზროხი ტანი

დროდადრო მთელი ძალით უტოკავდა. ამასობაში მის ახლოს გართხმული ქალი, ხელებზე დაყრდნობილი, უფრო ახლოს მიუჭოჩდა და ნიკაპი ფეხებთან ისე მიუტანა, თითქოს მიეხუტაო, თან ბუტბუტით ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებდა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვერავინ გაარჩევდა. ბოლოს იგი უსულოსავით გაჩუმდა და გაირინდა. გადია კი კვლავ იმ ადგილს მიშტერებოდა და ბოლოს, გაარჩია, რომ მიწაზე გართხმული ქალის ჩრდილი არსად ჩანდა. მაშინაც კი, როცა მოგიზგიზე ქოთნიდან ცეცხლი სათრიმლავ როფს მოედო. მოხუცი მიხვდა, მიწაზე მწოლიარე ქალი დედოფალი იყო, თავი მოტყუებულად იგრძნო და მრისხანებამ აიტანა, თან აღელვებისგან უკბილო პირში ენას გაუთავებლად ატრიალებდა. უცებ იგრძნო, უკან, მის ახლოს, ადამიანი იდგა, დააკვირდა და იცნო მღებარი ქალი, რომელსაც ორივე ხელი ქმრისკენ გაეწვდინა. უჩვეულოდ მომხიზვლელი და მიმზიდველი - უბიწო და უმანკო მშვენიერების განსახიერება იყო. უდიდეს შიშსა და განცდას ქალი კი არ დაეუშნოებინა, პირიქით, მის სახეს გასხივოსნებული და შუქმფენი ნეტარება დასთამაშებდა. თითქოს ზეზეულად სძინავსო, გაქვავებულმა და გაოგნებულმა ბარაკმა ცოლისკენ ნახევარი ნაბიჯი გადადგა, თან მიწაზე გართხმულ ქალს ფეხი ისე წაჰკრა,

არც კი უგრძნია. ჩირაღდანი უფრო მეტად აგიზგიზდა და სასიკვდილოდ განწირული ნორჩი არსება სხივდაფენილი და ელვარე სახით ბარაკისკენ ისე სწრაფად გამოკაშკაშდა, რომ კაცმა ვეღარაფერი მოახერხა და უნებურად მთელი ტანით უკან დაიხია. ანაზდად უცხო თვალისთვის შეუმჩნეველმა რაღაც იდუმალმა გრძნობამ ისე მოიცვა და დაიმორჩილა, სახეც კი შეეცვალა, თითქოს გონება გადაეწმინდა და თვალებიდან ბინდი გადაეცალაო. სწორედ ამ დროს ბარაკისა და მისი ცოლის მზერა ერთმანეთს შეეჩება და ისე გადაეჭდო და გადაეხლართა ერთმანეთს, როგორც არასდროს. კაცმა მყისვე შეიცნო და იგრძნო ის, რაც არასოდეს ეგრძნო იმ ცოლქმრულ ღამეებში, როცა საყვარელი ცოლისთვის ალერსსა და ხვევნა-კოცნას არ იშურებდა. ასეთი ღამე კი ამ ორი წლის მანძილზე უთვალავი და უამრავი იყო. კაციც და ქალიც მთელი ამ ხნის განმავლობაში არათუ უგრძნობელნი და დაჩლუნგებულნი, თითქოს დაბრმავებულნიც კი იყვნენ. ამჯერად კი ერთსა და იმავე ქალში კაცმა დაინახა ცოლიც და ქალწულიც, ვისი დაპყრობაც შეუძლებელი იყო და ვინც მისი ალერსისა და ხვევნაკოცნის დროს ხელშეუხებელი, უბიწო და უმანკო რჩებოდა. ეს მიუწვდომელი და მიუღწეველი დიდებული მშვენიერება ცეცხლივით მოედო მთელ მის არსებას. ფართო ნესტოებით ჰაერი ისე შეიყნოსა, როგორც ელდანაკრავმა ნადირმა; ზეაწეული უზარმაზარი მუშტები უკანკალებდა და უცახცახებდა; მდედრის სახიერების ამოუხსნელმა და ამოუცნობმა იდუმალებამ ელვის სისწრაფით გაათავისუფლა სისხლ-ხორცში გამჯდარი სულიერი სიმდიმისა და გაბოროტებისგან და, გოლიათობის მიუხედავად, პატარა ბავშვს დაამსგავსა, რომელიც, იფიქრებდით, სადაცაა

ატირდებაო. ცოლი ხედავდა კაცის ბრგე ტანს, გრძნობდა უზარმაზარ ძალას, რომელიც მასში ჩაბუდებულიყო და აკანკალებული სხეულიდან გადმოხეთქვას და გადმოფრქვევას ღამობდა, მაგრამ ვინაიდან ამჯერად, პირველად დიდი ხნის განმავლობაში, მთიდან მოწყვეტილი ზვავივით არ დაატყდა თავს მისი დაუოკებელი სურვილ-წადილი, გოცებულმა ისე გამსჭვალავად შეხედა ქმარს, თითქოს მზერით

განგმირაო. ძალითა და ცხოველმყოფელობით ბარაკი ცოლს ნადირთა მეფეს მოაგონებდა, ხოლო უსუსურობითა და უმწეობით - პატარა ბავშვს. ამ წარმოდგენელმა, უცნაურმა გაორებამ შიში მოჰგვარა ქალს, მაგრამ თან სასიამოვნო მღელვარებაც აგრძნობინა. მზად იყო, ეს გაორება თავის არსებაში შეეერთებინა, შეეჯვარებინა და გაემთლიანებინა. ქალწულებრივი მღელვარებით აფორიაქებულს მუხლები აღარ ემორჩილებოდა. უდიდესი სურვილი კი ჰქონდა, ერთსა და იმავე დროს ღრმად ქალური და ნაზი დედობრივი გრძნობით უხვად აეცხო ძაღვანი და ძლიერი მამრი. უთვალავი მგზნებარე და მხურვალე კოცნის მოლოდინში იყვნენ მისი ბაგენი, მის თვალთაგან კი ბრწყვიალა მძივებად იღვრებოდა სიამე და ნეტარება, რომელსაც მარტო თვითონ კი არ უნდა ზიარებოდა - მამრსაც უშურველად უწილადებდა. და როცა მისი ბაგეები უტყვი და ჯერ კიდევ უამბორო იყო, ქალმა თავი მიუძღვნა კაცს ისე, როგორც არსად და როგორც არასდროს. და, მართალია, ისინი სუროსავით არ შემოხვევიან და არ შემოჭდობიან ერთმანეთს, მაგრამ სწორედ იმ წამს ეზიარა ორივე ჭეშმარიტ და ნამდვილ ცოლქმრულ არსობას.

სწორედ იმ წამს ჩანაცრდა და ჩაიფერფლა გიზგიზა ცეცხლში უკანასკნელი ლიფსიტა. მსხვერპლად შეწირული თევზების გრძნეულებასა და აღთქმული სიტყვის თილისმას დამორჩილებული აჩრდილი მოსწყდა მღებარი ქალის ზურგს, ფრთოსანზე უსწრაფესად გადაეწო დედამიწას და წყალს მიაშურა, რადგან, ცეცხლოვნობის დარად, მდინარებაც იზიდავდა. იგი ცდილობდა, თავი დაედწია ხარბი და მტაცებლური ხელებისთვის და უცხოთა მსახურებისთვის.

- აბა, ჩქარა, ჩემკენ! - წამოიყვირა გადიამ და წყლის ნაპირას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წელში მოიხარა, რათა ბრწყალები ჩრდილისთვის ეტაცა, - აბა, აქეთ, ჩქარა, ჩქარა! დაიპყარი და დაისაკუთრე, რაც გეკუთვნის და რაც შენია! - კვლავ გასძახა სუნთქვაშეკრულმა დედოფალს. იმავე წამს გადიის უკან სამივე ძმის შეძრწუნებული ყვირილი გაისმა: მღებარი და მისი ცოლი მათ თვალწინ გაუჩინარებულიყვნენ. ანაზღად, გაღმა ნაპირზე რაღაც ამოძრავდა და კაშკაშა ნათებამ მდინარე გადმოკვეთა. მოხუც გადიას თვალები გაუფართოვდა და მოჩვენებას მიაშტერდა, თმა ყალყზე დაუდგა და ერთიანად დაიძაბა. ეს მოჩვენება კვლავ სულთა მოციქული იყო, რომელიც თითქოს წყალზე მოსრიალებდა. მოლივლივე წყლის ზედაპირმა წამით ლურჯქერქიანი აბჯარიც აირეკლა. ეტყობოდა, გადია მის მოელვარე თვალებს გაფაციცებით ეძებდა, მთლად გაშეშებულიყო და მოთმინებით ელოდა მის მიახლოებას. აი, მოციქული წყლიდან ამოიმართა და მოხუც ქალს მიაშურა. მას მოსასხამი დასთრევდა და

უფრიალებდა, მოსასხამზე კი მღებარი ქალის ჩრდილი ეკიდა. ისე რომ, გადიისთვის ზედაც არ შეუხედავს, მოციქული ჩრდილთან ერთად სადღაც გაუჩინარდა.

- აბა, ჩქარა, უკან გავყვით! - წამოიძახა გადიამ და ორიოდენახტომით დედოფალთან გაჩნდა, - რაც შეიძლება ჩქარა, რადგან დადგა დრო, მივალწიოთ საწადელს, დავისაკუთროთ ის, რისი უფლებაც მოვიპოვეთ!

მაგრამ დედოფალი უსულოსავით უძრავად იწვა. გამზრდელმა თავი ნაზად წამოუწია და დაინახა, რომ დედოფალს თვალები გახელილი ჰქონდა. მოხუცმა კაბის კალთა გადააფარა, თან საუბარი გაუბა, რომ დაეყოლიებინა. თუ მანამდე დედოფალი

შემზარავად და შემადრწუნებლად სადღაც სიცარიელეში იმზირებოდა, ახლა თვალები გადიას მიაპყრო და ეტყობოდა, იცნო მოხუცი გამზრდელი, მაგრამ სახეზე არაადამიანური შიში და ძრწოლა გამოეხატა და თვალები ისევ მილულა. რა მძიმე იყო გადიისთვის მისი სახის ყურება! ვაი, რომ იგი მთლად მიწიერ არსებას დამსგავსებოდა.

მოხუცმა ქალი წამოაყენა, რომელსაც თავი გვერდზე გადავარდნოდა, თავისი მრუმე მოსასხამი წამოისხა, დედოფალსაც საგულდაგულოდ მოაფარა, მკლავები მოხვია მას, მზრუნველად მიიკრა მკერდზე და ორივე წყვილიადსა და უკუნეთში გაუჩინარდა.

ახლა მოხუცს აღარაფერი გაუჭირდებოდა, უკვე მშვენივრად იცოდა, რომელი გზითაც უნდა ევლოთ.

მოშორებით მდინარეზე ნავი გამოჩნდა. მონდბერგის ციცაბო და პიტალო კლდეების ვიწროებში მოქცეული მდინარე დიდად არ შფოთავდა და ბორგავდა, თუმცა, აჩქარებული, სწრაფად კი მოედინებოდა, თან მთის სიღრმეში მიიკვლევდა გზას; ჩანდა, იმ ადგილას ასეთი მიმართულება ჰქონდა. ნავი წყლის დინებას მიჰყვებოდა, თუმცა მენავე არსად ჩანდა, მის მაგივრად კი ნავის ბოლოში, ფსკერზე, გადია გაყურსულიყო, ეტყობოდა, მეთვალყურეობდა, თან სმენად და მზერად იყო ქცეული. მოხუცის ბასრი და მახვილი მზერა ნავს გატყორცნილი ისარივით უსწრებდა წინ და სწრაფმდინარე წყალს ერწყმოდა. გადიის ფეხებთან კი გულის ძილით ეძინა დედოფალს.

* * *

ციცაბო და ფრიალო კლდეები თანდათან უკან დარჩა. მდინარის ორივე ნაპირზე ერთმანეთში არეული ათასნაირი ჯიშის ხე ცისკენ აშოლტილიყო. ყველა მათგანი ისეთი თვალწარმტაცი და უზადო იყო, თითქოს ირგვლივ პიტალო მთები კი არა, აყვავებული და აბიზინებული მდელოაო. მათ უკან შავად მოელვარე კლდეები და ციცაბოები აზიდულიყო. სწორედ მათი უზარმაზარი პირქუში და საზარი ლოდებით აეგოთ კაიკობადის იდუმალეებით მოცული საუფლო. გადიამ უამრავ მოციქულს მოჰკრა თვალი, რომლებიც ხეებს შორის დააბოტებდნენ. ყოველ თვე მათ გამოჩენასა და სტუმრობას მოხუცი საგულდაგულოდ უმაღავდა ხოლმე შვილობილს, არაფერს უმხელდა. ამჯერად ერთ მოხუც კაცსაც მოჰკრა თვალი, რომლის დანახვაზე ერთიანად ზიზღით აევსო სული. ეს ის მოხუცი იყო, რომლის თეთრი გამოსახულებაც მაშინვე, ერთი თვის თავზე, ცისფერი სასახლის კიბეზე, უცნაურად გარღვეული კედლიდან მოველინა. ოჰ, როგორ შეაშინა და შეადრწუნა მისმა მოელვარე, თან მკაცრმა და პირქუშმა სახემ! გადიას სიშორეში მიმავალი მეთევზეც ეცნო, რომელსაც, ადრინდელივით, ჭილოფის მოკლე ქურთუკი ემოსა, მოყვითალო-ჟღალი თმა უკან, კეფაზე ქალივით ერთ კონად შეეკრა, ხელში კი ბადე ეჭირა, რომელსაც წყლის წვეთებისგან ბრჭყვიალი გაუდიოდა. ნავისა და მისი მგზავრებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, გადიის სიმშვიდეც არავის დაურღვევია.

ორივე ქალი მოსასხამში იყო გახვეული. მოხუცი გადიის ნებას დამორჩილებულმა იმ გრძნეულმა მოსასხამმა ხომ ჰაერი ფრენით გააპო და იმ მდინარის ნაპირს ჩამოხდა,

რომელიც ამ მიდამოებში მონდბერგის მთებს გარდიგარდმო კვეთდა. მისკენ გზის გაკვლევა კი უცოდინრად შეუძლებელი იყო და ამას ვერც ერთი მოკვდავი ვერ მოახერხებდა. გრძნეულმა მოსასხამმა კი ყველაფერი მშვენივრად შეძლო, ქალების მონაწილეობის გარეშე იგი მოზრდილ ნავად გადაიქცა, გადია და უსულოსავით უძრავი დედოფალი შიგ ჩაისვა და იქით გაეშურა, სადაც გამზრდელს თავის გაზრდილთან ერთად ასე მგზნებარედ და გულმხურვალედ ეწადა დაბრუნება. მოხუცს ეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველგან და ყველაფერში კაიკობადის მკაცრი შეგონებები იგრძნობოდა, თუმცა სჯეროდა, რომ სულთა წინამძღოლი ამჯერად აღარ განურისხდებოდა და გულმოწყალე იქნებოდა მათ მიმართ, რადგან მზრუნველი დედობილი მთელი არსებით იყო დარწმუნებული, რომ თავის ყმაწვილ ქალბატონს სიტყვითაც და საქმითაც უდიდესი სამსახური გაუწია, თან გვარიანი ოინიც აგემა ადამიანის მოდგმას, რომელიც ასე სძულდა და ეზიზღებოდა დედოფალს. იოტისოდენადაც არ ეეჭვებოდა, რომ მისი ჩანაფიქრი და გარიგება წარმატებით დაგვირგვინდებოდა; გადია დიდად კმაყოფილი გახლდათ და გასამრჯელოსაც კი ელოდა, თუმცა უკვირდა, რომ ლურჯაბჯროსანს ვერსად ხედავდა, ძალიან კი უნდოდა, სადმე გადაჰყოფოდა და სამარცხვინო ბოძზე გაეკრა იგი, - სჯეროდა, რომ ამისი ზნეობრივი უფლება ნამდვილად ჰქონდა. ახლა კი მთელი მისი არსება დედოფალზე ფიქრს შეეპყრო. ვერაფრით ივიწყებდა, როგორი სახე ჰქონდა მის შვილობილს, როცა მღებრის სახლში,

კედელთან, ჩაშავებულ იატაკზე მწოლიარე ძლივს წამოაყენა. ამის გახსენებაზე საზარელი გრძნობა ეუფლებოდა და ვერ გაეგო, რას ნიშნავდა მისი გაზრდილის საყვედურთან შერწყმული სასოწარკვეთისა და შიშის გამომხატველი გამოხედვა. დანამდვილებით ვერც გეტყოდათ, მართლა დაინახა თუარა, რომ ახალგაზრდა დედოფალი ვიღაცის ფერხითით ჭუჭყიან მიწურ იატაკზე იწვა.

გადია ნავიდან გადაიხარა, წყალს მისწვდა, ორივე პეშვი აივსო, კუპრივით ჩამუქებული წყალი თვალებსა და პირზე შეისხა და იმ გრძნეული ნელსაცხებლით ყელ-კისერი და კეფაც მოიბანა. წყალს არც მის სახეზე და არც თავ-კისერზე წვეთები და სისველის კვალი არ დაუტოვებია. უცებ გადია იგრძნო, რომ ნავმა გეზი ისე იცვალა, თითქოს ნაპირიდან ვიღაც ღონიერი არსება ბაგირით თავისკენ ეწევაო. მოხუცმა მიბრუნება ძლივს მოასწრო და მაშინვე დაინახა, რომ მდინარის ნაპირზე, ერთ ლიპ ქვაზე, ლურჯაბჯროსანი იდგა, - ეტყობოდა, ნავის გამოჩენას ელოდა, თუმცა მაშინვე უკან დაიხია და ხეებს შეერია. ქალმა მას ზურგიდან შეასწრო თვალი და კარგად გაარჩია, რომ მას შავ-ლურჯი თმისთვის საგულდაგულოდ მოეყარა თავი და ნაწნავივით კეფაზე გადაეგდო, მოკლე მოსასხამი კი აბჯარზე შემოტკეცოდა. მიუხედავად ჯმუხი და ჩასკვნილი ტანისა, მას წარმოსადეგობა და მიმზიდველობა არ აკლდა. ვიდრე მოხუცი მას თვალმოუშორებლად მიშტერებოდა, იგი უკვე გაუჩინარებულიყო, ხის ტოტებში უგზო-უკვლოდ გამქრალიყო.

ამასობაში კი ნავი ფრთხილად მიადგა ნაპირს. დედოფალმა, როგორც იქნა, მილს თავი გაართვა და როგორც ფრთოსანი ჩიტი, მსუბუქად და ჰაეროვნად გადმოცქრიალდა ნავიდან, მოიძრო და ნავში დატოვა რუხი მოსასხამი, რომელშიც ადამიანებთან შეხვედრისას საგულდაგულოდ გაეხვეოდა ხოლმე. ახლა მას უკვე ქათქათა სამოსი ამშვენებდა, რომელიც მთელ ტანზე მჭიდროდ და სასიამოვნოდ შემოტმასნოდა. განა

ვინმეს მოუვიდოდა აზრად, რომ იმ პირქუში მოსასხამის ქვეშ ასეთი მშვენიერება და სინატიფე იმალებოდა?

ყმაწვილმა ქალმა მაშინვე იცნო მიდამო - იგი ხომ ბავშვობაში ნორჩი უხსენებლის სახიერებით ხშირად დასრიალებდა ამ არემარეში, მხიარული და ანცი ჩიტივით რამდენჯერ გადაუფრენია ჟღურტულითა და ფრთხილ-ფრთხილით ამ ბუჩქებსა და წყლის ზედაპირზე და მთელი არსებით მოუღებინა. თუმცა ამჯერად ვერაფერმა მოჰგვარა სიამოვნება, ვერ შეარხია მისი სულის სიმები. პირიქით, მთლად დაიძაბა, სახე შეეცვალა, მოციმციმე და მოელვარე თვალები ჩაუმუქდა და ბრაზით აევსო.

- სად ვარ, სად? - წამოიძახა მან, ისევ ნავთან მივიდა და ჯიუტად, ფეხმოუცვლელად დაუდგა წინ, - სად მოგიყვანივარ? მეძინა, არაფერი გამეგებოდა და ამით ისარგებლე?

სად არის ის კაცი, სად არის მისი ცოლი? აბა, ახლავე ისევ იქ წამიყვანე, კვლავ იმ ფეხებს მინდა ვემთხვიო, ეს უდიდეს ბედნიერებასა და ნეტარებას მანიჭებს!

ამ სიტყვების გაგონებაზე გადიამ ფერი დაკარგა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა ეპასუხა. მის გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა. ვერაფრით გაეგო, ამჯერად რა აწუხებდა და აღელვებდა მის გაზრდილს მას მერე, რაც გრძნეული წყლით ხელ-პირი დაიბანა, მთლად დაჰკარგოდა აზრი და გონი, აღარც მღებარი ცოლ-ქმარი ახსოვდა და აღარც მათი უბადრუკი სახლ-კარი.

- ვინ არიან ისინი, ვინ, ვისზეც ლაპარაკობ? რით დაიმსახურეს, რომ განიცდი და ისე დარდობ მათზე, ლამის გონს გადახვიდე?! - შეუძახა გადიამ ქვემოდან, მაგრამ თავი მაშინვე მიაბრუნა, რადგან შენიშნა, რომ მდინარის მეორე ნაპირზე ბუჩქებიდან მეთევზე მოემართებოდა. საოცარი შიში მოჰგვარა გადიას მისმა უცნაურმა მზერამ, ნავისა და ქალისთვის რომ მიეპყრო - მშვენივრად უწყოდა, რომ მეთევზე ის მოციქული იყო, რომელიც მას საგანგებოდ წარგზავნილივით მოევლინა მაშინ, მეშვიდე თვის დასასრულს, რათა გაეგო, შეიძინა თუ არა ძლევამოსილი წინამძღოლის ქალიშვილმა ჩრდილოვანების უნარი. მოხუცი გადია ვერ ივიწყებდა, რა მკაცრად და დაუნდობლად მოექცა მას მეთევზე, ამიტომაც მუდამ შიშს ჰყავდა ატანილი და ლურჯი სასახლის უკან, ტბის პირას, მუდამ იმის ფიქრში იყო, როგორ წამოიმართებოდა მის ზურგს უკან დაუპატიჟებელი სტუმარი, თავის ბადეში გაახვევდა და წყლისკენ გააქანებდა. თუმცა ამჯერად თავისი გაზრდილის რისხვამძვინვარება უფრო მეტად აღელვებდა, ვიდრე იმ მოციქულის შიშით გამოწვეული დარდი და წუხილი. შვილობილი კი მოხუცს ქედმაღლურად და მედიდურად დასდგომოდა თავს, თან თეთრი კვამლის საფარში

მოქცეული გიზგიზა ცეცხლივით მძვინვარებდა. განა შეეძლო გადიას იმის დაჯერება, რომ ეს ამაყი ქალბატონი ჩაბნელებულ და უბადრუკ ქოხში, ნესტიან იატაკზე, ვიღაცის ფეხთით იწვა?

- აბა, ახლავე გავწიოთ მათკენ, ვინც უთუოდ უნდა მაპოვნინო, თუნდაც ათასი მილის დაშორებით ბოროტი სულების ტყვეობაში იყვნენ! ისევ მწაღია მათთან შეხვედრა, რადგან ჩვენ მათ ქურდებივით და მკვლელებივით მოვექცეით და

სანაცვლოდ მთელი ჩვენი სისხლი რომ გავიღოთ, ამ დანაშაულს მაინც ვერ გამოვისყიდით!

გადიამ დედოფლის მზერას ვერ გაუძლო და თავი მიაბრუნა. ქალი ისეთი გაავებული და გააფთრებული მოეჩვენა, თითქოს თავის გამზრდელსაც არ დაინდობს და კაიზერის შევარდენივით თილისმისგან ალაპლაპებული ბრჭყვიალა კლანჭებით თვალის დახამხამებაში თავს დააცხრებო. ამ ფიქრებით მთლად დათრგუნვილ გადიას თვალი ნავისკენ გაექცა და ნავს იქით რაღაცას მიაშტერდა. ცხადად დაინახა, მტკიცე და შეუპოვარი ნაბიჯებით როგორ მიადგა ნაპირს მეთევზე. ფეხები თითქმის უკვე წყალში ედგა და გაწვდილი ხელით დაჟინებით და მბრძანებლურად ანიშნებდა გადიას, იგი ნავით გადაეყვანა.

ჰოი, საკვირველებავ! გადიამ იგრძნო, როგორ დაემორჩილა ნავი იდუმალ ბრძანებას და მოსწყდა ნაპირს.

- აბა, სწრაფად ჩემკენ! - დაუძახა დედაბერმა დედოფალს, მიხვდა, შვილობილთან დაშორებას უპირებდნენ. დედოფალმა არ უპასუხა. მას ორივე ხელი მკერდზე დაექდო და თვალეზღაპურს სახე ცისკენ ჰქონდა აპყრობილი. დედაბერი მთელი ძალით ჩაებლაუჭა ხის ფესვს, მაგრამ უკვე გვიან იყო - ნავმა იგი ნაპირს მოსწყვიტა. თვალის დახამხამებაში მეთევზე ნავში ჩახტა, თავისი ბადეც შიგ ისროლა და დედაბერს ისე უბიძგა, რომ ის შეტორტმანდა და ბადეზე დაეცა. შუა მდინარეში კაცმა ნავი მიაბრუნა და გეზი ქვევით აიღო. კლდის მაღალი ციცაბოები ორივე მხარეს ალაყაფის კარებივით გამოშვერილიყო და ნავი მათ შორის მიცურავდა. მალე გადიას დედოფალი თვალსაწიერიდან გაუქრა, აღარ იცოდა, რა ექნა და სიმწრით ლამის კბილებს აღრჭიალებდა. სველ ბადეზე დაყუნცული ქალი გარინდებულიყო და აღარაფერზე ფიქრობდა, გარდა ერთისა - ნავი ხელახლა როგორ ჩაეგდო ხელში და ჯადოსნურ მოსასხამად როგორ გადაექცია. მოსასხამი ხომ ისე სჭირდებოდა ახლა, როგორც არასდროს.

მეთევზე ქალს ყურადღებას არ აქცევდა. მან საგულდაგულოდ დაკაპიწებული ხელები წყალში ღრმად ჩაყო და იქიდან ბზის ტოტებისგან მოწნული, მოზრდილი, ბუდეყუთის მსგავსი, მოგრძო გოდორი ამოატრია, რომელსაც წვეთი წყალიც კი არ შერჩენოდა და ამიტომ წყლიდან ამოღებულს კი არა, ჰაერიდან მოვლენილს ჰგავდა. ამასობაში ნავმა სვლას უკლო, დამრეც და ფლატეებიან ნაპირს მიადგა და ტირიფნარსა და თხმელებს შორის გაჩერდა. მეთევზემ გოდორი ილღიაში ამოიჩარა, ბადე მხარზე მოიგდო და ნაპირზე ისე გადავიდა. იგი თხმელიანში იმ

ბილიკს დაადგა, რომელიც ამ ადგილას მდინარის ნაპირიდან ზემოთ, სიღრმეში მიემართებოდა. გადიას უცებ თავში გაუელვა, როგორმე ნავი ნაპირიდან დაემრა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, რადგან მეთევზეს ნავის საბელი ერთი ბებერი ტირიფის ძირკვისთვის მიება და ისე საგულდაგულოდ გამოენასკვა, რომ გახსნა ვერ შეძლო, თანაც ვერაფრით აეხსნა, ნავიდან გადმოსვლისას მეთევზემ ასე სწრაფად როგორ მოახერხა ამის გაკეთება.

ბრაზმორეულმა ხვნემა-ხვნეშით დედოფლის მოსასხამი ტანზე მოიცვა და მეთევზეს მალულად აედევნა უკან. მას ხომ ამ ადგილებში გზის გაკვლევა არ გაუჭირდებოდა.

კარგად იცოდა, რომ იქაური მდინარე მონდბერგის მთების გავლით კლავნილად და გრეხილად მიედინებოდა და ასო შ-ს წააგავდა. უფრო ზემოთ კი საშიში ვიწროებიც ეგულებოდა, სადაც ერთი ხე მთელი ტანით იყო გადმოზნექილი და თითქოს ჰაერში ეკიდა; აი, სწორედ ამ ხის მეშვეობით ციცაბო კლდისკენ გადახტებოდა, მთას ირიბად გადაკვეთდა და დარწმუნებული იყო, იმ ვიწროებთან აღმოჩნდებოდა. დიდი მანძილი არ ჰქონდა გავლილი, რომ თხილწარსა და არყის ხეებს შორის მეთევზის ქოხი შენიშნა. ქოხიდან მოლურჯო კვამლი ამოდიოდა. მოხუცი ქოხს მიუახლოვდა, უკანა ფანჯარასთან მიიპარა და შიგ შეიხედა. ერთადერთი ნახევრად ბნელი ოთახის კუთხეში ჭილოფზე ნაზი და მომხიზლავი ყმაწვილი ქალი იწვა. ქალს ეძინა და ძილში მოუსვენრად შფოთავდა. მის ფეხებთან მეთევზის ცოლი ჩაცუცქულიყო. იგი მთლად ჭალარა იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ ახალგაზრდული იერი ჰქონდა და ასაკითაც ქმრის შესაფერისი ჩანდა. იგი

გაფაციცებით დასცქეროდა მძინარე ქალის ხელებს, რომლებიც ხან შეეშვებოდნენ ერთმანეთს, ხან ისევ გადაეჭდობოდნენ, თითქოს მათი პატრონი მძიმე და მტანჯველ სიზმარს ხედავსო. გადია იმ ქალს დიდი ხანია იცნობდა, მაგრამ ვერ იტანდა. მეთევზის ცოლი ფრიად ცნობისმოყვარე გახლდათ, თან ენას კბილს ვერ აჭერდა. გაუბედაობითა და სუსტი ნებისყოფით გამოირჩეოდა, თუმცა შეეძლო იმის დანახვა, რაც კედლის იქით ან საბურველის ქვეშ ხდებოდა, რაც ფარული და თვალთუხილავი იყო. საოცარი უნარი ჰქონდა, ყველანაირ ნიშანში რაღაც ამოეკითხა და უმნიშვნელო ანაბეჭდით თუ ნაკვალევით ისეთი რამ გაეგო, რაც სხვისთვის მიუწვდომელი და ამოუცნობი რჩებოდა. ადამიანებისგან მოწყვეტილი ცხოვრობდა და გულით გაიხარა, როცა ახალგაზრდა ქალი მიუყვანეს და სთხოვეს, მისთვის თავშესაფარი მიეცა. როგორც კი მეთევზე ოთახში შევიდა, მძინარე შეირხა, თავი აამოძრავა და გადიამ მღებრის ცოლი შეიცნო. მოხუცი ვერც იფიქრებდა, რომ მას ოდესმე კიდევ იხილავდა. მოულოდნელობისა და გაოცებისგან კინაღამ უჩვეულო და მძაფრი ხმა აღმოხდა, მაგრამ თავს მოერია და დროულად ჩაახშო იგი. ცოლმა მეთევზეს შემოსვლა არც კი დააცადა, ათასი რამის თქმა დააპირა და კითხვა კითხვაზე მიაყარა:

- რატომ არ მეუბნებოდი, რომ მოკვდავთა შორისაც ყოფილან ისეთები, რომლებსაც ჩრდილოვანების უნარი არა აქვთ და ჩრდილს ვერ აფენენ მაშინაც კი, როცა კაშკაშა მზის სხივები ირიბად და აღმაცერად იჭრება ფანჯარაში, აი, ისე, როგორც ამ ერთი საათის წინ იყო?

ნეტავი ისეთი რა შეეძებოდა, რომ ასეთ შიშს შეუპყრია? თუმცა კი ხელებზე ეტყობა, შეუპოვარი და დაუოკებელია, თან ნაზი და მეოცნებე, უმწიკვლო სულის პატრონია და თავისი ოცნებებითა და სურვილ-წადილით ეგებ თავიც შეიქცეოს. ერთი მაჩვენებელი, ეგ რა გოდორი მოგიტანია, - ახლა ამაზე გადაიტანა სიტყვა ქალმა და განაგრძო, - ნეტავ რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს იმასთან, ვინც ჩუმად აგდევენებია, ახლა კი საგულდაგულოდ ჩასაფრებულა და ჩვენს სახლს უთვალთვალებს? არც ცხოველსა ჰგავს და არც ადამიანს, რაღაც უფრო ჩვენნაირია.

ამ სიტყვებით ქალმა თავი ასწია და ჰაერი მთელი ძალით შეიყნოსა. მეთევზე, როგორც ყოველთვის, არაფერს პასუხობდა, უბრადა და უსიტყვოდ განაგრძობდა თავის საქმეს - დაბურდულ ბადეს შლიდა და ასწორებდა. ამასობაში ქალი საიმედოდ მოწნულ

გოდორს მიუახლოვდა და ისეთი თვალებით დაუწყო ცქერა, თითქოს დაჟინებული მზერით სურს ბოლო მოუღოსო. შემდეგ კვლავ თავისთვის ალაპარაკდა:

- აჰა, ეს ხომ მსაჯულის მახვილი და სისხლივით წითელი ხალიჩაა! - წამოიძახა მან, - ალბათ ხალიჩაზე დაჩოქილს ამ მახვილით უპირებენ სიკვდილით დასჯას! - ჩურჩულებდა მეთევზის ცოლი და თან მძინარე ქალს აცქერდებოდა. მძინარე შეკრთა და შეტოკდა, თითქოს ნათქვამი გაიგონაო, - ნეტავ მსაჯული ვინ არის? - კვლავ იკითხა მოხუცმა მასპინძელმა, - ეტყობა, საჯალათო კუნძამდე, ვით სიკვდილმისჯილმა, თავად უნდა ატაროს ეს გოდორი. ნუთუ

ამისთვის მოათრიე შინ? - მოხუცმა მზერა კვლავ მძინარე ქალს მიაპყრო, რომელიც ტუჩებს კი ამოძრავებდა, მაგრამ ძნელი გასაგები იყო, რას ამბობდა.

- რა ერთგული და თავდადებულია! - წამოიძახა მეთევზის ცოლმა.

მალე მღებარი ქალის სიტყვები გარკვევით გაისმა:

- დამსაჯეთ და მომკალით, ვიდრე მზე ამოიწვერება, არ მინდა, ვინმემ დამინახოს, რომ ჩემს სხეულს ჩრდილფენის უნარი არ გააჩნია! - თქვა მან, - ჩირაღდანი არ აანთოთ, რადგან მახვილი ისედაც საგანგებოდ პრიალებს, ხოლო ხალიჩას იმდენი სისხლი შეუსრუტავს, მთლად ლაპლაპი გაუდის!

- ნეტავ ვის ელაპარაკება? - ცნობისმოყვარედ ჰკითხა ცოლმა მეთევზეს, რომელიც, მორზე მოკალათებული, ბადის კემსვა-დაკერებას შესდგომოდა. ქალი უფრო მეტად მიუახლოვდა მძინარეს და წარმოთქვა:

- ოჰ, ოჰ! ახლა კი იგი ლოცულობს და მოწიწება-მოკრძალებით ჰკოცნის ვიღაცა კაცის გაშავებულ-გალურჯებულ ხელს, თან ბუტბუტებს: „რაც გინდა მიყავი, რადგან შენ ხარ ჩემი

მსაჯულიცა და გამკითხავიც, მინდა ვემთხვიო შენს ნაჯაფ ხელებს. იცოდე, რომ მხოლოდ ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთებში შეგიცან და შეგისისხლხორცე, შენ მხოლოდ ახლა შეხსენი ჩემი გულის კარი და მომანიჭე არნახული სიყვარულიო“. მეთევზის ცოლი არ ცხრებოდა და ქმარს არ ასვენებდა:

- მიპასუხე, მიპასუხე, ვინ არის ამისი მსაჯული, ვინ? მთელი დღეები მარტო ვარდა აი, ახლა ეს უცხო არსება მომივლინა ბუნებამ, მან კი ძილს თავი ვერ გაართვა, სიტყვაც არ მითხრა, არ შემეხმინა. კიდევ გეკითხები, ვინ უნდა გაასამართლოს და ვინ უნდა დასაჯოს იგი, ვინ?

- ოქროვანი წყალია მისი მსაჯული და ჯალათი, ოქროვანი წყალი! - უპასუხა კაცმა.

- წყალი სიცოცხლისა და წყალი არსობისა? - წამოიძახა განცვიფრებულმა ქალმა, - ჩემთვის არავის უთქვამს, რომ იგი კვლავ მთის წიაღს დაუბრუნდა. ნუთუ ამ გრძნეულ წყალს ევალება განაჩენის გამოტანა, განსჯა და დასჯა?

- არა და არა! გარდაქმნა და გარდასახვა - აი, მისი მიზანი და დანიშნულება. ეს კი უფრო მეტი და უფრო დიდი რამაა.

- გარდაქმნა და გარდასახვა! როგორც ბევრი სხვა რამ, ესეც ხომ ბუნების უდიდესი წყალობა, ნიჭი და უნარია, - უპასუხა ქალმა და დაუმატა, - განა შენი ასაკოვანი გერი ძმა ყველაფერ ბოროტსა და ავს ამ ცხოველებად არ აქცევს, რომლებიც შემდეგ მისი მონა-მორჩილნი არიან? ანდა განა შენ თვითონაც ეს უნარი არა გაქვს მომადლებული, წყალში რომ ხელებს ყოფ და იქიდან ამოგაქვს ის, რაც არავის არასოდეს წყლისთვის არ მიუწვდია?

- ჰო, მაგრამ, ოქროვანი წყალი გარდაქმნის და გარდასახავს უხილავსა და ფარულს! - უპასუხა კაცმა.

მოულოდნელად მეთევზის ცოლი ელვის სისწრაფით წამოიჭრა იატაკიდან და წაიჭურჩულა:

- ნამდვილად ვიღაცაა ფანჯარასთან!

ამასობაში მეთევზე მძინარეს მიუახლოვდა და თვალიერება დაუწყო. ახალგაზრდა ქალი ძილში ისე ოხრავდა, თითქოს სადაცაა, ოხვრას გულსაც ამოაყოლებსო, თან ნიაღვარივით მომსკდარი ცრემლები მთელ სახეზე სდიოდა.

გარეთ გასულმა მეთევზის ცოლმა კი ველარავინ დაინახა. გადია ისე გამჭრალიყო, მისი

კვალიც კი აღარსად ჩანდა. მას გული იმაზე უარესად დამძიმებოდა, ვიდრე ერთი წლის წინ, როცა თავისი ნასათუთევი და ნაფერები შვილობილი დაეკარგა და აღარ იცოდა, როგორ მიეგნო მისი სამყოფელისათვის. ახლა კი იმის წარმოდგენაც უჭირდა, რომ მისი გაზრდილი შეიძლებოდა აქ, სულების საუფლოში ყოფილიყო. ეს აუტანელი შიში ტანჯავდა და სულს უხუთავდა. იგი აქეთ-იქით აწყდებოდა და არ იცოდა, რა ექნა. წინ და უკან წანწალსა და ხეტიალში იმდენი მკაცრი და პირქუში ციცაბო და ფრიალო კლდე შემოჯარდა ირგვლივ, რომ კლდეებს შორის აღმოჩნდა მოქცეული და ამ გრძნეულ და ჯადოსნობის უნარის მქონე მოხუცსაც კი გაუჭირდა გზის გაკვლევა. მართალია, და ქვეცნობიერად მშვენივრად გრძნობდა, სადაც იქნებოდა ნორჩი დედოფალი, მაგრამ მაინც არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა.

იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით ღრანტე და ხრამი უნდა ყოფილიყო. შარშან, სწორედ იმ ავბედით დღეებში, როცა მოხუცი გამზრდელი ტანჯვა-ვაებით ცდილობდა, შვილობილის კვალისთვის მიეგნო, აქ პოვა თავშესაფარი, სადაც ღამის გათევა ასე თუ ისე შეიძლებოდა. მალე მან მართლაც იცნო უფსკრულივით ღრმადა თვალუწვდენელი ხევი.

უცებ იქიდან ამომავალი ფოცხვერი დაინახა, რომელიც პატრონის მომლოდინე მაღლივით უკან-უკან იცქირებოდა. იმავე დროს თეთრად შემოსილი მოხუცი კაციც შენიშნა, რომელსაც გვერდით ბატკანი მოსდევდა. პირუტყვი ჭკვიანი თვალეებით შესცქეროდა კაცს.

ვიდრე გადია იმათ თვალიერებაში იყო, მთიდან ერთი ტანზოორბა ადამიანი გამოემართა. ფართო ნაბიჯებით დინჯად და აუჩქარებლად მოდიოდა. როგორც ჩანდა, თეთროსანი მოხუცი მას ელოდებოდა და როგორც მასპინძელი, მეგზური და

გზის მაჩვენებელი, მორიდებით მიეახლა, თან უშველებელი და ვეება ფეხის დასადგმელად ციცაბო კლდის საიმედო ქვის ფილებზე მოწიწებით უთითებდა.

ის ვეება და ზონზროხი, ეტყობოდა, მიუჩვეველი იყო და მთებში სიარული არ ეხერხებოდა. ეს გოლიათი მოხუცმა გადიამ მღებარ ბარაკად შეიცნო და ძრწოლამ აიტანა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ მეთევზე შორიდან ბადეს ესროდა და თევზივით შიგ გაახვევდა - მოხუცი ქალი ხომ მარყუჟებს ვერც გახსნიდა და ვერც გაგლეჯდა. გადია ხეების ფესვებსა და ციცაბო ფლატეს შორის ზემოთ აცოცდა და თითქმის ჰაერში გადმოევიდა, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ამ ორი ადამიანის საუბარი მოესმინა.

- როდის ვნახავ კვლავ ჩემს ცოლს? - შეეკითხა მღებარი და თან ისეთი კვნესა აღმოხდა, თითქოს გული და სული თან ამოაყოლო.

- როცა მზე სულ ზემოთ აიწევს, ამაღლდება ამ მდინარეს თავს დაადგება, - უპასუხა მოხუცმა.

მათ საუბარი განაგრძეს და ოქროვანი წყლის სახელი კიდევ ერთხელ მისწვდა გადიის ყურს. კარგად ახსოვდა, ყოველთვის რა შიში იპყრობდა ამ ძლევამოსილი გრძნეულების გაგონებაზე. არც ახლა სურდა ამ სიტყვების მოსმენა. იგი ხიდან ხეზე, თხემიდან თხემზე, ლოდიდან ლოდზე მიცოცავდა და მიფორთხავდა; ეგონა და დარწმუნებულად კი იყო, რომ გზა კარგად იცოდა და არაფერი შეეშლებოდა, მაგრამ ხეობა სულ გაუვალი და უდაბური ხდებოდა, ხეთახშირი სულ მეჩხერდებოდა და მიყურადებასაც რაღა აზრი ჰქონდა. მდინარე ქვემოთ, თვალუწვდენელ სიღრმეში უხმაუროდ, თუმცა სწრაფად მიედინებოდა. გზისა და გასასვლელის ნიშანწყალი არსად ჩანდა. გადიას მეტი აღარაფერი დარჩენოდა - თავის თავს გამოუტყდა, რომ გზა აებნა. გამაყრუებლად და გულგამგმირავად უხმობდა გაზრდილს, მაგრამ მისი ძახილი უპასუხოდ რჩებოდა, ის კი არა, გამომძახილიც არსაიდან ისმოდა. მხოლოდ ნაზი და ჰაეროვანი ფრთებით ღამის ფრინველი გამოფარფატდა ნაპრალებიდან, გადიას შეეჩეხა, შეტორტმანდა და მიწაზე დაენარცხა. მოხუცი გადიაც ძირს დაეცა და გაკლდევებულ ქვაზე სახით დაემხო.

ამასობაში კი დედოფალი მარტოდმარტო იდგა ხეებს შორის, წარაფში, რომელსაც ციცაბო და ფრიალო კლდე თავის ჩრდილს აფენდა, ხოლო მის უკან მზის ნათელი თანდათან თვალს ეფარებოდა და უჩინარდებოდა. ტყის მწვანე მოლი და მიწა, ხავსი და ბალახი გრძელი ჩრდილებით იყო მოფენილი. ირგვლივ ყველაფერს თავისი ჩრდილი ჰქონდა, დედოფლის ჩრდილი კი არსად ჩანდა. ქალი მთის ფერდობისკენ მიბრუნდა, დააკვირდა და მიხვდა, რომ ეს

ადგილი მისთვის ნაცნობი იყო. დიდი ხნის წინ ნანახი და განცდილი ნათელ და მკაფიო მოგონებებად ამოუტივტივდა გონებაში. იგი ხომ მამამისმა ამოიყვანა აქ და მანვე შთაბერა ძალა გრძნეულებისა და იდუმალი გარდასახვისა; პირველად აქ იგრძნო თავი მოფარფატე ფრთოსნად, მამის თვალწინ აიჭრა ცაში და შეკრა კამარა. ის კი ვერ მოიგონა, როგორ გამოიყურებოდა თვით კაიკობადი. მართალია, კაცს თავზე გვირგვინი არ ედგა, მაგრამ შუბლი შარავანდით მოსილივით უბრწყინავდა, ეს კარგად ახსოვდა დედოფალს.

- მამა, მამა, სადა ხარ ახლა, სად? - წამოიძახა ქალმა გულმხურვალედ, თუმცა მისი ხმა მაშინვე მიწყდა. საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილმა და დადარდიანებულმა დედოფალმა უიმედოდ და ყველასგან მიტოვებულად იგრძნო თავი. უნებურად თავის ავგაროხს შეავლო ხელი და გონება გაუნათდა, მიხვდა, როდის და რა მიზეზით წაერთვა მას გარდასახვის უნარი - იგი ხომ ამ თილისმამ დასაჯა ასე უმოწყალოდ, მაგრამ ამ წუთს და ამ წამს იგი ისეთი ახლობელი და ძვირფასი იყო მისთვის, როგორც არასდროს, თანაც იმდენად შეიგრძნო და შეისისხლხორცა მისი სიდიადე და გრძნეულება, რომ შუბლზე მისი ანარეკლი და ათინათიც კი უბრწყინავდა და უელვარებდა.

მოულოდნელად უკნიდან ისეთი შხაპუნი და დგაფუნი მოესმა, თითქოს ვიღაცა წყლიდან ამოხტაო. ქალს მთელ ტანში ჟრჟოლამ დაუარა. იგრძნო სულიერის მიახლოება და მაშინვე

შეტრიალდა. წყლიდან ოდნავ მოშორებით, თავის ახლოს, დაინახა ვეება ტანის ჩასკვნილი და ჯმუხი ახალგაზრდა კაცი. ახალმოვლენილის სამოსი საოცარი სიმშვენიერის თვალისმომჭრელ სილურჯეს აფრქვევდა ირგვლივ. ასეთ ზღაპრულ ფერს სამღებრო საქმის ოსტატი ბარაკიც კი ვერ შექმნიდა, როცა თეთრი ქსოვილის შესაღებად ინდიგოსა და ვიდას უშურველად და დაუნანებლად უმატებდა გეჯაში და ერთმანეთში აზავებდა. ეს ლურჯი ფერი თითქოს თვით ზღვის სიღრმეებიდან მოეპოვებინათ და ყმაწვილის ბრგე ტანი მთლად დაეფარათ. ახალგაზრდა კაცი თავის დაკვრით მიესალმა დედოფალს. იგი ხელებგადაჯვარედინებული იდგა ერთ ადგილზე, შემდეგ მიმოიხედა, თითქოს ეშინია, არავის გაეგონა, რის თქმასაც აპირებდა. მრგვალი, სფეროსებრი თავი დინჯად და დარბაისლურად მდინარისაკენ მიაბრუნა და წამოიძახა:

- თავი დაანებე იმ ქალს!

ამასობაში მისმა სამოსმა ფერი იცვალა და ისე მოშავოდ და მუქ-ლურჯად გამოიყურებოდა, როგორც ცის თალი მზის პირველი სხივების აელვარებამდე. ვიდრე დედოფალი პასუხს გასცემდა, სად იყო და სად არა, თვალწინ კიდევ ერთი არსება წარმოუდგა. ძნელი სათქმელი იყო, ხეებშიშირს გამოეყო იგი, თუ დედამიწიდან ამოიშრათ; ეს იყო ქალიშვილი, რომელიც თითქოს ცვილისგან ჩამოსხმული ნაზი ფეხებითა და სპილენძივით პრიალა მუქი თმით წყლის

ორი წვეთივით ჰგავდა მღებარ ქალს. როგორც კი იქაურობას მოევლინა, მაშინვე რაღაცის თქმა დააპირა და წკრიალა ხმით მბრძანებლურად წამოიძახა:

- შენნაირებსა და შენიანებს მიაშურე, რამეთუ მუდამ მათთან უნდა იყო! - აჩქარებით თქვა ეს და მოუთმენლად მიუახლოვდა დედოფალს, მაგრამ ნაბიჯებს კი არ ადგამდა, არამედ, თითქოს ფეხები აუკრეფიაო, მწვანე მოლზე, როგორც შუშაზე, ისე მისრიალებდა და ალბათ ასე ძლიერარავითარი სხვა მოძრაობა არ მიესადაგებოდა მისი სხეულის სინაზე-სინატიფეს და იმ ზღაპრულ ფერებს, როგორ ბზინვარებადაც იღვრებოდა მთელი მისი არსება. მაგრამ აი, მის უკან მეორე გოგონაც გამოჩნდა, რომელიც მასზე გაცილებით უფროსი იქნებოდა და პირველად მოვლენილ ზორბა ყმაწვილზე უფრო დიდი და ბრგეც ჩანდა. ხმაამოუღებლად იდგა გოგონა და

გაყურსული ნადირივით რაღაცის მოლოდინში დედოფლისთვის დაძაბული მზერა მიეპყრო. მას სამი პატარა ბიჭუნა ასდევნებოდა და სამივენი გაუთავებლად მის ირგვლივ ტრიალებდნენ. პირველი ქალიშვილიც მისკენ ისე გასრიალდა, თითქოს მილივლივებსო. ახლა ოთხივე მჭიდროდ ეკვროდა და ეხუტებოდა ტანსრულ დაიკოს. დედოფალი თვალს ვერ აშორებდა ამ სანახაობას: ქალიშვილი ისე ელაციცებოდა და იხუტებდა ყველას, როგორც კრუხი ახალგამოჩეკილ წიწილებს. მან თავისი გულკეთილობა-სათნოებით, ხელების ნაზი და მზრუნველი მოძრაობით დედოფალს მღებარი კაცი, ხოლო თავშეკავებული და მოკრძალებული გამოხედვით მღებრის მშვენიერი ცოლი გაახსენა, თუმცა დარწმუნებით ვერ გეტყოდათ,

რომელს უფრო აგონებდა ეს არსება, ისე საოცრად იყო მასში შერწყმული მღებარი ბარაკისა და მისი ცოლის ბევრი თვისება-ჩვეულება. დედოფალი გრძნობდა, რა ძალუმად უცემდა გული, ეს მშვენიერი გოგონა ანდამატივით იზიდავდა, უნდოდა, კიდევ მიახლოებოდა, მაგრამ ვეღარსად დაინახა - უკვალოდ გამქრალიყო. მისი ძმა კი იქვე მარტო იდგა და ეტყობოდა, იმის მოლოდინში იყო, როდის დაელაპარაკებოდა მას დედოფალი.

- ჩანს, რაღაც გინდათ მაუწყოთ, არა? - წამოიძახა დედოფალმა და ყმაწვილს გაუღიმა, თან მის სამოსს მისჩერებოდა, რომელიც თვალწარმტაცად ელვარებდა და მისი სრულქმნილი და სრულყოფილი იისფერი უნაკლო და უზადო ძოწად გარდაისახებოდა. ეს ფერები უსასრულო მარადისობიდან აღმოცენებულს ჰგავდა, ისევე როგორ მისი პასუხები, რომლებსაც მან დინჯად მოუყარა თავი და მის ბაგეთაგან დიდი მოკრძალებით გადმოიღვარენ.

- ჩვენ არც არაფერს გთხოვთ და არც არაფერს გაუწყებთ! ჩვენ წარვდექით თქვენ წინაშე - აი, მხოლოდ ეს არის ის, რაც გვევალება და რისი უფლებაც გვაქვს, ჩემო ქალბატონო!

- ის გოგონა სად არის? - იკითხა გულდაწყვეტილმა დედოფალმა და მღელვარე და ხარბი მზერა იმ ხეებს მიაპყრო, რომელთა შორისაც ცოტა ხნის წინ გოგონა იდგა.

- კიდევ არის აქ და კიდევ არ არის! როგორც გენებოს, ისე გაიგე! - თქვა ბიჭმა და მოკრძალებისგან ოდნავ მოხრილი წელში გასწორდა. მიწაში ღრმად ფესვგადგმულ ხესავით ძალასა და ძლიერებას თავისი ღონიერი ფეხები აძლევდნენ, ხოლო მისი სამოსის მოელვარე-მეწამული ფერი ახლა უკვე ოქროვან სიკაშკაშედ გარდაიქმნებოდა. თითქოს ხეებიც კი სიცოცხლის ისეთ ცხოველყოფილებას იძენდნენ მისგან, როგორც ამომავალი მზის სხივების პირველად ქმნილი ბრწყინვალეებისა და ბრჭყვიალებისგან.

- განა მესამეც არის? - იკითხა დედოფალმა.

- დიახაც რომ არის და მასში ორივეა შერწყმული და შეერთებული! - თქვა ყმაწვილმა.

- ნეტავ სად და როდის ხდება ეს შერწყმა და ეს შეერთება?

- გადამწყვეტ წუთსა და გადამწყვეტწამს! დედოფალმა ნაბიჯი გადადგა მისკენ.

- აბა, მათთან წამიყვანეთ, ალბათ კარგად უწყით, სადაც არიან!

- ჩვენ არა ვართ ისინი, ვინც წაგიყვანთ და წარგიძღვებათ, ისინი სხვები არიან! - გაისმა ბიჭის ხმა.

- მაშ, ისინი მომიყვანეთ! - კვლავ ბრძანა დედოფალმა.

ყმაწვილმა სახეაელვარებულმა შეხედა დედოფალს. ოჰ, როგორ ჰგავდა მისი მზერა მღებარი ბარაკის მზერას, ხოლო მისი თვალები - მღებრის ცოლის თვალებს! მან მორიდებითა და თავშეკავებით, თუმცა დინჯად და დაჟინებით გაიშვირა ხელი დედოფლისკენ. ამ წუთში იგი ზედგამოჭრილი მამა ბარაკი იყო, იმითაც, რომ მასშიც მომძლავრებულიყო ჭკვიანური გადაწყვეტილებები და შეგონებები, რომლებმაც მის დამძიმებულ და დადუმებულ ტუჩებამდე ვერ მიაღწიეს, სამაგიეროდ, მისი ნახევრად აწურული ბეჭებით თვითაღკვეთისა და თვითდათრგუნვის გამომხატველ მოძრაობად გარდაიქცნენ და გარდაისახნენ. მისი სამოსის მეწამულ-სისხლისფერი კვლავ ისეთ იისფერში ჩაიკარგა, როგორითაც საღამოს ზეცის თაღზე ღრუბლები იფარებიან ხოლმე.

- ქალბატონო! არავინ მოვა და არ წარმოგიდგება, პირიქით, შენ უნდა წარუდგე სამსჯავროს; დადგა დრო და ჟამი! დედოფალმა უნებურად უკან დაიხია:

- მერედა ვინ იქნება ჩემი მსაჯული და მოსამართლე?

- უჩინარნი მოვლენ და მოიყრიან თავს, ქალბატონო, თუკი შენ ასე გსურს! - თქვა ყმაწვილმა და დინჯად და დარბაისლურად თავი დაუკრა დედოფალს. უფრო მნიშვნელოვნად და დამაჯერებლად იგი ალბათ სასიკვდილო განაჩენსაც კი არ აუწყებდა ვინმეს. კვლავ ჩამუქდა და ჩაკუნაპეტდა მისი სამოსი, ისე, როგორც შუალამისას - უვარსკვლავო ზეცა. დედოფალმა ღრმად ამოიოხრა:

- დიახ, დიახ! მე დავაშავე! - მან თვალები დახარა, თუმცა თავი მაშინვე ასწია და თანამოსაუბრეს მზერა გაუსწორა. ყმაწვილი მოწიწებით უსმენდა და თუმცა მაშინვე არაფერი უპასუხია, მისი თვალები უდიდეს სულიერ განცდას გამოხატავდნენ. როგორ ეძვირფასებოდა ამწუთას ამ ქალბატონის ლაპარაკი! მზად იყო, ყოველი მისი სიტყვა ალერსით აევისო:

- ასე უნდა სჯიდეს ყველა, ვისაც წილად ხვდა სხვების წინ სიარული, მეწინავეობა და ვინც სწორ ნაბიჯს დგამს. ამიტომაც დავდივართ ჩვენ მწყობრი ნაბიჯით, ფეხაწყობილნი! - თქვა მან და მის მზერას მსუბუქი და უწყინარი ღიმილი გამოერია, თუმცა კვლავ ჭკუადამჯდარი ასაკოვანივით იქცეოდა და არაფრით ისე არ ჰგავდა მღებარ ბარაკს, როგორც ამ მშვიდი და დარბაისლური გამომეტყველებით.

- ნეტავი შეიძლებოდა, გაქრეს და ქვესკნელში ჩაინთქას ყველაფერი ისე, თითქოს არაფერი ჩამიდენია! - წამოიძახა ქალმა, თან ყმაწვილს თვალს არ აშორებდა, მოწიწებით შეჰყურებდა. ჩანდა, იგიუფრო მეტ მოკრძალებას იჩენდა ყმაწვილის მიმართ, ვიდრე ბიჭი დედოფლის მიმართ.

- მხოლოდ ოქროვანმა წყალმა იცის, რაც მოხდა და რაც არა! - არ დააყოვნა პასუხი ბიჭმა.

- განა იგი მამაჩემს არ მორჩილებს?

- ძლიერთა ამა ქვეყნისათა ძალიან უყვართ ერთურთი! - მოკლედ მოუჭრა ყმაწვილმა, თან ვეებერთელა სახეზე მოუთმენლობა გამოეხატა.

- მეტი აღარაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი? - წამოიძახა ქალმა.

- აბა, მე მათქმევინეთ! - გაისმა წკრიალა ხმა და დედოფლის წინაშე ერთ-ერთი პატარა ბიჭი წარდგა. მალე მას მეორეც დაემატა. პირველი ყმაწვილი, რომელსაც აგრერიგად სურდა პასუხის გაცემა, თხელი ტუჩებით, ვიწრო და მაღალი შუბლით ძალიან ჰგავდა მღებარი ბარაკის ნაბოლარა ძმას, მაგრამ თითქოს ჰგავდა და არც ჰგავდა, რადგან ამ პატარას უნაკლო ტანი და,

რაც მთავარია, სწორი და უხინჯო ზურგი ჰქონდა, ხოლო იმ კუზიანის უბადრუკი სამოსლის ნაცვლად ისეთი ზღაპრული ფერის სამოსი ამშვენებდა, თითქოს ოსტატ მღებარს მისი საღებავი სამოთხის ჩიტის მკერდის ნორჩი ბუმბულისგან შეუქმნიაო. მეორე ბიჭი კი დედოფლისკენ იწვდიდა პატარა ხელს, რომელიც, რა თქმა უნდა, ცალხელაზე დიდი მაინც ექნებოდა, თანაც მღებრის მსგავსი მორკალური და ბირთვისებური თვალებით დაჟინებით მისჩერებოდა ქალს, ხოლო მისი მომხიზვლელი პირი, რომელსაც ასე ეწადა სიტყვის წარმოთქმა, ისევე მომნუსხველად თრთოდა, როგორც ეს მღებრის ცოლს სჩვეოდა. ძნელი იყო, ენას გადმოეცა იმ ულამაზესი ფერების სიმშვენიერე, მის სამოსს რომ დასთამაშებდა; ბიჭი თავიდან ფეხებამდე სისხამ დილით მოკრეფილი ყვავილების ზღაპრულ თაიგულს ჩამოჰგავდა.

ამ დროს პირველმა ყმაწვილმა ხმამაღლა წამოიწყო:

- ქალბატონო! დედაჩვენის შეგონებებსა და სურვილ-წადილს დიდი დრო სჭირდება, რის გამოც იგი ბევრ რამეზე უარსაც ამბობს. შენ კი მბრძანებლობ და შენი სიტყვა შეუვალია, რადგან წამი და წუთია შენთვის მთავარი. ახლა კი უნდა გაიგო, რომ შენი ბედი უკვე გადაწყვეტილია!

- რომელ წუთსა და რომელ წამზეა ლაპარაკი? - წამოიძახა დედოფალმა.

- მხოლოდ ერთადერთზე, მხოლოდ ერთადერთზე! - ასევე ხმამაღლა უპასუხა პატარა გოგონამ და სახე წამოენთო.

- მე რა მევალება და რა უნდა გავუკეთო? - იკითხა კვლავ დედოფალმა და სუნთქვაშეკრული სამივე ბავშვს დაჟინებით მიაჩერდა.

- წუთში და წამში ყველაფერი იგულისხმება, სიტყვაც და საქმეც, - ეს კი იმ პატარა ბავშვმა წარმოთქვა, რომელიც თავისი განიერი და მორღვეული ტუჩებით ბარაკს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. მასავით ვეება და ბრგე ტანზე მარჯნისფერი წინსაფარი უფრიალებდა, თავზე კი შავი გრუზა თმა ბუჩქად ადგა. მეოთხე ბავშვი იმ სამს შორის ჩიტვიტ შეფრთხილდა, შემდეგ ოთხივენი მხრებითა და მკლავებით, მთელი ტანით ერთმანეთში მჭიდროდ გადაიხლართნენ, ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივდნენ, თან ილიმებოდნენ და თვალებს ხან ხუჭავდნენ, ხან ახელდნენ. თვალების ელვარებითა და ჭრელი სამოსის მომნუსხველი ფეროვნებით ჭრელად

აყვავებულ მესერს ჩამოჰგავდნენ, რომელშიც მუქთვალემა მშვენიერი ჩიტუნები ბუდობენ ხოლმე.

უჩვეულო წყნარ ფერხულში ჩაბმულნი დედოფლის წინ აქეთ-იქით ისე ირწეოდნენ, როგორც ჭრელი მესერი საღამოს ნიაგზე.

- აბა, მითხარით, ვინ არის ჩემი ტოლი და სწორი? - სულმოუთქმელად შეეკითხა დედოფალი,

რადგან იგრძნო, განგება მათთან დაშორებას უქადდა, ეშმაკურად მოდიმარი მშვენიერი არსებანი დაშლას აპირებდნენ.

- ქალბატონო, ჩვენ ვართ შენნაირები და აგრეთვე ისინი, ვინც ჩვენთან ერთად არის! - წამოიძახეს მათ და თვალის დახამხამებაში გაიფანტნენ და გაუჩინარდნენ.

- გემუდარებით, კიდეც ერთხელ მომეკლინეთ და დამენახვეთ! - წამოიძახა დედოფალმა და მოლოდინით სავსე ნაღველჩამდგარი, მოწყენილი თვალებით იმ ადგილს მიაჩერდა, სადაც ცოტა ხნის წინ გოგონა იდგა. დედოფალს სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ მოპირდაპირე მხარეზე ხეებს შორის უფროსი გოგონა გამოჩნდა და მასთან ერთად, თითქოს ჰაერიდან გამოსრიალდნენო, მისი პატარა და-ძმები გამოიღალნენ, მკერდსა და ტანზე მიეფოფინნენ და მუხლებზე ისე მიეხუტნენ და შემოეხვივნენ, როგორც მშობელ დედას.

ანაზღად, თითქოს ვეება მთამ ღრმად და ხანგრძლივად ამოისუნთქაო, ისეთი ქარი ამოიჭრა, ხის ფოთლები ააცახცახა. ხეებსა და მდინარეს შორის მოსეირნე თბილი სიო, რომელიც მანამდე ირგვლივ ყველაფერს ეალერსებოდა და ელამუნებოდა, უცებ აკლდამიდან ამოშლილივით ნესტიანმა და სუსხიანმა სიცივემ შეცვალა. ზავშეები უსაზღვრო შიშმა მოიცვა, დედოფალიც თრთოლამ და ძრწოლამ აიტანა. უფროსი გოგონა წელში მოიხარა, პატარებს მიეკრა და მთელი

ტანით გადაეფარა. იგი აქეთ-იქით შემინებული იყურებოდა, თან პატარებს ისე ხვევდა ხელებს, რომ ყველასთვის შემოეწვდინა, თითქოს ორი კი არა, ოთხი ხელი გამოეშინაო. მალე პატარები თითქოს სადღაც ჩაიკარგნენ, აღარც კი ჩანდნენ და თავიანთი მფარველის ხელებში მომაკვდავი სახეებით კონწიალობდნენ. შემდეგ კი მთლად დაიქსაქსნენ, ჰაერს შეერივნენ და ფერად ნისლებად ქცეულნი უფროსი გოგონას ირგვლივ ლივლივებდნენ და დაფარფატებდნენ. გოგონას სახეზე კი სიკვდილის მწუხრისფერი ჩრდილები დასრიალებდნენ, თან არაამქვეყნიურად გარიყული მზერით დედოფალს მისჩერებოდა. დედოფალს კი გული დაუმიძიმდა და თან ისე ყრუდ უცემდა, რომ ხელები მკერდზე მიიჭდო, რომ ცოტა შვება ეგრძნო. ამასობაში კი უფროსმა ძმამ თავისი კუნაპეტ ღამესავით ჩამუქებული მოსასხამი თითქმის უკვე დამშვიდებულ დას სახეზე გადააფარა. ჩანდა, პატარების გაქრობის შემდეგ უფროსი გოგონა ცოტა დაწყნარებულიყო და ახლა ისე ჰგავდა მღებარ ქალს, როგორც არასდროს, ხოლო ბიჭი თავისი ნაღვლიანი და თითქოს დაბერებული სახით მთლად მღებარ ბარაკს მოგაგონებდა. მან თვითონაც თავზე გადაიფარა მოსასხამი და შიგ გაეხვიო.

- კიდეც გიხილავთ თუ არა? - წამოიძახა დედოფალმა. დანაშაულის გრძნობამ ისე შეუხუთა სული და გული, თითქოს რკინის სალტეებით შებოჭესო. ქალი ხომ მთელი

არსებით მიეჯაჭვა ბავშვებს, რომელთა ცხოვრებაში იგი დაუპატიჟებელი სტუმარივით შეიჭრა.

მოსასხამში გახვეული ყმაწვილი დედოფალს უტყვად და უბრად რატომღაც მთისკენ მიუთითებდა. ქალმა თვალები მოხუჭა, მაგრამ როცა გაახილა, ყველა არსება უკვე გამქრალიყო. საოცარი მოლურჯო ბზინვარება შუქს ფენდა ხეებს შორის ჩამდგარ ბინდბუნდს. ეს მოლურჯო ბზინვარება კვლავ მოციქულის დაბრუნებას მოასწავებდა. თუმცა დედოფალი გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო და მოციქულს ისე შეჰყურებდა, თითქოს ვერც კი ხედავსო. ახალმოვლენილი რაღაცას ელოდა, მან მაშინვე დინჯად და დარბაისლურად მოუდრიკა თავი დედოფალს, უცებ მიბრუნდა და თავით რაღაცა ანიშნა. შემდეგ ციცაბო კლდისაკენ გაემურა და მის სიღრმეში ჩაიკარგა. დედოფალი ფეხდაფეხ დაედევნა. გზა არ იყო სწორი და პირდაპირი, ხშირ-ხშირად უხვევდა. ქალს სიარულს გლუვი და შანდაკი კედლების მოლურჯო ანარეკლი და ათინათი უადვილებდა. ანაზღად კაშკაშა ნათებას მოჰკრა თვალი და ისიც დაინახა, რომ რომელიღაც არსება სადღაც გაუჩინარდა. დედოფალმა იმ ადგილს მიაშურა, მაგრამ იქ სიცარიელე დახვდა, თუმცა უფრო ახლოს, იქვე, თავის წინ, სხვა ნათებაც შენიშნა და იქით გასწია. ახლა უკვე კარგად გაარჩია, რომ ეს იყო დიდი და მრგვალი ოთახი. ქალის უკან კი კარივით ჩაიკეტა უზარმაზარი ქვა. ზემოთ, თალის სიღრმეში, ლითონის რკალზე, ლამპარი ეკიდა, რომელიც მძლავრად ანათებდა და ირგვლივ საოცარ სურნელებას აფრქვევდა. იმ მრგვალ ოთახში არაფერი იდგა, გარდა ერთი დაბალი სკამისა, რომელიც ამ მრგვალ სივრცეში მოძრაობდა და სრიალებდა. სკამი მუქად მოელვარე ქვისაგან იყო გამოთლილი.

დედოფალი მიხვდა, რომ ეს აბანო იყო, თუმცა ბევრად უფრო მშვენიერი და დიდებული, ვიდრე მისი სასახლის ყველაზე მდიდრულად მოწყობილი საბანაო ოთახი და პალატი. მოულოდნელად იგი საუცხოო აუზის კიდეებთან აღმოჩნდა, რომლის ზღაპრული სილამაზისგან და მოულოდნელი და იდუმალებით მოცული სიმარტოვისგან სული შეეხუთა და კინაღამ გონება დაკარგა, მაგრამ მაშინვე ძალა მოიკრიბა და თავს მოერია. აუზი იმავე მთის ქანებისა და ფილებისგან იყო ამოშენებული, რომლებითაც ოთახის კედლები - მოპირკეთებული. აუზი დროდადრო ნათდებოდა და თვალისმომჭრელ სიკაშკაშესა და ბზინვარებას აფრქვევდა. მაგრამ ეს არ იყო ქვების ფილებზე ქანების ძარღვებისა და ძარღვოვანი ზოლების ციმციმი და ციალი - ეს იყო უზარმაზარი ქანების სიღრმისეული კაშკაში და ელვარება, როგორც ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართული და თავმოყრილი ღრუბლების სიღრმისეული ნათება და სიკაშკაშე. განა შეიძლებოდა, აქ მოხვედრილ დედოფალს უსაზღვრო შიში არ დაუფლებოდა? თუმცა მალე, ამასთანავე, ისეთი ძალით დაატყდა თავს რაღაც ზეციური სასიამოვნო განწყობა, თითქოს იგი ჩირაღდნის სურნელებასთან ერთად მთელ არსებაში უშურველად ჩაელვარაო. ჯვრისწერისთვის მომზადებული პატარძალივით მოკრძალებითა და მოლოდინით აღსავსე დედოფალი აუზის ნაპირზე ჩამოჯდა. მისი გულის სწორი სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანდა, უფრო ახლოს, ვიდრე ქალს ეგონა. იგი ხომ ყოველთვის თავად მიდიოდა მდებდრთან, ახლა კი, პირიქით, მდებდრი ეახლა მას, თანაც ასეთ იდუმალ და გამორჩეულ ადგილას. გააცნობიერა ეს და სასოწარკვეთილი ხმა აღმოხდა, რადგან კდემამოსილებასა და მოკრძალებასთან ერთად

მგზნებარე ჟინსა და წადილს დაეპყრო მისი არსება. მის ბაგეებს კი ანაზღად სიმღერად ქცეული მჟღერი და ხმიერი მელოდიური ჩურჩული მოსწყდა, რომელმაც ქალი თავიდან ფეხებამდეაგზნო და ააგიზგიზა. თითქოს სხეული აღარ ემორჩილებოდა, თუმცა ხელები როგორღაც აუზისკენ გაიწვდინა. სწორედ ამ დროს თითქოს დედამიწა შეტორტმანდა და აქეთ-იქით დაიწყო ქანაობა, ისე როგორც სადღაც სიღრმიდან განათებულმა მრუმე და ჩამუქებულმა ნისლებმა. ქვემოდან კი უცაბედად მთელი ძალით ამოიფრქვა ოქროსფერი წყლის ნაკადი, მერე კი სწრაფად, მტრედების ღულუნის მსგავსი დახშული ხმით უკანვე ჩაიღვარა.

სიამოვნებითა და ნეტარებით გადაეშვებოდა ქალი ამ ჩამუქებულ ბზინვარებაში, როგორც სიყვარულის მორევში.

- მოდი, მოდი, ჩქარა მოდი ჩემთან! - წამოიძახა მდედრმა. ამ დროს ოქროვანი წყალი უზარმაზარ მოძრავ სვეტად მაღლა აიჭრა და როგორც კი ჩირაღდნის ნათებას შეეხო, ისეთი საოცარი სიძლიერის საამო და თავბრუდამხვევი ხმა გაისმა, რომ დედოფალს სუნთქვა შეეკრა, თითქოს გულიც კი გაუჩერდა. ამასობაში სვეტად აღმართულმა წყლის ნაკადმა თავი მოიყარა, კვლავ ძირს დაეშვა, აუზი მთლად აავსო და მისმა ფართოდ გულგადაშლილმა ოქროსფერმა ზედაპირმა ნათება და ბრწყინვა დაიწყო, თან თავზე ოქროსფერი ნისლები დასთამაშებდა. მრუმე და ჩამუქებული ბზინვარება, რომელიც ცოტა ხნის წინ აიყალყა და ზეაიჭრა, ახლა,

დაბლა დაშვებული და დაშოშმინებული, დადუმებულიყო. იგი ისე უცნაურად და შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, როგორც წყლის სივრცეში ჩაშავებული სპილენძისგან ჩამოსხმული საფლავის ძეგლი. ეს იყო ქანდაკება, რომელიც უზარმაზარ ოთხკუთხედ, კუმბ და გოროზ ქვაზე იყო მოთავსებული და მასზე ფესვგადგმულივით მყარად და საიმედოდ იდგა. იდგა იგი იარაღაყრილი, იარაღისგან მთლად განძარცული; მხოლოდ სანადირო აბჯარი, როგორც სამკაული და მოსართავი, ისე დაეტოვებინათ მისთვის. შიშველი ფეხები თითქოს მარმარილოსგან აქვს ჩამოსხმულიო, თვით ვერცხლით მოფენილ-დაფერილი არტაშენებიც კი არსად მოუჩანდა - მათ ხომ მშვენივრად შეეძლოთ დაეცვათ მონადირე ტახის ეშვებისგან, ფოცხვერის კლანჭებისა და ბასრი კბილებისაგან. მხრები და კისერიც მარმარილოს მიუგავდა, საიდანაც მოსასხამი ძირს ჩამოსცურებოდა.

დედოფალმა წამოიყვირა, თვალის დახამხამებაში შეიჭრა ოქროვანი წყლით სავსე აუზში, რომელიც არ დაწყნარებულიყო და კვლავ მცირედ ღელავდა; იგი, ზეაზიდული და აფრთხილებული, თითქოს ფრთების შარიშურით, როგორც გედი, ისე მიიჭრა თავის უძვირფასესთან, მიუახლოვდა, მისკენ დაიხარა, მაგრამ კოცნა ვერ შეჰბედა, რადგან მასთან ახლოს მყოფი დინჯი, თვინიერი და მომხიბვლელი კაციქანდაკი საოცრად უცხოდ და მიუწვდომლად მოეჩვენა, რომელშიც ერთმანეთს შერწყმოდა კაცი და ჭაბუკი, მონადირე და დიდგვაროვანი, შეყვარებული და მეუღლე; თუმცა ამათგან იქ არც ერთი არ ჩანდა. ქალი

მიეახლა, ზედ გადაეშო და თითქოს მიეხუტა კიდეც; არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანა ამ სიახლოვემ. მდედრი არ იძვროდა, თვითონაც საფლავის ძეგლისა და ქანდაკების ნაწილად ქცეულიყო, მკერდში თითქოს გული აღარც კი უცემდა, მისი

თვალეები და მზერა არავითარ გრძნობას აღარ გამოხატავდა, და აი, ბროლის ორი ობოლი ცრემლი მოსწყდა მის თვალებს და ძირს დაეცა.

ჩირაღდანი სულ უფრო და უფრო ანათებდა და წყლისგან წარმოქმნილ ოქროვან ნისლს თავისკენ ისეთი ძალით იზიდავდა, რომ მალე უმოწყალოდ შთანთქა იგი. ახლა მხოლოდ დედოფლის ფეხებს ელამუნებოდა გრძნეული ოქროვანი წყალი, თუმცა დასველებით ვერაფერს ასველებდა და მალე სულ გაქრა და სადღაც ჩაიკარგა. უნებლიეთ ზემოთ ჩამოკიდებული ჩირაღდნისა და მისი ნათებისა დედოფალმა ისეთი შიში და რიდი იგრძნო, როგორიც ცოცხალი არსების მიმართ. მოსასხამი მჭიდროდ მოიხვია, მაგრამ საჭირო იყო, კაცი-ქანდაკიც მის ქვეშ მოექცია. ამისთვის ხელიც კი ასწია, მაგრამ ვერ აამოძრავა, რადგან უცებ ქანდაკებიდან მისკენ წამოსული რაღაც ძალა იგრძნო, რომელიც არ ჰგავდა არც სუსხს და არც სიცივეს; ეს იყო მიუწვდომელი სიშორის შეგრძნება, როგორიც მხოლოდ უსასრულობაში ჩადირულჩაკარგული პირდაფჩენილი უფსკრულია და რაც მეტად მიიწევდა ქალი წინ, მით უფრო მიუწვდომელი ეჩვენებოდა იგი.

კაიზერი დინჯად და ნელა, უცნაურად წამოიმართა. ასე უცხო და უჩვეულოდ დედოფლის საყვარელი მამაკაცი არასოდეს წამომდგარა მათ საერთო სარეცელზე გაღვიძებისას. მამრი ქანდაკი ცალ ხელს დაეყრდნო და თვალეები ტანჯვა-წვალებით გაახილა თუ არა, მაშინვე მისკენ მიჰყრობილ შიშამდგარ მზერას შეეჩეხა. ქალს საზარლად და მტანჯველად დააშტერდა, თუმცა თვალი მალევე მოაცილა და მხარს ზემოთ თავი ჩირაღდნისკენ მიაბრუნა. მის კუმტ და გოროზ გამოხედვას თვით ჩირაღდნის ოქროვანმა ნათებამ და ციალმაც კი ვერ გაუძლო და მრგვალი სივრცის ცალ მხარეს მოიყარა თავი, თან ილეოდა და იწრიტებოდა, მეორე მხარეს კი მოყავისფრო ბინდბუნდი ყველაფერს ბატონკაცურად დაუფლებოდა. მამრის მჯდომარე ქანდაკების მუქად გამოკვეთილი ჩრდილიც იქაურობას მთელი ძალით ეფინებოდა, თანაც ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

ახლა კი ქანდაკებამ საკუთარ ჩრდილს შეხედა, თან თავი იქით მიაბრუნა, სადაც დედოფალი იდგა. კაცი-ქანდაკი დედოფლის ჩრდილს ეძებდა. ქალი შეკრთა და უკან დაიხია, იგი კედელსა და სინათლეს შორის იდგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის უკან კედელი ძალუმად კაშკაშებდა და უფრო მეტად ბრწყინავდა, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას. ქანდაკებამაც შეუმცდარად შენიშნა ეს და თვალეები გაუფართოვდა, აუტანელი ტანჯვა დაუფლებოდა, სახე ავის მომასწავებლად დამაბვოდა, თან ზედ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. მისი შემხედვარე იფიქრებდა, სადაცაა, გაქვავებულ მკერდს საზარელი ყვირილი გაუპოვსო.

დედოფალმა ამის ყურებას ვეღარ გაუძლო და დამაბულობისგან არაქათგამოლეულმა თავი მიაბრუნა. ამ დროს კი უცნაური ლურჯი ნათება გამოჩნდა კედლის იმ ადგილიდან, საიდანაც თვით დედოფალი შემოვიდა. გეგონებოდათ, იქ სულთა მოციქული დგასო. იქიდან კი ჩრდილი გამოკრთა და მისკენ გამოემართა, მიუახლოვდა თუ არა ქალს, მის ფეხებთან დაეშვა. უჩვეულო და ამოუცნობი გამოსახულება დაიხარა და ნაზი ნიავის სუნთქვასავით შეეხო მის მუხლებს. დედოფალი ძრწოლამ აიტანა. მიხვდა, ეს იყო უცხო ქალის ჩრდილი, რომელიც მას ერგო წილად. მკლავები და ხელისგულებამოტრიალებული ხელები ჩრდილმა

დედოფლისკენ გაიწვდინა. ეს იყო ისეთი მონური მორჩილებისა და თვითაღკვეთის გამოხატულება, თითქოს საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებაო. ამავე დროს დარბაზის იატაკზე დაჩოქილი ჩრდილი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა, თვით დედოფალიც კანკალს აეტანა. ანაზდეულად, ერთმანეთთან მიტანილ ხელისგულებზე ფიალა გაჩნდა, რომელიც ოქროვანი წყლით იყო სავსე. ჩრდილოვანმა არსებამ ფიალა რაც შეიძლებოდა ზემოთ ასწია და ეს იყო არა მხოლოდ სასმლის, არამედ საკუთარი თავის მიძღვნა-მირთმევაც. კაიზერიც ზეწამოიმართა და წელში გასწორდა, მარცხენა ხელს ეყრდნობოდა, მარჯვენა კიწინ ჰქონდა გაწვდილი, როგორც სულიერი მღელვარებისა და ენით აუწერელი სურვილ-წადილის გამოხატულება. მამრმა თვალები ცოლის ხელებს მიაპყრო და მის ამ მზერაში იმედი და სასოწარკვეთა ისე გადაჭდობოდა ერთმანეთს, როგორც სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებული ქვეწარმავლები. დედოფალმა მკლავი მოხარა და სასმისს დაუფიქრებლად შეავლო ხელი. კაცმა მისი ხელის მოძრაობას ისეთი აღტკინებითა

და ნეტარებით გაადევნა თვალი, რომ სახე შეეცვალა, როგორც მოხიბლულ და აღტაცებულ შეყვარებულებს სჩვევიათ ხოლმე. დედოფალი კი გრძნობდა, სასმისის დალევაზე ფიქრი როგორ უმღვრევდა გონებას. თხიერი და დინებადი ცეცხლის ალი უკვე მის ტუჩებს მიახლოებოდა და მართალია, ქალი ამ საოცრებას მისჩერებოდა, მაგრამ მაინც შეამჩნია, როგორ გაიხსნა მის უკან კედელი კიდეც ერთხელ იქ, საიდანაც ჩრდილი შემოვიდა. მის უკან მაშინვე მოსასხამით შებურული არსება წამოიმართა; მას სამოსი ძირს ჩამოუცურდა, ისეთივე მრუმე და კუნაპეტი, როგორც შუაღამისას - უვარსკვლავო ზეცა. ახალმოვლენილი უძრავად იდგა და მთელ ტანზე ძარღვიც კი არ უთრთოდა. ქალი შესცქეროდა მას, მაგრამ თითქოს ვერ ხედავდა, თუმცა კი ქვეცნობიერად მთელი არსებით გრძნობდა, რომ თუ იგი საბურველს მოიცილებდა, ზუსტად ისეთივე ნაკვთები გამოუჩნდებოდა, როგორიც მღებარ ბარაკს ჰქონდა. ბარაკი კი ჩინებულად დაამახსოვრდა დედოფალს, როცა სამიოდე დღის წინ თავის გადიასთან ერთად მღებრის წმინდა და სპეტაკი სახლის ზღურბლს გადააბიჯა და დაუპატიჟებელ სტუმრად მოევლინა მას. დიახ, მას რომ საბურველი ჩამოეცილებინა და მზერა მიეპყრო დედოფლისათვის, ეს იქნებოდა ბარაკის ამ ქვეყნად არდაბადებული უფროსი ვაჟის გამოხედვა. ქალმა სასმისი თავისკენ მიიზიდა და უცებ იგრძნო, სამოსის ქვეშ მის მკერდზე როგორ შეთრთოლდა ავგაროზი; როგორც ღრმა ძილში მყოფის მკერდიდან, ისე საკუთარი გულიდან ამოხეთქილი უცნაური და საზარელი წყევლა-კრულვა მისწვდა მის ყურს:

- ხელი გაუქვავდეს სამარადისოდ, ვინც სარტყელს მანამდე გახსნის, სანამ თავის სვებედსა და თავის არსობას დედამიწისგან ჩრდილით არ გამოისყიდის. ტანიც გაუქვავდეს, რომელსაც ის ხელი ეკუთვნის!

ესმოდა დედოფალს ეს სიტყვები და გრძნობდა, გული ისე ყრუდ და შორეულად უცემდა, თითქოს იგი სხვასთან გადაბარებულიყო და პატრონი მიეტოვებინა, თან ეჩვენებოდა, თითქოს სადღაც შორეთში დაფრინავდა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ გაუნძრევლად იდგა იქვე და ქანდაკებაც ცოტა მოშორებით იმავე ადგილას ეგულებოდა. დედოფალმა კარგად დაინახა უცხო ქალის ჩრდილიც, რომელიც მას ერგო წილად და მისი საკუთრება უნდა გამხდარიყო. ამ აუტანელმა, შიშის მომგვრელმა სინამდვილემ გათანგა და რკინის მარწუხებში მოაქცია ახალგაზრდა

ქალი. სუსხმა და სიცივემ ისე წამოუბერა, ძვალ-რბილში გაატანა და ლამის გააშეშა. ვერც წინ და ვერც უკან ნაბიჯის გადადგმაც კი ვეღარ შეძლო. ძალა აღარ ჰყოფნიდა, მაგრამ რამე უნდა ელონა - ან დაეღლია გრძნეული სასმელი და სამუდამოდ მოეპოვებინა ჩრდილი, ანდა გადაექცია. იფიქრა, ნამდვილად ვიღუპებო და შიშით მოიკუნტა. ანაზად მისი სულის აღმასისებრი სიღრმიდან სიტყვებმა იწყეს ამოფრქვევა. თითოეული მათგანი ისე ცხადად და გარკვევით ისმოდა, როგორც დამატყვევებელი სიმღერა გაშლილ სივრცეში. ქალი კი ყველა სიტყვას იმეორებდა, იმეორებდა გამუდმებით და შეუჩერებლივ, შეუყოვნებლად:

- ბარაკ, ბარაკ! ბრალი მიმიძღვის და დამნაშავე ვარ შენთან! - წარმოთქვა, სასმისიანი ხელი წინ გაიწოდა და სასმელი შებურვილი არსების წინ გადაღვარა. ოქროვანი წყალი ჰაერში ააღდა და აბრიალდა, ქალს ფიალა ხელებში გაუქრა, რაც კი ოთახში იყო, ყველაფერი სადღაც გადაიკარგა, მარტოდმარტო დარჩენილიყო პირქუშ ქვაზე დაბჯენილი, თვითონაც ქვა და რკინასავით მრუმე და პირქუში კაცი-ქანდაკი, მაღლა კი მთელი ძალით ანათებდა ჩირაღდანი.

მოულოდნელად მიწის სიღრმეში რაღაც აზანზარდა, საშინელი ხმაური მალე წყლის გუგუნში გადაიზარდა. წამოვიდა უზარმაზარი ნიაღვარი, რომელიც ძლიერ ტალღებს ხან ზემოთ ატყორცნიდა, ხან ძირს დაახეთქებდა. აულაგმავი წყლის ნაკადი დაუოკებლად ბოზოქრობდა, დედოფალსაც კი მისწვდა, თავს გადაევლო და ზეაიტაცა, ზემოთ, ცეცხლოვან ჩირაღდანთანაც მიაღწია და ისიც დაიმორჩილა. ჩირაღდანი ოქროვან წყალში მთლად ჩაემხო და მუქად მოლაპლაპე წყვდიადი სინათლის შუქით გააპო. დედოფლის სახეზე სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს კამკამო ნათება და ღამეული წყვდიადი. ქალი გრძნობდა, როგორ მიაქანებდა ზემოთ უცნაური ძალა. ასევე ზეცისკენ მიიწევდა მის გვერდით მრუმე და მუქი რაღაცა. ეს თურმე კაციქანდაკი იყო. თავაშვებული და აულაგმავი ღვართქაფი დედოფლის მსუბუქი სხეულივით მასაც შეუჩერებლივ ზემოთ მიაქანებდა. დედოფალი უკვე ისე მიახლოებოდა მამრის ქანდაკებას, რომ ლამის მასზე მკერდმიყრდნობილი იწვა. ქვის არსებამ ქვისავე ხელები მჭიდროდ შემოაჭდო ქალს, ხოლო სულ ახლოს, გაქვავებულ თვალთაგან, ქალმა ისეთი შესაბრალების და

საწყალობელი გამოხედვა იგრძნო, რომ ამას ქვის გულიც კი ვერ გაუძლებდა. უჩვეულო და შიშის მომგვრელმა ტვირთმა საოცრად დაამძიმა, თვითონაც მკლავები შემოაჭდო გაკლდევებულ არსებას და სუროსავით შემოეხვია. ზეასვლა დამთავრდა, ზემოთ აღარავინ მიიწევდა, უკვე საპირისპირო რამ ხდებოდა, ქალი ხედავდა, როგორ მიექანებოდა იგი უძირო უფსკრულისაკენ. მისთვის უცხო და უცნობი ქვის უცნაური სიგლუვე და სიშანდაკე საოცარი ძალით შეიჭრა მის არსებაში; აუტანელმა, მტანჯველმა გრძნობამ ლამის გონება დაუხშო და ისიც კი გაიფიქრა, ალბათ სიკვდილი მიახლოვდებაო; მაგრამ უცებ იგრძნო, როგორ შეტოკდა მის ხელებში, ამოდრავდა და გაცოცხლებაც კი იწყო მამრმა-ქანდაკმა. გაურკვეველ და ძნელად ასახსნელ განცდას დანებდა და დაემორჩილა დედოფალი, თან, ათრთოლებული და აკანკალებული, ისეთმა აღტკინებულმა ცხოველმყოფელობამ მოიცვა, რომ მამრსაც კი უშურველად მიუძღვნა იგი. მამრიც და მდედრიც თითქოს საოცარმა წყვდიადმა მოიცვა, რომელიც თანდათან იფანტებოდა, და ირგვლივ ნათდებოდა. ორივეს მთელი ძალით იზიდავდა არნახული და ზღაპრული ადგილი, მათ იგი მოუთმენლად

ელოდა; იქ ნაზი სიო ქროდა და ახალი ცხოვრების თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა. პირველადქმნილ განახლებულ არსობას შეერწყა ორივე.

ერთმანეთს შეერწყა კლდეები და კლდეთა კარიბჭე, რომელიც მათ უკან ჩაიკეტა; ერთმანეთს შეერწყა მოქანავე ხეები, კაშკაშა ცის უსასრულობა, სანუკვარი და მიმზიდველი ადგილი, სადაც

ორივე მთელი არსებით განახლებულ ნეტარებას მისცემოდა. სადღაც, თვალუწვდენელ სიშორეში, ბრწყინავდა და ელვარებდა მდინარე, მაღალი გორაკის უკან კი მზე ამოდიოდა. მისი პირველი სხივები კაიზერს მისწვდა და მისმა სიკაშკაშემ მდინარესაც კი მოსჭრა თვალი. მამრი, პატარა ბავშვივით მეუღლის მუხლებზე ხელებშემოჭდობილი, მისფეხებთან იწვა და ეძინა. ცხოველმყოფელმა სხივებმა არემარე შემოიარეს, ხეების ხშირსაც მისწვდნენ და მათი საბურველი გაარღვიეს. დედოფალი წყნარად წამოდგა, მდინარე საყვარელ ადამიანსა და მზის ნათებას შორის გზას მიიკვლევდა, თან მზრუნველ დედასავით ცდილობდა, კაცისთვის ძილი არ დაეფრთხო. მდინარე კაიზერს ხანგრძლივი და მშვიდი მზერა სტყორცნა და ენით აუწერელმა გაოცებამ და ნეტარებამ მოიცვა, როცა დარწმუნდა, რომ მშვიდად მდინარე მამრსა და შიშის მომგვრელ ქვის ქანდაკებას შორის არავითარი მსგავსება არ იყო. მის სიამესა და ნეტარებას უდიდესი აღფრთოვანებაც დაერთო და უნებურად ყვირილიც კი აღმოხდა, რადგან დაინახა, მისი მრუმე ჩრდილი პატრონს როგორ ჩამოსცილდა, მდელოზე გალივლივდა და მამრს მიაშურა.

ქალის ყვირილზე კაიზერს გამოედვიდა და ფართოდ გახელილი თვალები დედოფალს მიაპყრო. ახალგაზრდული ძალა და სიცოცხლის ცხოველმყოფელობა იგრძნობოდა მის გამოხედვაში, რომლის იდუმალ სიღრმეებში უცნაური მიცვალება და გრძნეული გაქვავება წინანდელი გონისა და აზრის ბუნდოვან და ფერმკრთალ ანარეკლად ისახებოდა. მდედრმა მამრი თავისკენ

მიიზიდა; უსიტყვოდ და უთქმელად გადაეხვივნენ და გადაეჭდნენ ერთმანეთს და ასევე თავდავიწყებით შეერწყა და გამთლიანდა მათი ჩრდილებიც.

მათ ქვემოთ კი, მდინარის პირას, ერთ მყუდრო და მოფარებულ ადგილას, ნავი იდგა და ეტყობოდა, მებორნესა და მგზავრებს ელოდა. მოულოდნელად რამდენიმე ადამიანი გამოჩნდა, რომლებიც როგორც ერთი, ისე მეორე ნაპირიდან მდინარეს უახლოვდებოდნენ. ორი მათგანი არ ჩქარობდა და ნელი ნაბიჯით მიიწევდა წინ, ხოლო დანარჩენები, რომელთა შორის ერთი კაცი და ორი ქალი იყო, აჩქარებით მიდიოდნენ. ერთ-ერთ ქალს თავზე მოგრძო გოდორი ედგა. მზე სხივებს არ იშურებდა და ხუთივეს ერთნაირად დანათოდა. ყველა ნამით აბრწყვიალებულ მდელოზე მიაბიჯებდა და მათი ჩრდილები ირგვლივ უშურველად ეფინა, მაგრამ გოდრიან ქალს ჩრდილი არ ჰქონდა. მკრთალი და უფერული იყო მისი სამოსი ისევე, როგორც მისი სახე, ნაბიჯები კი მერყევი და გაუბედავი.

- შეხე, შეხე, ეს ხომ ჩემი შევარდენია! - წამოიძახა კაიზერმა. აღფრთოვანებული და ნეტარებით აღსავსე, თვალმოუშორებლად ისე მისჩერებოდა კაშკაშა ცის თაღს, რომ ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. შორეთში კი ასევე ცეცხლისფრად მოელვარე მთის ქედს საუცხოო ფრინველი უვლიდა გარს და უზადოდ და ნატიფად

წრიულად ფრენდა. ზემოთ დაუდგრომელ ჩანჩქერს ბრჭყვიალი და ბზინვა გაუდიოდა, ხოლო ჩამუქებულ და ჩაშავებულ ციცაბო

კლდეებსა და ასევე ჩამუქებულ ხეებსა და ბუჩქნარს მოლურჯო ციალი და ელვარება დასთამაშებდა. სულთა საუფლოს მოციქული მთის ციცაბოზე მისრიალებდა და მიიჩქაროდა. უცებ მის ფეხებთან ადგილს მოსწყდა რაღაც მუქი და მრუმე, მდინარის ნაპირებს ელვის სისწრაფით გადაევლო, ჰაერი ზუზუნით გააპო და მდინარეს მიაშურა. ეს იყო მღებარი ქალის ჩრდილი, რომელმაც შხუილით გადაიქროლა, თავის პატრონს მიაშურა და მის შორიახლოს დაბლა დაეშვა. ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა იყო ის, რაც მის ფეხებთან დაეცა, აღელვებულსა და გონებაშიხდილს თითქოს გული მისდიოდა და თავი სიზმარში ეგონა; ბოლოს, ძალა ისე გამოეცალა, ბარბაცი დაიწყო და გვერდით მიმავალი მეთევზის ცოლი რომ არ მიშველებოდა, ნაბიჯსაც ვეღარ გადადგამდა. გოდორმაც ქალის თავზე რხევა და რწევა იწყო, თან თავისი იერი დაკარგა, ჩაშავებული და მრუმე ჯანღვით გაურკვეველი ფორმა მიიღო, საიდანაც ხან მახვილი გაიელვებდა, ხან მეწამულისფრად სისხლი იჩენდა თავს. შემდეგ კი ყველაფერი იშვიათ და საოცარ ფერებში გადაიზარდა, რომლებიც ზღაპრულად ალივლივდნენ, იტყოდით, იმ გოდორში ცისარტყელები იყვნენ ჩამალულნი და თავი დაიხსნესო. ამ მომხიბლავმა ფერებმა ცეცხლის ნაპერწკლებით აისხლიტეს და მღებარ ქალს მიაშურეს. უნაზესმა მწვანემ, ცეცხლოვანმა ყვითელმა, იისფერმა და მეწამულმა - ყველამ ერთად ქალის სხეულზე მოიყარა თავი და მზის სხივებზე თვალწარმტაცი ზღაპრული მშვენიერებით აციმციმდა, თუმცა მალე ისეთი სისწრაფით გაუჩინარდა, თითქოს ქალის სხეულში ჩაიკარგაო. მეთევზის ცოლმა გაკვირვებისგან ხელი ხელს შემოჰკრა, როგორც კი მღებრის ცოლი დაინახა, რომელიც

ნაირფრად მორთულ ზღვის დედოფალს დამსგავსებოდა. სახე სიცოცხლით ავსებოდა, თვალები ნორჩი ქურციკივით უელავდა და უბრწყინავდა. ქალს მიწაზე არც კი დაუხედავს და არ იცოდა, რომ ჩრდილი დაუბრუნდა. ამ დროს მღებარმა ბარაკმა მდინარის მეორე ნაპირიდანაც კი იცნო თავისი ცოლი. მეთევზემ დაინახა ბარაკი და დაუძახა:

- ნავი ახსენი და ნავით გამოცურე!

მღებარმა ეს სიტყვები, ჩანს, ვერ გაიგონა - მდინარეში გადაეშვა, რომ ცოლისაკენ გამოეცურა. მალე გამოდმა ნაპირს მიაღწია და სწრაფად ამოხტა წყლიდან. როგორც კი მღებრის ცოლის სიახლოვეს ქმრის უზარმაზარი თავი ამოიმართა, ქალმა შიშით შეჰყვირა და მინდვრისკენ გაიჭრა - მან ხომ ჩრდილის დაბრუნების შესახებ არ იცოდა და ეგონა, მისკენ მსაჯული მოისწრაფოდა; სურდა დამალულიყო, მაგრამ ვერც ხე და ვერც ბუჩქი ვერსად დაინახა. კაცი კი, ფართოდ მკლავებგაშლილი, უზარმაზარი ნაბიჯებით ქალს უკან მისდევდა და თან ხმამაღლა რაღაცას უყვიროდა. ეს იყო სიყვარულითა და სინაზით აღსავსე სიტყვები, რომლებსაც იგი გაუთავებლად იმეორებდა. ქალმა იგრძნო კაცის მიახლოება, შეძრწუნებულმა უკან მიიხედა, რათა დაენახა, რა მანძილი აშორებდა საშიში მღევრისაგან და ჰოი, საკვირველებაც! - ზურგს უკან თავისი ჩრდილი დაინახა. ჩრდილი მასავით მიიჩქაროდა და მასთან ერთად მილივლივებდა. უდიდესმა ბედნიერებამ და ნეტარებამ მოიცვა და მკლავები ფართოდ გაშალა;

კაცი კი უკვე სულ ახლოს იყო. ჰაერში გაშლილი ჩრდილოვანი მკლავები კი მღებარი კაცის ფეხებისკენ გასრიალდნენ და მის მუხლებთან დაიჩოქეს. სუნთქვაშეკრული და შემცბარი ქალი მამრის წინ იდგა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მამრმა კი ხელები მკერდზე დაიკრიფა და ქალის წინ დაიხარა. მდედრი მოსხლეტილ ქვასავით დაეცა მის წინ და პირისახით ფეხებზე დაემხო. მთელი მისი არსება გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა ქვითინმა შეძრა. მაგრამ მან ისე ჩაახშო და დაიმორჩილა ყველა სხვა გრძნობა, გარდა მოკრძალებისა და კდემამოსილებისა, როგორც ჩრდილი, რომელიც ახლა მის ქვეშ მორჩილად გართხმულიყო.

კაიზერს დაპაღუპით სდიოდა ცრემლები თვალთაგან; როგორც შორიახლოს მღებარი ქალი ქმრის წინაშე, ისიც ასევე დაეცა მტვრიან მიწაზე თავისი ცოლის წინ და აკანკალებული სახე მის მუხლებში ჩარგო. ცოლმაც ჩაიმუხლა, მასაც ცრემლი მოერიდა, თუმცა ეს მისთვის უცხო, ჯერარგანცდილი რამ იყო, და მიწიერმა, ადამიანურმა ცრემლებმა უდიდესი ნეტარება მოჰგვარა. ასე ერთმანეთს გადახვეულნი და გადაჭდობილნი იწვნენ დაცრემლად იღვრებოდნენ. პირისახე და ტუჩები ცრემლისა და ამბორისგან ერთიანად უბრწყინავდათ და უელვარებდათ.

ამასობაში ნავს ერთი მხრიდან თეთრსამოსიანი მოხუცი მიუახლოვდა, მეორე მხრიდან კი

მეთევზე და მისი ცოლი. მოხუცი ნავზე ავიდა, ხოლო მეთევზე და მისი ცოლი გაღმა მხარეს მდინარეში იდგნენ და ნავს ისე უცდიდნენ. წყალი მკერდამდე სწვდებოდათ და იქიდან უამრავ საუცხოო ნივთს იღებდნენ და მოხუცს აწვდიდნენ: მზინავ ქსოვილებს, ლითონის თასებს, ფიალებსა და სხვა ჭურჭლეულს, ჭრელ-ჭრელ მოზრდილ ფრთოსნებს და ხილეულით სავსე კალათებს; თითქოს სადღაც ქვემოთ, მდინარის სიღრმეში, გაშენებული ყოფილიყოს სამადნეები, ტყეები და ზღაპრული ხეხილის ბაღები, სადაც, რასაც გინდოდა, წაავლებდი ხელს და დაისაკუთრებდი. ისინი მისკენ ისე სწრაფად იშვერდნენ ხელებს, რომ მოხუცი ვერც კი ასწრებდა ყველაფრის გამორთმევას და ერთმანეთზე დალაგებას. იგი ნავის ერთი ბოლოდან მეორემდე ჩქარი ნაბიჯით მიმოდიოდა და ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა. მალე ნავი პირთამდე აივსო და ისეთი დიდი გემივით გადიდდა და გაიბერა, როგორებიც მდინარეზე მთებიდან ბარისკენ მიემართებიან ხოლმე. ამდენი დგამითა და ავეჯით ადვილად შეიძლებოდა უზარმაზარი ორსართულიანი და ორფლიგელიანი სახლის თვალწარმტაცად მორთვა და მოწყობა, ხოლო უამრავი ზღაპრული ფრინველი, ნაირნაირი ხილი და თევზი საკმარისი იქნებოდა, რომ მთელი წლის მარაგით პირთამდე ავსებულიყო თალიანი, დიდი და ვრცელი საკუჭნაო, სადაც ათობით უზარმაზარი ლატანი, კავი და კაუჭი იქნებოდა და აუცილებლად იჩუხჩუხებდა მარგი და მაცოცხლებელი წყაროს წყალი.

მღებარმა ცოლს წელზე მძლავრი ხელები შემოხვია, მიწას ააგლიჯა და ღონივრად მიიზიდა. ეს

იყო აულაგმავი და თავაწყვეტილი ალერსი, რის შემდეგაც იგი ისე მაღლა აიტაცა, რომ ქალს სუნთქვა შეეკრა, თითქოს გული გაუჩერდაო. ბარაკს ცოლი თავს ზემოთ ეკავა და მდინარის ნაპირისკენ მიაქანებდა, მერე თავი უკან გადააგდო, რომ ქალისთვის

კარგად შეეხედა და თვალებით მიაღერებოდა. უცებ ამ სანუკვარი და სანატრელი ტვირთის ქვეშ ისე ჩაიმუხლა, თითქოს ცეკვას აპირებოდა. ქალმა შიშით შეჰყვია, კაცს ხვეულ თმაში ჩააფრინდა და მოეჭიდა. ამ შეყვრებაში მან შიშთან ერთად უდიდესი სიხარული და ნეტარება ჩააქსოვა, თან თვალებიდან ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები და მთელ სახეს უსველებდა.

ის-ის იყო, ულამაზესი ტვირთით ხელში კაცმა ნაპირს მიაღწია, რომ დაინახა კიდეც გაღმა მხრიდან მომავალი პირთამდე დატვირთული და დიდი გემივით წყალში ღრმად ჩამჯდარი ნავი, რომელიც ნაპირს უახლოვდებოდა. ნავს ცურვით მოჰყვებოდნენ მეთევზე და მისი ცოლი, მოხუცი კაცი კი ნაპირზე დარჩენილიყო. როგორც კი ბარაკი ნავს გაუსწორდა და ეს სიმდიდრე დაინახა, ცოლი უმშვენიერეს, ფაფუკ ხალიჩებზე ფრთხილად ჩამოსვა და თვითონაც ნავში ჩახტა, მარცხენა ხელით ქალი მიიზიდა, ხოლო მარჯვენით უზარმაზარ საჭეს ჩაეჭიდა და ნავის მართვა დაიწყო. ასე მიცურავდნენ ისინი მდინარეზე ნავად ქცეული გადიის გრძნეული მოსასხამით. ნავი პირველქმნილი, თვალისმომჭრელი ფერებით ბრწყინავდა და კაშკაშებდა, მღებარი ბარაკი კი მთელი გრძნობით მღეროდა, თუმცა ეს ძნელი დასაჯერებელი იყო, ვინაიდან არც ბავშვობაში, არც ყმაწვილბიჭობასა თუ სიბერეში არც მშობლებსა და ახლობლებს, არც მის

ახალგაზრდა მშვენიერ ცოლს არ გაუგონიათ მისი სიმღერა. მოხუცი კაცი და ლურჯაბჯრიანი უცნობი მდინარის ერთი ნაპირიდან, მეთევზე და მისი ცოლი მეორე მხრიდან მათ ცნობისმოყვარედ აყოლებდნენ თვალს. მზე ცის თაღზე სულ ზემოთ და ზემოთ მიიწევდა, მის ელვარებაში ნავი გზას განაგრძობდა და მოციმციმე წყლის ზედაპირზე ოქროვან კვალს ტოვებდა.

მდინარის ზემოთ, მაღლა, ციურ მნათობთა ახლოს, კვლავ ბრუნავდა შევარდენი. კაიზერი თვალს არ აშორებდა ფრთოსანს. მისმა ყურებამ ისეთი სიხარულით აავსო, რომ განძით სავსე ნავი აღარც კი გახსნებია. ანაზღად შევარდენი ადგილს მოსწყდა, თვალუწვდენელ სიშორეში აიჭრა და ცის კამარას მისწვდა. მისმა ღონიერმა ფრთებმა ცის წიაღიც კი გაარღვია. თავდავიწყებული კაიზერის მზერამ ცისიერი და მზისიერი სიმაღლეები დაიპყრო, ხოლო მამრის მთელი არსება იმ ტურფა და საუცხოო ქალის სიახლოვით ტკბებოდა და ნეტარებდა, ვისი მკლავების ტყვეც გამხდარიყო. თვითონ იგი კი ცის კაბადონს შერწყმოდა. მის ქვემოთაც და მის ზემოთაც მხოლოდ ცა იყო და მეტი არაფერი.

ამ დროს კაიზერმა შენიშნა, რომ ჩრდილოეთიდან, იქიდან, სადაც ბორცვები და გორაკები ყველაზე პირქუში და უდაბური იყო, მისი ამაღლა მოემართებოდა. კარგად გაარჩია ცხენები, ძაღლები, რამდენიმე შევარდენიც კი. ბოლოში მოირხეოდა და მონარნარებდა ტახტრევანი; მისი

მორთულობა მზეზე ისე ბრწყინავდა, ცეცხლის ალში გახვეულ გასართობ და მოსალხენ სამოთხის სავანეს მოგაგონებდათ.

დედოფალი კაიზერის მკლავზე გადაწოლილიყო და დაბინდული მზერა ცისთვის მიეპყრო. მართალია, ცის კაშკაშა და გასხივოსნებულ თაღზე შევარდენი ვერ დაინახა, მაგრამ იქიდან სიმღერა ჩამოესმა. საკვირველი იყო, ამ წყნარმა და მშვიდმა მღერამ,

ნაზმა და სათუთმა სიტყვებმა ამ თვალშეუდგამი სიმაღლიდან როგორ გაიკვლია მისკენ გზა.

შენ არაფერი გემუქრება, ჩვენო მამილო! აი, მთლად ქრება, რაც გაშინებს, ჩვენო დედილო! ნეტავ ოდესმე დიდი ზეიმი ჩვენთანაც იყოს! ხილულად და არა მალულად ჩვენც ვიზეიმოთ! სტუმრებიცა და მასპინძლებიც ჩვენ თვითონ ვიყოთ!

ჰაერში მოლივლივე სიტყვები ქალისკენ ისწრაფოდნენ. ბოლოს, ბრჭყვიალა მარგალიტის მძივებივით აწყობილნი, მის სულში ჩაგროვდნენ და ჩაიკრიფნენ. დედოფალს მღელვარებისაგან გული უთრთოდა, უსაზღვრო ბედნიერებით მოცული კაიზერი კი ახლა მის ფეხებთან დახრილიყო. კაცის სასიამოვნო ტყვეობიდან განთავისუფლებული და

ხვევნა-ალერსით დაღლილი ხელები ქალს გულზე დაეკრიფა და გაოგნებული გამოიყურებოდა. მას უჭირდა იმის აღქმა და გააზრება, რაც ესმოდა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მის მკერდზე საგულდაგულოდ შენახულ ავგაროზზე ამოტვიფრული წყევლა-კრულვა დიდი ხანია წაშლილიყო და გამქრალიყო. ის შეეცვალა ახალ ასონიშნებსა და ახალ შინაარსს, რომლებიც სამარადისო ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ყოველგვარი მიწიერის ურთიერთშერწყმას.

672-ე ღამის ზღაპარი

1

გვინდა მოგიტხოვროთ ამბავი ერთი სოვდაგრის ვაჟისა, რომელსაც მშობლები აღარ ჰყავდა და ფარემ-მოახლეებთან ერთად ცხოვრობდა. ეს მშვენიერი ყმაწვილი მხოლოდ ოცდახუთი წლისა გახლდათ, მაგრამ, მიუხედავად ასაკისა, ისე მობეზრდა მდიდარ საზოგადოებასა და მაღალ წრეში ტრიალი, რომ ყველასა და ყველაფერს განერიდა და მარტოობას მისცა თავი. თავისი უზარმაზარი ბინის უდიდესი ნაწილი გამოკეტა და გააუქმა, დაითხოვა ყველა მოახლე და მოსამსახურე, გარდა იმ ოთხისა, რომელთა ერთგულებასა და სიკეთეს განსაკუთრებით გრძნობდა და ყველაზე მეტად აფასებდა. მეგობრებთან ურთიერთობა დიდად არ აღელვებდა; მანდილოსნებთან დამოკიდებულებაშიც ზომიერი გახლდათ, მის სიახლოვეს ჯერჯერობით არ გამოჩენილიყო ისეთი ქალი, რომელიც ყმაწვილის გულს მოიგებდა, სილამაზით დაატყვევებდა და მასთან განუყრელად ყოფნას მოასურვებდა. ყოველივე ამის გამო ყმაწვილკაცი მშვენივრად შეეგუა მარტოსულ ყოფას, რაც, როგორც ჩანს, მის ხასიათსა და ბუნებას ყველაზე მეტად ესადაგებოდა. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ არ იყო კაცთმოძულე, არასოდეს ერიდებოდა ადამიანებს, მათგან სულაც არ ეჭირა თავი შორს, პირიქით, ხშირად სეირნობდა ქუჩებში, ბაღებში, პარკში, სხვა ხალხმრავალ ადგილებში და ირგვლივმოყოფთა სახეებს ყოველთვის დიდი ყურადღებით აკვირდებოდა; გარდა ამისა, ძალიან უვლიდა საკუთარ თავს, დიდ ყურადღებას უთმობდა სახლისა და ბინის მოწყობას. რას იფიქრებდა, რომ მისთვის ასეთ მნიშვნელობას

შეიძენდა ძვირფასი ხალიჩებისა და ფარჩა-აბრეშუმის, თვალწარმტაცად მოფიცრულმოპერანგებული და მოჩუქურთმებული კედლების, ლითონის სანათ-კანდელოამპრების, თასებისა და ლანგრების, შუშისა და თიხის ჭურჭლისა და სხვა ნაკეთობათა სიმშვენიერე და მომხიბვლელობა. უფრო და უფრო დიდი ყურადღებით აკვირდებოდა, როგორი ძალით იყო ჩაქსოვილი ნივთებსა და საგნებში მთელი სამყაროს უამრავი ფერი და ფორმა, ხაზოვნება და ხატოვანება. ურთიერთგადაჭდობილ ჩუქურთმასა და სამკაულში შეიცნო და შეიგრძნო სამყაროს ურთიერთშერწყმული საოცრების მომნუსხველი და მომაჯადოებელი სახე და გამოსახულება. თითქოს ახლა აღმოაჩინა და იხილა ფორმა ცხოველებისა და ფორმა ყვავილებისა, მათი ერთურთში გადასვლა და გარდასახვა, ლომებად და დელფინებად გარდაქმნა აკანთუსისა და ტიტებისა. აღმოაჩინა და აღიქვა მარადიული დავა და შერკინება დედაბოდის ტვირთისა და მისი საპირისპირო მყარი და გამძლე დედამიწისა. ჩვენმა გმირმა იხილა როგორც ზეაჭრილი და ზეატყორცნილი, ასევე თავდაუზოგავად ძირს დაშვებული ვარდნილი წყლის სიმმაგე და სიბოხოქრე. მთელი ძალით შეიგრძნო დიდებული ნეტარება მოძრაობისა, სიქველე და სიდიადე მშვიდობისა და სიმშვიდისა. აღიქვა და შეისისხლხორცა მოძრაობა როკვა-ცეკვისა, უძრაობა კვდომისა და მიცვალებისა, შეისისხლხორცა მცენარეთა და ყვავილთა ფერები, ფერი გარეულ ნადირთა ბეწვისა და ფერი ადამიანთა სახისა, ნაირ-ნაირი ფერი ძვირფასი და თვალისმომჭრელი ქვებისა, ფერი ბოხოქარი წყლისა და წყნარად მოლივლივე ზღვისა. გარდა ამისა, თითქოს თავიდან აღმოაჩინა მთვარე და ვარსკვლავები,

მისტიკური და ზღაპრული ბირთვი და სფერო, მათზე საიმედოდ და სამარადჟამოდ შეზრდილი ზეციური ანგელოზის - სერაფიმის ფრთები. დიდხანს დარეტიანებულივით თავბრუდახვეული დადიოდა იმ უდიდესი, ჭეშმარიტი მშვენიერების შეგრძნებით, რომელიც თურმე მას ეკუთვნოდა. ამის შემდეგ კი მისი ცხოვრების ყოველი დღე და ყოველი საათი უფრო მიმზიდველად და თვალწარმტაცად მიედინებოდა იმ საგნებსა და ნივთებთან ერთად, რომლებიც უსიცოცხლო, ცარიელი და ფუჭი კი არა, თვით ზენაარისა და უმაღლესი ძალის გამოვლინება და ნამოდვაწარი ყოფილა.

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა კაცი შეიგრძნობდა ყველა საგნისა და მოვლენის როგორც სიმშვენიერესა და მომხიბვლელობას, ასევე უძალობასა და უსუსურობას. დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი სიკვდილსა და მიცვალებაზე, რომელიც ხშირად ეწვეოდა ხოლმე მხიარულ და ხმაურიან ადამიანებთან ყოფნისას, ხან ღამღამობით, ხან ჭამის დროსაც კი.

ვინაიდან ჩვენი გმირი სრულიადაც არ უჩიოდა ჯანმრთელობას, ეს აკვიატებული აზრი საშიშად და აუტანლად არ ეჩვენებოდა. პირიქით, რაღაც საზეიმო, ზეაწეული, სასიამოვნო განცდა იპყრობდა, რომელიც უმეტესად მაშინ ეუფლებოდა, როცა ნეტარ ფიქრებსა და მარტოობაში იყო ჩაფლული, ანდა ბედნიერი ბავშვობის გახსენებას იწყებდა. გარდა ამისა, სარკეში ჩახედვისას, თვითკმაყოფილებასა და თვითდაჯერებასთან ერთად, ხშირად სიამაყესაც განიცდიდა როგორც

საკუთარი სიმდიდრის, ასევე ნაადრევი დაბრძენების გამო. დიდ მწერალთა ნაწარმოებები და პოეზიაც განსაკუთრებულ განწყობას უქმნიდა, მაგრამ სხვადასხვაგვარი სევდიანი და მჭმუნვარე გამონათქვამი სულაც არ თრგუნავდა, თუმცა კი ხშირად იმეორებდა: „სადაც არის ბოლო შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენო“. იტყოდა და თავს რატომღაც უსიერ და გაუვალ ტყეში ნადირობისას გზააბნეულ და მარტოდ დარჩენილ იმ მეფეს შეადარებდა, რომელსაც უცნაური და არაჩვეულებრივი ხეების სიხშირეში გასაოცარ მოულოდნელობასა და საკვირველებას უმზადებდა განგება და ბედისწერა. დროდადრო სხვა გამონათქვამსაც გაიგონებდით მისგან: „როცა სახლი მზად არის, სიკვდილიც მაშინ გამოჩნდებაო“. ჰოდა, აი, მაშინ თითქოს უკვე ჭვრეტდა, როგორ მოიწევდა მისკენ სიკვდილი, ათასგვარი ცხოვრებისეული სიკეთითა და დოვლათით სავსე, შენებადამთავრებული სახლისა და სასახლის შემაერთებელ, ფრთოსან ზღაპრულ ლომებს მყარად დაყრდნობილ ხიდზე.

ძალიან უნდოდა ყმაწვილკაცს მარტო ყოფნა, მაგრამ მსახურები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. ერთგული ოთხფეხა მეგობრებით გამუდმებით მასთან იყვნენ, ანდა შორიახლოს ტრიალებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ თითქმის არ ელაპარაკებოდა, მაინც მთელი არსებით გრძნობდა, როგორ ცდილობდა ყველა, ერთგულად მომსახურებოდა ბატონს. თუმცა, ასე თუ ისე, მალე მანაც დაიწყო მათზე ფიქრი.

მნე უკვე მოხუცებული იყო. აწ გარდაცვლილი მისი ქალიშვილი სოვდაგრის ვაჟის გადია ყოფილა. მოხუც ქალს სხვა შვილებიც დახოცვოდა და აღარავინ ჰყავდა. ჩუმი, წყნარი და უწყინარი დედაბერი გახლდათ. მისი მიმტკნარებული, ჩატეკილი სახე და ფერდაკარგული ხელები ირგვლივ მოხუცებულობისა და ხანდაზმულობის სუსხს

აფრქვევდა. ახალგაზრდა ბატონს ქალი ძალიან უყვარდა, რადგან მოხუცი მუდამ მათ სახლში ტრიალებდა და არა მხოლოდ დედას, არამედ მთელ თავის სანუკვარ და სანატრელ ბავშვობასაც აგონებდა.

სოვდაგრის ვაჟის თანხმობით, მოხუცმა მწემ მის სახლში საცხოვრებლად თავისი შორეული ნათესავი გოგონა მოიყვანა, რომელსაც ჯერ თხუთმეტი წელიც არ შესრულებოდა, მაგრამ საკუთარი თავის მიმართ მკაცრი და მომთხოვნი, თავის თავში ჩაკეტილი, მორიდებული და თავმდაბალი ჩანდა. ერთ დღეს, აუხსნელი სულიერი მდგომარეობის მოულოდნელი და მძაფრი აღტყინების შედეგად, გოგონა ფანჯრიდან ეზოში გადავარდა. იგი თავისი ნორჩი და სუსტი სხეულით მიწაყრილიდან ამოწვერილ ქვაზე დაეცა და ლავიწის ძვალი ჩაუტყდა. როცა დაშავებული თავის ოთახში საწოლზე ფრთხილად დააწვინეს, ახალგაზრდა კაცმა ავადმყოფს თავისი ექიმი გაუგზავნა, საღამოს კი თვითონაც მოინახულა. გოგონას არ ეძინა, თუმცა თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული. ვაჟი პირველად დააკვირდა მას დიდხანს და ყურადღებით და განცვიფრებული დარჩა მისი სახის უჩვეულო, თითქოს ზრდასრული ადამიანის მიმზიდველობითა და მომხიბვლელობით. მხოლოდ პატარა თხელ ტუჩებზე

აღბეჭდვოდა საზარელი უკეთურობა. უცებ ავადმყოფმა თვალები გაახილა და ბრაზით აღვსილმა ყმაწვილ კაცს გულის გამგმირავად შეხედა, თუმცა მაშინვე მხარი იცვალა და მრისხანედ მოკუმული ტუჩებით მტკივან გვერდზე კედლისკენ გადაბრუნდა. ეტყობოდა, ტკივილს ძლივს იოკებდა. ისედაც მომაკვდავივით ფერწასულს, ფერი სულ დაეკარგა და, გამწვანებული და მიმტკნარებული, ტკივილით ლამის გულწასული, თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა.

გამოკეთებისა და გამოჯანმრთელების შემდეგ ყმაწვილი კაცი აღარ დალაპარაკებია გოგონას, თუმცა კი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. ახალგაზრდა ბატონი მოხუც ქალს ხშირად ეკითხებოდა, ხომ არაფერი აწუხებს ჩემს სახლშიო, არა, რასა ბრძანებთო...

მოსამსახურეების დათხოვნის შემდეგ ყმაწვილმა კაცმა, ქალებთან ერთად, ერთი ხნიერი კაციც დაიტოვა. იგი მან ასე გაიცნო: იმ ქალაქში ცხოვრობდა სპარსეთის მთავრის დესპანი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ ზეპურ საზოგადოებასა და შეძლებულ ადამიანებთან. ხშირად წვეულებებსაც მართავდა და სასურველ სტუმრებს ეპატიჟებოდა. ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე ჩვენი გმირიც იყო მიწვეული. იქ მისი ყურადღება ერთმა ხანდაზმულმა მსახურმა მიიპყრო. ვახშმის დროს იგი მაგიდას ემსახურებოდა და სოვდაგრის ვაჟის მიმართ განსაკუთრებული ზრდილობით, დაუზარლობითა და წინდახედულებით გამოირჩეოდა.

ყმაწვილი ისე გაიტაცა მისმა დინჯმა, მოკრძალებულმა და დარბაისლურმა ქცევამ, რომ სტუმრების საუბარს აღარც კი უსმენდა, მთელი ყურადღება მისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

ენით აუწერელი სიხარული და სიამოვნება განიცადა, როცა რამდენიმე თვის შემდეგ იმ მსახურს ქუჩაში გადაეყარა და მან კვლავინდებური თავაზიანობით, რიდიტა და თავშეკავებულად თავისი სამსახური შესთავაზა. ყმაწვილმა იგი მაშინვე იცნო -

სახემჰმუნვარე, დაღვრემილი და თავდაჰერილობით. დიდხანს აღარ უფიქრია, თავის მხლებლად და მსახურად დაიქირავა, სანაცვლოდ კი ორი ახალგაზრდა მოსამსახურე დაითხოვა. ახალი მსახური მოვალეობას შესანიშნავად ასრულებდა და სადილვახშმის საქმეს უზადოდ და უნაკლოდ უძღვებოდა. საღამოობით სახლის დატოვება და სადმე წასვლა არასდროს უფიქრია, თუმცა ამისი სრული უფლება ჰქონდა. ახალგაზრდა ბატონის მიმართ საოცარ ერთგულებას იჩენდა და ისე მიუხვდა ხასიათსა და ბუნებას, რომ შეეძლო, მისი ყველა სურვილი გულთმისანივით ამოეცნო. უსიტყვოდ ხვდებოდა, რა მოსწონდა მას და რა - არა. ყმაწვილი კაციც უფრო და უფრო კეთილმოსურნე ხდებოდა მის მიმართ. როდესაც ახალი მსახური მთავარი კერძებით უმასპინძლდებოდა ბატონს, ნამცხვრისა და ხილის მირთმევა ჩვენთვის კარგად ნაცნობ მოახლეს ევალეობდა, რომელიც მეორე გოგონაზე ორი-სამი წლით უფროსი თუ იქნებოდა. მას მიმზიდველსა და მომხიბვლელს ვერ უწოდებდით, ისე, როგორც ღამის მოსალხენ და გასართობ ადგილას ღამპარ-ჩირადნის შუქზე მოცეკვავეს, ანდა გოგონას, რომელსაც შორით ჰკრეტენ -

ასეთ დროს ხომ სხეულის ნაკვთების სინაზე და სილამაზე დაბინდულია და სრულყოფილად ვერ აღიქმება. ვინაიდან იმ ქალიშვილს ბატონი ყოველდღე ხედავდა და ახლოდანაც უმზერდა, იგი მშვენივრად გრძნობდა მისი თვალებისა და ტუჩების შეუდარებელ მიმზიდველობასა და მომხიბვლელობას, ხოლო მისი მოხდენილი ტანის თითქოს უხალისო და დუნე მიხრა-მოხრა გოგონას განსაცვიფრებელი, დაგმანული და შეუღწეველი სამყაროს იდუმალ ენად ეჩვენებოდა.

როცა ზაფხულმა ძალა მოიკრიბა და ქალაქში პაპანაქება სიცხე ჩამოწვა, სახლებს შორის აუტანელი ბუდი და მხუთრი დატრიალდა. სულის შემხუთავ ღამეებში, მთვარის მოვანებისას, ხორშაკი ქარი მტვრის თეთრ ღრუბლებს ცარიელ ქუჩებში უმოწყალოდ ერეკებოდა. ქალაქიდან გასვლის დრო იდგა და სოვდაგრის ვაჟმაც, თავის ოთხ მსახურთან ერთად, პირქუშ და მოქურუხებულ მთებს მიაშურა, სადაც საზაფხულო სააგარაკო სახლი ჰქონდა. სახლი მახვილი და კუშტი მთებით გარშემორტყმულ ხეობაში იდგა. ამ ადგილას ბევრი სხვა შეძლებული ადამიანის სახლებსაც ნახავდით. ხეობის ორივე მხარეს, თვალუწვდენელი სიმაღლიდან, უთვალავი უხვწყლიანი, თავაწყვეტილი და დაუდგომელი ჩანჩქერი ეშვებოდა, რომლებიც მაცოცხლებელ-სანეტარო სიგრილეს შობდნენ და მთელ არემარეს უშურველად უწილადებდნენ. მთვარე თითქმის მუდამ მთებს უკან იყო ჩაწოლილი, ფუმფულა, ქათქათა ღრუბლები კი ჩამუქებულ ციცაბოთა მიღმით ამოიშლებოდნენ, ბატონკაცურად და უდრტვინველად ასევე ჩამუქებულ ხავერდოვან ცის თაღზე მილივლივებდნენ და შორეთის უსასრულობაში

იკარგებოდნენ. ზაფხულის გასატარებლად ადამიანი უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა. ჰოდა, ყმაწვილი კაცი ჩვეულებრივ ცხოვრებას აგრძელებდა იმ ხის სახლში, რომლის კედლებში მთელი ძალითა და მონდომებით დანავარდობდა და დასეირნობდა ტყისა და ბაღის სურნელი, მათათა და ჩანჩქერთა სიგრილე და მაცოცხლებელი სუნთქვა. ნაშუადღევს, ვიდრე მზე გადაიწვერებოდა და მთებს იქით ჩაეშვებოდა, მოაგარაკე იჯდა ბაღში და კითხულობდა წიგნს გარდასულ დროთა მეფეთავრების საგმირო საქმეების შესახებ. იგი მთელი არსებით განიცდიდა გმირთა თავგანწირვასა და თავდადებას, თან ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა, მაგრამ

ძალიან ხშირად, როცა იგი, თავდავიწყებამდე მისული, გატაცებული იყო იმით, მოწინააღმდეგის ათასობით ცხენოსანი სასოწარკვეთილი ყვირილითა და შემახილებით როგორ უკუიქცეოდა, ანდა მათი საომარი ოთხთვალეები მდინარის ფრიალო და ციცაბო ნაპირებიდან ფლატეზე მოსხლეტით როგორ ცვიოდა და თვალუწვდენელ უფსკრულში როგორ იჩეხებოდა, სწორედ ამ დროს წყვეტდა კითხვას და ჩერდებოდა, რადგან გრძნობდა, როგორ მისჩერებოდა ოთხივე მსახური. თავს ძალიან არც კი სწევდა, სახლისკენ არც იყურებოდა, მაგრამ ხვდებოდა, თითოეული მათგანი თავისი ოთახიდან მას უბრად და უტყვად როგორ უყურებდა. იგი ხომ მშვენივრად იცნობდა მათ ცხოვრებას, უფრო ღრმად და მძაფრად შეიგრძნობდა მას, ვიდრე საკუთარ სამყაროს და არსებობას. საკუთარი თავის მიმართ ხშირად ამაღელვებელი და გულის ამაჩუყებელი განცდა ეუფლებოდა, მსახურების გამო კი ამოუხსნელი, უცნაური დამაბულობა და მტანჯველი სევდა-კაემანი იპყრობდა. სული ეხუთებოდა და მთელი არსებით განიცდიდა,

როცა ხედავდა, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა სიკვდილი ორივე მოხუცს; ყოველ საათსა და ყოველ ჟამს, გამუდმებით და განუწყვეტლივ მთელი ძალით გრძნობდა გარდაქმნასა და ცვალებადობას მათი ასე ნაცნობი გამომეტყველების, თვისებებისა და ჩვეულებებისა. მგრძნობიარე ყმაწვილი იმასაც მთელი სიგრძესიგანით აცნობიერებდა, როგორ შერწყმოდნენ გოგონები თავიანთ კუმტ, პირქუმ და უსიხარულო ყოფას და როგორ შეესისხლხორცებინათ იგი. როგორც გაღვიძებისას თითქოს უკვე გადავიწყებული, მაგრამ სულში ჩაბუდებული შემადრწუნებელი და სიკვდილის მომასწავებელი სიზმრის თავზარი და ელდა, ისე ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი თავის მსახურთა ცხოვრების სიმძიმე და გარდაუვალი რეალობა, რომლის შესახებაც მათ არაფერი უწყოდნენ.

ყმაწვილი კაცი წიგნის კითხვისას უთუოდ უნდა ამდგარიყო, ცოტა გაეწეოდა და გული გადაეყოლებინა, რათა შიშსა და შემფოთებას მთლად არ დაეთრგუნა იგი, მაგრამ როდესაც ფეხით გაფენილ ღრქიალა ღორღს დასცქეროდა და თან თვალს ადევნებდა, როგორ მილივლივებდა მისკენ მიწისა და ბალახის გრილი, მაცოცხლებელი ჰაერისგან ნაშობი და ნაზი სიოს სუნთქვად ქცეული მიხაკების საამო და თავბრუდამხვევი სურნელი თუ ზღაპრულ ბოლქვებად უჩვეულოდ შემოჯარული ჰელიოტროპის ნაზი არომატი, მაშინაც კი აღიქვამდა მისკენ მიპყრობილი ოთხი ადამიანის მზერას და სხვაზე ველარაფერზე ფიქრობდა. თავს არც კი ატოკებდა, იმ მხარეს არც იხედებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მოხუცი ქალი იჯდა თავის

ფანჯარასთან, თაკარა მზით გავარვარებული ლავგარდანის წინ, უსიცოცხლო და თითქოს სისხლისგან დაცლილი უძრავი სახით, რომელზეც შავი, მაგრამ უკვე თითქმის ჩამქრალი და სასიკვდილოდ განწირული თვალები უფრო და უფრო მეტი ძალით ამხელდა მოხუცებულის უმწეობასა და უილაჯობას. ყმაწვილი იმასაც კარგად ხვდებოდა, როგორ სცილდებოდა მსახური კაცი ფანჯარას და ოთახში ოდნავ მოშორებით როგორ საქმიანობდა. გაუცნობიერებელი შიშითა და მღელვარებით ელოდა იმ წუთსა და წამს, როცა მისი მოხუცი მსახური კვლავ გამოჩნდებოდა. ვიდრე მოქნილ და დამყოლ ტოტებსა და ლერწებს ორივე ხელით თავიდან იცილებდა და გზას იკაფავდა, რათა როგორმე ხშირი და გაბარდული ზალის სიღრმეში გადაბობდებულიყო, თვალი ვერ მოეწყვიტა მშვენიერი ცისთვის, რომელიც

ხვარებისა და შტოების ერთმანეთში გადახლართულ, ზღაპრულ ბადესავით ნაქარგ ქსოვილს ასევე ზღაპრულ და თვალწარმტაც ფირუზის ბრჭყვიალა მძივებს უხვად აფრქვევდა. აჰ, როგორ სურდა ბუნების მშვენიერებით ტკბობა, მაგრამ მთელი მისი გონება იმაზე ფიქრს დაეპყრო, როგორ უმზერდნენ მას გოგონები. უფროსის სახეზე დუნე, პირქუში, მოღუშული და ყმაწვილკაცის მტანჯველი თხოვნა-მუდარიანი გამომეტყველება აღბეჭდილიყო, ხოლო მოუსვენარი, მხიარული, მოუთმენელი უმცროსი დამცინავი და ანცი ყურადღებით გამოირჩეოდა, რაც უფრო მეტად ტანჯავდა ბატონს. ამასთან ერთად, ჩვენი გმირი დარწმუნებული იყო, რომ გოგონები არასოდეს უჭვრეტდნენ მას ჯიქურ და პირდაპირ, მაშინ, როდესაც იგი თავჩალუნული მიდი-მოდიოდა, ხან მიხაკთან ჩაიმუხლებდა, რათა საჭიროების შემთხვევაში ლაფნით შეეკრა და გაემაგრებინა,

ანდა ხეებში შეერეოდა და მძიმე ტოტების ქვეშ წელში იხრებოდა. აი, ასეთ დროს მუდამ ეჩვენებოდა, რომ მომხიზვლელი გოგონები გულისგულამდე სწვდებოდნენ მის ყოფას, სულიერ ეულობასა და მარტოსულ არსებობას, საიდუმლოებით მოცული ადამიანური ცხოვრების წარმავლობას, წუთიერებასა და წამიერებას.

ფიქრობდა ცხოვრებისეული რეალობის გარდაუვალობაზე და უმძიმესი გრძნობა ეუფლებოდა. აუტანელი იყო მისთვის, რომ მსახურები გამუდმებით თვალყურს ადევნებდნენ და ამით არ ასვენებდნენ, მაგრამ ამაზე აუტანელი ის იყო, როგორ აიძულებდნენ, თავიანთი გაუთავებელი და თავის მომაბეზრებელი ძალდატანებით, საკუთარ თავზე ეზრუნა. ბაღი სულაც არ იყო ვრცელი, ამიტომ აბეზარ მოდარაჯეებს ვერსად ემალებოდა, თუმცა როცა მათ ახლოდან ხედავდა, შიშის გრძნობა ხანდახან ისე უქრებოდა, ცოტა ხნის წინ განცდილ-გადატანილი თითქოს სულ მთლად ავიწყდებოდა. ასეთ დროს ცდილობდა, მათთვის ყურადღება არ მიექცია, ანდა წყნარად და აუღელვებლად ედევნებინა თვალყური ყოველი მათი მოძრაობისთვის, რაც ისე ნაცნობი და ახლობელი გამხდარიყო, რომ ხშირად მზად იყო, მათგან სულიერი თანადგომის, თანაგრძნობისა და სიახლოვის განწყობაც კი გაეზიარებინა.

ყმაწვილ კაცს პატარა გოგონა დროდადრო ხან კიბეზე ხვდებოდა, ხან წინკარში, დანარჩენი სამი მსახური კი ხშირად მასთან ერთად ერთ ოთახშიც კი იმყოფებოდა. ერთხელ უფროსი გოგონა

დამრეც სარკეში დაინახა. მას მეზობელი, შემადლებული ოთახი უნდა გაეცლო, მაგრამ სარკეში ისე მოჩანდა, თითქოს მოპირდაპირე სივრცის სიღრმიდან მისკენ მიემართებოდა. გოგონა ნელა და აუჩქარებლად, მაგრამ დამაბულად, თან პირდაპირ და ჯიქურ მოაბიჯებდა; ორივე ხელში ინდური ღვთაების რუხი ბრინჯაოს ქანდაკები ეკავა. დიდი და მასიური არც ერთი ჩანდა, თუმცა კი ეტყობოდა, ორივე საკმაოდ მძიმე იყო. სამკაულებით მორთულ ფიგურებს ფეხები გოგონას ხელისგულებზე ედგათ. ეს ჩამუქებული და მრუმე ღვთაებები მას წელიდან სახემდე სწვდებოდნენ და თავიანთი კუმტი და უსიცოცხლო ტანის სიმძიმით ნაზი არსების სიცოცხლის მომნიჭებელ ტურფა სახეს ეყრდნობოდნენ. ჩამუქებულ-ჩაშავებულ ქანდაკთა თავები სიცოცხლის სუნთქვით სავსე გოგონას ლოყების ახლოს მოძრაობდნენ და, დინჯ და მოზომილ ნაბიჯებს აყოლილნი, მის საფეთქლებს ეხებოდნენ. კუმტი ღვთაებების თავებს გველების ბოროტი და ავი პირი ჰქონდათ; შუბლზე - საზარელი სამი თვალი, ხოლო

სუსხის მომგვრელ გაშეშებულ თმებში ავბედითი სამკაული მოუჩანდათ. ეტყობოდა, უცხო განძით დატვირთულ ქალიშვილს ამ განძის თავები კი არ ანიჭებდა საზეიმო ელფერსა და მედიდურობას, არამედ ნატიფი, მიმზიდველი და მომხიბვლელი საკუთარი თავი, რომლის ღია და ნათელ შუბლსაც ბრძოლის ველზე მყოფი დიდებული დედოფალივით ნამდვილი და ბუნებრივი ოქროთი მოვარაყებული, შუაში ძვირფასი თვლით დამშვენებული ორი გრეხილი და რკალისებრი სამკაული აცისკროვნებდა. ყმაწვილი კაცი ერთბაშად მოხიბლა და მონუსხა ამ შეუდარებელმა და უზადო სინარნარემ, თუმცა ამავე დროს კარგად გრძნობდა, რომ მისთვის არაფერს ნიშნავდა

გოგონას გულის მოგება და მასთან მამაკაცური სიახლოვე; იგი დარწმუნებული იყო, რომ ქალიშვილის სილამაზე და სინატიფე სურვილ-წადილს კი არა, მხოლოდ მისკენ სწრაფვასა და ლტოლვას უღვივებდა. მსგავსი გრძნობებით შეპყრობილმა და აფორიაქებულმა, დიდხანს ვერ გაუძლო ქალიშვილის ყურებას, ოთახი სასწრაფოდ დატოვა და ქუჩას მიაშურა. იგი გაუყვა სახლებსა და ბაღებს შორის ჩამდგარ ვიწრო ჩრდილს და გზა განაგრძო. ბოლოს მდინარის ნაპირს მიადგა. ეს ის ადგილი იყო, სადაც მეყვავილეები და მებაღეები ცხოვრობდნენ. აქ დიდხანს ეძებდა სასურველ საგანს, თუმცა კი გრძნობდა, მისი ცდა ფუჭი და ამაო იქნებოდა, ვერ იპოვიდა იმ ზღაპრულ ყვავილსა და კოკორს, რომლის ფერი და სახე, სიოსავით მოლივლივე სუნთქვა, ტკბილი ნექტარი და სურნელი აუშლიდა სანეტარო გრძნობებს და იმ მშვიდ და ზღაპრულ სამყაროს აზიარებდა, რასაც ყმაწვილი ქალის მშვენიერება და მომხიბვლელობა ერქვა, რაც გონებას აკარგვინებდა და არ ასვენებდა. ვიდრე იგი, დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი, სევდიანი და ნაღვლიანი თვალებით გადაჯაგულ და გაბარდულ ყვავილების საუფლოში თავისი ოცნების ყვავილს ეძებდა, ბინდი ჩამოწვა, თუმცა ოდნავ გამოხშირული კვლებისკენ დახრილი, ძებნას განაგრძობდა, თან, დაღლილი და არაქათგამოლეული, თავისდა უნებურად პოეტის სიტყვებს იმეორებდა: „მიხაკის მოქანავე და მონანავე ღეროებში, მოწეული და დაპურებული მარცვლის სურნელში შენ აღმიძრავდი დაუოკებელ ლტოლვას და წადილს, და როცა ვპოვე, არ ყოფილხარ ის, ვისაც ვეძებდი, არამედ იგი შენი სულიერი დობილი ყოფილა“.

2

იმხანად საოცარი რამ მოხდა: სოვდაგრის ვაჟმა უცნაური წერილი მიიღო, რომელმაც ააღელვა და მოსვენება დაუკარგა. წერილს ხელს არავინ აწერდა. გაურკვეველი მიზეზის გამო წერილის ავტორი სოვდაგრის ვაჟის მსახურ კაცს კიცხავდა იმისთვის, თითქოს მას სპარსეთის დესპანთან მსახურების დროს უმძიმესი დანაშაული ჩაედინოს. აშკარად ჩანდა, ხანდაზმული მსახური უცნობს მეტისმეტად ეზიზღებოდა და სძულდა, რადგან უსაშველოდ ემუქრებოდა, მასაც უზრდელად და უდიერად იხსენიებდა და ემუქრებოდა კიდევ, თუმცა კაცი ვერ გაიგებდა, რა დანაშაულზე იყო ლაპარაკი ან რა მიზანი ჰქონდა წერილის დამწერს, რომელიც თავის ვინაობას არ ამხელდა და არც არაფერს ითხოვდა. ახალგაზრდა კაცმა წერილი რამდენიმეჯერ გადაიკითხა, თან უსაზღვრო შიშმა და მღელვარებამ აიტანა, ვინაიდან ასეთი უცნაური და ამოუხსნელი მიზეზის გამო უნდა დაეკარგა ერთ-ერთი უერთგულესი და მუყაითი მსახური. ეს ხომ მისთვის ძნელი და აუტანელი იქნებოდა, რადგან ათასგვარი წესჩვეულებით, უხილავი თუ ხილული სულიერი ძალითა და თვისებით იგი ყველა მათგანს შეზრდოდა და შესისხლხორცებოდა.

გრძნობდა, რომ წონასწორობას კარგავდა და აღელვებისგან ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე კი ჯავრი სერთუკსა და სარტყელზე იყარა, მოიხსნა, ძირს დაყარა და ფეხით შესდგა. ისეთი

გრძნობა დაეუფლა, თითქოს მის შინაგან სამყაროში შეიჭრნენ, ემუქრებოდნენ და აიძულებდნენ, უარი ეთქვა საკუთარ მეობაზე და დაეთმო ის, რაც მისთვის ძვირფასი და სანუკვარი იყო. ყმაწვილ კაცს საკუთარი თავი ისე შეეცოდა, რომ უმწეო და უილაჯო ბავშვს დაემსგავსა. უცებ წარმოიდგინა, როგორ გაყრიდნენ ოთხივე მსახურს მისი სახლიდან, თითქოს უკვე ჰვრეტდა კიდევ შინაარსისგან დაცლილ თავის ცხოვრებას, რომელსაც წაართვეს და გამოაცალეს როგორც ტკივილიანი და დარდიანი, ასევე უტკბესი მოგონებანი, ნახევრად გაუცნობიერებელი იმედები და ბევრი რამ წარმოუთქმელიც კი, რათა ყველა და ყველაფერი არად ჩაეგდოთ და, როგორც უსარგებლო ნივთი, შორს მოესროლათ. ახლად მიხვდა - რაც ბავშვობაში აბრაზებდა და აღიზიანებდა, ეს იყო მამამისის შიშითა და ძრწოლით სავსე სიყვარული, ლტოლვა და ჟინი ყოველივე იმის მიმართ, რაც თავისი საქმიანობითა და მცდელობით შეეძინა და მოეპოვებინა: უზარმაზარი თადიანი მაღაზიების აურაცხელი სიმდიდრე და ქონება, მართალია, თვალისმომჭრელი და მიმზიდველი, მაგრამ უსულო, გრძნობადაცლილი ნაყოფნი თავისი მცდელობისა, მიდრეკილებისა და მონდომებისა, ასევე თვალისმომჭრელი და მიმზიდველი, მაგრამ იდუმალებით მოცული ნაშიერნი მისი ცხოვრების ბნელი და ძნელად ასახსნელი ქვენა გრძნობებისა და სურვილებისა. ჩვენმა გმირმა მშვენივრად უწყოდა, რომ გარდასულ დროთა მეფე-მთავარი თავს გაწირავდა და ერთ გოჯ მიწასაც არ დათმობდა იმ სამეფოებისას, რომლებიც აღმოსავლეთის ზღვებიდან დასავლეთის ზღვებამდე გადაესერა და გადაევლო. იგი ხომ მათ დაპყრობა-დამორჩილებაზე ოცნებობდა, თუმცა ისეთი

უზარმაზარი და თვალუწვდენელი გამოდგა სამფლობელო, რომ ვეღარც უფლობდა და ვეღარც ბეგარა-ხარკს კრეფდა იმის დასტურად, რომ ისინი დაემორჩილებინა და მის გარდა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო მათი ბატონ-პატრონი.

ყმაწვილმა კაცმა გადაწყვიტა, ყველაფერი ელონა, რათა მოეგვარებინა საკითხი, რომელიც უცნაურ წერილს ეხებოდა და რომელმაც ასე შეაშფოთა და ააღელვა. ქალაქში ისე გაემგზავრა, წერილის შესახებ მსახურისთვის სიტყვაც არ უთქვამს. უპირველესად, უნდა ეპოვა სახლი, სადაც სპარსეთის დესპანი ცხოვრობდა; იმედი ჰქონდა, რაიმე ხელმოსაჭიდს იპოვიდა. როცა იმ ადგილს მიაგნო, მზე უკვე გადასული იყო; შინ არავინ დახვედრია, გარდა მზარეულისა და საკანცელარიო მოხელისა. ისინი ჭიშკართან ისხდნენ და ბინდბუნდში სიგრილეს თავს აფარებდნენ. ორივე უგვანად და უსახურად გამოიყურებოდა, თან უცხოს ისე პირქუშად და უგუნებოდ ეპასუხებოდნენ, რომ ყმაწვილი უსიამოვნო გრძნობამ მოიცვა, მაშინვე მიტრიალდა და იქაურობა დატოვა, თუმცა მტკიცედ გადაწყვიტა, მეორე დღეს უფრო შესაფერ დროს მოსულიყო.

ვინაიდან ოთხივე მსახური აგარაკზე ჰყავდა და შინ არავინ ელოდა, ჩვენს გმირს იმაზეც უნდა ეფიქრა, საკუთარ ქალაქში თავშესაფარი და ღამის გასათევი მოეძებნა. უცხო სტუმარივით გაუყვა ნაცნობ ქუჩებს და ბოლოს პატარა მდინარესთან აღმოჩნდა. წელიწადის ამ დროს ის

მდინარე ამომშრალი იყო ხოლმე. დადარდიანებული და ფიქრებში წასული ერთ უბადრუკ ქუჩას მიადგა, სადაც უამრავი მეძავი ცხოვრობდა. ბევრი აღარ უფიქრია - ალაღბედზე მარჯვნივ შეუხვია, იქ კი პატარა, ყრუ და მივარდნილი, სამარისებურ სიჩუმეში გახვეული ჩიხი დაინახა, რომელიც მეორე მხარეს მაღალი და ციცაბო კიბით მთავრდებოდა. ჩიხი გაიარა, შემდეგ შეჩერდა, უკან მიიხედა, გავლილ გზას გახედა და პატარა სახლების ეზოების თვალიერება დაიწყო. აქა-იქ ფანჯრებზე წითელი ფარდები და დამტვერილი, უშნო ყვავილები მოჩანდა. შორიახლოს ცოტა უფრო დიდი და მოზრდილი მდინარეც შეამჩნია. მისი კალაპოტი, პატარა მდინარის მსგავსად, სულმთლად ამომშრალიყო და ეს უსიცოცხლო სანახაობა სევდა-ნაღვლით ავსებდა გულს. ბოლომდე აიარა კიბე და საცხოვრებელი კვარტალი დაინახა, თუმცა ვერაფრით მოიგონა, ადრეც ნამყოფი იყო თუ არა. შემდეგ ქვემოთა ქუჩები გადაკვეთა და გზაჯვარედინი ისე ეცნაურა, თითქოს დიდი ხნის წინ სიზმარში ჰქონოდა ნანახი. გზა განაგრძო. ერთ პატარა საოქრომჭედლო მაღაზიას მიუახლოვდა. თავისი საწყალობელი და საცოდავი შესახედაობით მაღაზია ქალაქის იმ ღარიბ რაიონს მართლაც მიესადაგებოდა. ვიტრინები ისეთი იაფფასიანი სამკაულითა და საიუველირო ნივთებით იყო სავსე, როგორსაც მხოლოდ ლომბარდში ან ნაქურდლის გამსაღებლებთან თუ ნახავდით. ძვირფას ქვებში სოვდაგრის ვაჟი კარგად ერკვეოდა, მაგრამ იქ გამოფენილ ნივთებში ცოტად თუ ბევრად მშვენიერი ქვებით მორთული სამკაული ვერ იპოვა. ყურადღებით აკვირდებოდა თითოეულ მათგანს და უცებ თვალში მოხვდა ძველმოდური ნაზი და ნატიფი ოქროს ნაკეთობა, რომელიც ძვირფასი

ბერილით იყო შემკული. მიმზიდველმა ნივთმა ყმაწვილკაცს რატომღაც თავისი ბებერი ფარეში გაახსენა. შესაძლოა, ადრეულ ბავშვობაში ასეთი ნივთი იმ ქალის ხელში ენახა, როცა იგი ახალგაზრდა იყო. გარდა ამისა, ფერმკრთალი და სევდის მომგვრელი ქვა რაღაც ამოუხსნელი მიზეზითა და თვისებებით ქალის ასაკს ესადაგებოდა, ძველმოდურ ბუდე-ჩარჩოსაც ნაღვლიანი ელფერი დაჰკრავდა. ყმაწვილმა იმ ნივთის ყიდვა გადაწყვიტა და მაშინვე მაღაზიაში შევიდა.

ოქრომჭედელი გაახარა წარმოსადეგი მუშტრის დანახვამ და განიზრახა, ეჩვენებინა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სხვა სამკაულებიც, რომლებიც ვიტრინაში არ ჰქონდა გამოფენილი. ხანდაზმული გამყიდველისთვის რომ ესამოვნებინა, ზრდილობიან მყიდველს სხვა ნივთების დათვალეირებაზე უარი არ უთქვამს, თუმცა თავიდანვე არჩეული ნაკეთობის გარდა აღარაფრის ყიდვას აპირებდა, მოხუცისთვის გული რომ არ ეტკინა, იფიქრა, კიდევ რაიმე პატარა ნივთს შევიძენ და ისე დავემშვიდოებო ოქრომჭედელსო. ზერელედ და უგულისყუროდ ათვალეირებდა გამყიდველის მხრის იქით ხელის ვერცხლის პატარა სარკეს, რომელიც მთლად დაბურულიყო და სიმკვეთრე დაჰკარგოდა. ამ დროს შეამჩნია, რომ ოთახის სიღრმიდან მისკენ გოგონას გამოსახულება მოიწევდა, რომელსაც ორივე ხელში მრუმე და შავთავა ბრინჯაოს ღვთაებები ეჭირა. თვალი ვეღარ მოსწყვიტა, ისე მომხიზვლელად გამოიყურებოდა გოგონას ჯერ კიდევ ბავშვურ, უმწიფარ, მაგრამ უკვე ზრდასრულივით მომნუსხველ და მიმზიდველ მხრებსა და კისერთან ერთად ასევე მიმზიდველი და მომნუსხველი თავი, რომელიც დიდებული ნორჩი დედოფლის თავს მოგაგონებდათ. უცებ წარმოიდგინა, რა ზღაპრული სანახაობა იქნებოდა და

როგორ დაამშვენებდა ქალიშვილის ბავშვურ, თეთრ-ყირმიზ კისერს ზედ რამდენიმე წყებად შემოვლებული ოქროს ბრჭყვიალა და ნაზი ძეწკვი, რომელიც ზღაპრულ ჯავშანს დაემსგავსებოდა და მის პატრონს ავი თვალისგანაც დაიცავდა. ყმაწვილმა გამყიდველს სთხოვა, რაიმე ძეწკვი ეჩვენებინა. მოხუცმა კარი გააღო და იგი მეორე ოთახში შეიპატიჟა. ის ოთახი უფრო მომცრო და დაბალჭერიანი ჩანდა. იქაურობა შემინული კარადებითა და ღია თაროებით იყო სავსე, სადაც უამრავი სამკაული და საიუველირო ნივთი გამოეფინათ. ყმაწვილს მართლაც მოეწონა ერთი ძეწკვი და სთხოვა გამყიდველს, ორივე ნივთს ვყიდულობო. ამის შემდეგ ვაჭარმა ძვირფასი ქვებით შემკული ძველებური უნაგირების გადასაკრავის დათვალეირება შესთავაზა, რაზეც ყმაწვილმა უპასუხა, - მართალია, სოვდაგრის ვაჟი ვარ, მაგრამ ცხენზე არც კი ვმჯდარვარ და ამიტომ არც ძველებური და არც ახალი უნაგირები არ მაინტერესებსო. ერთი ოქროთი და რამდენიმე ვერცხლის ფულით ნავაჭრის საფასური გადაიხადა და წასასვლელად მოემზადა. მოხუცს მისთვის აღარაფერი დაუძალებია, მშვენიერი მოვერცხლილი ქაღალდი მოძებნა და ბერილიან სამკაულსა და ძეწკვს ცალ-ცალკე დაუწყო შეხვევა. ვიდრე იგი ორივე ნივთს საგულდაგულოდ ფუთავდა, ყმაწვილი ერთადერთ გისოსებიან ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. მშვენივრად მოვლილი კოხტა ბოსტანი დაინახა, მეზობლისა უნდა ყოფილიყო. ბოსტნის სიღრმეში ორი ორანჟერეა და მაღალი გალავანი მოჩანდა. ცნობისმოყვარეობამ სძლია, როგორმე იმ ბაღში შეეღწია და ის სათბურები დაეთვალეირებინა, ამიტომ მაღაზიის მეპატრონეს სთხოვა, აეხსნა მისთვის, როგორ შეიძლებოდა იქ შესვლა. იუველირმა

მიმზიდველად შეფუთული ნავაჭრი გადასცა და ერთ-ერთი გვერდითა ოთახიდან ეზოში გაიყვანა. ის ეზო მეზობლის ბაღს გისოსებიანი კუტიკარით უკავშირდებოდა. მოხუცი ეზოში შეჩერდა და გისოსებზე რკინის ჯოხი დააკაკუნა. ეზოში ჩამიჩქმი არ ისმოდა და არც არავინ გამოჩენილა. შემდეგ მაღაზიის მეპატრონემ ვაჟი გააფრთხილა, სათბურები ჩუმად და წყნარად დაეთვალეირებინა და თუ ვინმე დაინახავდა, მოხუცი იუველირი ეხსენებინა, ვინაიდან მას თურმე ბაღის პატრონთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. უთხრა თუ არა ეს, კაცმა გისოსის სახელური გამოსწია და ყმაწვილი ბაღში

შეუშვა. იგი მაშინვე გაუყვა გალავანს და უახლოეს სათბურს მიაშურა, თავისუფლად შევიდა შიგ და მის მზერას საუცხოო სურათი წარმოუდგა.

იმდენი იშვიათი და ზღაპრული სილამაზის ნარგიზი და ანემონი თავის დღეში არ ენახა. გარდა ამისა, იმდენი უცხო და იშვიათი მცენარე და ყვავილი იხილა, თვალს ვეღარ აშორებდა და მონუსხულობით იდგა. ბოლოს გამოერკვა და მაშინდა შეამჩნია, მზე სახლებს მიღმა გადაწვერილიყო. თითქოს აღარც კი სურდა ამ უკაცრიელ ბაღში დიდხანს გაჩერება, თუმცა ცდუნება მაინც დიდი გამოდგა და მოინდომა, მეორე ორანჟერიის მინა-შუშებში ცალი თვალით მაინც შეეხედა, მერე კი სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას. თვალგაშტერებული, ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა მინის საფარს, მაგრამ მოულოდნელად შიშმა აიტანა და სასწრაფოდ უკან დაიხია, მინის იქით ადამიანს მოჰკრა თვალი, შუშაზე სახემიკრული მას მისჩერებოდა. თავს უმაღლ მოერია, შეეცადა, გონება მოეკრიბა, მით უმეტეს, მიხვდა, რომ მინასთან პატარა გოგონა იდგა.

ოთხიოდე წლისა თუ იქნებოდა. მისი თეთრი სამოსი და თეთრადვე გადატეტილი სახე მინას მისწებებოდა. ყმაწვილმა კაცმა ბავშვს უფრო ახლოდან დაუწყო ცქერა და აუტანელმა შიშმა მოიცვა, ძარღვებში სისხლი გაეყინა, სული შეეხუთა და თითქოს ყელშიც რაღაც მოაწვა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ პატარა საოცრად ჰგავდა სოვდაგრის სახლში მცხოვრებ თხუთმეტი წლის ქალიშვილს, ისეთივე ღია ფერის წარბები, ნაზი და მთრთოლვარე ნესტოები და თხელი ტუჩები ჰქონდა. მასავით, ამასაც მხარს ზემოთ უცნაურად ეჭირა რაღაც. მსგავსება აშკარა და უტყუარი იყო, ოღონდ ბავშვს ისეთი იერი ჰქონდა, რომ ყმაწვილს თავზარი დაეცა, თუმცა ვერ აეხსნა, აგრერიგად რამ შეაშინა და შეადრწუნა. ერთ რამეში კი დარწმუნებული იყო - ვერ აიტანდა, თუ უკან გაბრუნებულს, მინის მიღმა მდგომი არსება კვლავ გაშემებული მიაშტერდებოდა და არ მოაშორებდა გამჭოლ მზერას.

ასეთი შიშით შეპყრობილი გაემართა სათბურის კარისკენ, რათა შიგნით შესულიყო, მაგრამ კარი გარედან დაკეტილი დახვდა. სწრაფად დაიხარა ურდულისკენ, რომელიც საკმაოდ დაბლა მოეჩვენა და ისე მძაფრად გამოსწია, რომ შიგ ხელი მოაყოლა და თითი გაეგლიჯა. საშინელი ტკივილი იგრძნო, მაგრამ არად ჩააგდო და მყის ბავშვს მიაშურა. ბავშვი მისკენ წამოვიდა, უსიტყვოდ და უბრად გაჩერდა მის წინ, მუხლებზე მიეხედა და თავისი პატარა და სუსტი ხელებით სცადა მისი იქიდან გაძევება. აღელვებული ყმაწვილი ცდილობდა, პატარა მოძალადე არ წაექცია და მისთვის არაფერი ევნო, მაგრამ როცა მისი სიახლოვე იგრძნო, თითქოს შიშმა

გაუარა, თან ცოტა გულზეც მოეშვა; ბავშვისკენ დაიხარა, რომელსაც ფერი მთლად დაჰკარგოდა, თვალები საოცარი ზოიზლითა და მრისხანებით ავსებოდა და ტანიც კი უცახცახებდა, ხოლო წვრილი ქვედა კბილებით ენით აუწერელი ბრაზითა და რისხვით ზედა ტუჩი მთელი ძალით ჩაეჭირა. როგორც კი გოგონას მოკლე და ფაფუკ თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა, ყმაწვილს შიში საბოლოოდ გაუქრა. მაშინვე გაახსენდა, როგორ შეეხო მოახლე გოგონას ასევე ნაზ თმას, როცა იმ ავბედითი შემთხვევის შემდეგ იგი თავის საწოლში მომაკვდავივით ფერწასული, თვალდახუჭული იწვა. გაახსენდა ეს და მთელ ტანში ჟრჟოლამ დაუარა; ბავშვს მაშინვე მოშორდა და აღარ იცოდა, ხელები სად წაეღო. ბავშვიც თითქოს ოდნავ დამშვიდდა და უცხო სტუმრის

გაგდება აღარ უცდია, პირიქით, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და წინ ჯიუტად დაიწყო ყურება. ყმაწვილს აუტანლად მოეჩვენა თეთრად შემოსილი, თოჯინასავით პატარა და სუსტი სხეულის, ზიზღითა და რისხვით აღსავსე სახის ყურება. უცებ რაღაც მოაფიქრდა და გადაწყვიტა, გოგონა ბრჭყვიალა და წკარუნა მონეტებით გაეხალისებინა, მაგრამ დამაბულმა და გადაქანცულმა, როგორც კი ჯიბეში ხელი ჩაიყო და მონეტების სიგრილე იგრძნო, ისე შეძრწუნდა, თითქოს დანა ატაკესო. როგორც იქნა, ფული ამოიღო, ბავშვისკენ დაიხარა და ფრთხილად გაუწოდა მას. გოგონამ მონეტები გამოართვა, მაგრამ გულუხვ სტუმარს ფხეებთან ისეთი ძალით დაუყარა, რომ უკლებლივ ყველა მათგანი ფიცრის გისოსებიანი იატაკის პირდაფენილ ნაპრალში გაუჩინარდა, თვითონ კი მაშინვე მიტრიალდა და ნელი ნაბიჯით იქაურობას გაეცალა.

დაუპატიჟებელი სტუმარი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, ეშინოდა, პატარა მასპინძელი არ დაბრუნებულიყო და მისთვის მინის მიღმიდან ისევ არ დაეწყო ცქერა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, თვითონაც უმაღლეს გასცლოდა იქაურობას, მაგრამ იმისთვის, რომ ბავშვს ბაღი დაეტოვებინა, დრო იყო საჭირო.

ორანჟერეაში სინათლე უკვე ვეღარ აღწევდა და ბინდბუნდში მცენარეები უცნაური შესახედავი გამხდარიყო. ოდნავ მოშორებით მუქი და მრუმე ხის ტოტები სიბნელეში ისე უსიამოვნოდ და საშიშად გამოიკვეთნენ, თითქოს იმუქრებინათ. მათ უკან კი, სიღრმეში, რაღაც თეთრად ციმციმებდა, თითქოს იქ თეთრკაბიანი პატარა გოგონა იმალებოდა. ყმაწვილმა იქვე ახლოს თაროზე ჩამწკრივებული თიხის ქოთნები შეამჩნია. ყველა მათგანში ჰოია ხარობდა. დროის გასაყვანად მათი თვლა დაიწყო. ისინი ცოცხალ ყვავილებს კი არ ჰგავდა, არამედ ერთმანეთს მიწებებული და ამოვსებული თვალის ჭრილებით ცბიერი და ვერაგული იერის ნიღბებს მოგაგონებდათ. გონება მოიკრიბა და კარისკენ გასწია გარეთ გასასვლელად, მაგრამ კარი ვერ გააღო - ეტყობოდა, ბავშვს გარედან ურდულით ჩაეკეტა. დაყვირებაც კი სცადა, მაგრამ საკუთარი ხმისაც შეეშინდა და მინას მუშტები დაუშინა. სახლშიც და ბაღშიც კვლავ სამარისებური სიჩუმე იდგა. მხოლოდ მის უკან, ბუჩქებზე, თითქოს შრილით ჩამოსრიალდა რაღაც. უცნაურმა სტუმარმა სცადა, თავი დაერწმუნებინა, რომ ეს ფოთლები იყო, რომლებმაც ხმაურით გამოწვეულ ჰაერის მოძრაობას ვერ გაუძლო და ტოტებს მოსწყდა. კაკუნი მაინც არ

შეუწყვეტია, თან ხეებისა და ხვიარების ნახევრად ჩაბნელებულ ტევრს ისე ჩაშტერებოდა, თითქოს მათი მზერით განგმირვა სურსო. უცბად ბაღის ბინდბუნდით მოცულ უკანა კედელზე რაღაც მრუმე და მუქ ოთხკუთხედას მოჰკრა თვალი. იქით გადაბობლება მოახერხა, არც კი შეუმჩნევია, გზადაგზა როგორ გადმოყარა და გადაქელა ყვავილის ქოთნები, მის უკან და თავს ზემოთ მოჩვენებებით ძირს როგორ ცვიოდნენ ხის მოგრძო, სუსტი, ნაზი შტოები და სასიამოვნოდ მოშრილედ მცენარეთა კენწეროები. ის იდუმალი მრუმეხაზოვანი ოთხკუთხედი კი კარის ჭრილი გამოდგა და შეეხო თუ არა, მაშინვე ძალდაუტანებლად გაიღო. როგორც იქნა, ყმაწვილს სახეზე მაცოცხლებელი ჰაერი მოხვდა, მის უკან კი წამოდგომას ცდილობდნენ ქარიშხლით მოცელილივით ძირს უმოწყალოდ დაფენილი შეფოთილი ტოტები.

სოვდაგრის ვაჟი ვიწრო შუკაში აღმოჩნდა. თავზე ცა დაჰყურებდა, შუკას ორივე მხარეს გალავანი მიუყვებოდა, რომელიც კაცის სიმაღლისა იქნებოდა, მაგრამ თხუთმეტიოდნე ნაბიჯის შემდეგ გზა ამოქოლილი აღმოჩნდა. გაუბედავად და ყოყმანით მაინც წინ გასწია და დაინახა, რომ მარჯვენა მხარეს ქვის კედელი იმხელაზე იყო გამორღვეული, ადამიანი გაეტეოდა, ამ ხვრელიდან კი თავისუფალ სივრცეში ფიცარი იყო გადებული, რომელიც ბაქანს უერთდებოდა.

მოპირდაპირე მხარეს ბაქანი დაბალი რკინის ცხაურით ჩაეკეტათ, დანარჩენ ორ მხარეს კი მაღალი სახლების უკანა კედლები ფარავდა. იქ, სადაც ცარიელ სივრცეში მოქანავე ფიცარი

ბაქნის ნაპირზე საცალფეხო ხიდივით იყო დამაგრებული, ცხაურზე პატარა კარი დაინახა. სურდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა ამ საშიშ ადგილს, მოუთმენლობა დაეუფლა და როგორც კი ფიცარზე ცალი ფეხი შედგა, მაშინვე მეორეც მიაყოლა და სასწრაფოდ მეორე მხარეს იწყო გადასვლა, თან ნაპირს თვალს არ აშორებდა. თავისდა სამწუხაროდ, მაშინვე მიხვდა, რომ ამოქოლილი და თან უფსკრულივით ღრმა აკლდამის თავზე ეკიდა. თავიდან ფეხებამდე კანკალმა აიტანა, უმწეობისა და უილაჯობისაგან მუხლებში ძალა გამოეცალა, ფეხებმაც უმტყუნა, თავბრუ დაესხა და თითქოს სიკვდილის მოახლოებაც კი იგრძნო. ჩაიმუხლა, თვალები დახუჭა, წინ გაწვდილი ხელების ცეცებით ცხაურს სწვდა და მთელი ძალით მოეჭიდა. წინააღმდეგობა არ უგრძნია, მხოლოდ სუსტი ჭრიალი გაისმა, რამაც მოახლოებული სიკვდილის სუნთქვასავით მთელ ტანში დაუარა; მის წინ კი ჯოჯოხეთური უფსკრულის ის კარი გაიღო, რომელზეც თვითონ იყო ჩამოკიდებული. დაღლილობამ, უილაჯობამ ისე დაქანცა, რომ პატარა ბავშვივით ხელებში ძალა გამოეცალა, გრძნობდა, მისი თითები რკინის გლუვ გისოსებს დიდხანს ვეღარ დაიჭერდა და უკვე თვალწინ წარმოუდგა, კისრისტეხით ქვის კედელზე როგორ დაეშვებოდა და დაილეწებოდა. ამასობაში ფეხქვეშ მართლაც გამოეცალა ფიცარი, მორჩილი კარიც ნებას აღარ დაჰყვა და თითქოს ჰაერში ამოტრიალდაო, პირდაფჩენილ სივრცეში გადაეშვა და აკლდამის ფსკერს დაენარცხა.

გადარჩენით კი გადარჩა, მაგრამ სასიხარულო არაფერი ჰქონდა. ირგვლივ არც

მიუხედ-მოუხედავს. ამ უმიზნო და უაზრო ტანჯვა-წამების მიმართ მძიმე და დამთრგუნველი გრძნობით გამოწვეული ზიზღით აღსავსემ ერთ სახლს მიაშურა, უკაცური და ყრუ კიბით ქვემოთ ჩავიდა და პატარა შესახვევში აღმოჩნდა, სადაც ენით აუწერელი უბადრუკობა და სიბეჩავე სუფევდა.

სევდა-კაემანს ისე შეეპყრო, რომ სულიერად დამძიმებულსა და დაღლილ-დაქანცულს ისეთი რამის გახსენებაც კი უჭირდა, რაც ცოტად თუ ბევრად სიამოვნებასა და სიხარულს მოჰგვრიდა. მგრძნობელობადაკარგულმა და თითქოს სულიერად დაცარიელებულმა, ცხოვრებისაგან გარიყულადაც კი იგრძნო თავი. ასე მიუყვებოდა იგი გზას. გაიარა კიდევ ერთი შესახვევი, მერე - მეორე. დარწმუნებული იყო, ისეთ ადგილს იპოვიდა, სადაც ქალაქის შეძლებული ადამიანები ცხოვრობდნენ და ღამეს გაათევინებდნენ. სიარულის თავიც არ ჰქონდა, ძილი და მოსვენება ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა. ბავშვივით მოენატრა თავისი მშვენიერი, განიერი საწოლი და სხვაზე აღარაფერზე ფიქრობდა. ისიც კი გაახსენდა, როცა გარდასულ დროთა

მეფეთავრები დამარცხებულ და დამორჩილებულ ხელმწიფეთა ქალიშვილებს ირთავდნენ ცოლად, თავიანთთვის და თანამეცხედრეთათვის მხოლოდ ოქროს საწოლებს იძენდნენ, რომლებსაც ლომ-არწივები და ფრთოსანი ხარები შებიჯებოდნენ; სასახლის სხვა ბინადრებს კი არა უბრალო, არამედ მოვერცხლილ საწოლებზე ეძინათ. ამ ფიქრებში გართული უჩვეულოდ დაბალ სახლებთან აღმოჩნდა, თუმცა ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე განაგრძო გზა. ეტყობოდა,

ის სახლები ყაზარმა იყო. ერთ გისოსებიან ფანჯარასთან ცვილივით გაყვითლებული და სევდა-ნაღვლით სავსე რამდენიმე ჯარისკაცი იჯდა და რაღაცას ეძახდა მას. თავი ასწია და უცებ მძიმე და ამაზრზენი სუნი იგრძნო, რომელიც ჯარისკაცების ოთახიდან გამოდიოდა და მთელ არემარეს ედებოდა. ვერ მიხვდა, რა უნდოდათ მისგან, მაგრამ ვინაიდან მძიმე ფიქრებიდან უკვე გამოერკვა და კარგა ხნის მარტოობაც უკვე დაერღვა, ალაყაფის კართან მისულმა, გადაწყვიტა, ეზოშიც შეეხედა. ეზო საკმაოდ ვრცელი ჩანდა, თუმცა იქაურობა მხოლოდ სევდიან და გულსაკლავ გრძნობებს აუშლიდა კაცს. ამასობაში არემარეს ბინდი ჩამოაწვა და ეზო უფრო კუმტი და უსიხარულო გამოჩნდა. ირგვლივ შემოჯარული დაბალი და მოყვითალოჭუჭყისფერი სახლები გულსაკლავ და მჭმუნვარე იერს მატებდა მას. ეზოში ბევრი არავინ იყო, მხოლოდ ერთგან მოჩანდა ბოდებზე მიბმული ოციოდე ცხენი. ეტყობოდა, ბაგაზე ჩამოემწკრივებინათ. თითოეული მათგანის ფეხებთან მეჯინიბის ჭუჭყიან, ტიკის¹¹ ხალათიანი თითო ჯარისკაცი ჩაცმულიყო და ცხენებს ჩლიქებს უსუფთავებდა, მოშორებით კი ამგვარადვე ჩაცმული ჯარისკაცები ჭიშკარში წყვილწყვილად შემოდიოდნენ, ძლივს მოფრატუნობდნენ და ზურგით უზარმაზარ მძიმე ტომრებს მოათრევდნენ. როდესაც მიუახლოვდნენ, ყმაწვილმა შეამჩნია, რომ ტომრები პურიტ იყო სავსე. ჩვენი გმირი უმზერდა და თვალს არ აშორებდა, უსაშველო ტვირთით მოხრილნი ნელ-ნელა როგორ მიაბიჯებდნენ, ალაყაფის კარში როგორ უჩინარდებოდნენ და მიჰქონდათ პური თავიანთი არსობისა ისეთივე ტომრებით, რომლის მსგავსი სამოსლითაც მწუხარე და ბედკრულ ყოფას მათი სხეულიც შეემოსა.

მერე კი, ცნობისმოყვარე ყმაწვილი ცხენებთან ჩაცმულ ჩლიქების მწმენდავ ჯარისკაცებს მიუახლოვდა. ისინი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ცხენების მომვლელებს, ფანჯარასთან მსხდომთ და პურის მზიდავებს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდით. ცხენების მომვლელებს ეტყობოდათ, უჭირდათ ცხენების წინა ფეხების ხელში დაჭერა და ამის გამო თავებს გაუთავებლად ამოძრავებდნენ. მათი გაყვითლებული, დაღლილი და სევდიანი სახეები ხან მაღლა იწევდა, ხან ძირს ეშვებოდა, თითქოს ძლიერი ქარი აქანავებდესო. პირუტყვთათვის დამახასიათებელი ლმობიერი და მოწყალე გამოხედვა კი არც ერთ ცხენს არ ეტყობოდა. მათ უკეთურ და უგვანო, უკან ავად ყურებგადაკრეფილ თავებს ღვარძლიანი გამომეტყველება მისცემოდა, ხოლო ბოროტად აზიდული ზედა ლაშიდან შიშის მომგვრელად დაკრეჭილი კბილები მოუჩანდათ. გარდა ამისა, თითქმის ყველა მათგანი უსიამოვნოდ ამღვრეულ და რისხვით სავსე თვალებს ატრიალებდა და თან ავზნიანად დაბერილი ნესტოებიდან გაუთავებლად აფრქვევდა ოხშივარს. მწკრივის ბოლოს მდგომი ცხენი არა მარტო ძაღვებით, არამედ ღვარძლითა და ულმობლობითაც გამოირჩეოდა. იგი მონდომებით ცდილობდა, უშველებელი ღოჯები მხარში ჩაესო იმ ჯარისკაცისთვის, ფლოქვებს რომ უწმენდდა. კაცს კი ისეთი ჩაცვნილი ლოყები,

დადლილ-დაქანცული და სიკვდილის შიშამდგარი თვალები ჰქონდა, რომ მისმა საბრალო გამომეტყველებამ ყმაწვილს გული ამ უცნობი ადამიანის სიბრალულით აუვსო. მოულოდნელად დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა, მისთვის რაიმე ეჩუქებინა, რაც ცოტაოდენ სიამოვნებას მაინც მიანიჭებდა ჯარისკაცს. მან ჯიბეებში ვერცხლის

ფულის ძებნა დაიწყო, მაგრამ ერთი ცალიც ვერ იპოვა და მაშინდა გაახსენდა, რომ საჩუქრების შეძენის შემდეგ დარჩენილი მონეტები პატარა გოგონას მისცა, რომელმაც მრისხანე და გაავეებული სახით ფული ყმაწვილს ფეხებთან უდიერად მიუყარა. ყმაწვილმა ოქროს ფულიც მოისაკლისა. მან ხომ ქალაქში წამოსვლისას შვიდი თუ რვა ოქრო ჯიბეში საიმედოდ გადაინახა.

ამ ფიქრებში გართულმა დაინახა, როგორ შეხედა ცხენმა და მზაკვრულად უკან გადაკრეფილი ყურებითა და ავად მობრიალე მღვრიე თვალებით თავი მისკენ მიაბრუნა. ცხენის თვალებს განსაკუთრებით ბოროტი და საშიში გამომეტყველება მისცემოდა, რადგან უშველებელი თეთრი ნიშანი მის უკეთურ თავს სწორედ თვალების გასწვრივ გარდიგარდმო ყოფდა. ყოველივე ამან ელვის სისწრაფით გაუელვა გონებაში და ერთი საბრალო მოხუცი გაახსენა. რატომღაც ეგონა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, იმ გამომეტყველებას ვერასდროს აღიდგენდა, ახლა კი თვალწინ წარმოუდგა ეს გამოხედვა. მართალია, მოგონება არ იყო უზადო და უნაკლო, მკაფიოობა და სიცხადე აშკარად აკლდა, მაგრამ ის კი კარგად ახსოვდა, რომ ეს მოხდა მის ბავშვობაში, როცა თორმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა.

ისიც გაიხსენა, რომ უსაზღვრო შიშით დაღმეჭილი სახე იმ ჯარისკაცისა იყო, მამამისის მაღაზიაში ერთადერთხელ რომ ნახა; მღელვარებითა და მძიმე განცდებით შეძრწუნებულსა და თავზარდაცემულ იმ ადამიანს ირგვლივმყოფნი არაადამიანურად ექცეოდნენ, აწამებდნენ, თან ემუქრებოდნენ, თუ არ იტყვი, საიდან გაქვს ოქროს ფული, მოგკლავთო.

როგორც კი ფიქრებიდან გამოერკვა, ფულის ძებნა განაგრძო, მაგრამ თითქოს რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ შებოჭა. ჯიბიდან ხელი გაუბედავად ამოიღო, უცებ ვერცხლის ქალღმერთ ფაქიზად შეფუთული ბერილიანი სამკაული ცხენის ფეხებთან მიწაზე დაუვარდა. როგორც კი ასაღებად დაიხარა, ცხენმა ფლოქვი წელში ისე ჩასცხო, რომ მიწას მოწყვეტით დაეხეთქა. ყმაწვილს განწირული კვნესა აღმოხდა, უცნაურად ამოტრიალდა, მუხლები ჰაერში აზიდა და კვლავ ძირს დაენარცხა. რამდენიმე ჯარისკაცი წამოდგა და მისკენ წამოვიდა. მუხლებსა და მხრებში შეუდგნენ და იქაურობას მოაშორეს. არაადამიანური ტკივილით სულშეგუბებული ფათერაკებიანი ყმაწვილი გრძნობდა ჯარისკაცების ტანსაცმლის სულის შემხუთველ სუნს, იმის მსგავსს, ყაზარმიდან რომ გამოდიოდა და მთელ არემარეს ედებოდა. სურდა მოეგონებინა, საიდან ახსოვდა ეს მძიმე და ხაშმიანი სუნი, მაგრამ ძალამ უმტყუნა და გონება დაკარგა. ჯარისკაცები დაბალი კიბით გრძელ და ნახევრად ბნელ დერეფანში ჩავიდნენ, საიდანაც მსხვერპლი ერთ ოთახში შეიყვანეს და რკინის საწოლზე დააწვინეს. ტანსაცმელი მაშინვე გაუქექეს, ძეწკვი და შვიდი ოქრო ამოაცალეს, თუმცა მოგვიანებით ავადმყოფის არაადამიანურმა კვნესამ, როგორც ჩანს, სიბრალული გაუღვიძათ და ქირურგის მოყვანა გადაწყვიტეს.

კარგა ხნის შემდეგ ყმაწვილმა თვალები გაახილა და ჯოჯოხეთური ტკივილი იგრძნო, მაგრამ ტკივილზე მეტად ის ტანჯავდა, რომ მარტოდმარტო იყო ამ უბადრუკ და გულსაკლავ

ადგილას. სურდა, ირგვლივ მიმოეხედა, მაგრამ ტკივილისგან თვალებსაც კი ვეღარ ამოძრავებდა. ბოლოს, როგორც იქნა, კედლისკენ გაიხედა და თაროზე სამი ისეთი მოზრდილი პური დაინახა, როგორსაც ტომრებით ეზიდებოდნენ ჯარისკაცები. ოთახში სხვა არაფერი ჩანდა, გარდა დაბალი საწოლებისა, რომლებზეც ქვეშაგებად ხმელი ჩალა დაეგოთ. მასაც ისეთი ამაზრზენი სუნი ჰქონდა, კაცი ვერ გაუძლებდა.

არაადამიანურ ტკივილთან ერთად ყმაწვილ კაცს სიკვდილის შიშმაც დარია ხელი, სული შეუხუთა და ლამის დაახრჩო. მასთან შედარებით ტკივილი აღარაფრად მიაჩნდა; ცდილობდა, ეს შემზარავი და შემადრწუნებელი გრძნობა ცოტა ხნით მაინც დაეძლია და ის მაინც გაეაზრებინა, ეს უბედურება როგორ დაატყდა თავს. დაიწყო თუ არა ამაზე ფიქრი, ხელები გამშაგებით მომუქა და სულის სიღრმიდან წყევლა-კრულვა აღმოხდა. წყევლიდა თავის მსახურებს, რომელთა მიზეზითაც ახლა სიკვდილის პირას იყო - ის ხომ ახალი მსახურის გამო წამოვიდა ქალაქში, დედაბრის გულისთვის საიუველირო მაღაზიაში შევიდა, სადაც მოახლე გოგონას ზმანება-მოჩვენებამ კიდევ ერთხელ დარია ხელი, მოგვიანებით კი ორანჟერეაში პატარა ბავშვის სახით მოვლენილმა იმავე მოახლის მაცდურმა და მზაკვრულმა ორეულმა გონება სულ აუზნია. ამის შემდეგ კი ის გაიხსენა, როგორ გაიარა სახიფათო საცალფეხო ხიდი და საზარელი კიბე, როგორ მიზარბაცებდა და მიტორტმანებდა და როგორ აღმოჩნდა ამ საბედისწერო ადგილას, სადაც ცხენმა ფლოქვით კინალამ სული გააცხებინა. ეს ყველაფერი რომ

წარმოიდგინა, პატარა ბავშვივით აზლუქუნდა - არა იმდენად ტკივილით, რამდენადაც აუტანელი სულიერი ტანჯვისაგან. უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ მოიცვა და კრიჭა შეუკრა.

მწარედ დანადვლიანებული, თითქოს გაჰყურებდა თავის მიერ განვლილ ხანმოკლე ცხოვრების გზას; აღარაფრის გახსენება აღარ უნდოდა, იმისაც კი, რაც ძვირფასი და სანუკვარი გააჩნდა. მთელი არსებით ისე ეზიზღებოდა ეს ნაადრევი სიკვდილი, რომ სიცოცხლეს კი შესძულდა, რადგან მან მიიყვანა სიკვდილამდე. ამ გაუთავებელმა შინაგანმა ჭიდილმა და დაუოკებელმა მძვინვარებამ ისე დაქანცა, რომ არაქათი გამოეღია; თავბრუ ეხვეოდა და გრძნობდა, გონებას კარგავდა; ჩაეძინა კიდევ, მაგრამ ეს იყო ავის მომასწავებელი და საბედისწერო ძილი.

მალე გამოეღვიძა და მიხვდა, ყველასაგან მიტოვებული კვლავ მარტო დარჩენილიყო. დაყვირება სცადა, მაგრამ ყელიდან ხმა აღარ ამოსდიოდა. უცებ ნაღველი ამოანთხია, რასაც ცოტა ხანში სისხლიც ამოაყოლა. ეს უკვე დასასრულს ნიშნავდა. მართლაც, მალე მიიცვალა გაწამებული და ტანჯული, ბედისაგან უმოწყალოდ განწირული. ვაგლახად გაპოხილი მოზრდილი ტუჩებიდან კბილებიც კი მოუჩანდა. მისი სახის მშვენიერება ისეთ ბოროტ და მრისხანე გამომეტყველებას შეეცვალა, ვეღარ იცნობდით.

ეპიზოდური მარშალ ბასომპიერის ცხოვრებიდან

მახსენდება ის პერიოდი, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის გამო, მუდამ ერთსა და იმავე დროს სისტემატურად, კვირაში რამდენჯერმე ერთ პატარა ხიდზე მიწევდა ხოლმე გავლა (იქ მაშინ ახალი და დიდი ხიდი ჯერ არ იყო აგებული). იქაურები, განსაკუთრებით კი უბრალო ადამიანები, უკვე მცნობდნენ და დიდი პატივისცემითაც მესალმებოდნენ. ყველაზე მეტად დუქანში მოვაჭრე მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი მიზიდავდა. მისი დუქნის კარის თავზე ეკიდა აბრა, რომელზეც ორი მშვენიერი ანგელოზი დაეხატათ. იმ ადგილას ხუთი თუ ექვსი თვის განმავლობაში დავდიოდი და ყოველ გავლაზე ქალი თავს ხრიდა, მოწიწებით მიყურებდა და ვიდრე თვალს არ მივეფარებოდი, მზერას არ მაშორებდა. შევნიშნე თუ არა მისი ასეთი დამოკიდებულება, მეც კეთილგანწყობა ვაგრძნობინე. ზამთრის ერთ დღეს, ცხენით ფონტენბლოდან პარიზს მივემგზავრებოდი. როგორც კი ის პატარა ხიდი გადავიარე, კვლავ გამოჩნდა ყმაწვილი მედუქნე, მომიახლოვდა და მითხრა: „ბატონო ჩემო, მოგესალმებით თქვენი მონა-მორჩილი, როგორც გნებავთ, მიმსახურეთო“. რა თქმა უნდა, მეც გულითადად მივესალმე, თუმცა კი მალე დავემშვიდობე და გზა განვაგრძე, თან დროდადრო უკან ვიხედებოდი და ვგრძნობდი, წინ გადმოხრილი, დაჟინებით თვალთვალს როგორ მომდევდა. იმ დღეს თან მახლდნენ მსახური და კურიერი, რომლებსაც რამდენიმე ჩემი ნაცნობი ქალბატონისთვის

წერილები უნდა წაეღოთ ფონტენბლოში. ჩემს ბრძანებაზე მსახური ცხენიდან ჩამოხტა და მედუქნისაკენ გაემართა იმის სათქმელად, რომ მას მივუხვდი გულისნადებს და თუკი ისურვებდა, მზად ვიყავი, შევხვედროდი და ახლოს გავცნობოდი.

ქალმა მსახურს უპასუხა, რომ ამაზე სასურველ და სასიამოვნო ამბავს იგი ვერაფერს შეატყობინებდა; რა თქმა უნდა, მასაც სურდა ჩემთან შეხვედრა და მოვიდოდა იქ, სადაც ვეტყოდი.

ამავე დროს, დავინტერესდი, ხომ არ იცოდა ჩემმა მსახურმა ისეთი ადგილი, სადაც ჩემი მომავალი მეგობრის ახლოს გაცნობას შევძლებდი. მან მითხრა, რომ არის ერთი ხანში შესული ქალი, რომელიც შუამავლობით ცხოვრობს და სწორედ ის შეძლებს ამ საქმის მოგვარებას.

ჩემს მსახურს ვილჰემი ერქვა და წარმოშობით კურტელი იყო; პატიოსანი და კეთილსინდისიერი ვილჰემი ჩემზე ყოველთვის ძალიან ზრუნავდა. ამჯერად მაუწყა, რომ თურმე შავმა ჭირმა იჩინა თავი და არა მარტო უბრალო და მიუსაფარი ადამიანები, არამედ მოძღვარი და მკურნალიც კი უმსხვერპლიაო. ამიტომ მირჩევდა, შეხვედრის ადგილას შინიდან წაგვეღო ლეიბი და ზეწარ-გადასაფარებლები. მე დავეთანხმე, ყველაფრის მოგვარება კი მან ითავა. ბოლოს, ისიც ვუთხარი, რომ დამჭირდებოდა კარგი პირსაბანი, ცოტაოდენი

სურნელოვანი საპკურებელ-ნელსაცხებელი, ნამცხვარი და ვაშლი; რა თქმა უნდა, ოთახის გათბობაზეც უნდა ეზრუნა, რადგან ისეთი სიცივეები იდგა, უზანგებში ფეხები მეყინებოდა, ამინდის გამოკეთებას კი პირი არ უჩანდა და ცაზე თავმოყრილი მოქუფრული ღრუბლებიც თოვლის მოსვლას გვიქადდა.

საღამოს დათქმული ადგილისაკენ გავშურე. ის სახლი მოვებზე, კარსაც მივაგენი და შევედი. ბუხარში ისე ტკაცატკუცით გიზგიზებდა ახალშეკეთებული ჯირკი, რომ იქ მყოფთ ჩემი შესვლა არც გაუგიათ. იქაურობას თვალი მოვაველე და დავინახე საწოლზე მჯდომი ანგელოზებიან დუქანში მოვაჭრე ანგელოზივით მშვენიერი, ოციოდე წლის არსება, რომელსაც თავიდან ფეხებამდე შავი შალით საგულდაგულოდ შეფუთილი, წელში მოხრილი დედაბერი რაღაცას ჩასჩინებდა; როგორც ჩანს, ეს ის მაშვალი იყო. ახალგაზრდა ქალი თვალეზგაფართოებული აუღელვებლად და წყნარად მისჩერებოდა აალებულ ცეცხლს, მაგრამ აშკარად ვატყობდი, დედაბერი სძულდა, თუმცა კი ამას არ იმჩნევდა. უცებ მან თავი ისე უცნაურად აიქნია, თითქოს უსიამოვნო თანამოსაუბრისგან განთავისუფლება სურდა. თავზე ღამის პატარა, კოპწია ჩაჩი ეხურა, საიდანაც მუქი ფერის საუცხოო, ხშირი, ხვეული კულულები ჩამოშლოდა და მხრებზე, გულმკერდსა და საღამურ ხალათზე ნარნარად დაჰფენოდა. მწვანე შალის მოკლე ქვედატანი ეცვა და ფეხი საშინაო ფოსტლებში წაეყო. ჩანს, რაღაც ჩქამმა გამცა, რადგან მკვეთრი მოძრაობით ჩემკენ შემობრუნდა და მომაშტერდა. დამაბულობისგან მის სახეს უცნაური

გამომეტყველება მისცემოდა. ფართოდ გახელილი თვალებიდან სხივნაფენი თავგანწირვა და თვითაღკვეთა გადმოიფრქვა და მოკუმულ ბაგეთაგან უხილავი ცეცხლივით ამოენთო. ახალგაზრდა ქალის მიძიბიდელობამ ისე გამიტაცა, ვერც შევამჩნიე, თვალის დახამხამებაში დედაბერი როგორ გამქრალიყო. როგორც იქნა, ჩემს გულის სწორთან მართო დავრჩი და როცა მასთან ყოვლისწამლეკავი სიახლოვის შემდეგ თავდავიწყებამდე მისულმა მეტი სილაღე და სითამამე ვიგრძენი, იგი ნებას აღარ დამეცა, თითქოს გამერიდა კიდევ, თუმცა მის დახშულ ხმასა და გამოხედვაში ენით აღუწერელი გულწრფელობა გამოსჭვიოდა. მართლაც, მეორე წუთში ვიგრძენი, მოჭარბებული გრძნობით როგორ მომეხვია, ცხოველმყოფელ თვალთა უფრო და უფრო გამმაფრებული სურვილ-წადილიანი მზერით მკლავები შემომაჭდო და ტუჩებზე დამეკონა. შემდეგ კი თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ კოცნისაგან ათრთოლებულ მის ტუჩებს სიტყვის წარმოთქმა არ შეეძლოთ და ბგერების ნაცვლად პირიდან მოგუდული ხმა და ხვნეშა-კვნესა ამოსდიოდა.

მთელი ის დღე, დილიდან საღამომდე, გაყინულ გზებზე ცხენით სიარულს მოვანდომე. რეზიდენციის ერთ-ერთ მისაღებში საკმაოდ ხმაურიანი და უსიამოვნო შეხლა-შემოხლაც გადავიტანე; მძიმე განწყობის დასათრგუნად და გულის გადასაყოლებლად სასმელიც ზომაზე მეტი გეახელით და გვარიანადაც ვიფარიკავე; დღის ბოლოს კი, როცა ამ სასიყვარულო თავგადასავლის მორევში გადავეშვი და კისერზე შემოჭდობილი ქალის ფაფუკი მკლავებით

დატყვევებულმა და მის სურნელოვან თმაში ჩაფლულმა თავი განცხრომას მივეცი, უცებ საოცარმა დადლილობამ ისე დამარეტიანა, რომ გონზე ვეღარ მოვედი და ვეღარც გავიხსენე, ამ სახლში როგორ მოვხვდი. მეტიც, მისი ვინაობაც კი გადამავიწყდა,

ვისთან ერთადაც ახლა ვიმყოფებოდი და ვისი გულიც ჩემს გულთან ასე ახლოს ძგერდა; იგი ჩემს ადრინდელ სატრფოდ მივიჩნიე.

როცა გავიღვიძე, უკუნი ღამე იდგა, თუმცა კი ვიგრძენი, ამდამინდელი ჩემი მეგობარი გვერდით აღარ მყავდა. თავი წამოვწიე თუ არა, მიმქრალი ცეცხლის შუქზე დავინახე, ქალი ფანჯარასთან იდგა, ერთი დარაბა ცოტათი გამოეღო და ღრიჭოდან გარეთ იყურებოდა. იგი მაშინვე შემოტრიალდა, ახალგამოდვიძებულს შემომხედა და წამოიძახა: „ჯერ არ გათენებულა, დილა არ დამდგარა, არა“. დავინახე, როგორ გადაისვა ლოყაზე მარცხენა ხელი და სახეზე ჩამოშლილი თმა კვლავ მხრებზე გადაიყარა. მხოლოდ ახლა აღვიქვი, რა ტანადი და ლამაზი იყო. მის მშვენიერ ფეხებს მეწამული ცეცხლის ალი ელაციცებოდა. ისე მოვიხიბლე, ერთი სული მქონდა, თავისი მშვიდი და მოზომილი ნაბიჯებით როდის მომიახლოვდებოდა; თუმცა ჯერ ბუხართან მოვიდა, დაიხარა, დარჩენილი შეშის ნაპობი შიშველ ბროლის მკლავებში მოიქცია, მერე ბუხარში შეუკეთა და მაშინვე მოტრიალდა, მაგიდიდან ვაშლი აიღო, სიხარულისა და ცეცხლის ალით ატვრციალებული სახით ჩემკენ გამოემართა, მთელი სხეულით ხასხასა ცეცხლის სურნელი მომაფრქვია და ჩანავლდა; მოულოდნელად უფრო ძლიერმა და მწველმა შინაგანმა

ცეცხლის ალმა მთლად აათრთოლა, ააცახცახა, მყისვე თვალები, ტუჩები და მთელი სახე შემომაგება, ნაკბეჩი ვაშლი მარცხენა ხელით გამომიწოდა და მარჯვენა ხელი შემომხვია. ის ბოლო ნაპობი შეშა წინანდელეებზე ძალუმად და ხანგრძლივად იწვოდა, ჩინჩხლებს ყრიდა და თან ისე გიზგიზებდა, რომ მხურვალემა ტალღასავით გადაგვივლიდა, კედელს სწვდებოდა და ერთ ჩრდილად ქცეული ჩვენი ორი სხეული ხან ზემოთ იწევდა და მაღლდებოდა, ხან კი ძირს ეშვებოდა და დაბლდებოდა.

ისევ ტკაცუნობდა და ტკაცუნობდა მაგარი და გამძლე შეშა. მისი სიღრმიდან სულ ახალ-ახალი ცეცხლის ენები იზადებოდა და კონებად ასხმული მეწამული კაშკაშა სხივებით სიბნელის დათრგუნვას ღამობდა. ერთბაშად ცეცხლის ალი მიყუჩდა და ისეთი ცივი ჰაერის სუნთქვა შევიგრძენით, თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა დარაბა გამოაღო და ჩვენთვის საძულველი, ჯერ ისევ მქრქალი აისი თავს დაგვაყენა.

ორივენი წამოვჯექით და მივხვდით, რომ თენდებოდა, თუმცა დღის დადგომას არაფერი მოასწავებდა. ეს არ იყო ბუნების გამოღვიძება; გზა, ქუჩა და თითქოს მთელი სამყარო აღარ ჰგავდა თავის თავს. ეს იყო უფერული, არსისა და აზრისაგან დაცლილი უბადრუკობა, სადაც მხოლოდ უდღეურ ჭიაღუას თუ შეეძლო არსებობა. სადღაც შორს, თითქოს მოგონებების სიღრმეში, კოშკის საათმა ჩამოჰკრა, თუმცა აღარაფერი ეკუთვნოდა ჩვენი დროის

განზომილებას. ცივი და ნესტიანი ჰაერიც თანდათან ისეთი ძალით შემოგვეჭრა და დაგვიპყრო, რომ ავკანკალდით და ერთმანეთს მივეკარით. შემდეგ ქალმა უკან გადაიწია და სახეზე მომაშტერდა; მხრები უთრთოდა, თითქოს ყელშიც რაღაც მოაწვა, ამოხეთქა და გამოსავალი მის ტუჩებთან პოვა, თუმცაღა არც სიტყვას, არც კოცნას და არც კვნესას ცალ-ცალკე წარმოქმნა არ ეწერათ, ეს ყველაფერი ერთმანეთში იყო გადახლართული. განთიადი და შუქი ყოველ წუთს მატულობდა. მოულოდნელად, ფანჯარასთან ისე ახლოს გაისმა ფეხის ხმა და ლაპარაკი, რომ ქალი შეცბა, ძირს დაიხარა და სახე კედლისაკენ მიაბრუნა. ცოტა მოშორებით ორი კაცი მოდიოდა; ამ

დროს ოთახში სინათლევ შემოიჭრა; ეს იმ ფარნის შუქი იყო, ერთ-ერთ მათგანს ხელში რომ ეჭირა, მეორე ურიკას მიაგორებდა, რომლის ბორბალი ყურისწამდებად ჭრიალებდა. როგორც კი ჩაგვიარეს, წამოვდექი, დარაბა მივხურე და სანთელი ავანთე. ნახევარი ვაშლი კიდევ დარჩენილიყო, იგი ორივემ ერთად შევჭამეთ. ცოტა ხნის შემდეგ ჩემს გულის სწორს შევეკითხე, შეიძლებოდა კიდევ მასთან შეხვედრა თუ არა. თუმცა ისიც ვუთხარი, რომ იქაურობას კვირას ვტოვებდი და მივემგზავრებოდი; იმ დღეს კი უკვე პარასკევი დგებოდა.

ქალმა მიპასუხა: „მეც არანაკლებ მსურს კვლავ გიხილო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგხვდები, მთელი კვირადღე თუ დარჩები, რადგან შინიდან წამოსვლა და შენთან ყოფნა მხოლოდ კვირა-ორშაბათის ღამეს შემეძლება“.

უცებ რაღაც გამახსენდა და ვუთხარი, - ისეთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, ჩვენს შეხვედრას უთუოდ ხელს შეუშლის-მეთქი. მან უსიტყვოდ მომისმინა, გულნატკენმა გაოცებით შემომხედა, სახე ჩაუმუქდა და თითქოს გაუქვავდა კიდევ. ამის შემხედვარემ, რა თქმა უნდა, მაშინვე აღვუთქვი, რომ კვირას დავრჩებოდი და ისევ ამ ადგილას მოვიდოდი. პასუხად ჯიუტად შემომხედა და სულდამძიმებულმა დათრგუნვილი ხმით მიპასუხა: „შენი გულისათვის სამარცხვინო სახლში შემოვდგი ფეხი, მაგრამ ეს ხომ ჩემი ნებით გავაკეთე, ყოველგვარ პირობაზე თანახმა ვიყავი, ოღონდ შენთან ვყოფილიყავი; მე რომ აქ კიდევ ერთხელ მოვიდე, ჩემი თავი ქუჩის ქალზე უარესი მეგონება; შენთვის და შენ გამო გავაკეთე ეს ყველაფერი, რადგან ბასომპიერი და თან ჩემთვის ის ადამიანი ხარ, ვინც აქ ყოფნით ეს სახლი საპატიო გახდა“, - თქვა და წუთით მომეჩვენა, რომ სიტყვა „სახლი“ მისთვის ყველა სიტყვაზე საზიზღარი და აუტანელი გამხდარიყო; შემდეგ კი თვალი მოავლო ოთხივე კედელს, საწოლს, ჭერს და იატაკზე გადმოცურებულ საბანს, თან თვალთაგან სინათლის ისეთი სხივი გამოაშუქა, თითქოს ირგვლივ ის უბადრუკი სივრცე მყისიერად განივრცო, გაფართოვდა, მისთვის საძულველი საგნებიც შედრკნენ, გზიდან ჩამოეცალნენ და განერიდნენ.

მერე ენით აღუწერელი სინაზითა და ამაღლებული განწყობით დასძინა: „ტანჯვაწამებით ამომხდეს სული, თუკი ამ ქვეყნად ჩემი ქმრისა და შენ გარდა ვინმე ვისურვო და ვინდომო“. წარმოთქვა ეს და მის ნახევრად ღია ბაგეთაგან თითქოს სიცოცხლის სუნთქვა მომელამუნა.

მსუბუქად და ჰაეროვნად წინ გადმოხრილი, იგი, როგორც ჩანს, ჩემგან ფიცსა და საზეიმო დაპირებას ელოდა და რადგან ჩემს გამოხედვაში ვერ ამოიკითხა ის, რაც სურდა, ცნობისმოყვარე და დაძაბული სახე შეეცვალა, მოიქუფრა და მოიღუმა, ნაწყენსა და გულნატკენს თვალები აუხამხამდა, უცებ ფანჯარასთან მივიდა, ჩემკენ ზურგშექცეულმა შუბლი დარაბას მიაბჯინა და უსიტყვო, მაგრამ შეუკავებელმა და გულგამგმირავმა ქვითინმა მთელი ტანი ისე აუთრთოლა, რომ სათქმელი პირზე შემეყინა და მასთან მიკარება ვეღარც კი გავხედე; ბოლოს, როგორც იქნა, ხელი შევავლე მის უსიცოცხლოდ ჩამოყრილ მკლავებს და შევეცადე, ყველაზე დამაჯერებელი და დამამშვიდებელი ის სიტყვები მეთქვა, რაც იმ წუთში მომაფიქრდა. როგორც ჩანს, ცოტა მოგვიანებით ეს შევძელი, რადგან ნამტირალევი და ცრემლით დაცვარული სახე ჩემკენ მოაბრუნა, თვალთაგან ღიმის სხივებიც კი

გამოუკრთა, რომელმაც ტირილის კვალი წაუშალა და სახე კვლავ აუელვარა. მალე ამეტყველდა კიდეც და საუბარი კეკლუც და მიმზიდველ თამაშად აქცია, ერთი და იგივე წინადადება უთვალავჯერ გაიმეორა: „თუ გინდა, რომ კიდეც შემხვდე, ბიცოლაჩემის სახლს მიგასწავლი და იქ მნახავ“. პირველი წინადადება ათჯერ მაინც წარმოთქვა, ხან ნაზი და სასიამოვნო დაჟინებით, ხან გულუბრყვილო ბავშვის უნდობლობით, მერე კი ტუჩებმოკუმული, მხრების რხევით მომეხვია, კისერზე ჩამომეკიდა, სახეში შემომცინა და სათქმელი უდიდეს საიდუმლოსავით ჯერ ყურში ჩამჩურჩულა, შემდეგამქვეყნიურ სულსაცხონებელ აღთქმასავით შეპარვით გაიმეორა. ბიცოლამისის სახლი კი ისეთი სიზუსტით აღმიწერა, როგორც პატარა ბავშვს უხსნიან, ქუჩაზე როგორ გადავიდეს, როცა

საფუნთუშეში პირველად გზავნიან. მალე წელში გასწორდა, დადინჯდა და სხივჩამდგარი მზერა ისე მომაპყრო, უსიცოცხლო არსებასაც კი მიიზიდავდა, თან საუბარი განაგრძო: „სალამოს ათი საათიდან გვიანობამდე და შუალამემდეც კი, დიდხანს, ძალიან დიდხანს, სულ შენს ლოდინში ვიქნები. ქვედა კარს ღიად დავტოვებ. იქვე პატარა შესასვლელს დაინახავ, მაგრამ იქ არ შეჩერდე, რადგან ის ზემოთ, ბიცოლაჩემის ოთახში აგიყვანს, იქვე კიბეა, რომლითაც პირველ სართულზე ჩახვალ და აი, იქ ვიქნები მე“, - თქვა ეს და თვალები დახუჭა, თითქოს თავბრუ დაესხაო, შემდეგ თავი უკან გადასწია, მხრებში გაიშალა, ისევ მომეხვია, თუმცა ხელები მაშინვე მომაშორა, ტანსაცმელში ჩაიფუთნა და დინჯად და თავშეკავებულად, ოთახიდან უცხოთავით გავიდა. ამასობაში გათენებულიყო.

იმ დღეს რაღაც საქმეები მოვაგვარე და განკარგულებაც გავეცი, რომ მთელი ამაღა გასამგზავრებლად მომზადებულიყო, ბარგი დაეტვირთათ და ზოგიერთი მხლებელი და მსახური დაწინაურებულიყო კიდეც. მე კი მომდევნო საღამოს ისეთი დაუოკებელი მოუთმენლობა დამეუფლა, რომ მწუხრის ზარების შემდეგ, ჩემი მსახურის, ვილჰელმის, თანხლებით პატარა ხიდისკენ გავწიე და ფარანიც არ წამოვალეზინე - შუქზე არავინ შეგვნიშნოს-მეთქი. ოჰ, როგორ მინდოდა, იმ დუქანში ან სადმე ახლოს თვალი მომეკრა ჩემი სატრფოსათვის, როგორმე ჩემი იქ ყოფნა მეცნობებინა და თუკი ყველანაირი იმედი გამამეწურებოდა, დავლაპარაკებოდი, ორიოდ სიტყვა მაინც მეთქვა. ვინმეს რომ არ დავენახე, ხიდზე გავჩერდი და ამბის გასაგებად მსახური წინ გავუშვი.

მსახური კარგა ხნის მერე მოქუშულ-მოღუშული დაბრუნდა. ამ ერთგულ და კეთილსინდისიერ ადამიანს ასეთი განწყობა მაშინ ეუფლებოდა, როცა ჩემს დავალებას სათანადოდ ვერ შეასრულებდა ხოლმე. „დუქანი დაკეტილია, - მომახსენა მან, - და მგონი, შიგ არავინაა. ქუჩის მხარეზე რომ ოთახებია, არც იქ არის კაციშვილის ჭაჭანება. ავი ძაღლის გამო კი გალავანზე გადასვლა და ეზოში შეღწევა შეუძლებელია. იმ წინა ოთახებიდან ერთ-ერთი განათებულია და დუქანში ღრიჭოდან შეხედვა შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, იქაც არავინ ჩანს“.

დათრგუნვილსა და გულდამძიმებულს უკან მინდოდა გაბრუნება, მაგრამ ნელი ნაბიჯით სახლს კიდეც ერთხელ ჩავუარე, ხოლო ჩემმა მსახურმა თავისი ჩვეული გულმოდგინებით იმ ღრიჭოში დაიწყო ყურება, საიდანაც სინათლე გამოკრთოდა. მალე ჩურჩულით მაუწყა, რომ ერთ-ერთ ოთახში ქალი კი არა, კაციაო. საოცარმა ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, ძალიან მინდოდა დუქნის მეპატრონე კაცის დანახვა.

როგორც მახსოვდა, მისთვის თვალი ერთხელაც არ მქონდა მოკრული და ხან ზედმეტად ტანსრულ, ტლანქ და მოუხეშავ ადამიანად, ხან კი ჩამომჰქნარ, გამხდარ და ბერიკაცად წარმომედგინა. ფანჯარას მივუახლოვდი და შევხედე თუა არა, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, მშვენივრად მოპირკეთებულ და გაწყობილ ოთახში ბოლთას სცემდა უჩვეულოდ ტანადი, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი. იგი ჩემზე მთელი თავით მაღალი იქნებოდა. როცა ფანჯრისკენ შემობრუნდა, კარგად გავარჩიე მისი მიმზიდველი და დარბაისლური იერი. წაბლისფერ წვერში ცოტაოდენი ვერცხლისფერი ზოლებიც

შეჰპარვოდა, მსგავსიფართო, მაღალი და ჭკვიანური შუბლი იშვიათად მენახა. მართალია, ოთახში მარტო იყო, მზერა ხშირად ეცვლებოდა, ტუჩებს ამოდრავებდა, აქეთ-იქით სიარულისას დროდადრო ჩერდებოდა, ეტყობოდა, წარმოსახვაში ვიღაცას ესაუბრებოდა; ხელიც კი ისე ამოდრავა, თითქოს მორიდებული და ძალდაუტანებელი დამაჯერებლობით თანამოსაუბრეს პასუხი უნდა გასცესო. მის ყოველ დარბაისლურ და აუჩქარებელ მოძრაობაში უდიდესი ამრეზილობა გამოსჰქვიოდა. ვიდრე იმ ადამიანს თვალყურს ვადევნებდი, გამახსენდა და მთელი სიცხადით თვალწინ წარმოვიდგინე ერთი კეთილშობილი პატიმარი, რომელსაც მეფის სამსახურში ყოფნის დროს ბლოას ციხე-კოშკის სატუსალოში ვყარაულობდი. ამ ორ კაცს შორის მსგავსება ჩემთვის თანდათან ცხადი გახდა, რაც მამაკაცმა მარჯვენა ხელი ზემოთ ასწია და მოხრილ თითებს კუმტად და პირქუშად დაუწყო თვალიერება.

კარგად მახსოვს, ის კეთილშობილი პატიმარიც მსგავსი მოძრაობით ხშირად რომ დასცქეროდა ბეჭედს, რომელიც ყოველთვის მარჯვენა ხელზე ეკეთა. შემდეგ კაცი მაგიდასთან მივიდა, წყლის დოქი ცვილის სანთლისაკენ მისწია და ორივე ხელის გაშლილი თითები სინათლის რკალში მოაქცია, ეტყობოდა, ფრჩხილებს დიდი გულმოდგინებით ითვალიერებდა. ბოლოს, სანთელი ჩააქრო და ოთახიდან გავიდა, მე კი დავრჩი ბრაზმორეული და უსაზღვრო ეჭვით შეპყრობილი, რადგან მისი ცოლისადმი ლტოლვამ ჩემში აგიზგიზებული ცეცხლივით იმძლავრა, რომელიც ირგვლივ ყველაფერს სტიქიასავით მოედო და საშველს აღარ მამღლევდა. ეს

სურვილ-წადილი არა მარტო იმ გამოაგნებელმა შეხვედრამ გამიმძაფრა, არამედ სუსხიანი ქარისაგან დატრიალებულმა თოვლის ფიფქებმაც, წარბ-წამწამზე სათითაოდ რომ მეკონწიალებოდნენ და ზედ მადნებოდნენ.

მთელი მომდევნო დღე ფუჭად და უმიზნოდ გავატარე, გულს ვერაფერს ვუდებდი. ცხენი ვიყიდე, მაგრამ მაინცდამაინც არ მომწონდა. ნასადილევს კი ჰერცოგ ნემურისაკენ გავწიე, მის მოლოდინში გულის გადასაყოლებლად სხვადასხვა თამაშით ვირთობდი თავს, თუმცა უამრავი მძიმე და აუტანელი საუბრის მოწმე გავხდი. მოდებული შავი ჭირის გარდა, არაფერზე ლაპარაკობდნენ. მისი მსხვერპლი სულ უფრო მეტი ადამიანი ხდებოდა და იქ თავმოყრილი კეთილშობილი საზოგადოებაც ყოველ წუთს ამ მძიმე სენთან დაკავშირებულ მოვლენებს უბრუნდებოდა. მიცვალებულები რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიეზარებინათ მიწისთვის და მათი სახლები კი გამოეწვათ, რათა ეს საშინელი დაავადება არ გავრცელებულიყო. ყველაზე უგუნურად და ახირებულად კი იქცეოდა სისხლსავსე და ჩათქვირებული შანდიოელი მოძღვარი, რომელიც, როგორც ყოველთვის, ჯანმრთელად გამოიყურებოდა, მაგრამ

თავს ვერ იკავებდა და გამუდმებით ხელის თითებს ითვლიერებდა, როგორც ჩანს, სურდა გაეგო, ფრჩხილები ხომ არ ულურჯდებოდა - ამ მძიმე სენის მაუწყებელ ნიშნად ფრჩხილების სილურჯე ითვლებოდა.

ყველაფერი შემზიზღდა, არავისა და არაფრის დანახვა აღარ მინდოდა. იქაურობა დავტოვე და შინისაკენ გავწიე, დავწექი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა, წამოვდექი და ჩაცმა დავიწყე. როგორი წინააღმდეგობაც უნდა გაეწია ჩემს ამაღლას და რაღაც უნდა დამჯდომოდა, გადავწყვიტე, ჩემი მიჯნური უთუოდ მომენახულებინა. ფანჯარასთან მივედი, რათა მხლებლები გამეღვიძებინა. ღამის სიცივემ ცოტა გონს მომიყვანა და ვიგრძენი, ამ გზით საქმეს გავაფუჭებდი, ყველაფერს წყალში ჩავყრიდი. ტანგაუხდელი მივწექი, როგორც ჩანს, მალე ჩამეძინა.

ასევე მოუსვენრად დაწვალებით გავატარე მთელი კვირადღე, საღამოს, დროზე ადრე, უკვე დათქმულ ადგილას ვიყავი და ვინაიდან საკმაოდ დრო იყო დარჩენილი, საჭიროდ ჩავთვალე, მახლობელი შესახვევი კარგად დამეთვალეებინა. ბოლოს, მოვძებნე ის სახლი და კარიც, რომელზეც ჩემმა ღამის მეგობარმა მიმანიშნა. კარი ღია იყო, შესასვლელსაც მივაგენი და კიბესაც. კარი, რომელსაც კიბეზე ასვლისას მივადექი, დაკეტილი დამხვდა, თუმცა კი ღრიჭოდან სინათლის მქრქალი ზოლი გამოკრთოდა. რა თქმა უნდა, იგი ოთახშია, ვფიქრობდი ჩემთვის, ალბათ დამაბული და სმენად ქცეული დგას შიგნით, კარს იქით ისე, როგორც მე კარს აქეთ. გაუბედავად დავაკაკუნე, ოთახის შიგნით ფეხშიშველი ადამიანის ფრთხილი და მსუბუქი ნაბიჯის ხმა გავიგონე, ერთხანს სული ვერ მოვითქვი, კვლავ დავაკაკუნე, მაგრამ ქალის კი არა კაცის ხმა მომესმა, რომელიც ვინაობას მეკითხებოდა. ხმა ვერ ამოვიღე, სიბნელეში უჩუმრად ავეკარი კედელს. კარი არავის გაუღია, მე კი უხმოდ ჩავბრუნდი კიბეზე. თითო-თითო

საფეხურზე ძლივს ვაბიჯებდი; როგორც იქნა, ჩავბოძლდი და გარეთ გავიძურწე. დანაკბილს არ მიხსნიდა, საფეთქლებში სისხლი მაწვებოდა და მოუთმენლობა ცეცხლის ალივით მწვავდა. რამდენიმე ქუჩაზე ავიარ-ჩავიარე, ბოლოს კვლავ იმ სახლთან აღმოვჩნდი, მაგრამ შიგ შესვლას ჯერ არ ვაპირებდი. ვგრძნობდი და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ქალი აუცილებლად შეეცდებოდა, ქმრისაგან თავის გასათავისუფლებლად მის სადმე გასტუმრებას. აი, მაშინ კი მისკენ გზა ხსნილი მექნებოდა. ამასობაში ვიწრო შესახვევს მივადექი. ერთ მხარეზე სახლი არ ჩანდა და ქუჩას მხოლოდ მონასტრის ბაღის გაღავანი გასდევდა. გაღავანზე ავცოცდი და შევეცადე, საოცნებო ფანჯარა იქიდან მაინც დამენახა. ზემო სართულზე, ერთ-ერთ ღია ფანჯარაში, ცეცხლის ალივით რაღაც აინთო და მალე ჩაქრა. ყველაფერი თვალწინ ისე წარმოვიდგინე, როგორც იმ დღეს იყო. აი, იმდღევანდელივით ქალმა ბუხარს უშველებელი ჯირკი შეუკეთა. მაშინდელივით დგას შუა ოთახში, სხეულს ცეცხლის ალი უელვარებს, ანდა შეიძლება საწოლზე ზის და მოლოდინში სმენად გადაქცეულა. ვფიქრობდი, კარებიდანვე დავინახავ მის ზურგსა და მხრების ჩრდილს, რომელსაც გამჭვირვალე და ჰაეროვანი ტალღა ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ კედელზე ათამაშებს და ამარამაშებს-მეთქი. ამასობაში შესასვლელსაც მივადექი, კიბე ავიარე და კართან აღმოვჩნდი. ოდნავ შეღებული კარიდან კაშკაშა სინათლის სხივი გამოკრთოდა. ის-ის იყო, სახელურს უნდა შევხებოდი, რომ ოთახიდან ლაპარაკი და

ფეხის ხმა შემომესმა. ყურებს არ ვუჯერებდი, ყელში რაღაც მომაწვა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და ძარღვებში სისხლი დგაფუნობდა - ასე აფორიაქებულს ალბათ რაღაც

მომეჩვენა, ან ოთახიდან ცეცხლის გუგუნმა იმძლავრა-მეთქი, - ვფიქრობდი. იმ ღამესაც ხომ ასე ძალუმად გიზგიზებდა და გუგუნებდა ცეცხლი. კარის სახელურს შევეხე თუ არა, მაშინვე დავრწმუნდი, რომ ოთახში უამრავი ადამიანი იმყოფებოდა, მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სატრფო იქ იყო და კარს გავაღებდი თუ არა, მაშინვე დავინახავდი, მივვარდებოდი და ვისთან ერთადაც არ უნდა ყოფილიყო, ხელიდან გამოვგლეჯდი, ერთი ხელით მას ჩავებლაუჭებოდი, მეორით კი ხმლითა და მახვილით სივრცეს გავაპობდი და ხმაურსა და ორმოტრიალში შორს გავიტაცებდი. მეტის მოცდა აღარ შემეძლო, ყველაფერზე აუტანელი ახლა ლოდინი გამხდარიყო.

კარი შევადე. ოთახში რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა. ისინი ლოგინებს წვავდნენ. ცეცხლის ალი მთელ ოთახს ანათებდა. კარგად გავარჩიე - კედლები მთლად ჩამოფხეკილ-ჩამოგლეჯილი იყო და ბათქაში იატაკზე ეყარა. ერთ კედელთან მაგიდა იდგა, რომელზეც ორი შიშველი გვამი გამოტილიყო. ერთ-ერთი უფრო მოზრდილი ადამიანის სხეული თავშებურული იყო, მეორე, უფრო მომცრო გვამი კედელთან ახლოს მიეწიათ, მისი სხეულის ჩრდილი კედელზე თრთოდა.

კიბეზე ბარბაცით ჩავედი, სახლის წინ ორ მესაფლავეს შევეჩეხე, ერთ-ერთმა ფარანი სახეზე შემომანათა და მკითხა, - რას ეძებთო. ამასობაში თავისი ღრჭიალა ურიკა სახლის შესასვლელთან მიაგორა. მაშინვე ხმალი ვიშიშვლე, რათა ისინი თავიდან მომეშორებინა.

სახლში მისვლისთანავე სამი-ოთხი ჭიქა მაგარი ღვინო გადავკარი და ცოტა სული მოვითქვი. მეორე დღეს კი ლოთარინგიაში გავემგზავრე.

როდესაც ლოთარინგიიდან დავბრუნდი, შევეცადე იმ ახალგაზრდა ქალის შესახებ რაიმე შემეტყო, მაგრამ ჩემი ცდა ამაო გამოდგა. იმ ხიდთანაც მივედი და დუქანიც მოვინახულე, თუმცა იქ ახალი მეპატრონეები დამხვდნენ, რომლებმაც არც კი იცოდნენ, მათ მოსვლამდე ის დუქანი ვის ეკუთვნოდა...